ხელმოსაწერი ვერსია

მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების ხელშეკრულება

ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის დეტალური დიზაინი, მშენებლობა, გამოცდა, ექსპლოატაციაში მიღება, ფლობა, ოპერირება და მოვლა

დადებული

საქართველოს მთავრობას

წარმოდგენილი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“

სს „ნამახვანს“

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“

და

შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას“

შორის

25 აპრილი, 2019 წ.

თბილისი

სარჩევი

მუხლი გვერდი

1. განმარტებები და ინტერპრეტაცია 5
2. განცხადებები და გარანტიები 28
3. ხელშეკრულების საგანი 28
4. პროექტის ეტაპები 47
5. გარემოს დაცვა და სოციალური უსაფრთხოება 68
6. საკუთრების უფლება სადგურებზე 74
7. სახელშეკრულებო გარანტია 75
8. ფორს მაჟორი და კომპენსირებადი შემთხვევები 78
9. დეფოლტის შემთხვევები და ხელშეკრულების შეწყვეტა 86
10. დაფინანსება 100
11. გადახდები 100
12. დავების გადაწყვეტა 102
13. უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემა 105
14. კომპენსაცია 106
15. ენა 107
16. გამოსაყენებელი სამართალი 107
17. მთავრობის როგორც საჯარო დაწესებულების პოზიცია 108
18. წიაღისეულისა და ანტიკვარიატის აღმოჩენა 108
19. შეტყობინებები 108
20. წინამდებარე ხელშეკრულების ნამდვილობა 111
21. არაპირდაპირი ზიანი 111

22. შემდგომი გარანტიები 111

23. ხელშეკრულების მთლიანობა 111

დანართი #1 მდებარეობა 113

დანართი #2 სიმძლავრე 114

დანართი #3 ეტაპების ცხრილი 115

დანართი #4 გარანტია 116

დანართი #5 მიწასთან დაკავშირებული უფლებები (დამატებითი დებულებები) 118

დანართი #6 განცხადებები და გარანტიები 122

დანართი #7 სამმხრივი ხელშეკრულების ფორმა 126

დანართი #8 ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმა 134

დანართი #9 მიწის გადაცემის ხელშეკრულების ნიმუში 183

დანართი #10 აღნაგობის ხელშეკრულების ნიმუში 192

დანართი #11 ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულება 201

დანართი #12 შეთანხმებული აუდიტორები 220

დანართი #13 შესყიდვის მოთხოვნის ფორმა 221

დანართი #14 მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების ფორმა 223

დანართი #15 პროგნოზირება და დისპეტჩერიზაცია 228

დანართი #16 ენერგიის აღრიცხვა 231

დანართი #17 რეზერვუარის გაიდლაინები

წინამდებარე „ხელშეკრულება“, რომელიც ეხება წყალტუბოსა და ცაგერის რაიონებში (საქართველო) მდებარე ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის დეტალურ დიზაინს, დაფინანსებას, მშენებლობას, გამოცდას, ექსპლოატაციაში მიღებას, ფლობას, ოპერირებასა და მოვლას, დადებულია 2019 წლის 25 აპრილს შემდეგ მხარეებს შორის:

(1) საქართველოს მთავრობა, წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ („GOG” ან „მთავრობა“);

(2) სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ (საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრირებული კომპანია, საიდენტიფიკაციო კოდი: 404391975, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, კახეთის გზატკეცილი #21) („GEDF“ ან „ფონდი“);

(3) სს „ნამახვანი“ (საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრირებული კომპანია, საიდენტიფიკაციო კოდი: 406062503, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, კახეთის გზატკეცილი #21) („ნამახვანი“);

(4) სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრირებული კომპანია, საიდენტიფიკაციო კოდი: 205170036, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ბარათაშვილის ქ. #2) („ESCO“ ან „ესკო“) (ეს ტერმინი მოიცავს მის ნებისმიერ სამართალმემკვიდრესა და უფლებამონაცვლეს);

(5) სს „საქართველოს სახელწიფო ელექტროსისტემა“ (საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრირებული კომპანია, საიდენტიფიკაციო კოდი: 204995176, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ბარათაშვილის ქ. #2) („GSE“ ან „სსე“) (ეს ტერმინი მოიცავს მის ნებისმიერ სამართალმემკვიდრესა და უფლებამონაცვლეს); და

(6) შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯია“ (საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრირებული კომპანია, საიდენტიფიკაციო კოდი: 404507495, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, თავისუფლების მოედანი #4, GMT პლაზა, მე-2 სართული) („კომპანია“).

„მთავრობა“, „ესკო“, „სსე“ და „კომპანია“ შემდგომში ცალ-ცალკე მოიხსენება როგორ „მხარე“, ხოლო ერთობლივად - როგორც „მხარეები“.

პრეამბულა

ვიანიდან: 2015 წლის 24 დეკემბერს, „ფონდმა“, რომლის 100%-იან წილს ფლობს საქართველოს სახელმწიფო და იმართება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, გამოაცხადა ინტერესთა გამოხატვა („**ინტერესთა გამოხატვა**“) დაახლოებით 433 მგვტ.-იანი ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის დაფინანსების, მშენებლობის, გამოცდის, ექსპლოატაციაში მიღების, ფლობის, ოპერირებისა და მოვლის მიზნით, ექსკლუზიურ საფუძველზე;

ვინაიდან: 2016 წლის 2 თებერვალს, შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიამ“ წარადგინა „ინტერესთა გამოხატვა“ „პროექტის“ განხორციელებაზე და იმავე დღეს სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდისგან“ მიიღო სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაცია მიიღო ჯამში 26-მა კომპანიამ. სატენდერო დოკუმენტაცია შეიცავდა „ძირითად დიზაინს“ და „გზის ტექნიკურ-ეკონომიკურ შესწავლას“. მონაწილეებს მოეთხოვათ წარმოედგინათ „ძირითადი დიზაინის“ და „გზის ტექნიკურ-ეკონომიკურ შესწავლის“ შესაბამისად „პროექტის“ განხორციელებისათვის საჭირო ტარიფი;

ვინაიდან: 2016 წლის 7 ივლისს, შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიამ“ წარადგინა მბოჭავი შეთავაზება „პროექტის“ განხორციელებაზე („**კომპანიის შეთავაზება**“), მათ შორის, „პროექტის“ დეტალური დიზაინის, დაფინანსების, მშენებლობის, გამოცდის, ექსპლოატაციაში მიღების, ფლობის, ოპერირების და მოვლის განხორციელების ვალდებულებაზე. იმ ტარიფის გამოთვლის საფუძველი, რომელსაც „კომპანია“ ითხოვს „პროექტის“ განხორციელებისთვის, იყო „კომპანიის შეთავაზების“ მოთხოვნები და „Enka Insaat ve Sanayi AS“-ისგან მიღებული მბოჭავი შეთავაზება „ძირითადი დიზაინის“ საფუძველზე „პროექტის“ მშენებლობასთან დაკავშირებით.

ვინაიდან: „ფონდის“ შეფასების კომიტეტის 2017 წლის 17 იანვრის წერილის თანახმად, „კომპანია“ გამოცხადდა „პროექტის“ განხორციელების შესახებ „ინტერესთა გამოხატვის“ გამარჯვებულად;

ვინაიდან: „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის (#2273IIმ, მიღების თარიღი: 2018 წლის 04 მაისი) (შემდგომში - „**თანამშრომლობის შესახებ კანონი**“) 36-ე მუხლის შესაბამისად, „მთავრობამ“ მიიღო გადაწყვეტილება წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერის თარიღზე ან აღნიშნულ თარიღამდე და დაადგინა, რომ „პროექტის“ იდენტიფიცირების, ინიცირების, მომზადების, განხილვისა და მოწონების, ასევე „კომპანიის“, როგორც კერძო პარტნიორის შერჩევის ეტაპები დასრულდა „თანამშრომლობის შესახებ კანონის“ ძალაში შესვლის თარიღამდე და, რომ „მხარეებმა“ დაასრულეს მოლაპარაკებები და ამჟამად, იმყოფებიან საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე; და

ვინაიდან: „მხარეებმა“ აწარმოეს მოლაპარაკებები და მიზანშეწონილად მიიჩნიეს „პროექტის“ განხორციელება.

შესაბამისად, „მხარეები“ დებენ წინამდებარე მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების ხელშეკრულებას („**ხელშეკრულება**“) შემდეგი პირობებით:

1. განმარტებები და ინტერპრეტაცია

1.1. განმარტებები

ამ „ხელშეკრულებაში“ გამოყენების შემთხვევაში, პრეამბულის და დანართების ჩათვლით, ქვემოთ ჩამოთვლილი ტერმინები გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობით:

„წასყიდობის ხელშეკრულება“ ნიშნავს არსებითად მე-8 დანართის *(წასყიდობის ხელშეკრულების პროექტი)* ფორმით დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც უნდა დაიდოს ამ „ხელშეკრულების“ თარიღზე „კომპანიასა“ და „ნამახვანს“ შორის და რომლის საფუძველზეც „ნამახვანი“ თანახმაა გაყიდოს და „კომპანია თანახმაა იყიდოს „ნამახვანის“ აქტივები იმის გათვალისწინებით, რომ „ფონდი“ და “ნამახვანი“ აღარ იქნებიან ამ ხელშეკრულების მხარეები „წასყიდობის ძალაში შესვლის თარიღის“ შემდეგ.

„წასყიდობის ძალაში შესვლის თარიღი“ გამოიყენება 3.2.7(ა) მუხლით *(წასყიდობის ხელშეკრულება)* მინიჭებული მნიშვნელობით.

„წასყიდობის ფასი“ ნიშნავს „კომპანიის“ მიერ „წასყიდობის ხელშეკრულების“ საფუძველზე გადასახდელ თანხას, რომელიც არცერთ შემთხვევაში არ უნდა იყოს შვიდი მილიონ ექვსასი ათას (7,600,000) აშშ დოლარზე ნაკლები.

„დასრულების თარიღი“ თითოეულ „სადგურთან“ მიმართებით ნიშნავს თარიღს, როდესაც გაიცემა ან უნდა გაცემულიყო „ექსპლუატაციაში მიღების აქტი“ „საქართველოს კანონმდებლობით“ გათვალისწინებული წესით.

„საბოლოოდ დასრულების თარიღი“ ნიშნავს თარიღს, როდესაც ორივე „სადგურთან“ მიმართებით გაიცემა ან უნდა გაცემულიყო „ექსპლუატაციაში მიღების აქტი“ „საქართველოს კანონმდებლობით“ გათვალისწინებული წესით.

„მხარე გავლენის ქვეშ“ გამოიყენება 8.1.1 *(„ფორს მაჟორი“)* მუხლით მინიჭებული მნიშვნელობით.

„აფილირებული პირი“ ნებისმიერ „პირთან“ მიმართებით ნიშნავს ნებისმიერ სხვა „პირს“, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს, კონტროლდება ან საერთო კონტროლს ქვეშაა ამ „პირთან“ და ნებისმიერ შემთხვევაში, „ესკო“, „ენერგოტრანსი“, „ფონდი“, „სსე“ და „ნამახვანი“ ჩაითვლებიან მთავრობის „აფილირებულ პირებად“.

„კრიტიკული ჰაბიტატის შეთანხმებული შეფასება“ გამოიყენება 5.4.1 *(მთავრობის მიერ შემოწმება)* მუხლით გათვალისწინებული მნიშვნელობით;

„შეთანხმებული ექსპერტი“ გამოიყენება 5.3.4 მუხლით *(არა-PPA პერიოდის საოპერაციო გეგმა)* გათვალისწინებული მნიშვნელობით;

"არა-PPA პერიოდის შეთანხმებული საოპერაციო გეგმა" გამოიყენება 5.4.1 *(მთავრობის მიერ შემოწმება)* მუხლით გათვალისწინებული მნიშვნელობით;

„ხელშეკრულება" გამოიყენება მისთვის პრეამბულით მინიჭებული მნიშვნელობით.

„წარმოების წლიური პერიოდი" ნიშნავს ყოველ 12 თვიან პერიოდს, რომელიც იწყება და მოიცავს 1 იანვარს და მთავრდება და მოიცავს 31 დეკემბერს. პირველი „წარმოების წლიური პერიოდი" დაიწყება პირველი „სადგურის" „კომერციული ოპერირების თარიღიდან" და დასრულდება იმ კალენდარული წლის 31 დეკემბერს. ბოლო „წარმოების წლიური პერიოდი" დაიწყება იმ წლის 1 იანვრიდან, როდესაც გადის „ვადა" და დასრულდება „ვადის" ამოწურვისას.

„შეთანხმებული აუდიტორი" ნიშნავს:

(ა) „კომპანიის" მიერ მე-12 დანართში *(შეთანხმებული აუდიტორები)* მოცემული სიიდან შერჩეული აუდიტორს; ან

(ბ) თუ კომპანია არ შეარჩევს აუდიტორს მე-12 დანართში *(შეთანხმებული აუდიტორები)* მოცემული სიიდან, ის სხვა აუდიტორი, რომელზეც შეთანხმდებიან „კომპანია" და „მთავრობა".

„საორიენტაციო მაქსიმალური სიმძლავრე" აქვს მე-2 დანართში *(სიმძლავრე)* მინიჭებული მნიშვნელობა.

„მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება" ნიშნავს არსებითად მე-14 დანართის *(მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების პროექტი)* შესაბამისად დადებულ მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებას.

„ნებართვასთან დაკავშირებული შემთხვევა" ნიშნავს თითოეულ ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევას, რომელიც მოხდება ამ „ხელშეკრულების" დადების შემდეგ:

(ა) რომელიმე „პროექტის მონაწილისთვის" გაცემული „ნებართვა" შეწყდა, გამოხმობილ იქნა, შეიცვალა ან ჩანაცვლდა რომელიმე „საჯარო დაწესებულების" მიერ „საქართველოს კანონმდებლობით" გათვალისწინებული სათანადო დასაბუთების გარეშე, თუ არ არსებობდა ამის საჭიროება;

(ბ) „საქართველოს კანონმდებლობით" გათვალისწინებული სათანადო საჭიროების გარეშე, რომელიმე „საჯარო დაწესებულებამ" დააწესა რაიმე სახის არსებითი წინაპირობა ნებისმიერი „ნებართვის" გაცემასთან, შენარჩუნებასთან, განახლებასთან, ჩანაცვლებასა და შეცვლასთან დაკავშირებით; და/ან

(გ) რომელიმე „საჯარო დაწესებულება“ დაარღვევს „ნებართვის“ გაცემის, განახლებისთვის ან ცვლილებისთვის „საქართველოს კანონმდებლობით“ ან ამ „ხელშეკრულებით“ დადგენილ ვადებს საამისოდ საჭირო განაცხადის ჯეროვნად, სრულად და დროულად წარდგენის შემთხვევაში; და/ან

(დ) კომპეტენტური იურისდიქციის მქონე სასამართლოს მიერ (შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში) მე-5 დანართში (*„მიწასთან დაკავშირებული უფლებები (დამატებითი დებულებები)“*) მითითებული ნებისმიერი „საჭირო მიწის“ მიმართ სავალდებულო შესყიდვის, ემინენტ დომეინის ან ექსპროპრიაციის ბრძანების გაუცემლობა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, რაც გამომდინარეობს „კომპანიის“, „მთავრობის“ ან ნებისმიერი „საჯარო დაწესებულების“ (გარდა შესაბამისი იურისდიქციის სასამართლოსა) მიერ „საქართველოს კანონმდებლობის“ ან ამ „ხელშეკრულების“ საწინააღმდეგოდ მოქმედებისაგან.

„ნებართვა“ ნიშნავს ნებისმიერ თანხმობას, ნებართვას, ლიცენზიას, უფლებამოსილებას, მოწონებას, სერთიფიკატს ან რეგისტრაციას, რომლის მოპოვება ან განახლებაც საჭიროა „პროექტის“ დაწყებისა და განხორციელებისთვის „საქართველოს კანონმდებლობის“ შესაბამისად, ამ „ხელშეკრულებას“, სხვა „საპროექტო ხელშეკრულებებს“ და „კომპანიის“, ისევე როგორც სხვა „პროექტის მონაწილეების“ იქ გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს (ნებისმიერი „ექსპლუატაციაში მიღების აქტის“ და „ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების“ „სსე“-ს და „ესკოს“ მიერ რეგისტრაციის ჩათვლით), მათ შორის ყველა „აღნაგობის უფლებას“.

„საბაზისო თანხა“ ნიშნავს „დამფინანსებელი მხარეებისთვის“ „დაფინანსების დოკუმენტების“ საფუძველზე გადასახდელ თანხას სრულად, გადაუხდელი ძირი თანხის, დარიცხული საპროცენტო სარგებლის, ჰეჯირების შეწყვეტის მოსაკრებლის, ტრანზაქციის შეწყვეტის მოსაკრებლის, ნებისმიერი სხვა საკომისიოს, გადასახადის და ხარჯების ჩათვლით, რომლის მიღების უფლებაც აქვს „დამფინანსებელ მხარეს“

„ძირითადი დიზაინი“ ნიშნავს „ფონდის“ დაკვეთით იტალიური კომპანიის - Studio Pietrangeli Consulting Engineers - მიერ მომზადებულ დიზაინს, რომელიც დათარიღებულია 2015 წლის ივლისით.

„სატენდერო გარანტია“ ნიშნავს ერთი მილიონი აშშ დოლარის ($ 1,000,000) ოდენობის სატენდერო გარანტიას, რომელიც დათარიღებულია 2016 წლის 4 ივლისით და რომელიც „კომპანიამ“ წარუდგინა „მთავრობას“ „ინტერესთა გამოხატვის“ შესაბამისად.

„სამუშაო დღე“ ნიშნავს კვირის ყველა დღეს, გარდა შაბათისა, კვირისა და საქართველოს ეროვნული დღესასწაულებისა.

„სარგებლობის შეწყვეტისა და კომპენსაციის ხელშეკრულება“ ნიშნავს „კომპანიასა“ და მიწის მოსარგებლეებს შორის წინამდებარე „ხელშეკრულების“ 3.2.6 (დ) მუხლის (*„მიწასთან დაკავშირებული უფლებები“*) და დანართი #5-ის (*„მიწასთან დაკავშირებული უფლებები (დამატებითი დებულებები)“*) შესაბამისად გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც, მიწის მოსარგებლე თანხმობას აცხადებს „კომპანიისაგან“ კომენსაციის მიღების სანაცვლოდ შეწყვიტოს მიწის ნაკვეთით სარგებლობა.

„კანონმდებლობის ცვლილება“ ნიშნავს „საქართველოს კანონმდებლობის“ ნებისმიერი აქტის მიღებას, პრომულგაციას, ძალაში შესვლას, გაუქმებას ან ახლიდან ამოქმედებას (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ახლიდან ამოქმედება უბრალოდ არსებული რეგულაციების კოდიფიცირების ან გაერთიანების შედეგია), ცვლილებას, შეფარდების ან ინტერპრეტაციის ცვლილებას (საგადასახადო რეჟიმის, „ქსელის კოდექსის“ ან „ბაზრის წესების“ ჩათვლით), თითოეულ შემთხვევაში თუ ეს მოხდება ამ „ხელშეკრულების“ თარიღის შემდგომ, რასაც ექნება პირდაპირი ან ირიბი ეკონომიკური ან ფინანსური გავლენა „კომპანიაზე“ ან „პროექტთან“ დაკავშირებით მისი კონტრაქტორების ან ოპერატორების საქმიანობაზე. „კანონმდებლობის“ ცვლილება გამორიცხავს „სამშენებლო მოედნის“ გეოგრაფიული, გეოლოგიური, ჰიდროგრაფიული თავისებურებების გამო განხორციელებულ ცვლილებებს, რომელიც შეეხება მხოლოდ „კომპანიას“ ან მისი კონტრაქტორების/ოპერატორების „პროექტთან“ დაკავშირებულ საქმიანობას და არცერთ სხვა „კომპანიას“, კონტრაქტორებსა თუ ოპერატორებს, რომელთა საქმიანობაც შესაძლოა განიხილებოდეს „კომპანიის“ საქმიანობის ანალოგიურად.

„კომერციული ოპერირების თარიღი“ თითოეული „სადგურისთვის“ გამოიყენება ამ „სადგურის“ თაობაზე დადებული „ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„კომპანიის დეფოლტის შემთხვევა“ გამოიყენება 9.1.1 მუხლით (*„კომპანიის დეფოლტის შემთხვევა“*) გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„კომპანიის დეფოლტის გამო შეწყვეტის შედეგად გადასახდელი თანხა“ გამოიყენება 9.4.1 მუხლით *(შეწყვეტა „მთავრობის“ მიერ)* გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„კომპანიის საოპერაციო გეგმა არა-PPA პერიოდისთვის" გამოიყენება 5.3.1 მუხლით *(საოპერაციო გეგმა PPA პერიოდის შემდეგ)* გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„კომპანიის ანგარიში“ გამოიყენება 5.3.1 მუხლით *(საოპერაციო გეგმა PPA პერიოდის შემდეგ)* გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„კომპენსირებადი შემთხვევა“ გამოიყენება 8.2.1 მუხლით *(კომპენსირებადი შემთხვევა)* გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„კომპენსაციის შეტყობინება“ გამოიყენება 8.2.2 მუხლით *(კომპენსაციის შეტყობინება)* გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„მშენებლობის ხელშეკრულება“ ნიშნავს ნებისმიერ და ყველა სამშენებლო ხელშეკრულებას, რომელიც დაიდება „კომპანიას“ და ერთ ან რამდენიმე კონტრაქტორს შორის „სამშენებლო სამუშაოების“ შესრულების მიზნით და რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს „ინდუსტრიის კარგი პრაქტიკის სტანდარტებს“.

„მშენებლობის ძალაში შესვლის თარიღი“ ნიშნავს თარიღს, როდესაც „კომპანია“ წერილობითი ფორმით შეატყობინებს „მთავრობას“, რომ მიიღო: (ა) „შეცვლილი ნებართვები“ და (ბ) „საჭირო მიწა“.

„მშენებლობის ნებართვა“ ნიშნავს:

(ა) სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ, 2016 წლის 26 იანვრის N18-04 ბრძანებით ცაგერისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში, მდინარე რიონზე „სადგურების“ მშენებლობის შესახებ გაცემულ N395 მშენებლობის ნებართვას; და

(ბ) ქუთაისი-ალპანა-მამისონის საავტომობილო გზის ნამახვანი-ალპანას მონაკვეთის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ოპერირების შესახებ გაცემულ მშენებლობის ნებართვას (რა ფორმითაც და როდესაც მოხდება მისი გაცემა).

„მშენებლობის ეტაპი“ ნიშნავს თითოეულ „სადგურთან“ მიმართებაში პერიოდს, რომელიც იწყება შესაბამისი „მშენებლობის დაწყების თარიღიდან“ და მთავრდება (i) შესაბამისი „სადგურის“ „დასრულების თარიღის“ დადგომიდან 12 (თორმეტი) თვის გასვლის შემდეგ; ან (ii) წინამდებარე „ხელშეკრულების“ შეწყვეტის დღეს, რომელიც უფრო ადრე მოხდება.

„მშენებლობის დასრულების გარანტია“ გამოიყენება 7.2 მუხლით *(მშენებლობის დასრულების გარანტია)* გათვალისწინებული მნიშვნელობით და უზრუნველყოფს „კომპანიის“ მიერ „სამშენებლო ეტაპზე“ ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას.

„მშენებლობის დაწყების თარიღი“ ნიშნავს თითოეულ „სადგურთან“ მიმართებაში თარიღს, როდესაც „კომპანია“ პირველად გასცემს „მშენებლობის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ შეტყობინებას „სადგურის“ სამშენებლო სამუშაოების დაწყების თაობაზე, რაც უნდა მოხდეს არაუგვიანეს „მშენებლობის ძალაში შესვლის თარიღიდან“ 24 თვის ვადაში.

„სამშენებლო სამუშაოები“ ნიშნავს ნებისმიერ სამუშოს, რაც საჭიროა ან დამხმარეა „სადგურების“ და „გზების“ დიზაინის, ტესტირების, ექსპლუატაციაში გაშვებისთვის (ყველა საჭირო სამნებლო და ელექტრო-მექანიკური სამონტაჟო სამუშაოების ჩათვლით, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება ტურბინების, გენერატორების, ქვესადგურის მოწყობილობის, ტრანსფორმატორების და გამომრთველების მონტაჟს).

„სახელშეკრულებო გარანტია“ ერთობლივად ნიშნავს „წინასამშენებლო ფაზის გარანტიას“ და „მშენებლობის დასრულების გარანტიას“, რაც, თითოეულ შემთხვევაში, წარმოადგენს „მთავრობისთვის“ (გონივრულობის ფარგლებში) მისაღები ბანკის მიერ გაცემულ საბანკო გარანტიას, რომელიც ლიცენზირებულია საქართველოში ან „ეუთოს“ წევრ სახელმწიფოში და რომელიც უზრუნველყოფს „კომპანიის“ ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, მე-7 მუხლის *(სახელშეკრულებო უზრუნველყოფა)* ჩათვლით.

„კონტროლი“, იმის-და მიუხედავად გამოყენებულია როგორც ზმნა თუ როგორც არსებითი სახელი, ნიშნავს დირექტორთა საბჭოს (ან ნებისმიერი მსგავსი ორგანოს) უმრავლესობის არჩევის ან პირის მართვაზე, პოლიტიკაზე, გადაწყვეტილებებსა და ქმედებებზე გავლენის მოხდენის სხვაგვარ უფლებამოსილებას, ხდება ეს პირდაპირ თუ ირიბად, წილის ფლობით თუ სახელშეკრულებო მექანიზმით. აღნიშნული დეფინიციის შეზღუდვის გარეშე, „კონტროლი“ ნებისმიერ შემთხვევაში მოიცავს იურიდიული პირის კაპიტალში 50%-ზე მეტი წილის პირდაპირ ან ირიბ ფლობას.

„კრიტიკული ჰაბიტატის შეფასება“ გამოიყენება 5.3.1 მუხლით *(საოპერაციო გეგმა PPA პერიოდის შემდეგ)* გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„დეტალური დიზაინი“ ნიშნავს „პროექტის“ დეტალურ დიზაინს, რომელიც უნდა შემუშავდეს „კომპანიის“ მიერ და როგორც ეს მითითებულია „სადგურების“ „მშენებლობის ნებართვაში“

„დეველოპმენტის ხარჯები“ ნიშნავს ნებისმიერ და ყველა გონივრულ, დოკუმენტალურად დადასტურებულ ხარჯს (რაც მოიცავს, შეზღუდვის გარეშე, მგზავრობისა და შიდა ხარჯებს, კონსულტანტებისთვის განხორციელებულ გადახდებს და „ხელშეკრულების“ საფუძველზე საჭირო შესყიდვებს, „მიწასთან დაკავშირებული უფლებების“ ჩათვლით), რასაც გაიღებს „კომპანია“ და/ან „პარტნიორები“ ამ „ხელშეკრულების“ დადებასა და „პროექტთან“ დაკავშირებით.

„პირდაპირი ხელშეკრულება“ გამოიყენება 3.2.17 მუხლით *(პირდაპირი ხელშეკრულება)* გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„დისპეჩერიზაციის ინსტრუქციები“ ნიშნავს 4.3.2 (დ) მუხლის *(პროგნოზირება და გაცხადება)* და მე-15 დანართის *(პროგნოზირება და დისპეჩერიზაცია),* ისევე როგორც „საქართველოს კანონმდებლობის“ საფუძველზე „დისპეჩერის“ მიერ „კომპანიისთის გაცემულ ყველა სათანადო ინსტრუქციას (ან „ელექტროენერგიის საპროგნოზო წარმოების“ დადასტურებას) თითოეულ შესაბამის თარიღზე თითოეული „სადგურის“ ექსპლუატაციაში გაშვებისა და თითოეული „კომერციული ოპერირების თარიღის“ შემდეგ, რაც აცნობებს „კომპანიას“ კონკრეტულ დღეს „წარმოებული ელექტროენერგიის“ თაობაზე „დისპეჩერის“ მოთხოვნებს.

„დისპეჩერი“ ნიშნავს „სსე“-ს, დისპეჩერიზაციის ლიცენზიანტის ან „გადაცემის სისტემასთან“ დაკავშირებით დისპეჩერიზაციის მომსახურების გამწევის უფლებამოსილებით და მის ნებისმიერ სამართალმემკვიდრეს თუ უფლებამონაცვლეს.

„დავა“ გამოიყენება 12.1 მუხლში (*„მშვიდობიანი მოლაპარაკება“*) გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„EBRD“ ნიშნავს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს.

„შესრულების EBRD-ის მიერ დადგენილი მოთხოვნები“ ნიშნავს 2014 წლის მაისით დათარიღებული „შესრულების EBRD-ის მიერ დადგენილი მოთხოვნების“ 1-დან 8-მდე და მე-10 მოთხოვნას (ან, კონტექსტის შესაბამისად, ერთ-ერთ ამ მოთხოვნათაგანს), რაც უკავშირდება „EBRD”-ის 2014 წლის მაისის „გარემოს დაცვის და სოციალური პოლიტიკას“.

„ენერგეტიკული ბალანსი“ ნიშნავს საქართველოს წლიური ენერგეტიკული ბალანსის ნაწილს, რომელიც უკავშირდება წლიურ წარმოებას, ისევე როგორც წარმოებას „PPA პერიოდის“ მანძილზე და რომელიც დამტკიცებულია შესაბამისი „საჯარო დაწესებულების“ მიერ, „საქართველოს კანონმდებლობის“ შესაბამისად.

„წარმოებული ენერგია“ ნიშნავს „სადგურის“ მიერ წარმოებულ და „მიწოდების პუნქტში“ „დისპეჩერის“ მიერ მე-15 დანართის *(პროგნოზირება და დისპეჩერიზაცია)* შესაბამისად გაცემულ „დისპეჩერიზაციის ინსტრუქციის“ შესაბამისად მიწოდებულ ენერგიას, რომელიც აღირიცხება მე-16 დანართით *(ელექტროენერგიის აღრიცხვა)* გათვალისწინებული წესებით, მგვტ.სთ-ებში ან კვტ.სთ-ებში, კონტექსტის შესაბამისად.

„გარემოს დაცვის და სოციალური სტანდარტები“ ნიშნავს გარემოს დაცვასა და შენარჩუნებასთან დაკავშირებულ სტანდარტებს, „პროექტის“ სოციალურ გავლენას და აღნიშნულის მიტიგაციას, იმ დოზით, რა დოზითაც აღნიშნული ვალდებულება დაწესებულია „საქართველოს კანონმდებლობით“ და „დამფინანსებელი მხარეების“ მიერ, „შესრულების EBRD-ის მიერ დადგენილი მოთხოვნებითა“ და „შესრულების IFC-ის მიერ დადგენილი მოთხოვნებით“.

„გარემოსდაცვითი მახასიათებლები“ ნიშნავს ნებისმიერი უფლებამოსილი ორგანოს მიერ აღიარებულ არსებულ ან სამომავლო უფლებას, სარგებელს ან ინტერესს, რაც მთლიანად ან ნაწილობრივ უკავშირდება სათბური გაზების ან ნებისმიერი დამაბინძურებელი ნივთიერების შემცირებას ან თავიდან აცილებას, განახლებადი ან მწვანე ენერგიის წარმოებას ან აღნიშნულის ორთქლით ამუშავებას. ნებისმიერი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, „გარემოსდაცვითი მახასიათებლები“ მოიცავს უფლებას „კომპანიამ“ მოიპოვოს CER (გამოფრქვევის სერტიფიცირებული შემცირება) სერთიფიკატი ასოცირებული ბუნებრივი აირის პროექტზე, ნებისმიერი VER (გამოფრქვევის დადასტურებული შემცირება) და სხვა უფლება და ინტერესი CER-ზე, რაც შედეგად გენერირდება ან მას უკავშირდება.

„გარემოსდაცვითი ნებართვები“ ნიშნავს:

ა) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 25 დეკემბრის No-1014 ბრძანებით დამტკიცებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა „სს ნამახვანი-ს“ მდ. რიონზე ჰიდროელექტროსადგურის კასკადის (ტვიში ჰესი - 100 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ნამახვანი-ჟონეთი ჰესი - 333 მგვტ დადგმული სიმძლავრით) განთავსების“ თაობაზე.

ბ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 21 აპრილის No-209 ბრძანებით დამტკიცებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა „სს „ნამახვანი-ს“ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი (ჭომა)-ალპანა-მამისონის უღელტეხილი (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) გზის ნამოხვანი-ალპანას მონაკვეთის მშენებლობის, რეაბილიტაციის და ექსპლუატაციის“ თაობაზე.

„ეკვატორის პრინციპები“ ნიშნავს პრინციპებს, რომლებიც მოცემულია დოკუმენტში სახელწოდებით „ეკვატორის პრინციები III - ფინანსური ინდუსტრიის კრიტერიუმები პროექტებში გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების განსაზღვრის, შეფასებისა და მართვისათვის“, რომელიც თარიღდება 2013 წლის ივნისით და რომელიც შემუშავებული და მიღებულია ეკვატორის პრინციპების ფინანსური ინსტიტუტების (www. Equator-principles.com) მიერ, მასში დროდადრო შეტანილი ცვლილებებით და დამატებებით.

„კაპიტალი“ ნიშნავს „კომპანიის“ კაპიტალს (საწესდებო კაპიტალის და ნებაყოფლობით რეზერვის ჩათვლით), რაც მიეკუთვნება „პარტნიორებს“ ან მათთან „აფილირებულ პირებს“ „კომპანიაში“ ინვესტიციასთან დაკავშირებით.

„კაპიტალში ინვესტიცია“ ნიშნავს „კომპანიის“ კაპიტალის სრულ ოდენობას „გადაცემის თარიღის“ მდგომარეობით და ნებისმიერ „პარტნიორიების მიერ პროექტისთვის გაცემულ სესხს“.

„ენერგოტრანსი“ ნიშნავს შპს „ენერგოტრანსს“, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დაფუძნებული კომპანია, საიდ. კოდი: 204991786, რეგისტრირებული მის: ბარათაშვილის ქ. 2, თბილისი 0105, საქართველო და აღნიშნული ტერმინი მოიცავს მის უფლებამონაცვლეებს და სამართალმემკვიდრეებსაც;

„არსებული ინფრასტრუქტურა“ გამოიყენება 3.2.14 მუხლში (*„წვდომა ინფრასტურქტურასთან“*) გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„საექსპორტო გადამცემი ხაზები“ ნიშნავს ქვემოთ ჩამოთვლილი ხაზების იმ ნაწილებს:

(ა) 400 კვ. გადამცემი ხაზი ახალციხესა (საქართველო) და ბორჩხას (თურქეთი) შორის და ნებისმერი სხვა ხაზი, რომელიც აშენდება საქართველოსა და თურქეთს შორის, მათ შორის, 3.2.12(ბ)(i)(გ) (გადაცემის სისტემასთან დაკავშირებული შემთხვევა) პუნქტის თანახმად; და

(ბ) ნებისმიერი ტრანს-სასაზღვრო გადამცემი ხაზები საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს შორის, იმ ხაზების ჩათვლით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ამ „ხელშეკრულების“ თარიღის შემდეგ რომლებიც მდებარეობს საქართველოს ტერიტორიაზე.

ნებისმიერი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, „საექსპორტო გადამცემი ხაზები“ არის „გადაცემის სისტემის“ ნაწილი.

„ინტერესთა გამოხატვა“ გამოიყენება პრეამბულაში განსაზღვრული მნიშვნელობით.

„ექსპროპრიაციის შემთხვევა“ ნიშნავს ექსპროპრიაციის ნებისმიერ აქტს, „კომპანიის“, „კომპანიის“ აქტივების ან „პროექტის“ ნებისმიერი ნაწილის იძულებით გადაცემას ან დასაკუთრებას ან ნებისმიერი „საჯარო დაწესებულების“ ან საქართველოს სასამართლოს ნებისმიერ ქმედებას, რომელსაც ექვივალენტური ეფექტი აქვს და შეზღუდვის გარეშე, მოიცავს შემთხვევებს, როდესაც „საჯარო დაწესებულებამ“ ან სასამართლომ (i) დაიწყო ნებისმიერი წარმოება „პროექტის“, „კომპანიის“ აქტივების ან წილის მთლიანად ან მისი არსებითი ნაწილის ნაციონალიზაციის, დაყადაღების, სავალდებულო მიყიდვის, კონფისკაციის ან სხვაგვარად ჩამორთმევის მიზნით და ამგვარი პროცედურა არ შეწყდა ან განუხილველად არ დარჩა დაწყებიდან ოცდაათი (30) დღის ვადაში; (ii) მოიპოვა „პროექტის“, „კომპანიის“ ან მისი სხვა აქტივების ან წილის ფაქტობრივი მფლობელობა და კონტროლი; (iii) შეცვალა „კომპანიის“ მენეჯმენტი ან ხელი შეუშალა „კომპანიის“ მენეჯმენტს საქმიანობის ან ოპერაციების სრულად ან მათი მნიშვნელოვანი ნაწილის განხორციელებაში ან, თუ დაკისრებულ იქნა „გადასახადები“, ამოქმედდა კანონმდებლობა ან რეგულაციები (რაც მოიცავს ზონირების წესებში შესულ ცვლილებებს, რამაც შესაძლოა

შეუძლებელი გახადოს „პროექტის“ განხორციელება) ან განხორციელდა ნებისმიერი ქმედება, რაც უთანაბრდება „პროექტის“ მთლიანად ან მისი არსებითი ნაწილის გადაცემას ან მისაკუთრებას და ასევე მოიცავს იმ ქმედებებს, რომლებიც შესაძლოა ცალ-ცალკე არ წარმოადგენდეს „ექსპროპრიაციის შემთხვევას“, მაგრამ ერთობლიობაში ხასიათდება „ექსპროპრიაციის“ ანალოგიური ეფექტით.

„გაგრძელების შემთხვევა“ გამოიყენება 4.2.5 (*დასრულების დაგეგმილი თარიღისა და სხვა ეტაპების თარიღების გადავადება, გაგრძელების შემთხვევის დადგომის გამო*) მუხლით მინიჭებული მნიშვნელობით.

„სამართლიანი საბაზრო ღირებულება“ ნიშნავს „პირის“ ინტერესის, ინვესტიციის, ქონების, კომერციული სქემის, უფლებების და ვალდებულებისაგან გათავისუფლების ღირებულებას, რაც ითვალისწინებს „პირის“ ბიზნესს და ინვესტიციას, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად უკავშირდება ეს „პროექტს“ ან რამდენად ახდენს მასზე „პროექტი“ გავლენას და რაც განსაზღვრული უნდა იყოს იმ ვარაუდით, რომ კომპანია გადახდისუნარიანობის საფრთხის გარეშე იფუნქციონირებს შემდეგი 12 თვის მანძილზე (“going concern basis”). ამ მეთოდის შეფარდებისას გამოყენებული უნდა იქნას ნაღდი ფულის ნაკადის მეთოდი (ე.წ. „cash flow method“) „პირის“ კაპიტალის ხარჯის სახით გამოთვლილი დისკონტის მიყენებით (სადაც კაპიტალის თითოეული კატეგორია პროპორციულად შეწონილი და საბოლოოდ განსაზღვრული იქნება „შერჩეული აუდიტორის“ მიერ), მსურველი მყიდველის და მსურველი გამყიდველის ვარაუდით, რომლებიც მოქმედებენ არა მტრულ გარემოში და ყველა არახელსაყრელი ფაქტორის (ღირებულების შემცირების ჩათვლით) უგულებელყოფით, რაც წინ უძღვის ან უკავშირდება ამ „ხელშეკრულების“ შეწყვეტას. ნებისმიერი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ამ პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული „სამართლიანი საბაზრო ღირებულება“ არ უნდა იყოს შესაბამისი ინტერესის ან უფლების ყველაზე ბოლო საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები.

„გზის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა“ ნიშნავს Kocks Consult GmbH-s 2015 წლის ივლისით დათარიღებულ ანგარიშს ქუთაისი-ალპანა-მამისონის უღელტეხილის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) მეორადი გზის „ნამახვანი-ალპანა“ მონაკვეთისთვის.

„დაფინანსების მოპოვება“ ნიშნავს თარიღს, როდესაც „კომპანია“ დააკმაყოფილებს (ან მიიღებს შესაბამისი მოთხოვნების გაუქმების წერილებს) ყველა იმ წინაპირობას, რაც საჭიროა „დამფინანსებელი მხარეებისაგან“ სესხის მისაღებად, „დაფინანსების დოკუმენტებით“ გათვალისწინებული წესით.

„დაფინანსების დოკუმენტები“ ნიშნავს ნებისმიერ „სესხის ხელშეკრულებას“, თამასუქს, ობლიგაციას, გარანტიას, უზრუნველყოფას, რეგისტრაციას ან ანგარიშების გამჟღავნებას, სუბორდინაციის ხელშეკრულებას („პარტნიორის მიერ პროექტისთვის გაცემული სესხის“ ჩათვლით, რაზეც გავრცელდება 9.2 მუხლი *(ხელშეკრულების შეწყვეტა)*), სპონსორების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, იპოთეკას, ტრასტს, საკრედიტო ხელშეკრულებას, კუპონის ან ობლიგაციის ყიდვის შეთანხმებას, მონაწილეობის ხელშეკრულებას, ჰეჯირების შეთანხმებას და „კომპანიის“ და/ან „პარტნიორის“ და/ან მათთან „აფილირებული“ პირის მიერ დადებულ ნებისმიერ შეთანხმებას, რაც უკავშირდება „პროექტის“ დაფინანსებას, ნებისმიერი ამგვარი დაფინანსების ცვლილების, დამატების, გაგრძელების, განახლების, ჩანაცვლების და რეფინანსირების ჩათვლით.

„დამფინანსებელი მხარე“ ნიშნავს ნებისმიერ „პირს“ ან „პირებს“ (მათი აგენტების და წარმომადგენლების ჩათვლით), რომელიც „კომპანიას“ გამოუყოფს სესხს ან გადაარეფინანსირებს ან დააჰეჯირებს „დაფინანსების დოკუმენტებით“ გათვალისწინებული წესით „პროექტის“ დაფინანსების, განხორციელების, მშენებლობის და ოპერირების მიზნით.

„ფორს მაჟორის შემთხვევა“ გამოიყენება 8.1.1 მუხლით (*ფორს მაჟორი*) გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„ელექტროენერგიის საპროგნოზო წარმოება“ ნიშნავს ელექტროენერგიის წარმოების საპროგნოზო მაჩვენებლებს, რომელიც დაანგარიშდება და/ან გადაიხედება (შესაბამისი შემთხვევის გათვალისწინებით) „რეზერვუარის გაიდლაინების“ თანახმად და „კომპანიის“ მიერ მე-15 დანართის *(პროგნოზირება და დისპეჩერიზაცია)* მე-2 ნაწილის *(ელექტროენერგიის საპროგნოზო წარმოება)* თანახმად მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, რაც შესაძლოა „კომპანიამ“ შეცვალოს მე-15 დანართის *(პროგნოზირება და დისპეჩერიზაცია)* მე-2(გ)*(ელექტროენერგიის საპროგნოზო წარმოება)* პუნქტის თანახმად.

„PPA პერიოდისთვის მთავრობის საოპერაციო გეგმა“ გამოიყენება 5.8.1 მუხლით *(საოპერაციო გეგმა PPA პერიოდში)* გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„მთავრობის დეფოლტის შემთხვევა“ გამოიყენება 9.1.2 *(მთავრობის დეფოლტის შემთხვევა)* მუხლით მინიჭებული მნიშვნელობით.

„მთავრობის მიერ ინვოისიდან გამომდინარე უფლებების შესყიდვის დღე“ გამოიყენება 3.2.11 (ა) მუხლით (*შესაბამისი ინვოისების შესყიდვა და გადაცემა*) განსაზღვრული მნიშვნელობით.

„მთავრობის წარმომადგენელი“ ნიშნავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და/ან ნებისმიერ წარმომადგენელს, რომელიც „მთავრობამ“ შესაძლოა დანიშნოს ამ „ხელშეკრულების“ შესრულების მიზნით („სამშენებლო სამუშაოების“ დასრულების, ტესტირების და მიღება-ჩაბარების ჩათვლით), იმის გათვალისწინებით, რომ „მთავრობა“ სწრაფად შეატყობინებს „კომპანიას“ „მთავრობის წარმომადგენლის“ თითოეული დანიშვნის, უფლებამოსილების შეწყვეტის, ჩანაცვლების ან გამოცვლის შესახებ.

„ინდუსტრიის კარგი პრაქტიკა“ ნიშნავს „საქართველოს კანონმდებლობასთან“ შესაბამისობაში მყოფ პრაქტიკას, მეთოდებს, სტანდარტებს, პროცედურებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც ზოგადად გამოიყენება ჰიდროელეტროსადგურების მეშვეობით ელექტროენერგიის წარმოების სფეროში ჰიდროელექტრო სადგურის დიზაინთან, მშენებლობასთან, ოპერირებასა და მოვლასთან მიმართებით, რომელიც შესაძლოა იმავე პირობებში, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელი იყოს სათანადო უნარისა და გამოცდილების მქონე კონტრაქტორისგან, ინჟინერისა და ოპერატორისგან, შესაბამისი შემთხვევის გათვალისწინებით და აღნიშნული პრაქტიკა, მეთოდები, სტანდარტები და პროცედურები მოიცავს, შეზღუდვის გარეშე, ქართულ სტანდარტებს.

„მთავრობის დეფოლტის გამო შეწყვეტის შედეგად გადასახდელი თანხა“ გამოიყენება 9.4.2 მუხლით *(კომპანიის მიერ შეწყვეტა)* მინიჭებული მნიშვნელობით.

„ქსელის წესები“ ნიშნავს საქართველოს ენერგეტიკისა და წყლის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ 2014 წლის 17 აპრილს დამტკიცებულ ქსელის წესებს, მასში დროდადრო შესული ცვლილებების გათვალისწინებით.

„ქსელთან მიერთების ხელშეკრულება“ ნიშნავს ხელშეკრულებას „პროექტის“ საქართველოს მაღალი ძაბვის ქსელთან მიერთების თაობაზე რომელიც ხელმოწერილი იქნება „ქსელის წესებით“ გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პროცედურების დაცვით.

„ჰაბიტატზე ზემოქმედება“ გამოიყენება 5.3.1 მუხლით *(საოპერაციო გეგმა PPA პერიოდის შემდეგ)* გათვალისწინებული მნიშვნელობით.

ICC Rules გამოიყენება 12.3.1 მუხლით (არბიტრაჟი) განსაზღვრული მნიშნველობით.

„შესრულების IFC-ის მიერ დადგენილი სტანდარტები“ ნიშნავს „საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის“ მიერ 2012 წლის 1 იანვარს მიღებულ გარემოს დაცვის და სოციალურ სტანდარტებს, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა ინტერნეტის მეშვეობით 2012 წლის 23 ივლისს.

„დამოუკიდებელი ინჟინერი“ ნიშნავს „დამფინანსებელი მხარის“ მიერ ტექნიკური მხარდაჭერისთვის დანიშნულ ნებისმიერ „პირს“.

„თავდაპირველი მემორანდუმი“ ნიშნავს 2012 წლის 27 მარტს „მთავრობას“, „ესკოს“ და „ნამახვანს“ შორის დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომლის საფუძველზეც „პროექტის“ განხორციელების უფლება მიენიჭა „ნამახვანს“.

„ინვოისიდან გამომდინარე უფლებები“ ნებისმიერი „შესაბამისი ინვოისის“ კონტექსტში ნიშნავს „კომპანიის“ ნებისმიერ და ყველა სახელშეკრულებო თუ კანონისმიერ ფულად მოთხოვნას, რაც უკავშირდება „ესკოს“ და/ან „დისპეჩერის“ მიერ „შესაბამისი ინვოისის“ თანხის გადახდის ვალდებულებას.

„მიწასთან დაკავშირებული უფლებები“ ნიშნავს იმ ნებისმიერ ნაკვეთთან დანართში #1 (*მდებარეობა*) მითითებული მიწის ნაკვეთების ჩათვლით) დაკავშირებულ უფლებებს, რომელიც შესაძლოა განიხილებოდეს როგორც „საჭირო მიწა“ და მოიცავს „პროექტის“ დიზაინის, მშენებლობის, ნიადაგის მოხსნის და შენახვის, ბუნებრივი რესურსების მოპოვების, ნარგავების გადარგვის, მოსახლეობის გადასახლების და გადამცემი ხაზების მშენებლობის, „პროექტის“ ტესტირების, ექსპლუატაციაში გაშვების, ოპერირების, საკუთრების, მოვლისა და „პროექტის“ განხორციელებისათვის საჭირო საკუთრებას, „აღნაგობას“, გამოყენების უფლებას, „გავლის უფლებას“, იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი მიწის ნაკვეთები მდებარეობს რაჭა-ლეჩხუმის და იმერეთის რეგიონებში, მდინარე რიონის ხეობაში.

„მიწის გადაცემის ხელშეკრულება“ ნიშნავს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ და „კომპანიას“ შორის არსებითად მე-9 დანართის *(მიწის გადაცემის ხელშეკრულების ნიმუში)* ფორმით დადებულ ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც გარკვეული „მიწასთან დაკავშირებული უფლებები“ გადაეცემა „კომპანიას“, 3.2.6 მუხლის *(მიწასთან დაკავშირებული უფლებები)* შესაბამისად.

„საქართველოს კანონმდებლობა“ ნიშნავს საქართველოს მიერ რატიფიცირებულ ნებისმიერ საერთაშორისო ხელშეკრულებას, ნებისმიერი ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების ნორმატიულ აქტს ან ნებისმიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც გამოცემულია საქართველოს საჯარო მმართველობის ნებისმიერი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ, კომპეტენტური „სამთავრობო ერთეულის“ ან საქართველოს სასამართლოების მიერ კანონის ინტერპრეტაციის ჩათვლით, რაც შესაძლოა მოქმედებდეს ამ „ხელშეკრულების“ „ვადის“ მანძილზე.

„დაკავშირებული ხელშეკრულება“ გამოიყენება 12.4 მუხლით (*დავების გაერთიანება*) გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„პირგასამტეხლო“ გამოიყენება 4.4 მუხლით (*„პირგასამტეხლო პროექტის სხვადასხვა ეტაპზე“*) გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„სესხის ხელშეკრულებები“ ნიშნავს „კომპანიასა“ და „პროექტის“ დაფინანსებასთან დაკავშირებით გარკვეულ მხარეებთან დადებულ ნებისმიერ და ყველა სესხის ხელშეკრულებას.

„დანაკარგი“ ნიშნავს ნებისმიერ დანაკარგს, ზიანს, პასუხისმგებლობას, გადასახდელ თანხას, ვალდებულებას, სარჩელს, პრეტენციას, ხარჯს (დამატებითი კაპიტალის და საოპერაციო ხარჯების ჩათვლით) ან ჯარიმას და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დანახარჯს (გონივრული წარმომადგენლობითი ხარჯების ჩათვლით). ტერმინი ასევე მოიცავს ნებისმიერ მიუღებელ შემოსავალს, მიუღებელ მოგებას და ბიზნეს-შესაძლებლობის დაკარგვას რომელიმე „ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებების“ ან სხვა „ელექტროენერგიის მყიდველთან“ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

„ბაზრის წესები“ ნიშნავს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს N 77 ბრძანებით დამტკიცებულ ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებს, მასში დროდადრო შესული ცვლილებების გათვალისწინებით.

„ეტაპების თარიღები“ ნიშნავს მე-3 დანართით *(ეტაპების ცხრილი)* გათვალისწინებულ თარიღებს.

„მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები“ ნიშნავს მინიმალურ ტექნიკურ მოთხოვნებს თითოეულ „სადგურთან“ მიმართებით, როგორც ეს მითითბულია „დეტალურ დიზაინში“.

„მხარე ზეგავლენის გარეშე“ გამოიყენება 8.1.2 მუხლით (ფორს მაჟორი) გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„არა-PPA პერიოდი“ თითოეულ „სადგურთან“ მიმართებით ნიშნავს პერიოდს, რომელიც მოიცავს მაისს, ივნისს, ივლისს და აგვისტოს „კომერციული ოპერირების თარიღის“ შემდგომი პირველი 15 (თხუთმეტი) წლის მანძილზე, აღნიშნული პერიოდის შესაძლო გაგრძელების გათვალისწინებით, რაც უნდა მოხდეს წინამდებარე „ხელშეკრულების“ და/ან შესაბამისი „ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების“ პირობების დაცვით.

„პასუხისმგებლობის ზღვრული თანხა არა-PPA პერიოდისთვის“ ნიშნავს $ 3,800,000 (სამი მილიონ რვაასი ათასი აშშ დოლარს) თითოეულ „წარმოების წლიურ პერიოდზე“.

„პოლიტიკური ფორს მაჟორის შემთხვევა“ გამოიყენება 8.1.3 (ა) მუხლით (ფორს მაჟორი) გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„პოლიტიკური ფორს-მაჟორის შემთხვევის გამო შეწყვეტის შედეგად გადასახდელი თანხა“ გამოიყენება 9.4.3 მუხლით (*ბანგრძლივი პოლიტიკური ფორს-მაჟორის გამო შეწყვეტა*) გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„სახელმწიფოს საკუთრების გარეთ არსებული მიწა“ ნიშნავს იმ ნაკვეთებს საქართველოში და მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ უფლებას, ამგვარი უფლების წარმოშობის საფუძვლის მიუხედავად, რომელიც არ წარმოადგენს „სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწას“.

„სახელმწიფოს საკუთრების გარეთ არსებული გადაუცემადი მიწა“ ნიშნავს საქართველოში არსებულ იმ ნაკვეთებს, რომელიც არის „სახელმწიფოს საკუთრების გარეთ არსებული მიწა“ და აქვს სასოფლო-სამეურნეო სტატუსი.

„უკმაყოფილების შესახებ შეტყობინება“ გამოიყენება 12.2.2 მუხლით (*ტექნიკური ექსპერტის გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები*) გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულება“ ნებისმიერი „სადგურისთვის“ ნიშნავს არსებითად მე-11 დანართის *(ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულება)* ფორმით დადებულ ხელშეკრულებას ელექტროენერგიის ნასყიდობის და მიწოდების თაობაზე, რომელიც დაიდება „კომპანიას“, „ესკოს“ და „მთავრობას“ შორის და რომლის საფუძველზეც „კომპანია“ თანახმაა გაყიდოს და „ესკო“ თანახმაა იყიდოს შესაბამისი წლის „წარმოებული ენერგია“ „PPA პერიოდის“ მანძილზე და რომელიც მისაღებია „დამფინანსებელი მხარეებისთვის“.

„ოპერირების ფაზა“ ნებისმიერ „სადგურთან“ მიმართებით ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება „სადგურის“ „დასრულების თარიღიდან“ და გრძელდება „სადგურის“ სიცოცხლის მანძილზე ან, „ხელშეკრულების“ ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მთავრდება ამგვარი შეწყვეტის თარიღზე.

„პირი“ ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, კორპორაციას, ამხანაგობას, ასოციაციას, კომპანიას ან არარეგისტრირებულ ორგანიზაციას ან ერთობლივ საქმიანობას ან ნებისმიერ სხვა იურიდიული წარმონაქმნს.

„არა-პოლიტიკური ფორს მაჟორის შემთხვევა“ გამოიყენება 8.1.3 (ბ) მუხლით (*ფორს მაჟორი*) გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„არა-პოლიტიკური ფორს-მაჟორის შემთხვევის გამო შეწყვეტის შედეგად გადასახდელი თანხა“ გამოიყენება 9.4.4 მუხლით (*ხანგრძლივი არა-პოლიტიკური ფორს-მაჟორის გამო შეწყვეტა*) გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„სადგური“ ან „სადგურები“ ნიშნავს მე-2 დანართში *(სიმძლავრე)* მითითებული სავარაუდო სიმძლავრის „ზემო ნამახვანის“ და/ან „ქვემო ნამახვანის“ ჰიდროელექტროსადგურებს, კაშხლების, საგუბრის, გამტარი ან გადაცემის გვირაბების, რეზერვუარის და მდინარე რიონის ნებისმიერ სხვა ელემენტის და ატრიბუტის ჩათვლით, „სადგურთან“ დაკავშირებით აშენებულ ნებისმიერ სხვა გვირაბს და მდინარე რიონზე „კომპანიის“ მიერ აშენებულ ნებისმიერ ნაგებობას.

„მიწოდების პუნქტი“ ნიშნავს თითოეული „სადგურისთვის“ სალტეს, რომელიც შესაბამისი „სადგურის“ ქვესადგურს აკავშირებს „გადამცემ სისტემასთან“.

„PPA-ის შემდგომი პერიოდი“, ნებისმიერ „სადგურთან“ მიმართებით, ნიშნავს პერიოდს „ვადის“ განმავლობაში, რომელიც მოსდევს თითოეული „PPA პერიოდის“ და „არა-PPA პერიოდის“ გასვლას.

„ელექტროენერგიის მყიდველი“ ნიშნავს „ესკოს“, ნებისმიერ სხვა ქართველ მყიდველს ან „კომპანიისგან“ ელექტროენერგიის შემძენ ნებისმიერ პირს, კონტექსტის შესაბამისად.

„PPA პერიოდი“ ნებისმიერ „სადგურთან“ მიმართებით ნიშნავს პერიოდს, რომელიც მოიცავს სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის, იანვრის, თებერვლის, მარტის და აპრილის თვეებს ამ „სადგურის“ „კომერციული ოპერირების თარიღიდან“ შემდგომი თხუთმეტი (15) წლის მანძილზე.

„წინასამშენებლო ფაზა“ ნიშნავს თითოელუ „სადგურთან“ მიმართებით პერიოდს, რომელიც იწყება „მშენებლობის ძალაში შესვლის თარიღზე“ და მთავრდება „მშენებლობის დაწყების თარიღზე“, ან „ხელშეკრულების“ ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ამგვარი შეწყვეტის თარიღზე.

„წინასამშენებლო ეტაპზე შეწყვეტის შედეგად გადასახდელი თანხა“ გამოიყენება 9.4.5 მუხლით *(შეწყვეტა მშენებლობის ფაზამდე)* გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„წინასამშენებლო ფაზის დაწყების გარანტია“ ნიშნავს ერთი მილიონი აშშ დოლარის (USD 1,000,000) ოდენობის გარანტიას, რომელიც „კომპანიამ“ უნდა წარუდგინოს „მთავრობას“ ამ „ხელშეკრულების“ ხელმოწერიდან ოცდაათი (30) დღის ვადაში, „სატენდერო გარანტიის“ გაუქმებისთანავე და უნდა უზრუნველყოს „კომპანიის“ ვალდებულებების შესრულება „წინასამშენებლო ეტაპამდე“.

„წინასამშენებლო ფაზის გარანტია“ გამოიყენება 7.1 *(წინასამშენებლო ფაზის გარანტია)* მუხლით გათვალისწინებული მნიშვნელობით და უზრუნველყოფს „კომპანიის“ მიერ „წინასამშენებლო ფაზის“ პერიოდში ვალდებულებების ჯეროვან და დროულ შესრულებას.

„პროექტი“ ნიშნავს „სადგურების“ დეტალურ დიზაინს, დაფინანსებას, მშენებლობას, ტესტირებას, ექსპლუატაციაში გაშვებას, საკუთრებას, ოპერირებას და მოვლას და „გზების“ დეტალურ დიზაინს, დაფინანსებას, მშენებლობას და გადაცემას (ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული წესით).

„საპროექტო ხელშეკრულებები“ ნიშნავს ამ „ხელშეკრულებას“, „ნასყიდობის ხელშეკრულებას“, ნებისმიერ „მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებას“, „დაფინანსების დოკუმენტებს“, „ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებებს“ და „ესკოსთან“ ელექტროენერგიის ნასყიდობის თაობაზე დადებულ ნებისმიერ სხვა ხელშეკრულებას, „ქსელთან მიერთების ხელშეკრულებას“, „მშენებლობის ხელშეკრულებას“, „მიწის გადაცემის ხელშეკრულებებს“, „აღნაგობის ხელშეკრულებებს“, „მიწასთან დაკავშირებულ უფლებებთან“ მიმართებით დადებულ ნებისმიერ შეთანხმებას და ნებისმიერ სხვა ხელშეკრულებას, რომელსაც „კომპანია“ და „მთავრობა“ განსაზღვრავენ, როგორც „საპროექტო ხელშეკრულებას“.

„პროექტის მონაწილე“ ნიშნავს ნებისმიერ ქვემოთ ჩამოთვლილ „პირს“: „პარტნიორები“, „კომპანია“, მათთან „აფილირებული პირები“ („პარტნიორების“ ჩათვლით), ნებისმიერ კონტრაქტორს და „დამფინანსებელ მხარეებს“.

„საჯარო დაწესებულება“ ნიშნავს (i) „მთავრობას“ და ნებისმიერ სამინისტროს, დეპარტამენტს ან ქვედანაყოფს (ii) „საქართველოს“ სხვა ნებისმიერ სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, მარეგულირებელს ან სასამართლოს, კომისიას, სააგენტოსა ან უფლებამოსილ ორგანოს; (iii) საქართველოს ეროვნულ ბანკს (iv) „ეკოს“, „გადაცემის ლიცენზიანტს“, „დისპეჩერს“, „ფონდს“, „ენერგოტრანსს“, „საჯარო რეესტრს“, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს და სხვა შესაბამის საჯარო დაწესებულებას; (v) ნებისმიერ სხვა პირს ან სამინისტროს, რომელსაც საქართველოში აქვს საჯარო მმართველობის განხორციელების უფლებამოსილება (იმ ერთეულების ჩათვლით, რომლებიც ახორციელებენ მმართველობით საქმიანობას საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში); და (vi) ნებისმიერ „პირს“, რომელსაც აკონტროლებს „მთავრობა“.

„შესყიდვის მოთხოვნა“ ნიშნავს არსებითად მე-13 დანართის *(შესყიდვის მოთხოვნის ნიმუში)* ფორმით, ან „მთავრობასა“ და „კომპანიას“ შორის შეთანხმებული ნებისმიერი სხვა ფორმით, „კომპანიის“ მიერ გაგზავნილ მოთხოვნას, რომ „მთავრობამ“ შეიძინოს „ინვოისიდან გამომდინარე უფლებები“, რაც უკავშირდება ერთ ან რამდენიმე „შესაბამის ინვოისს“.

„საბაზისო ფასი“ „წარმოებულ ენერგიასთან“ მიმართებით ნიშნავს: (i) საქართველოში დღიური დაგეგმარების ბაზრის საშუალო ფასს (არსებობის შემთხვევაში); (ii) „ტარიფს“; (iii) „ესკოს“ მიერ საიტზე: http://esco.ge/en/electricity/balancing-electricity-price-of-the-deregulated-power-plants გამოქვეყნებულ საბალანსო ფასს; და (iv) (იმ შემთხვევაში, თუ „კომპანია“ შეძლებდა „წარმოებული ენერგიის“ თურქეთში ექსპორტს, გარდა იმ შემთხვევისა თუკი აღნიშნული შეუძლებელია „ელექტროენერგიის საპროგნოზო წარმოების“ დისპეტჩერიზაციის შეუძლებლობით ან „დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის სამუშაოების“ დადგენილ ვადაში შეუსრულებლობით), თურქეთში დღიური დაგეგმარების ბაზრის საშუალო ფასსს შორის ყველაზე მაღალს, თითოეულის შემთხვევაში გადაცემის ხარჯებისა და დანაკარგების გამოკლებით.

„ანგარიშის წარდგენის თარიღი“ გამოიყენება 5.3.1 მუხლით *(საოპერაციო გეგმა PPA პერიოდის შემდეგ)* გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„შესაბამისი ინვოისები“ ნიშნავს ნებისმიერ და ყველა ინვოისს, რომელსაც „კომპანია“ გამოწერს „ესკოს“ და/ან „დისპეჩერის“ სახელზე „ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების“ მე-7 მუხლის (*დაკისრებული თანხები, ხარჯები და გადახდები*) ან ამ „ხელშეკრულების“ 3.2.10 მუხლის *(შესყიდვის მოთხოვნა)* ან 4.3.2 მუხლის *(ელექტროენერგიის გაყიდვა და დისპეჩერიზაცია)* შესაბამისად, თითოეულ შემთხვევაში, თუ ასეთი ინვოისი ვადამოსულია და არ იქნა გადახდილი და მითითებული იქნა „შესყიდვის მოთხოვნაში. ტერმინი „შესაბამისი ინვოისი“ განიმარტება შესაბამისად.

„შესაბამისი საჯარო დაწესებულება“ ნიშნავს ნებისმიერ „გადაცემის ლიცენზიანტს“, „დისპეჩერს“, „ესკოს“ (რომელიც მოქმედებს, როგორც „ელექტროენერგიის შემძენი“ და საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის კომერციული ოპერატორი), „ფონდს“, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ და ნებისმიერ „საჯარო დაწესებულებას“, რომელიც არის „საპროექტო ხელშეკრულების“ მხარე, მათი სამართალმემკვიდრეების და უფლებამონაცვლეების ჩათვლით და ტერმინი „შესაბამისი საჯარო დაწესებულება“ განიმარტება შესაბამისად.

„გამოსწორების გეგმა“ ნიშნავს „კომპანიის დეფოლტის შემთხვევის“ შემდეგ 9.2.1(ბ) მუხლის *(გამოსწორების გეგმა)* შესაბამისად „კომპანიის“ მიერ „მთავრობის წარმომადგენლისთვის“ მიწოდებულ ანგარიშს, რომელიც, გონივრულობის ფარგლებში, უნდა შეიცავდეს იმის დეტალურ აღწერას (i) თუ რა ზომების მიღებას აპირებს „კომპანია“ „კომპანიის დეფოლტის შემთხვევის“ გამოსასწორებლად; და (ii) გონივრულობის ფარგლებში რა ვადაა საჭირო შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების და დასრულების მიზნით.

„საჭირო მიწა“ ნიშნავს „კომპანიის“ მიერ გონივრულობის ფარგლებში განსაზღვრულ მიწის ნაკვეთებს, რომლებიც შესაძლოა საჭირო გახდეს დიზაინის, მშენებლობის, ნიადაგის მოხსნისა და შენახვის, ბუნებრივი რესურსების მოპოვების (ქვიშა-ღორღის ჩათვლით), წარგავების გადარგვის, მოსახლეობის გადასახლების და გადამცემი ხაზების მშენებლობის, „სადგურების“ ტესტირების, მშენებლობის, ექსპლუატაციაში გაშვების, ოპერირების, საკუთრების, მოვლის და „პროექტის“ განხორციელებისათვის, რაც მოიცავს როგორც „სამშენებლო მოედნის“ შიგნით, ასევე მის გარე ტერიტორიას, რომელზეც მუდმივი ან დროებითი გავლენა ექნება „პროექტს“, იმ მიწის ნაკვეთების ჩათვლით, რომელიც ამჟამად უკავია სამომავლოდ გადასასახლებელ მოსახლეობას და მიწები, რომლებიც უნდა გადაეცეს იმ პირებს, რომლებიც მოითხოვენ ნატურით კომპენსაციას და „პროექტთან“ დაკავშირებით მდინარე რიონის დასატბორად საჭირო მიწის ნაკვეთებს, ისევე როგორც „გზებისთვის“ ან გზების გადასაადგილებლად, გადამცემი ხაზების მშენებლობისთვის საჭირო მიწის ნაკვეთებს, რომელზე საკუთრების ან „აღნაგობის უფლება“, „საქართველოს კანონმდებლობით“ განსაზღვრულ ჩარჩოებში „მთავრობამ“ უნდა გადასცეს „კომპანიას“ 3.2.6 მუხლის *(მიწასთან დაკავშირებული უფლებები)* შესაბამისად.

„წყალსაცავის გაიდლაინები“ ნიშნავს დანართ #17-ში (*რეზერვუარის გაიდლაინები*) მითითებულ გაიდლაინებს გაიდლაინებს „წყალსაცავებთან“ დაკავშირებით, რომელიც, სხვასთან ერთად, განსაზღვრავს წყალსაცავის ტექნიკურ მონაცემებს, რეზერვუარის შევსებისა და დაცლის წესს მოდინების გათვალისწინებთ, წყლის დონისა და სიმძლავრის ურთიერთმიმართებას, წყლის დონისა და მოცულობის ურთიერთმიმართებას და ელექტროსადგურის ეფექტურობის შესაბამისად, წყლის დონისა და მოცულობის მიხედვით ხელმისაწვდომი გამომუშავების მონაცემებს, რომლებიც შესაძლოა დროდადრო შეიცვალოს 4.3.4 (ა) მუხლის შესაბამისად (*რეზერვუარის გაიდლაინები*).

„წყალსაცავი“ ნიშნავს ზემო ნამახვანის (ტვიშის) რეზერვუარს და ქვედა ნამახვანის რეზერვუარს.

„შეცვლილი ნებართვები“ ნიშნავს „კომპანიისათვის“ შეცვლილი ან ახალი „მშენებლობის ნებართვის“ და „გარემოსდაცვითი ნებართვის“ მიცემას, „დეტალური დიზაინის“ განსახორციელებლად საჭირო ცვლილებების გათვალისწინებით.

„გავლის უფლება“ ნიშნავს ამ „ხელშეკრულების“ განხორციელების მიზნით, „სამშენებლო მოედნის“ ან თითოეული „სადგურის“ ან მისი თითოეული ნაწილის ტერიტორიაზე გავლის, წვდომის, შევლის ან გამოსვლის უფლებას, მესამე პირთა მხრიდან გაუმართლებელი ხელშეშლის გარეშე.

„აღწაგობა“ ნიშნავს „საქართველოს კანონმდებლობით“ გათვალისწინებულ აღწაგობის უფლებას, ე.ი. მიწის ნაკვეთის მართვისა და გამოყენების უფლებას, რომელიც „საქართველოს კანონმდებლობის“ თანახმად, წარმოადგენს საკუთრებასთან გათანაბრებულ უფლებას, როგორც ეს მითითებულია დანართი 10-ში (*„აღნაგობის ხელშეკრულების ნიმუში“*).

„აღწაგობის ხელშეკრულება“ ნიშნავს „მთავრობასა“ და „კომპანიას“ შორის დანართი #10-ის (*აღნაგობის ხელშეკრულების ნიმუში*) შესაბამისად გაფორმებულ ხელშეკრულებას.

„გზები“ ნიშნავს „სამშენებლო მოედნის“ ფარგლებში ან მის მიმდებარედ არსებულ ყველა გზას, რომელსაც „საჯარო დაწესებულების“ მიერ დამტკიცებული „გზის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის“ საფუძველზე მომზადებული „გზების“ ოპტიმიზებული დიზაინის თანახმად, „პროექტის“ განხორციელების მიზნით დასჭირდება გადაადგილება (რაც შესაძლოა მოიცავდეს განახლებული მარშუტების შემუშავებას) და ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, „დაკავშირებული გზები“ ნიშნავს ქვემო ნამახვანის ჰიდროელექტრო სადგურისთვის, გზის მონაკვეთს, რომელიც იწყება ჩრდილოეთით 4698980.713°-ზე და აღმოსავლეთით 310945.396°-ზე და მთავრდება ჩრდილოეთით 4708623.734°-ზე და აღმოსავლეთით 319149.523°, ხოლო ზემო ნამახვანის ჰიდროელექტრო სადგურისთვის გზის მონაკვეთს, რომელიც იწყება ჩრდილოეთით 4708623.734°-ზე და აღმოსავლეთით 319149.523°-ზე და მთავრდება ჩრდილოეთით 4713833.775°-ზე და აღმოსავლეთით 320385.756°, თითოელ შემთხვევაში ცენტრის კოორდინატებით UTM 6°, WGS84, DOM 38.

„გზების დეპარტამენტი“ ნიშნავს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სისტემაში შემავალ საქართველოს გზების დეპარტამენტს, ისევე როგორც მის უფლებამონაცვლეს.

„დასრულების დაგეგმილი თარიღი“ თითოეულ „სადგურთან“ მიმართებაში, ნიშნავს დანართი 3-ში (*„ეტაპების ცხრილი“*) მითითებულ „სამშენებლო სამუშაოების“ დასრულების დაგეგმილ თარიღს.

„საბოლოოდ დასრულების დაგეგმილი თარიღი“ ნიშნავს ბოლო „სადგურის“ „დასრულების დაგეგმილ თარიღს“.

„გადამცემი ხაზის სამუშაოების დასრულების დაგეგმილი თარიღი“ გამოიყენება 3.2.12 *(დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის სამუშაოები და გადაცემის სისტემა)* მუხლით გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„პარტნიორი“ ნიშნავს ნებისმიერ „პირს“, რომელიც პირდაპირ ფლობს წილს ან გააჩნია წილობრივი დაინტერესება „კომპანიაში“.

„პარტნიორის მიერ პროექტისთვის გაცემული სესხი“ ნიშნავს „პარტნიორის“, როგორც „კომპანიის“ პარტნიორის და არა „დამფინანსებელი მხარის“ მიერ „პროექტის“ მიზნებისთვის „კომპანიისთვის“ მიცემულ სესხს.

„სამშენებლო მოედანი“ ნიშნავს მიწას, რომელზეც აშენდება ან განთავსდება „პროექტი“ ან სხვაგვარად გამოყენებული იქნება „პროექტის“ მიზნებისთვის და რომელიც, მხოლოდ საილუსტრაციოდ, წარმოდგენილია დანართი 1-ის სახით თანდართულ რუკაზე (*„მდებარეობა“*)

„სახელმწიფო“ ნიშნავს საქართველოს სუვერენულ სახელმწიფოს.

„სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწა“ ნიშნავს ყველა იმ მიწას, რომელიც არ იმყოფება კერძო საკუთრებაში, მათ შორის იმ მიწებს, რომლებიც იმყოფება ისეთი ინსტიტუტების საკუთრებაში, როგორიცაა „სახელმწიფო“, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, სატყეო სააგენტო ან ნებისმიერ „საჯარო დაწესებულებას“.

„ექსპლუატაციაში მიღების აქტი“ ნიშნავს ამ სახელწოდების მქონე აქტს, რომელსაც „საქართველოს კანონმდებლობის“ შესაბამისად გასცემს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო და რომლითაც დასტურდება „სადგურის“, „გზების“ და/ან „პროექტის“ „სამშენებლო სამუშაოების“ დასრულება და ოპერირებისთვის მზადყოფნა.

„ტარიფი“ ნიშნავს „ესკოს“ მიერ, „წარმოებული ენერგიისთვის“, „წარმოების წლიურ პერიოდში“ (ან მის რომელიმე მონაკვეთში) გადასახდელ ტარიფს, რომელიც იქნება ყოველ 1 კვტ-ზე 0,062 აშშ დოლარი, რომელიც ინდექსირებული იქნება შესაბამისი „სადგურის“ „ფაქტობრივად დასრულების თარიღიდან“ (თითოეულ შემთხვევაში, გამოაკლდება „გაგრძელების შემთხვევით“ გამოწვეული დაყოვნების დღეების რაოდენობა) და გაიზრდება ყოველწლიური 3%-ით „PPA პერიოდის“ დასრულებამდე.

„გადასახადები“ ნიშნავს ნებისმიერ არსებულ ან სამომავლო გადასახადს, დასაკავებელ თანხებს, მოსაკრებლებს და სხვა ნებისმიერი ტიპის ხარჯებს, რომლებიც დაწესებულია „საჯარო დაწესებულების“ მიერ.

„საგადასახადო gross-up თანხა“ ნიშნავს თანხას, რომელიც, იმ შემთხვევაში თუკი „კომპანია“ ან ნებისმიერი „დამფინანსებელი მხარე“ ვალდებულია მის მიერ გადახდილ ნებისმიერ თანხასთან მიმართებით გადაიხადოს „გადასახადები“, (შესაბამისი „გადასახადების გადახდის“ შემდეგ) უდრის იმ თანხას, რომელიც გადასახდელი იქნებოდა გადასახადების გადახდის ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში.

„ტექნიკური ექსპერტი“ გამოიყენება 12.1 მუხლში (*„მშვიდობიანი მოლაპარაკება“*) მითითებული მნიშვნელობით.

„არა-PPA პერიოდისთვის დროებითი საოპერაციო გეგმა“ გამოიყენება 5.5.2 მუხლით *(ტექნიკური ექსპერტის გადაწყვეტილება)* გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„ვადა“ ნიშნავს წინამდებარე „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადას, რომელიც იწყება წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერის თარიღზე და მოქმედებს ბოლო „სადგურის“ „ოპერირების ფაზის“ დასრულებამდე, ხოლო წინამდებარე „ხელშეკრულების“ ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, „შეწყვეტის თარიღამდე“.

„შეწყვეტის შედეგად გადასახდელი თანხა“ ნიშნავს „კომპანიის დეფოლტის გამო შეწყვეტის შედეგად გადასახდელი თანხას“, „მთავრობის დეფოლტის გამო შეწყვეტის შედეგად გადასახდელი თანხას“, „არაპოლიტიკური ფორს-მაჟორის გამო შეწყვეტის შედეგად გადასახდელ თანხას“, „პოლიტიკური ფორს-მაჟორის გამო შეწყვეტის შედეგად გადასახდელ თანხას“ ან „წინასამშენებლო ეტაპზე შეწყვეტის გამო გადასახდელ თანხას“.

„შეწყვეტის თარიღი“ ნიშნავს წინამდებარე „ხელშეკრულების“ რეალურად შეწყვეტის თარიღს, რომელიც მითითებული იქნება „შეწყვეტის შეტყობინებაში“.

„შეწყვეტის ინვოისი“ გამოიყენება 9.4.6 (ა) მუხლში (*„გამოსყიდვის თანხების გადახდა“*) მითითებული მნიშვნელობით.

„შეწყვეტის შეტყობინება“ ნიშნავს „მთავრობის“ ან „კომპანიის“ მიერ გაგზავნილ შეტყობინებას წინამდებარე „ხელშეკრულების“ შეწყვეტის თაობაზე თუკი სახეზეა (i) „კომპანიის დეფოლტის შემთხვევა“ ან „მთავრობის დეფოლტის შემთხვევა“, რომელიც არ არის გამოსწორებული ამ „ხელშეკრულებით“ დადგენილ ვადაში ან (ii) ამ „ხელშეკრულებით“ პირდაპირ გათვალისწინებული შეწყვეტის ნებისმიერი სხვა შემთხვევა, რომელიც განსაზღვრავს „ხელშეკრულების“ შეწყვეტის მიზეზსა და რეალურად შეწყვეტის თარიღს, რომელიც არ უნდა იყოს მსგავსი შეტყობინების წარდგენიდან ოცდაათი (30) დღეზე ნაკლები.

„გადაცემის თარიღი“ გამოიყენება 9.4.7 (ა) მუხლში (*„საქართველოს მთავრობისათვის გადაცემადი აქტივების გადაცემა შეწყვეტის შემდეგ“*) მოცემული მნიშვნელობით.

„გადაცემადი აქტივები“ ნიშნავს (i) ფიზიკურ აქტივებს, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან თითოეულ „სადგურს“; (ii) ნებისმიერ „სადგურთან“ დაკავშირებულ „გზებს“, იმდენად რამდენადაც ისინი არ არის გადაცემული „მთავრობისთვის“ 4.2.13 მუხლის (*გზების გადაცემის წესი*) შესაბამისად; (iii) ნებისმიერ უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ უფლებას, რომელიც საჭიროა ნებისმიერი „სადგურის“ საკუთრების, მშენებლობისა და ოპერირებისთვის ან „გზების“ მშენებლობისათვის და იმდენად, რამდენადაც აღნიშნული უფლებები ექვემდებარება „კომპანიის“ მიერ ცალმხრივად გადაცემას „საქართველოს კანონმდებლობის“ შესაბამისად; (iv) ნებისმიერ თავისუფლად გადაცემად „ნებართვას“, ლიცენზიას და ნებართვებს, რომლებიც საჭიროა „სადგურების“ საკუთრების, მშენებლობისა და ოპერირებისთვის ან „გზების“ მშენებლობისთვის და ისეთი დამატებით „ნებართვას“, ლიცენზიებს და ნებართვებს, რომელთა გადაცემის უფლებასაც „კომპანია“ მოიპოვებს კომერციულად გონივრული მცდელობების შედეგად, იმ თარიღამდე ან თარიღზე, როდესაც „გადასაცემი აქტივების“ გადაცემა უნდა განხორციელდეს; და (v) „პროექტის“ მშენებლობასთან, ოპერირებასთან და მოვლა-პატრონობასთან, „პროექტის“ ფარგლებში გამომუშავებული ელექტროენერგიის გადაცემასთან ან გაყიდვასთან დაკავშირებით გაფორმებულ, ნებისმიერ თავისუფლად გადაცემად ხელშეკრულებას, იმ პირობით, რომ „კომპანია“ (კომერციულად გონივრული ძალისხმევის შედეგად) მოიპოვებს „კომპანიისთვის“ დამაკმაყოფილებელ დოკუმენტს მსგავსი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე არსებული, მიმდინარე და სამომავლო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ.

„სახელმწიფოს საკუთრების გარეთ არსებული გადაცემადი მიწა“ ნიშნავს საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე „სახელმწიფოს საკუთრების გარეთ არსებულ მიწას“, რომელსაც აქვს არასასოფლო-სამეურნეო მიწის სტატუსი.

„დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის სამუშაოები“ გამოიყენება 3.2.12 მუხლში (*„დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის სამუშაოები და გადაცემის სისტემა“*) მოცემული მნიშვნელობით.

„გადაცემის ლიცენზიანტი“ ნიშნავს „სსე“-ს და „საქართველოში“ ან „საქართველოს“ ტერიტორიაზე გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის მომსახურების დროდადრო განმახორციელებელ პირებს, მათ მემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებს.

„დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის პირგასამტეხლოს განაკვეთი“ ნიშნავს:

(ა) შესაბამის „PPA პერიოდში“ „დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის სამუშაოების“ ვადაგადაცილების ყოველ დღეზე „ტარიფს“ გამრავლებული კონკრეტულ თვეში გამომუშავების მოსალოდნელ რაოდენობაზე (რომელიც დაანგარიშდება დღიურად), როგორც ეს განსაზღვრულია „დეტალური დიზაინის“ P50 სცენარში; და

(ბ) „PPA პერიოდის“ შემდგომ, „დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის სამუშაოების“ ვადაგადაცილების ყოველ დღეზე, გასაჯაროებულ საბაზრო ღირებულებას გამოკლებული დისპეტჩერიზაციისა და გადაცემის ტარიფი, გამრავლებული კონკრეტულ დღეს გამომუშავების მოსალოდნელ რაოდენობაზე, როგორც აღნიშნული გამომუშავების მოსალოდნელი რაოდენობა განსაზღვრულია „დეტალურ დიზაინში“ „საშუალო ენერგიის“ სახით.

„**გადამცემი ხაზები**“ ნიშნავს ყველა გადამცემ ხაზს, ქვესადგურს და მიერთების მოწყობილობას, რომლებიც საჭიროა თითოეული „სადგურის“ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის „მიწოდების პუნქტში“ გადაცემისა და დისპეტჩერიზაციისთვის.

„**გადაცემის სისტემა**“ ნიშნავს ელექტრო გადამცემ ხაზებს, ქვესადგურებს და „მიწოდების პუნქტში“ არსებულ მიერთების მოწყობილობებს (რომელიც „მიწოდების პუნქტში“ არ ეკუთვნის „კომპანიას“) და „საქართველოს“ ტერიტორიაზე არსებულ სხვა ელექტრო-გადამცემ და მიერთების მოწყობილობებს, რომლებიც იმყოფება „გადაცემის ლიცენზიანტის“ ან გადაცემის ლიცენზიის მფლობელი სხვა პირის საკუთრებაში და/ან მართვაში და რომელიც, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, მოიცავს „საექსპორტო გადამცემ ხაზებს“ და სხვა გადამცემ ხაზებს, რომლებიც უნდა მოეწყოს საქართველოს ტერიტორიაზე, წინამდებარე „ხელშეკრულების“ შესაბამისად.

„**გადაცემის სისტემასთან დაკავშირებული შემთხვევა**“ ნიშნავს, „პროექტის“ არსებობის მანძილზე, „გადამცემი ხაზის“ ან „გადამცემი სისტემის“ ნებისმიერ სრულ თუ ნაწილობრივ შეზღუდვას ან გაუმართაობას, ან აღნიშნული სისტემის ნებისმიერ ცვლილებას, რომელიც საჭიროებს „პროექტის“ ან მისი ოპერირების მეთოდის ცვლილებას, ნებისმიერ მსგავს შემთხვევაში, ყველა იმ მიზეზით, რაც არ უკავშირდება „კომპანიის“ მიერ წინამდებარე „ხელშეკრულების“, „ელექტრონერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების“ ან „ქსელთან მიერთების ხელშეკრულების“ დარღვევას.

„**სამმხრივი ხელშეკრულება**“ ნიშნავს ხელშეკრულებას, დანართი 7-ში (*„სამმხრივი ხელშეკრულების ფორმა“*) წარმოდგენილი ფორმით.

„**მოუგვარებელი ცვლილება კანონმდებლობაში**“ გამოიყენება 8.2.5 (ბ) მუხლში (*„ცვლილება კანონმდებლობაში“*) მითითებული მნიშვნელობით..

„**აშშ დოლარი**“ ნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების კანონიერ ვალუტას, დენომინირებულს დოლარში.

„**დღგ**“ ნიშნავს დამატებითი ღირებულების გადასახადს.

„წყლით სარგებლობის უფლება“ გამოიყენება 3.2.13 მუხლში (*„მდინარის აუზის დაცვა“*) მითითებული მნიშვნელობით.

„განზრახი დარღვევა“ ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც ხორციელდება მოსალოდნელი საზიანო შედეგების განზრახი უგულებელყოფით.

1.2 ინტერპრეტაცია

თუ „ხელშეკრულების“ კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს:

1.2.1 ნებისმიერი სქესის აღმნიშვნელი სიტყვები მოიცავს თითოეულ სქესს;

1.2.2. მხოლობითსა ან მრავლობითში გამოყენებული სიტყვები ასევე მოიცავს, შესაბამისი თანმიმდევრობით, მრავლობით და მხოლობით რიცხვს;

1.2.3 ტერმინები „აქ“, „ამის“ ან „ამით“ ეხება ამ „ხელშეკრულებას“ მთლიანად და არა მის კონკრეტულად რომელიმე მუხლს, დანართს ან ცხრილს ან „ხელშეკრულების“ რომელიმე კონკრეტულ ნაწილს;

1.2.4 „ხელშეკრულების“ პრეამბულა, დანართები და ცხრილები წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და ნებისმიერი მითითება დანართებსა და ცხრილებზე განიმარტება როგორც მითითება ამ „ხელშეკრულების“ დანართებსა და ცხრილებზე;

1.2.5 მითითება ნებისმიერი აქტის ძალაში შესვლაზე ასევე გულისხმობს ამ აქტის, ისევე როგორც მისით გათვალისწინებული რომელიმე წესის ცვლილებას ან ახლიდან ამოქმედებას; მითითება „კანონზე“ ნიშნავს მითითებას ამ „კანონზე“ მასში დროდადრო შესული ცვლილებების ან მოდიფიკაციების გათვალისწინებით. აღნიშნული დანაწესი არ უნდა იქნას განმარტებული „კანონმდებლობის ცვლილებასთან“ დაკავშირებით სახელშეკრულებო რეგულაციების საწინააღმდეგოდ;

1.2.6 ივარაუდება, რომ სიტყვებს „ჩათვლით“ ან „მათ შორის“ მოყვება „შეზღუდვის გარეშე“ ან „არა მხოლოდ“, იმის მიუხედავად, მითითებულია თუ არა ამგვარი ფრაზა;

1.2.7 მითითება „ამ ხელშეკრულებაზე“ ან ნებისმიერ სხვა შეთანხმებასა და დოკუმენტზე უნდა განიმარტოს ამ დოკუმენტსა და შეთანხმებაზე მითითებად, მათში შესული ცვლილებების და დამატების გათვალისწინებით და ასევე მოიცავს მითითებას ნებისმიერ დოკუმენტზე, რომელიც ცვლის, მოდიფიკაციას ახდენს ან ავსებს მას და რომელიც დადებულია თავდაპირველ შეთანხმებასა თუ დოკუმენტში გათვალისწინებული წესების შესაბამისად;

1.2.8 სადაც ეს ხელშეკრულება უთითებს „დღეების“ რაოდენობაზე, იგულისხმება კალენდარული დღეები, თუ მითითება კონკრეტულად „სამუშაო დღეებზე“ არ არის გაკეთებული;

1.2.9 ნებისმიერი მითითება „თვესა“ და „წელზე“ უნდა განიმარტოს კალენდარულ თვესა და წელზე მითითებად;

1.2.10 ამ „ხელშეკრულების“ 1.1 მუხლში *(განმარტებები)* ტერმინის სახით მითითებულ სიტყვას, ფრაზას ან აბრევიატურასა და წინამდებარე „ხელშეკრულების“ დანარჩენ ტექსტში, დანართსა თუ ცხრილში მითითებულ ტერმინს, ფრაზას ან აბრევიატურას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, 1.1 *(განმარტებები)* მუხლით განსაზღვრული მნიშვნელობა იქნება უპირატესი, თუ „ხელშეკრულების“ კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს;

1.2.11 წინამდებარე „ხელშეკრულების“ ძირითად ტექსტსა და მის დანართებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, პირველ რიგში, „მხარეები“ შეეცდებიან კონფლიქტის მოგვარებას „ხელშეკრულების“ მთლიანობაში აღქმის გზით და უპირატესი იქნება ის პუნქტი, რომელიც უფრო კონკრეტულია. თუ კონფლიქტი გრძელდება მიუხედავად „მხარეების“ კეთილსინდისიერი მცდელობისა, უპირატესობით ისარგებლებს ამ „ხელშეკრულების“ ძირითადი ტექსტის დანაწესი;

1.2.12 წინამდებარე „ხელშეკრულებაში“ მუხლების სათაურები გამოიყენება მხოლოდ მოხერხებულობის და მითითების მიზნით და არ უნდა იქონიოს გავლენა „ხელშეკრულების“ განმარტებაზე; და

1.2.13 მითითება „კომპანიასა“ და ნებისმიერ სხვა „პირზე“ ასევე განიმარტება იმგვარად, რომ მოიცავს მათ სამართალმემკვიდრეებს და უფლებამონაცვლეებს.

2. განცხადებები და გარანტიები

2.1. წინამდებარე „ხელშეკრულების“ ვადის საწყისი თარიღიდან „ხელშეკრულების“ მოქმედების განმავლობაში, თითოეული მხარე - „მთავრობა“, „ფონდი“, „ნამახვანი“, „ესკო“ და „სსე“ - უზრუნველყოფს დანართი #6-ის 1-ლი ნაწილით *(„განცხადებები და გარანტიები“)* გათვალისწინებული განცხადებებისა და გარანტიების შესრულებას.

2.2. წინამდებარე „ხელშეკრულების“ ვადის საწყისი თარიღიდან „ხელშეკრულების“ მოქმედების განმავლობაში, „კომპანია“ უზრუნველყოფს დანართი #6-ის მე-2 ნაწილით *(„განცხადებები და გარანტიები“)* გათვალისწინებული განცხადებებისა და გარანტიების შესრულებას.

3. „ხელშეკრულების“ საგანი

3.1. „კომპანიის“ ვალდებულებები

3.1.1. „კომპანია“ ვალდებულია უზრუნველყოს „პროექტის“ განხორციელება, რაც მოიცავს „პროექტის“ „დეტალურ დიზაინს“, დაფინანსებას, მშენებლობას, გამოცდას, ექსპლოატაციაში მიღებას, (და მხოლოდ „სადგურებთან“ დაკავშირებით) ფლობას, ოპერირებისა და მოვლას „საქართველოს კანონმდებლობისა“ და წინამდებარე „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად. „კომპანია“ უფლებამოსილია, თუმცა არ არის ვალდებული, „სადგურების“ მშენებლობა განახორციელოს ეტაპობრივად, დანართი #3-ით

(„ეტაპების ცხრილი") გათვალისწინებული თარიღების გადავადების გარეშე.

3.1.2. „კომპანიის" ძირითად მიზანს წარმოადგენს „პროექტის" განხორციელება. აღნიშნული მიზნის ნებისმიერ ცვლილებამდე „კომპანიამ" უნდა მოიპოვოს „მთავრობის" წინასწარი წერილობითი თანხმობა.

3.1.3. „კომპანია" ვალდებულია „პროექტი" განახორციელოს საკუთარი ხარჯებით ან „კომპანიის" მიერ მოპოვებული დაფინანსების გამოყენებით.

3.1.4. „კომპანია" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით ან „კომპანიის" მიერ მოპოვებული დაფინანსების გამოყენებით უზრუნველყოს საჭირო „ნებართვების" მოპოვება, შენარჩუნება და განახლება ნებისმიერ დროს.

3.1.5. „მშენებლობის ეტაპის" მიმდინარეობისას, ფისკალური წლის დასრულებიდან სამი (3) თვის ვადაში, „კომპანია" „მთავრობას" წარუდგენს წლიურ ანგარიშს, რომელიც უნდა მოიცავდეს გასული წლის განმავლობაში „პროექტში" ჩადებული ინვესტიციების დაანგარიშებას.

3.1.6. „სადგურების" „გადაცემის სისტემასთან" მიერთების მიზნით, „კომპანიამ", „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის" მიერ დადგენილი ფორმით, უნდა მიმართოს „სსე"-ს განცხადებით (მიერთების შესაბამისი საფასურ(ებ)ის გადახდის ჩათვლით) და უნდა აკმაყოფილებდეს „ქსელთან მიერთების ხელშეკრულების" ხელმოწერისა და განხორციელებისათვის „ქსელის წესებით" გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ასეთი შესაბამისობის შემთხვევაში, „სსე" უზრუნველყოფს მიერთებას და „კომპანიასთან" აფორმებს „ქსელთან მიერთების ხელშეკრულებას".

3.2. მთავრობის ვალდებულებები

3.2.1. „მთავრობა" ვალდებულია, „საქართველოს კანონმდებლობის" შესაბამისად, ხელი შეუწყოს „კომპანიას" პროექტის განხორციელებაში, „კომპანიის", მისი კონტრაქტორების და ქვეკონტრაქტორების მიერ „ნებართვებთან" დაკავშირებული დოკუმენტების და პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაციის მიღების ხელშეწყობის ჩათვლით. იმ შემთხვევაში, თუ „კომპანიამ" და/ან მისმა კონტრაქტორებმა და/ან ქვეკონტრაქტორებმა დროულად და სწორად მოითხოვეს „ნებართვები", თუმცა „საჯარო დაწესებულება" არღვევს „საქართველოს კანონმდებლობის" შესაბამისად დადგენილ ვადებს და არ გასცემს „ნებართვებს" (ასევე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ „ექსპლოატაციაში მიღების აქტის" გაცემასთან, „ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების" „დისპეტჩერთან" რეგისტრაციასთან დაკავშირებით, ან ამ ხელშეკრულების შესაბამისად თითოეული „სადგურის" „დასრულების თარიღის" და ყველა „ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებების" შესაბამისად „კომერციული

ოპერირების თარიღის“ მიღწევისათვის განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, ყველა შემთხვევაში „კომპანიის“ მიერ სწორი და დროული მიმართვიდან თოთხმეტი (14) დღის განმავლობაში), ასეთი ქმედება ჩაითვლება „გაგრელების შემთხვევად“ და/ან „კომპენსირებად შემთხვევად“, შესაბამისი შემთხვევის გათვალისწინებით.

3.2.2. „მთავრობა“ თავისი კომპეტენციისა ფარგლებში და „საქართველოს კანონმდებლობის“ შესაბამისად, „კომპანიას“ „ვადის“ განმავლობაში ანიჭებს უფლებამოსილებას:

(a) ექსკლუზიურად განახორციელოს „პროექტი“;

(b) გამოიყენოს, აითვისოს, მიმართოს და გაათავისუფლოს წყალი მდინარე რიონიდან და მისი შენაკადებიდან და მდინარე ცხენისწყლიდან, რაც საჭიროა „კომპანიისთვის“ „პროექტის“ „საორიენტაციო მაქსიმალური სიმძლავრის“ დაგეგმილ დონეზე ოპერირების მიზნებისთვის 3.2.13 მუხლის *(მდინარის აუზის დაცვა)* და „წყალსაცავის გაიდლაინების“ შესაბამისად;

(c) განახორციელოს თითოეული „სადგურის“ მიერ წარმოებული ელექტრო ენერგიის მთლიანი მოცულობის და ელექტრო სიმძლავრის ექსპორტი ნებისმიერ დროს (გარდა შესაბამისი „PPA პერიოდისა“) იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი „სადგურის“ „კომერციული ოპერირების თარიღიდან“ პირველი თხუთმეტი (15) წლის შემდეგ „კომპანიას“ ექნება უფლება ნებისმიერ დროს განახორციელოს ასეთი „სადგურის“ მეიერ წარმოებული სრული მოცულობის ელექტრო ენერგია და ელექტრო სიმძლავრის ექსპორტი;

(d) ექსკლუზიურად გამოიყენოს ნებისმიერი „სადგურის“ მიერ წარმოებული „გარემოსდაცვითი მახასიათებლები“, შემცირებული ემისიის სერთიფიკატის ჩათვლით,

და „კომპანია“ ვალდებულია გამოიყენოს ასეთი უფლებები წინამდებარე ხელშეკრულებისა და „საქართველოს კანონმდებლობის“ შესაბამისად.

3.2.3. „მთავრობა“ ვალდებულია ხელო შეუწყოს „კომპანიის“ მიერ სხვადასხვა უწყებებში დაბალ ემისიური (სუფთა) განვითარების მექანიზმებთან დაკავშირებით შესაძლო განცხადებების მსვლელობას, იმის გათვალისწინებით, რომ „მთავრობა“ არ იქნება პასუხისმგებელი, თუ მისი ბრალეულობის გარეშე ვერ შეძლო „კომპანიამ“ ასეთის მიღება;

3.2.4. „საქართველოს კანონმდებლობის“ შესაბამისად, „მთავრობამ“ უნდა გაათავისუფლოს „კომპანია“ კარიერებიდან მასალის და/ან მშენებლობის წარმოებასთან დაკავშირებული სხვა ბუნებრივი წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღების ვალდებულებისგან. ასევე, „მთავრობა“ ვალდებულია ხელი შეუწყოს „კომპანიას“ და უზრუნველყოს, რომ „კომპანიის“ მიერ განცხადების შეტანიდან ოცდაათი (30) დღის განმავლობაში „შესაბამისი საჯარო

დაწესებულება“ მიმართავს „მთავრობას“ შესაბამისი შუამდგომლობით. გათავისუფლება ძალაში იქნება „საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“ განსაზღვრული მაქსიმალური ვადის განმავლობაში.

3.2.5. ხის მოჭრისა და დასაწყობების უფლება

„საქართველოს კანონმდებლობის“ შესაბამისად „მთავრობა“ დახმარებას გაუწევს „კომპანიას“ მთავრობასთან და შესაბამის „სახარო დაწესებულებებთან“ შეხვედრის ორგანიზებაში. ამგვარი შეხვედრის მიზანი იქნება კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით მოხდეს „პროექტის“ განხორციელების მიზნით მოჭრილი ხე-ტყის დასაწყობებისთვის საჭირო ტერიტორიის გამოყოფაზე შეთანხმება, რომელიც პრაქტიკული შესაძლებლობის ფარგლებში ყველაზე ახლოს იქნება „სამშენებლო მოედანთან“.

3.2.6. მიწასთან დაკავშირებით არსებული უფლებები

(a) „კომპანიის“ მიერ საჭიროებისამებრ პერიოდულად წარდგენილი დეტალური განმარტების (შეიფ ფაილის სახით) მიღებიდან ოცდაათი (30) დღის განმავლობაში „მთავრობა“ ვალდებულია „სახელმწიფოს“ საკუთრებაში დაარეგისტრიროს „სადგურების“ მშენებლობისა და ოპერირებისთვის და „გზებისთვის“ საჭირო ყველა „სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწა“.

(b) „კომპანიის“ მიერ განცხადების წარდგენიდან ორმოცდახუთი (45) დღის განმავლობაში „მთავრობა“ ვალდებულია დანართ 9-ში (მიწის გადაცემის ხელშეკრულების მოდელი) განსაზღვრული „მიწის გადაცემის ხელშეკრულების“ საფუძველზე „კომპანიას“ საკუთრებაში გადასცეს „სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწა“, რომლის ფუნქციური დანიშნულება იქნება არა-სასოფლო სამეურნეო.

(c) „მთავრობა“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების „კომპანიის“ საკუთრებაში გადაცემის შემთხვევაში, „კომპანიის“ შესაბამისი განცხადების მიღებიდან სამოცდათხუთმეტი (75) დღის განმავლობაში ასეთი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ფუნქციური დანიშნულება შეიცვლება არა-სასოფლო სამეურნეო დანიშნულებით და განხორციელდება მათი „კომპანიის“ საკუთრებაში გადასვლა. სადაც რეგისტრაცია განხორციელებულია სრულად ხელმოწერილი „სამმხრივი ხელშეკრულების“ საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა თუ რეგისტრაცია შეჩერებულია სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, „მთავრობა“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ საკუთრების უფლება „სახელმწიფოს საკუთრების გარეთ არსებული გადაუცემადი მიწაზე“ „სახელმწიფოს“ გადაეცემა შესაბამისი სარეგისტრაციო განცხადების შეტანიდან, რომელსაც თან უნდა ახლდეს შესაბამისი დანართები, მაქსიმუმ ათი (10) დღის ვადაში, რის შემდეგაც „მთავრობა“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ეს მიწა გადაეცემა „კომპანიას“ სამოცდათხუთმეტი (75) დღის განმავლობაში.

(d) საჭიროებიდან გამომდინარე, „კომპანიის“ (b) და (c) პუნქტებში მითითებული განცხადება უნდა მოიცავდეს (i) დანართი 7-ის *(სამმხრივი ხელშეკრულების ფორმა)* შესაბამის „სამმხრივ ხელშეკრულებას“ (რის შესაბამისადაც გადაცემულია „სახელმწიფოს საკუთრების გარეთ არსებული გადაუცემადი მიწა“ და აღნიშნულთან დაკავშირებით „მთავრობა“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მისი შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი წარმომადგენელი ხელს მოაწერს „სამმხრივ ხელშეკრულებას“ „კომპანიის“ მხრიდან შესაბამისი მოთხოვნიდან სამი (3) დღის განმავლობაში); ან (ii) „მიწის ფლობის შეწყვეტისა და კომპენსაციის ხელშეკრულებას“, რომელის შესაბამისადაც მიწით მოსარგებლეები შეწყვეტენ შესაბამისი მიწით სარგებლობას „კომპანიის“ მიერ კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს მიწით მოსარგებლესა და „კომპანიის“ მიერ, რომელის შესაბამისად საკუთრებაში გადავა მიწის ნაკვეთები კვალიფიკაციით მიწით მოსარგებლეების მიერ დაკავებული „სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწა“.

(e) იმ შემთხვევაში, თუ მიწის ზემოთ (ა)-(დ) პარაგრაფებში განსაზღვრული ფორმით გადაცემა შეუძლებელი იქნება „საქართველოს კანონმდებლობის“ შესაბამისად, „მთავრობა“ „კომპანიას“ გადასცემს „აღნაგობის“ უფლებას დანართი 10-ის *(აღნაგობის ხელშეკრულების მოდელი)* შესაბამისად განსაზღვრული ფორმით ყველა „სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწაზე“ და „სახელმწიფოს საკუთრების გარეთ არსებული გადაუცემად მიწაზე“, რაც საჭიროა „სადგურის“ მშენებლობისა და ოპერირებისათვის, იმავე პროცედურებისა და ვადების გათვალისწინებით რაც განსაზღვრულია ზემოთ მოცემულ (a), (b), (c) და (d) პუნქტებში.

(f) „მთავრობა“ ვალდებულია „კომპანიას“ საკუთრებაში გადასცეს ნებისმერი მესამე პირების მოთხოვნებისგან თავისუფალი „სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწა“ და ზემოაღნიშნული „აღნაგობა“, რომელიც მითითებულია ზემოთ პარაგრაფ (b)-ში და (e)-ში, თითოეული მიწის ნაკვეთი ერთ (1) ლარად.

(g) „გზების“ მშენებლობისთვისა და ოპერირებისთვის საჭირო „სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწა“ უნდა დარეგისტრირდეს „სახელმწიფოს“ საკუთრებაში, აქ განსაზღვრული ძირითადი პირობების გათვალისწინებით, თუმცა არ უნდა იქნეს „კომპანიაზე“ გადაცემული. სანაცვლოდ, „მთავრობა“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ „კომპანია“ თითოეულ მიწის ნაკვეთზე ერთი (1) ლარის სანაცვლოდ მიიღებს „პროექტის“ განხორციელებისთვის საჭირო ყველა უფლებას ამ მიწებთან დაკავშირებით, თავისუფალს ნებისმიერ მესამე პირების მოთხოვნებისგან, ასევე მიწის ნაკვეთებთან სრულ დაშვებას. „მთავრობა“ აცნობიერებს და თანახმაა, რომ „კომპანია“ არ იქნება ვალდებული გადაიხადოს „გზებთან“ ან ამ „გზების“ მშენებლობისა და ოპერირებისათვის მიღებულ „მიწაზე დაკავშირებულ უფლებებთან“ დაკავშირებული გადასახადები, ქონების გადასახადის ჩათვლით.

(h) „მხარეები“ ვალდებულნი არიან დაიცვან დანართი 5-ში (მიწასთან დაკავშირებით არსებული უფლებები *(დამატებითი პირობები)*) განსაზღვრული დებულებები.

3.2.7. ნასყიდობის ხელშეკრულება

(a) „ნასყიდობის ხელშეკრულების“ შესაბამისად „კომპანია“ ვალდებულია „წამახვანის“ აქტივების შეძენის მიზნით გადაიხადოს „ნასყიდობის ფასი“ და „წამახვანი“ ვალდებულია თავისი აქტივები გადასცეს „კომპანიას“. „ნასყიდობის ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად, მისი ძალაში შესვლისთანავე („ნასყიდობის ძალაში შესვლის თარიღი“) GEDF და „წამახვანი“ გავლენ ამ ხელშეკრულებიდან (შესაბამისად გათავისუფლდებიან ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმერი უფლებებსა და ვალდებულებებისაგან). GEDF ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ყველა სხვა მხარეს „ნასყიდობის ძალაში შესვლის თარიღის“ დადგომა. „ნასყიდობის ძალაში შესვლის თარიღის“ შემდეგ, GEDF და „წამახვანი“ ვალდებულნი დარჩებიან შეასრულონ მხოლოდ „ნასყიდობის ხელშეკრულებით“ განსაზღვრული პირობები, იმის გათვალისწინებით, რომ ეს 3.2.7(a) (*ნასყიდობის ხელშეკრულება*) მუხლი არ შეზღუდავს „კომპანიის“ ამ ხელშეკრულების შესაბამისად ნებისმიერი მოთხოვნის უფლებაზე („კომპენსირებადი შემთხვევის“, „გაგრელების შემთხვევის“ და/ან „მთავრობის დეფოლტის შემთხვევის“ შესაბამისად წარმოშობილი მოთხოვნის ჩათვლით) და რომელიც ეხება GEDF-ს და/ან „წამახვანს“ „ნასყიდობის ხელშეკრულების“ საგნიდან გამომდინარე მიუხედავად იმისა გასული არიან თუ არა GEDF და „წამახვანი“ ხელშეკრულებიდან.

(b) „კომპანიის“ მიერ „წამახვანის“ აქტივების შეძენის შემდეგ, „მთავრობა“ უზრუნველყოფს, არსებული მიწასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების განახლებას დანართი 9-ში (*მიწის გადაცემის ხელშეკრულების ნიმუში*) და დანართი 10-ში (*აღნაგობის ხელშეკრულების ნიმუში*) წარმოდგენილი ხელშეკრულებების ნიმუსების შესაბამისად.

(c) „კომპანიის“ მიერ „წამახვანის“ აქტივების შეძენასთან დაკავშირებით, „მთავრობა“ უზრუნველყოფს, რომ „პროექტთან“ დაკავშირებით „წამახვანის“ საკუთრებაში არსებული ყველა „ნებართვა“ (არსებული „მშენებლობის ნებართვების“ და „გარემოსდაცვითი ნებართვების“ ჩათვლით) „კომპანიის“ მიერ კომპეტენტურ „საჯარო დაწესებულებაში“ შესაბამისი განცხადების შეტანიდან არაუგვიანეს ოცდაათი (30) დღისა გადაეცემა „კომპანიას“.

(d) „მთავრობა“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ (i) „თავდაპირველი მემორანდუმიდან“ გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები, და (ii) „წამახვანის“ მიერ „მთავრობისგან“ მოპოვებული ეკოლოგიური ექსპერტიზის ანგარიშები „კომპანიას“ გადაეცემა „ნასყიდობის ხელშეკრულების“ შესაბამისად.

3.2.8. საპროექტო ხელშეკრულებები

(a) „მთავრობა“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ყველა „საპროექტო ხელშეკრულების“ მომზადების დასრულებიდან თოთხმეტი (14) „სამუშაო დღის“ განმავლობაში, ყველა „შესაბამისი საჯარო დაწესებულება“ გახდება შესაბამისი „საპროექტო ხელშეკრულებების“ მხარე (და ხელს მოაწერს „დამფინანსებელი მხარის“ მიერ მოთხოვნილ ნებისმიერ ცვლილებას („კომპანიის“ ბალანსზე მიბმული დაფინანსების (project financing) საქართველოში არსებული პრაქტიკის შესაბამისად) მასთან შეთანხმებული ფორმით)

(b) გარდა იმ ხელშეკრულებებისა, სადაც „მთავრობა“ არის მხარე, „კომპანია“ ვალდებულია „მთავრობას“ წარუდგინოს მის მიერ დამოწმებული ყველა „საპროექტო ხელშეკრულების“ ზუსტი ასლი რომლის მხარეც არის „შესაბამისი საჯარო დაწესებულება“ და ასეთი „საპროექტო ხელშეკრულებების“ ყველა ცვლილება ასეთი ხელშეკრულების ან ცვლილების გაფორმებიდან თოთხმეტი (14) „სამუშაო დღის“ ვადაში.

(c) „დაფინანსების მოპოვებამდე“ „კომპანია“ ვალდებულია „მთავრობას“ წარუდგინოს „პროექტთან“ დაკავშირებით დასანერგი სადაზღვევო გეგმა.

3.2.9. შესაბამისი საჯარო დაწესებულების ვალდებულებები

(a) „მთავრობა“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ყველა „შესაბამისი საჯარო დაწესებულება“ შეასრულებს მის მიერ „საპროექტო ხელშეკრულების“ შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებების (თანხის გადახდის ვალდებულებების ჩათვლით) შესრულებას ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. 3.2.10 მუხლში *(შესყიდვის მოთხოვნა)* განსაზღვრული დებულებების შეზღუდვის გარეშე, „მთავრობა“ ვალდებულია უზრუნველყოს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება „კომპანიის“ მიერ წინასწარ ფორმალური პროცედურების ან მისი სხვა უფლებების და მოთხოვნების აღსრულების დაწყების გარეშე „შესაბამისი საჯარო დაწესებულების“ წინააღმდეგ.

(b) თუ დროის რომელიმე მონაკვეთში „მთავრობა“ აღარ იქნება „შესაბამისი საჯარო დაწესებულების“ მაკონტროლებელი:

(i) „მთავრობა“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ასეთი „შესაბამისი საჯარო დაწესებულება“ დარჩება ვალდებული შეასრულოს ამ ხელშეკრულების და ნებისმიერ სხვა „საპროექტო ხელშეკრულების“ პირობები რომლის მხარესაც წარმოადგენს „შესაბამისი საჯარო დაწესებულება“.

(ii) ასეთი „შესაბამისი საჯარო დაწესებულება“ ამ ხელშეკრულების პირობებისა და მუხლების შესაბამისად დარჩება როგორც „შესაბამისი

საჯარო დაწესებულება“, და დებულებები, რომელიც შეეხება „შესაბამის საჯარო დაწესებულებას“, „ესკოს“ (ქვემოთ მოცემული (c) პუნქტის გათვალისწინებით) და „დისპეტჩერს“ დარჩება ძალაში.

(c) „PPA პერიოდის“ გასვლის შემდეგ ეს 3.2.9 *(შესაბამისი საჯარო დაწესებულების ვალდებულებები)*, 3.2.10 *(შესყიდვის მოთხოვნა)* და 3.2.11 მუხლები *(შესაბამისი ინვოისების შესყიდვა და გადაცემა)* შეწყვეტენ მოქმედებას „ესკოს“ მიმართ (თუმცა ძალაში დარჩებიან „დისპეტჩერის“ და სხვა „შესაბამისი საჯარო დაწესებულების“ მიმართ).

3.2.10. შესყიდვის მოთხოვნა

(a) იმ შემთხვევაში, თუ „ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების“ მე-7 მუხლის (დაკისრებული თანხები, ხარჯები და სახდელები) ან/და ამ ხელშეკრულების 3.2.12 *(დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის სამუშაოები და გადაცემის სისტემა)* ან 4.3.2 *(ელექტროენერგიის გაყიდვა ან დისპეტჩერიზაცია)* მუხლების შესაბამისად „ესკო“ ან „დისპეტჩერი“ დაარღვევენ ნებისმიერი ინვოისის დროულად გადახდის ვალდებულებას:

(i) „კომპანია“ უფლებამოსილია 3.2.11 მუხლის *(შესაბამისი ინვოისების შესყიდვა და გადაცემა)* შესაბამისად, „შესყიდვის მოთხოვნა“ მიაწოდოს „მთავრობას“ (შესაბამისად, „დისპეტჩერისა“ და „ესკოს“ ასეთი მოთხოვნის წერილის ასლის მიწოდებით) ყველა ასეთი ინვოისის შესყიდვასა და გადაცემასთან დაკავშირებით; და

(ii) „მთავრობა“ ვალდებულია 3.2.10 მუხლის *(შესაბამისი ინვოისების შესყიდვა და გადაცემა)* შესაბამისად, შეისყიდოს და მიიღოს „შესყიდვის მოთხოვნაში“ მითითებული ყველა „შესაბამისი ინვოისიდან“ გამომდინარე უფლებები, 3.2.11 (a) მუხლში *(შესაბამისი ინვოისების შესყიდვა და გადაცემა)* მითითებული თანხის „კომპანიის“ სასარგებლოდ გადახდის გზით.

(b) „შესაბამის ინვოისთან“ დაკავშირებული „შესყიდვის მოთხოვნასთან“ ერთად „კომპანია“ ვალდებულია „მთავრობას“ წარუდგინოს ყველა „შესაბამისი ინვოისის“ ასლი, რასთან დაკავშირებითაც ხდება „შესყიდვის მოთხოვნის“ გაგზავნა.

3.2.11 შესაბამისი ინვოისების შესყიდვა და გადაცემა

(a) „შესყიდვის მოთხოვნის“ გაგზავნიდან ათი (10) "სამუშაო დღის“ განმავლობაში („მთავრობის მიერ ინვოისიდან გამომდინარე უფლებების შესყიდვის დღე“), „მთავრობა“ ვალდებულია „კომპანიას“ გადაუხადოს „შესყიდვის მოთხოვნაში“ მითითებული ჯამური თანხა.

(b) ხელშეკრულების 11.7 *(გადახდები)* და 11.8 *(გადახდები)* მუხლების შეზღუდვის გარეშე, მოთხოვნიდან ხუთი (5) დღის განმავლობაში „მთავრობა“ ვალდებულია გადაიხადოს ნებისმერი სარგებელი, ხარჯი, საფასური, გადასახადი ან სხვა თანხა რასთან დაკავშირებითაც ის პასუხისმგებელია „შესყიდვის მოთხოვნაში“ მითითებული თანხიდან გამომდინარე.

(c) 3.2.11 (a) მუხლის *(შესაბამისი ინვოისების შესყიდვა და გადაცემა)* შესაბამისად განსაზღვრული თანხის სრულად მიღების შემდეგ, „კომპანია“ ვალდებულია „მთავრობას“ მიყიდოს და გადასცეს „შესაბამისი ინვოისიდან“ გამომდინარე „კომპანიის“ ყველა უფლება, საკუთრება და ინტერესი, რასაც აღიარებენ და ეთანხმებიან „ესკო“ და „დისპეტჩერი“ (ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში).

(d) „შესაბამისი ინვოისის“ შესყიდვიდან გამომდინარე შესყიდული და მიღებული საკრედიტო უფლებები უნდა იყოს:

(i) „მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების“ ფორმით (და არ არის საჭირო ნებისმიერ სხვა სახის შეტყობინების „ესკოსთვის“ ან/და „დისპეტჩერისთვის“ ან/და ნებისმიერი სხვა პირისთვის გაგზავნა) შესრულებული;

(ii) შეუქცევადი პროცესი.

(e) წინამდებარე 3.2.11 მუხლში *(შესაბამისი ინვოისების შესყიდვა და გადაცემა)* განსაზღვრულ შესყიდვასა და გადაცემასთან დაკავშირებით „კომპანია“ არ იძლევა განცხადებებსა და გარანტიებს. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე „კომპანია“ არ არის ვალდებული გამოისყიდოს ან დაიბრუნოს 3.2.11 მუხლის შესაბამისად გასხვისებული ან გადაცემული უფლებები და მოვალეობები ან დაეხმაროს „მთავრობას“ ამ ხელშეკრულებისა ან რომელიმე „ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების“ შესაბამისად განსაზღვრული ვალდებულებების რომელიმე პირის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ შეუსრულებლობის შედეგად მიღებული დანაკარგების აღმოფხვრაში.

(f) „მთავრობის“ მიერ „შესაბამისი ინვოისით“ განსაზღვრული თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს „ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულების“ მე-7 მუხლის *(დაკისრებული თანხები, ხარჯები და გადახდები)* და ამ ხელშეკრულების 3.2.10 *(შესყიდვის მოთხოვნა)* და 4.3.2 *(ელექტროენერგიის გაყიდვა ან დისპეტჩერიზაცია)* მუხლების შესაბამისად. შესაბამისი „ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულების“ მე-7 მუხლი *(დაკისრებული თანხები, ხარჯები და გადახდები)* და ამ ხელშეკრულების მე-11 მუხლი (გადახდები) გამოიყენება სადავო ინვოისებთან მიმართებაში.

(g) „მთავრობა“ ვალდებულია „კომპანია“ გაათავისუფლოს პასუხისმგებლობისგან და შეინარჩუნოს ასეთი გათავისუფლება, ნებისმერი გადასახადისგან, რაც შეიძლება „კომპანიას“ დაეკისროს ამ ხელშეკრულების 3.2.11 მუხლში *(შესაგამისი ინვოისების შესყიდვა და გადაცემა)* განსაზღვრული უფლებების გადაცემისგან.

3.2.12 დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის სამუშაოები და გადაცემის სისტემა

(a) დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის სამუშაოების დასრულება

(i) პირველი „სადგურის“ „მშენებლობის დაწყების თარიღიდან“ ოცდაათი (30) თვის შემდეგ („**დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის სამუშაოების დასრულების თარიღი**“), „მთავრობა“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ „გადაცემის ლიცენზიანტი“ დააფინანსებს, დააპროექტებს, ააშენებს, დაამონტაჟებს, ჩაუტარებს ტესტირებას, გაუშვებს ექსპლოატაციაში, დააზღვევს და საკუთრებას შეინარჩუნებს გადამცემ ხაზებს "სადგურების" საქართველოს მაღალი ძაბვის სისტემასთან „მიწოდების პუნქტში“ მიერთების მიზნით ისეთი სიმძლავრის გადამცემი ხაზით, რაც საკმარისი იქნება ორივე სადგურის „საორიენტაციო მაქსიმალური სიმძლავრის“ ჯამური ოდენობის შეფერხების გარეშე გადასაცემად („**დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის სამუშაოები**“).

(ii) „გადაცემის ლიცენზიანტი” ვალდებულია დროულად, და ნებისმიერ შემთხვევაში „კომპანიის“ მხრიდან წერილობით მოთხოვნიდან არაუგვიანეს თოთხმეტი (14) სამუშაო დღისა, მიაწოდოს „კომპანიას“ მის მიერ „დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის სამუშაოებთან“ დაკავშირებით გონივრულად მოთხოვნილი ნებისმიერი შემდეგი ინფორმაცია:

(A) სამშენებლო სამუშაოების გეგმა და ვადები;

(B) სამშენებლო სამუშაოების პოტენციური დაგვიანება; და

(C) ნებისმერი ტექნიკური ინფორმაცია, რაც შეიძლება იყოს მოთხოვნილი „კომპანიის“ მხრიდან „სადგურების“ „დეტალური დიზაინის“ დასრულების ან განახლების მიზნით.

(iii) „კომპანია“ ვალდებულია დროულად, და ნებისმიერ შემთხვევაში „გადაცემის ლიცენზიანტის“ მხრიდან წერილობით მოთხოვნიდან არაუგვიანეს თოთხმეტი (14) სამუშაო დღისა, მიაწოდოს „გადაცემის ლიცენზიანტს“ შემდეგი ინფორმაცია „სადგურების "და „კომპანიის“ მხრიდან „მიწოდების პუნქტის“ მშენებლობასთან დაკავშირებით:

(A) სამშენებლო სამუშაოების გეგმა და ვადები;

(B) სამშენებლო სამუშაოების პოტენციური დაგვიანება;

(C) ნებისმერი ტექნიკური ინფორმაცია, რაც შეიძლება იყოს მოთხოვნილი „გადაცემის ლიცენზიანტის" მხრიდან „დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის სამუშაოების" დეტალური დიზაინის დასრულების მიზნით; და

(D) ქსელის წესების შესაბამისად „გადაცემის ლიცენზიანტის" მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი ინფორმაცია.

(iv) როდესაც დასრულდება „დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის სამუშაოები" ზედა (i) პუნქტის შესაბამისად, „მთავრობა" და „გადაცმის ლიცენზიანტი" „კომპანიას" გადასცემენ სერთიფიკატს იმასთან დაკავშირებით, რომ „გადაცემის სისტემას" შეუძლია „სადგურებიდან" მიიღოს ელექტროენერგია 4.3.2 მუხლის *(ელექტროენერგიის გაყიდვა ან დისპეტჩერიზაცია)* შესაბამისად.

(v) გარდა იმ შემთხვევისა, თუ „კომპანია" პირდაპირ დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებს, იმ შემთხვევაში, თუ „დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის სამუშაოები" არ იქნება დასრულებული ან თუ „გადაცემის სისტემა" 4.3.2 მუხლის *(ელექტროენერგიის გაყიდვა ან დისპეტჩერიზაცია)* შესაბამისად ვერ შეძლებს მიიღოს ელექტროენერგია, ნებისმიერ შემთხვევაში „დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის სამუშაოების დასრულების დაგეგმილ თარიღამდე", რაც გამოიწვევს „კომპანიის" მხრიდან „გადამცემი ხაზების" გამოყენების შეუძლებლობას როდესაც სხვაგვარად „კომპანია" შეძლებდა მათ გამოყენებას ან ის გამოიწვევს, ან სავარაუდოდ გამოიწვევს „სადგურის" ექსპლოატაციაში მიღების გადავადებას ან „სადგურის" „დასრულების თარიღის" გადაწევას „დასრულების დაგეგმილი თარიღზე" გვიან:

(A) ასეთი შემთხვევა წარმოადგენს „გაგრძელების შემთხვევას", და

(B) „დისპეტჩერი" ქვემოთ მოცემული (vi) და (vii) პუნქტების შესაბამისად, ვალდებულია „კომპანიას" აუნაზღაუროს დაგვიანებით გამოწვეული ზიანი დაგვიანების ყოველ დღეზე „დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის პირგასამტეხლოს განაკვეთის" ოდენობით, სანამ (i) პუნქტის შესაბამისად არ დასრულდება „დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის სამუშაოები".

(vi) ზემოხსენებულ (v) მუხლში განსაზღვრული ზიანის არსებობისას ყოველი თვის დასრულებიდან თხუთმეტი (15) დღის განმავლობაში, „კომპანია" ვალდებულია

„დისპეტჩერს“ და „მთავრობას“ წარუდგინოს დაგვიანებით გამოწვეული ზიანის ჯამური ოდენობის ინვოისი „დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის პირგასამტეხლოს განაკვეთის“ ოდენობით, თანხის კალკულაციასთან ერთად, რომლის გადახდაზეც პასუხისმგებელია „დისპეტჩერი“.

(vii) „დისპეტჩერი“ ვალდებულია ზემოხსენებულ (vi) პუნქტში განსაზღვრული ინვოისი გადაიხადოს მისი მიღებიდან ოცდაათი (30) დღის განმავლობაში მე-11 მუხლის *(გადახდები)* შესაბამისად.

(viii) იმ შემთხვევაში, თუ „დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის სამუშაოები“ დასრულებულია და „გადამცემ ხაზს“ შეუძლია მიიღოს ხელშეკრულების 4.3.2 მუხლის *(ელექტროენერგიის გაყიდვა ან დისპეტჩერიზაცია)* შესაბამისად განსაზღვრული ელექტროენერგია, ყველა შემთხვევაში „დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის სამუშაოების დასრულების დაგეგმილ თარიღამდე“, თუმცა რომელიმე „სადგური“ არ არის მზად ტესტირებისა და ექსპლოატაციისთვის „დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის სამუშაოების დასრულების თარიღისთვის“, და ასეთი დაგვიანება არ არის ამ ხელშეკრულების შესაბამისად საპატიო, „დისპეტჩერი“ უფლებამოსილია ქვემოთ მოცემული (ix) და (x) პუნქტების შესაბამისად „კომპანიისაგან“ მოითხოვოს დაგვიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება ყოველდღიური ტარიფით, რომელიც უდრის 220კვ გადამცემ ხაზზე შესაბამისი საჯარო დაწესებულების მიერ დადგენილი გადაცემის ტარიფი გამრავლებული იმ თვეს (რომლის გამოანგარიშება მოხდება ყოველდღიურად) დაგეგმილი წარმოების დონეზე არსებულ დეფიციტზე, როგორც დაგეგმილი წარმოების დონე განსაზღვრულია „საშუალო ენერგიად“ „დეტალური დიზაინის“ ანგარიშში, სანამ შესაბამისი „სადგური“ არ იქნება მზად ტესტირებისა და ექსპლოატაციისათვის.

(ix) ზემოხსენებულ 3.2.12(a)(viii) მუხლში განსაზღვრული ზიანის არსებობისას ყოველი თვის დასრულებიდან თხუთმეტი (15) დღის განმავლობაში „დისპეტჩერი“ ვალდებულია „კომპანიას“ წარუდგინოს დაგვიანებით გამოწვეული ზიანის ჯამური ოდენობის ინვოისი, თანხის კალკულაციასთან ერთად, რომლის გადახდაზეც პასუხისმგებელია „კომპანია“.

(x) „კომპანია“ ვალდებულია ზემოხსენებულ (ix) პუნქტში განსაზღვრული ინვოისი გადაიხადოს მისი მიღებიდან ოცდაათი (30) დღის განმავლობაში მე-11 მუხლის *(გადახდები)* შესაბამისად.

(xi) ამ 3.2.12 მუხლის *(დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის სამუშაოები და გადაცემის სისტემა)* მიზნებისთვის „დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის სამუშაოების“ ან/და „სადგურების“ დასრულება დამოწმებული უნდა იყოს „დამოუკიდებელი ინჟინერის“ მიერ.

(b) გადაცემის სისტემასთან დაკავშირებული შემთხვევა

(i) „მთავრობა“ ვალდებულია:

(A) უზრუნველყოს, რომ „გადაცემის სისტემაში“ „გადაცემის სისტემასთან დაკავშირებულ შემთხვევას“ ან გადატვირთვას ადგილი არ ექნება, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს რომელიმე „სადგურიდან“ ელექტროენერგიის წარმოებასა ან გადაცემაზე;

(B) „ქსელთან მიერთების ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე „კომპანიის“ ვალდებულებების (საჭიროების შემთხვევაში) შესრულების გათვალისწინებით, უზრუნველყოს “კომპანიის“ შეუზღუდავი უფლება „სადგურების“ ექსპლოატაციის დაწყებიდან ნებისმიერ დროს „გადაცემის სისტემაში“ გამოიყენოს საჭირო სიმძლავრე, თითოეული „სადგურის“ მიერ ნებისმიერ დროს წარმოებული ელექტროენერგიის „საპროგნოზო წარმოებული ენერგიის“ ოდენობით „გადაცემის სისტემაში“ გადაცემის უფლების ჩათვლით.

(C) გამოიყენოს ყველა ღონე, რათა 2022 წლის 1 იანვრამდე თურქეთის მიმართულებით გადამცემი სიმძლავრე გაიზარდოს 1,400 მეგავატამდე.

(ii) გარდა იმ შემთხვევისა როდესაც „კომპანია“ პირდაპირ არღვევს ხელშეკრულებით ან/და „ქსელთან მიერთების ხელშეკრულებით“ განსაზღვრულ ვალდებულებებს, თუ „გადაცემის სისტემასთან დაკავშირებული შემთხვევის“ შედეგად „კომპანია“ ვერ ახორციელებს „საპროგნოზო წარმოებული ენერგიის“ წარმოებას და/ან „მიწოდების პუნქტში“ გადაცემას სრულად ან ნაწილობრივ (PPA პერიოდის განმავლობაში) ან „ესკო“ არის შეზღუდული მიიღოს „წარმოებული ენერგია“ როგორც ეს განსაზღვრულია „ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებაში“ ან (ნებისმიერი შესაბამისი სხვა პერიოდის განმავლობაში) „კომპანია“ ვერ ახორციელებს „სადგურებიდან“ ელექტროენერგიის წარმოებას და წარმოებული „ელექტროენერგიის მყიდველზე“ მიწოდებას სრულად ან ნაწილობრივ შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულებების შესაბამისად:

(A) ასეთი შემთხვევა წარმოადგენს „გაგრძელების შემთხვევას“; და

(B) ქვემოთ მოცემული (iii) და (iv) პუნქტების შესაბამისად „დისპეტჩერი“ ვალდებულია გადაიხადოს თანხა რომელიც (x) (ნებისმიერი “PPA პერიოდის“ განმავლობაში) უნდა ყოფილიყო „ესკოს“ და „დისპეტჩერის“ მიერ გადახდილი 4.3.2 მუხლის *(ელექტროენერგიის გაყიდვა ან დისპეტჩერიზაცია)* და „ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების“ შესაბამისად ისე, თითქოს „კომპანია“ ახორციელებდა „საპროგნოზო წარმოებული ენერგიის“ წარმოებას და „მიწოდების პუნქტში გადაცემას“ და „ესკო“ ახორციელებდა „ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების“ შესაბამისად „წარმოებული ენერგიის“ შესყიდვას და (y) („PPA პერიოდის“ გარდა ნებისმიერი სხვა პერიოდის განმავლობაში) წარმოადგენს „კომპანიის“ მიერ „გადაცემის სისტემასთან დაკავშირებული შემთხვევის“ შედეგად მიღებული „დანაკარგის“ სრულ ოდენობას, იმის გათვალისწინებით, რომ „დისპეტჩერის“ მიერ ამ 3.2.12(b)(ii) მუხლის *(გადაცემის სისტემასთან დაკავშირებული შემთხვევა)* შესაბამისად გადასახდელი ნებისმერი თანხა უნდა შემცირდეს იმ თანხის ოდენობით, რაც „დისპეტჩერმა“ უკვე გადაუხადა „კომპანიას“ ამ „გადაცემის სისტემასთან დაკავშირებული შემთხვევის“ შესაბამისად.

(iii) „კომპანია“ ვალდებულია ზემოხსენებული (ii) ქვეპუნქტის შესაბამისად გადასახდელი თანხის არსებობის პერიოდში, ყოველი თვის ბოლოდან თხუთმეტი (15) დღის განმავლობაში „დისპეტჩერს“ და „მთავრობას“ წარუდგინოს ინვოისი „დისპეტჩერის“ მიერ გადასახდელი თანხის ჯამური ოდენობით და შესაბამისი კალკულაციით.

(iv) „დისპეტჩერი“ ვალდებულია ზემოხსენებულ (iii) პუნქტში განსაზღვრული ინვოისი გადაიხადოს მისი მიღებიდან თხუთმეტი (15) დღის განმავლობაში.

(v) გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „დისპეტჩერი“ გადაიხდის ზემოხსენებულ (iii) პუნქტში მითითებულ ინვოისში განსაზღვრულ თანხას სრულად, „მთავრობა“ ვალდებულია ასეთი თანხა გადაიხადოს ინვოისის მიღებიდან ოცდაათი (30) დღის განმავლობაში.

3.2.13 მდინარის აუზის დაცვა

(a) „მთავრობა“ ვალდებულია:

(i) უზრუნველყოს „კომპანიის“ ექსკლუზიური და შეუზღუდავი უფლება „სადგურებისთვის“ გამოიყენოს მდინარე რიონი და მისი შენაკადები ლაჯანურის გადინების მხრიდან კოორდინატებით (323,123.6 / 4,714,638.8) და ოფურჩხეთის ხიდის მხრიდან შემდეგი კოორდინატებით (311,729.7 / 4,692,196.7). ეს კოორდინატები მოცემულია WGS 84 / UTM zone 38N სისტემის შესაბამისად;

(ii) არ მისცეს, და უზრუნველყოს, რომ არც ერთი სხვა „საჯარო დაწესებულება“ არ გასცემს უფლებას გამოიყენოს, აითვისოს, მიმართოს და გაათავისუფლოს წყლის რესურსები „სამშენებლო მოედნის“ ზედა ნაკადში („წყლის გამოყენების უფლება“), სადაც ასეთი უფლების მინიჭებას შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი ზეგავლენა (i) ყოველდღიური საშუალო, სეზონური ან წლიური დინების ან „სამშენებლო მოედანზე“ ხელმისაწვდომი წყლის მოცულობის დინებაზე ქვემოთ შემცირების ან „სადგურებისთვის“ დაგეგმილი მოცულობით ელექტროენერგიის გამომუშავებისთვის საჭირო მოცულობის შემცირების გზით, ან (ii) „პროექტის“ ოპერირებასა და მოვლაზე სხვაგვარად, და „მთავრობა“ აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ არც მას და არც სხვა „საჯარო დაწესებულებას“ არ აქვს ასეთი უფლება გაცემული ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში;

(iii) იმოქმედებს ან განახორციელებს უმოქმედობას ისე, რომ შეამციროს „პროექტთან“ დაკავშირებულ წყლის ბასეინში წყლის ბუნებრივი დინება ან სხვაგვარად შეამციროს „კომპანიის“ უფლება გამოიყენოს „პროექტთან“ დაკავშირებული წყლის რესურსები და ზღვის დონიდან განთავსების სიმაღლე;

(iv) წყლის ბუნებრივი ხელმისაწვდომობის და არსებული გვირაბის დაგეგმილი სარემონტო სამუშაოების გათვალისწინებით (რომელიც უნდა წარიმართოს „ინდუსტრიის კარგი პრაქტიკის“ შესაბამისად), უზრუნველყოს, რომ წყალი მიწოდებული იქნება ცხენისწყალის მდინარიდან ნამახვანის კასკადისთვის ბუნებრივი დინებით ზემოაღნიშნული გვირაბის მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგურის ნაწილს

(v) აუნაზღაუროს „კომპანიას“ ნებისმიერი „დანაკარგი“, რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს „პროექტის“ დინების ქვემოთ ან ზემოთ წყლის ნაკადის ცვლილებასთან, ეროზიასთან დაკავშირებით ნებისმიერი მესამე პირის პრეტენზიას, თუ აღნიშნული „დანაკარგი“ პირდაპირ არ უკავშირდება „კომპანიის“ მიერ „BOO ხელშეკრულების“ პირობების დარღვევას ან მის გაუფრთხილებლობას.

(b) „მთავრობა“ და „კომპანია“ ვალდებულებას კისრულობენ, რომ კეთილსინდისიერად მოილაპარაკებენ იმ ზიანის შემცირების გეგმას, რაც შესაძლოა დადგეს „პროექტის“

დინების ქვემოთ, „კომპანიის“ მიერ რომელიმე „სადგურის“ თავისუფალ რეჟიმში ოპერირების შედეგად.

3.2.14 წვდომა ინფრასტრუქტურასთან

(a) „მთავრობა" ვალდებულია ყოველგვარი დაბრკოლებისა და შეფერხების გარეშე უზრუნველყოს „კომპანიისა“ და მისი კონტრაქტორების/ოპერატორების წვდომა „სამშენებლო მოედანთან“, ისევე როგორც ყველა არსებულ საერთაშორისო, მეორეხარისხოვან და ადგილობრივ გზებთან, ხიდებთან ან სხვა მსგავს ინფრასტრუქტურასთან („**არსებული ინფრასტრუქტურა**"), იმ პირობით, რომ „კომპანიისა“ და მისი კონტრაქტორების/ოპერატორების მიერ ამგვარი გამოყენების შედეგად დაზიანებული „არსებული ინფრასტრუქტურის“ დაუყოვნებლივ შეკეთების საფასურის გადახდის ვალდებულება, გარდა ბუნებრივი ცვეთის შემთხვევებისა, დაეკისრება „კომპანიას“. პირველი „მშენებლობის დაწყების თარიღამდე“ არანაკლებ ოცდაათი (30) დრით ადრე, „კომპანია“ და შესაბამისი „მთავრობის წარმომადგენლები“ უნდა შეხვდნენ და შეადგინონ ერთობლივი პროტოკოლი, რომელშიც გონივრულობის ფარგლებში დეტალურად იქნება გაწერილი „არსებული ინფრასტრუქტურის“ სტატუსი და მდგომარეობა ამ თარიღისთვის, ნებისმიერი ფუნდამენტებისა და დაფარული ტერიტორიების ჩათვლით.

(b) „კომპანიას“ უფლება აქვს თავისივე ხარჯებით ააშენოს ან/და შეინარჩუნოს ნებისმიერი ისეთი დროებითი ან მუდმივი ინფრასტრუქტურა, რომელიც აუცილებელია ან სასურველია თითოეული „სადგურის“ მშენებლობის ან/და ოპერირებისთვის და გზების მშენებლობისათვის, თუ ზემოაღნიშნული განხორციელდება „საქართველოს კანონმდებლობის“ შესაბამისად.

(c) გზის გადატანის დასრულებამდე (ნამახვანი-ალფანის გადასატანი მონაკვეთი 21+700.00-49+410.00 კმ.-ებს შორის), „კომპანიას“ განზრახული აქვს არსებული გზის მდგომარეობის გამოსწორება გზის საფარის (ტროტუარის გამოკლებით) გრანულირებული მასალით კორექტირების მეშვეობით, „ქვედა ნამახვანის“ კაშხალსა და „ზემო ნამახვანის“ კაშხალს შორის მონაკვეთზე, ისეთ ადგილებში, სადაც აღნიშნული აუცილებლად ჩაითვლება „კომპანიის“ მიერ. „კომპანია“ ასევე გამოიყენებს გონივრულ ძალისხმევას, რათა რეგულარულად შეამოწმოს საგზაო მდგომარეობა და ამოავსოს გზის საფარის ორმოები/დაზიანებები. პარალელურად, „მთავრობამ“ უნდა გამოასწოროს ან მოსთხოვოს შესაბამის „საჯარო დაწესებულებებს“ ნაკლოვანებების გამოსწორება ისეთ გზებზე, სადაც გზის სიგანე შემცირებულია მეწყერის ჩამოწოლის ან კლდეებიდან ქვების ვარდნის შედეგად. ამგვარი გამოსწორება უნდა აკმაყოფილებდეს ისეთ სტანდარტებს, რომლის დროსაც საავტომობილო გზის სიგანე იძლევა უსაფრთხო სატრანსპორტო მოძრაობისა და უსაფრთხოებიდან გამომდინარე, საჭიროების შესაბამისად, დროებითი ბარიერების ან მოაჯირების დამონტაჟების საშუალებას.

(d) „კომპანია“ უფლებამოსილია შეზღუდოს „კომპანიის“ ავტორიზებული პერსონალის შესაბამის ინფრასტრუქტურასთან დაშვება/მათ მიერ ასეთი ინფრასტრუქტურის გამოყენება უსაფრთხოებისა და წყლის დაგუბების პროცესის მართვის ინტერესებიდან გამომდინარე, გარდა საჯარო გზებისა და გავლის უფლებისა (იმის გათვალისწინებით, რომ „კომპანია“ უფლრებამოსილი იქნება შეზღუდოს გავლის უფლება „სამშენებლო სამუშაოების“ წარმოების მიზნით).

3.2.15 უცხოური ვალუტა

„მთავრობა“, იმის გათვალისწინებით, რომ „კომპანიამ“ სათანადოდ და დროულად მიმართა „საქართველოს კანონმდებლობით“ გათვალისწინებული ნებისმიერი „ნებართვის“ მოსაპოვებლად, ვალდებულია:

(a) არ შეზღუდოს საქართველოს ფარგლებს გარეთ უცხოური ვალუტების ხელმისაწვდომობა, შეძენა, კონვერტაცია და ფულადი გზავნილების განხორციელება არსებული საბაზრო განაკვეთებით, „კომპანიის“ მიერ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალებისა და ვალდებულებების გადახდის მიზნით, მათ შორის, „პარტნიორებისთვის“ დივიდენდების გადახდა, „დაფინანსების დოკუმენტებით“ გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების შესრულება, „კომპანიის“ ნებისმიერი ლიკვიდაციის ან კაპიტალის შემცირების შედეგად მიღებული ხარჯებისა და სხვა ნებისმიერი ფორმით კაპიტალის შესაბამის „პარტნიორებზე“ განაწილება, „პროექტის“ მშენებლობის, ექსპლოატაციისა და მოვლისთვის აუცილებელი ან სასურველი სათადარიგო ნაწილების, მასალების, აღჭურვილობისა და მომსახურების შეძენა;

(b) ნება დართოს „კომპანიას“ საქართველოს ფარგლებში ან მის ფარგლებს გარეთ გახსნას და იქონიოს საბანკო ანგარიშები და დეპოზიტზე განათავსოს „კომპანიის“ მიერ ელექტროენერგიის სიმძლავრისა და ენერგიის გაყიდვით, შესყიდვის გადახდებით ან სხვა ნებისმიერი რესურსით გამომუშავებული თანხები ქართულ ან უცხოურ ვალუტაში;

(c) უზრუნველყოს, რომ არ წარმოიშვას რაიმე შეზღუდვა „კომპანიის“ „პარტნიორებისა“ და „დამფინანსებელი მხარეების“, როგორც ბენეფიციარებისათვის, შესაძლებლობაზე აღასრულონ „კომპანიის“ უცხოურ ვალუტასთან ხელმისაწვდომობის, კონვერტაციის და ფულადი გზავნილების განხორციელების უფლებები, რომელიც დაკავშირებულია „კომპანიის“ ისეთ ვალდებულებებთან, როგორიცაა „პარტნიორებისთვის“ დივიდენდების გადახდა და კაპიტალის სხვაგვარი განაწილება, „დაფინანსების დოკუმენტებით“ გათვალისწინებული სხვა ფინანსური ვალდებულების შესრულება;

(d) ნება დართოს „კომპანიას“, რათა ამ უკანასკნელმა საზღვარგარეთ გადაიხადოს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, სრულად ან ნაწილობრივ, უცხოურ ვალუტაში, ხელფასები, დახმარებები და უცხოელი თანამშრომლების მიერ მისაღები ნებისმიერი სხვა სარგებლები; და

(e) დარწმუნდეს, რომ „კომპანიასა“ და „პარტნიორებს“ უფლება აქვთ შეინარჩუნონ „სადგურებიდან“ გამომუშავებული მთელი მოგება „ვადის“ განმავლობაში.

3.2.16 გადასახადები

(a) წინამდებარე „ხელშეკრულების“ ნებისმიერი სხვა დებულების შეზღუდვის გარეშე, „მთავრობა“ იღებს ვალდებულებას და თანახმაა, რომ „გადასახადებთან“ დაკავშირებით „კანონმდებლობის ცვლილებისას“, იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა (i) ნებისმიერი ახალი „გადასახადი“; (ii) „გადასახადების“ ნებისმიერი გაზრდილი განაკვეთი; (iii) „გადასახადებზე“ შეღავათების/დაქვითვის ნებისმიერი შემცირება; ან (iv) ნებისმიერი სხვა ისეთი „კანონმდებლობის ცვლილება“, რომელიც ზრდის „კომპანიისა“ ან ხვა „პროექტის მონაწილეთა“ საგადასახადო ტვირთს, „კომპანია“ და/ან ნებისმიერი ასეთი სხვა „პროექტის მონაწილე“ უფლებამოსილნი არიან მიიღონ კომპენსაცია 8.2 მუხლის საფუძველზე *(კომპენსირებადი შემთხვევები).*

(b) „კომპანიის“ მიერ სათანადოდ და დროულად მიმართვის შემთხვევაში, „მთავრობამ“ თავის მხრივ უნდა აიღოს ვალდებულება, რათა უზრუნველყოს საგადასახადო ვალდებულებებზე პასუხისმგებელი „საჯარო დაწესებულების“ მიერ „კომპანიისათვის“ საქონლისა და მომსახურების (მათ შორის, სამშენებლო მომსახურების ჩათვლით) მიწოდებასთან დაკავშირებული „დღგ“-ის დაუყოვნებლივ დაბრუნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

(c) იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ვალდებულებებზე პასუხისმგებელი „საჯარო დაწესებულება“ არ უზრუნველყოფს „კომპანიისა“ ან სხვა „პროექტის მონაწილესათვის“ საქონლისა და მომსახურების (მათ შორის, სამშენებლო მომსახურების ჩათვლით) მიწოდებასთან დაკავშირებული „დღგ“-ის თანხის დაბრუნებას დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს ოცდაათი (30) დღისა „დღგ“-ის დაბრუნების შესახებ განაცხადის წარდგენის დღიდან, მაშინ „მთავრობის“ მხრიდან ასეთი შეუსრულებლობა ჩაითვლება „გაგრძელების შემთხვევად“ და/ან „კომპენსირებად შემთხვევად“, გარემოებების გათვალისწინებით.

3.2.17 სამუშაო ვიზები

საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში და იმ პირობით, რომ „კომპანია“ სათანადოდ და დროულად მიმართავს „საქართველოს კანონმდებლობით“ გათვალისწინებული ნებისმიერი „ნებართვის“ მოსაპოვებლად, „მთავრობა“ დაუყოვნებლივ მოუწოდებს შესაბამის „საჯარო დაწესებულებას“:

(a) თითოეული ეტაპისთვის - „წინასამშენებლო ეტაპისთვის“, „სამშენებლო ეტაპისთვის“ და „ოპერირების ეტაპისთვის“ (i) გასცეს სამუშაო ვიზები ან ბინადრობის ნებართვები „კომპანიის“ წარმომადგენლებზე, ხელმძღვანელ პირებზე და სხვა დასაქმებულებზე, მისი ნებისმიერი კლასის კონტრაქტორებზე ან „კომპანიის“ კონსულტანტებსა და მრჩევლებზე, „დამფინანსებელ მხარეებსა“ და მათ მრჩევლებზე, „პროექტთან“ დაკავშირებულ სხვა ტექნიკურ და მენეჯერულ პერსონალზე, მათი ჩამოყვანის/მიგრაციის მიზნით, და (ii) გასცეს ასეთი შრომითი ნებართვები ნებისმიერ ზემოაღნიშნულ პირზე, თითოეულ შემთხვევაში შესაბამისი რაოდენობითა და ვადით, როგორც ამას დროდადრო შეუზღუდავად მოითხოვს „კომპანია“ თავისი შეხედულებისამებრ; და

(b) შემდგომში, გასცეს არა-ტურისტული ვიზები და სამუშაო/ბინადრობის ნებართვები უცხო ქვეყნის მოქალაქე დასაქმებულებზე, „კომპანიის“ მიერ დროდადრო გაკეთებული მოთხოვნის საფუძველზე.

3.2.18 პირდაპირი ხელშეკრულება

„კომპანიის“ ან/და „დამფინანსებელი მხარის“ მიერ შეთავაზების შემთხვევაში, „მთავრობამ“ უნდა განიხილოს და გააფორმოს ერთი ან მეტი „პირდაპირი ხელშეკრულება“, რომელიც მისაღები იქნება „დამფინანსებელ მხარისთვის“, „კომპანიისთვის“, „მთავრობისა“ და სხვა შესაბამისი „საჯარო დაწესებულებისთვის“, რომელიც დაარეგულირებს „დამფინანსებელი მხარეების“ უფლებათა გადანაწილებას და ასახავს „პროექტის“ მსგავსი პროექტის დაფინანსების სხვა საბაზრო პირობებს *(„პირდაპირი ხელშეკრულებები“)*.

3.2.19 გამოუთხოვადი უფლებები

„მთავრობა“ აღიარებს და თანხმობას აცხადებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „კომპანიისთვის“ გადაცემული, „სადგურების“ ოპერირებასთან დაკავშირებული უფლებები, მათ შორის, 3.2.6 მუხლში *(„მიწასთან დაკავშირებული უფლებები“)* მითითებული უფლებები არის განსაზღვრული, გამოუთხოვადი ხასიათის და ძალაშია „ვადის“ განმავლობაში. გაგრძელებადი „ნებართვები“ გაგრძელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3.2.20 უსაფრთხოება

ნებისმიერ დროს „ვადის“ განმავლობაში, „მთავრობა“ ვალდებულია საკუთარი ხარჯით მიიღოს ზომები და იშუამდგომლოს შესაბამის „საჯარო დაწესებულებებთან“, რათა დროულად იქნას გარანტირებული „პროექტის“ სამშენებლო, მართვისა და სხვა ასპექტების უარყოფითი ზემოქმედებისგან დაცვა ყველა საფუძვლიანი და გონივრული ღონისძიებით, იმ მიზნით, რომ:

(a) დაიცვას და უზრუნველყოს „მიწასთან დაკავშირებული უფლებების“, “სამშენებლო მოედნის“, „სადგურების“, „გზების“, „გადამცემი სისტემისა“ და საქართველოს ტერიტორიაზე „პროექტში“ ჩართული ყველა პირის უსაფრთხოება; და

(b) უზრუნველყოს „მიწასთან დაკავშირებული უფლებების“, “სამშენებლო მოედნის“, „სადგურების“, „გზების“, „გადამცემი სისტემისა“ და საქართველოს ტერიტორიაზე „პროექტში“ ჩართული ყველა პირის დაცვა სამოქალაქო ომის, საბოტაჟის, ვანდალიზმის, ბლოკადის, რევოლუციის, აჯანყების, საპროტესტო აქციის, ამბოხების, სამოქალაქო არეულობის, ტერორიზმის, გატაცების, კომერციული გამოძალვის, ორგანიზებული დანაშაულის ან სხვა მსგავსი მოვლენების შედეგად გამოწვეული „დანაკარგებისგან“.

და „მთავრობის“ მიერ წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნებისმიერი შეუსრულებლობა წარმოადგენს „გაგრძელების შემთხვევას“ და/ან „კომპენსირებად შემთხვევას“, გარემოებების გათვალისწინებით.

3.2.21 ნახშირბადის კრედიტები

„მთავრობა“ ვალდებულია, გონივრულობის ფარგლებში, ყველანაირი დახმარება გაუწიოს „კომპანიას“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის (როგორც საქართველოს განსაზღვრულ საოპერაციო სააგენტოში) ან ნებისმიერი სხვა „საჯარო დაწესებულებებისთვის“ მიმართვის პროცესში, „კომპანიის“ მიერ კლიმატის ცვლილების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩო კონვენციის კიოტოს ოქმის, პარიზის ხელშეკრულების ან ნებისმიერი მსგავსი მექანიზმისა და მემკვიდრე პროგრამის საფუძველზე „პროექტის“ ნახშირბადის კრედიტის პროექტად აღიარებასთან დაკავშირებით შესაბამისი წერილის მოპოვების მიზნით, ასევე „კომპანიის“ მიერ ემისიების სერტიფიცირებული შემცირებებით ან სხვა გარემოსდაცვითი კრედიტებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვაჭრობასთან დაკავშირებით, რომელიც „კომპანიას“ მინიჭებული აქვს „საქართველოს კანონმდებლობის“ შესაბამისად „პროექტის“ ნახშირბადის კრედიტის პროექტად ან ნებისმიერ მემკვიდრე პროგრამად აღიარებით.

4. პროექტის ეტაპები

4.1. წინასამშენებლო ეტაპი

4.1.1. „კომპანია“ ვალდებულია, „მშენებლობის ძალაში შესვლის თარიღიდან“ არაუგვიანეს 18 (თვრამეტი) თვისა, როგორც აღნიშნული პერიოდი შესაძლოა გაგრძელდეს 4.2.5 მუხლის (*„დასრულების დაგეგმილი თარიღისა და სხვა ეტაპების თარიღების გადავადება, გაგრძელების შემთხვევის დადგომის გამო“*) ან 4.4 მუხლის (*„პირგასამტეხლო პროექტის სხვადასხვა ეტაპზე“*) შესაბამისად:

(a) 3.2.1 მუხლის („მთავრობის ვალდებულებები“) გათვალისწინებით, მოიპოვოს (და შესაბამისად, შეინარჩუნოს და საჭიროებისამებრ განაახლოს) „სამშენებლო სამუშაოებისთვის“ საჭირო ყველა „ნებართვა“ და მიაწოდოს ან უზრუნველყოს მათი დამოწმებული ასლების მიწოდება „მთავრობის წარმომადგენლისთვის“;

(b) მოიპოვოს ყველა „მიწასთან დაკავშირებული უფლებები“, იმ პირობით, რომ „მთავრობა“ შეასრულებს 3.2.5 მუხლით (*„მიწასთან დაკავშირებული უფლებები“*) და დანართი #5-ით (*„მიწასთან დაკავშირებული უფლებები“ დამატებითი პირობები*) ნაკისრ ვალდებულებებს, ხოლო „მთავრობის“ მიერ აღნიშნული ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ დარღვევის შემთხვევები აღნიშნული განიხილება „გაგრძელების შემთხვევად“ და/ან „კომპენსირებად შემთხვევად“, გარემოებების გათვალისწინებით;

(c) „მთავრობის წარმომადგენელს“ წარუდგინოს ან უზრუნველყოს მისთვის „პროექტის“ „სამშენებლო ხელშეკრულებ(ებ)ის“ საბოლოო (კონკრეტული თარიღისთვის არსებული) პროექტების ან ხელმოწერილი ვერსიების წარდგენა; და

(d) „მთავრობის წარმომადგენელს“ წარუდგინოს „სესხის ხელშეკრულებების“ ხელმომწერი „დამფინანსებელი მხარეების“ მიერ გაცემული ორიგინალი სერთიფიკატები (ან მათი ექვივალენტური დოკუმენტები), რომლებიც დაადასტურებს „სესხის ხელშეკრულებების“ ხელმოწერას;

4.1.2. „წინასამშენებლო ეტაპის“ მიმდინარეობისას, „კომპანია“ ყოველ 3 (სამი) თვეში ერთხელ წარუდგენს „მთავრობას“ „პროექტის“ მიმდინარეობის მოკლე მიმოხილვას.

4.1.3. „მშენებლობის ძალაში შესვლის თარიღიდან“ შესაბამისი „სადგურის“ „წინასამშენებლო ეტაპის“ ბოლო დღის ჩათვლით, „კომპანია“ მიმართავს ყველა კომერციულად გონივრულ მცდელობას, რომ შესაბამის „სადგურებზე“ (და დაკავშირებულ „გზებზე“) დასაქმებულთა საშუალოდ სამოცდაათი პროცენტი (70%) იყოს საქართველოს მოქალაქე. აღნიშნული ვალდებულების შესრულება დროის ნებისმიერ მონაკვეთში დამოკიდებულია საკმარისი კვალიფიკაციის მქონე საქართველოს მოქალაქეების ხელმისაწვდომობაზე, რომლებიც იმუშავებენ იმ კომერციული პირობებით, რომლითაც უცხოელი მოქალაქეები იმუშავებდნენ.

4.1.4. იმ შემთხვევაში, თუ „კომპანია“ წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერის თარიღიდან 8 (რვა) თვის განმავლობაში ვერ შეძლებს „მიწასთან დაკავშირებული უფლებების“ (იმ პირობით, რომ „კომპანია“ მიმართავს ყველა კომერციულად გონივრულ მცდელობას) და/ან „შეცვლილი ნებართვების“ მოპოვებას, 9.2.4 მუხლის (*ნაწილობრივი შეწყვეტა*) პირობების გათვალისწინებით, „კომპანია“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“ „მთავრობისთვის“ ათი (10) სამუშაო დღით ადრე გაგზავნილი შეტყობინებით.

4.2. მშენებლობის ეტაპი

4.2.1. მშენებლობის ეტაპი

„მშენებლობის ეტაპი“ თითოეული „სადგურისთვის“ დაიწყება შესაბამის „მშენებლობის დაწყების თარიღზე“ ან ნებისმიერ სხვა დღეს, რომელიც განისაზღვრება 4.2.5 მუხლის (*„დასრულების დაგეგმილი თარიღისა და სხვა ეტაპების თარიღების გადავადება, გაგრძელების შემთხვევის დადგომის გამო“*) ან 4.4 მუხლის (*„პირგასამტეხლო პროექტის სხვადასხვა ეტაპზე“*) შესაბამისად.

4.2.2. დიზაინი და მშენებლობა

(a) „კომპანია“ ვალდებულია საკუთარი რისკითა და ხარჯით განახორციელოს „სადგურებთან“ დაკავშირებული დიზაინის სამუშაოები, შესყიდვები, მშენებლობა და გამოცდის ტექსტები, წინამდებარე „ხელშეკრულებისა“ და „ინდუსტრიის კარგი პრაქტიკის“ გათვალისწინებით, მათ შორის:

(i) მოამზადოს „დეტალური დიზაინი“;

(ii) შეიმუშავოს „ეტაპების თარიღები“; და

(iii) განსაზღვროს ტექნიკური მახასიათებლები, რომლებიც გრაფიკის შესაბამისად „სამშენებლო სამუშაოების“ დაწყებამდე სამი (3) თვით ადრე წარედგინება „მთავრობის წარმომადგენელს“, რომელიც შეისწავლის და კომენტარების არსებობის შემთხვევაში (კომენტარები „კომპანიას“ უნდა წარედგინოს „მთავრობის წარმომადგენლის“ მიერ მახასიათებლების მიღებიდან ოცდაათი (30) დღის ვადაში), მოხდება აღნიშნული კომენტარების გათვალისწინება იმ შემთხვევაში თუ, „კომპანია“ გადაწყვეტს, რომ მათი გათვალისწინება ტექნიკურად და ეკონომიკურად შესაძლებელი და მიზანშეწონილია.

(b) „კომპანია“ უფლებამოსილია „პროექტის“ დიზაინისთვის გამოიყენოს საერთაშორისოდ აღიარებული საინჟინრო დიზაინის კოდები (მათ შორის ICOLD-ს).

(c) „კომპანია“ პასუხისმგებელია „სადგურების“ დიზაინის ნებისმიერ ხარვეზზე. „მთავრობის“ ან „მთავრობის წარმომადგენლის“ მიერ დიზაინთან, დიზაინის ნახაზებთან ან სპეციფიკაციებთან დაკავშირებით შენიშვნების წარუდგენლობა არ წარმოადგენს „მთავრობის“ მიერ წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ რომელიმე უფლებაზე უარის თქმას ან „მთავრობის“ ან „მთავრობის წარმომადგენლის“ თანხმობას აღნიშნულ ხარვეზებთან დაკავშირებით, ისევე როგორც აღნიშნული არ ათავისუფლებს „კომპანიას“ წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობისგან.

(d) ზემოაღნიშნულზე დამატებით, „კომპანია“:

(i) თანხმდება, რომ „მთავრობის“ ან „მთავრობის წარმომადგენლის“ მიერ განხორციელებული „პროექტის“ დიზაინის შესწავლა და შემოწმება არ ათავისუფლებს მას წინამდებარე „ხელშეკრულების“ ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებებისაგან და, რომ „მთავრობა“ და „მთავრობის წარმომადგენელი“ არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას დიზაინის ხარისხზე, ინჟინერიაზე ან რომელიმე „სადგურის“ ან მისი რომელიმე ნაწილის მშენებლობაზე;

(ii) არცერთ შემთხვევაში არ გაწუცხადებს ან მიანიშნებს ნებისმიერ მესამე პირს, რომ „მთავრობა“ პასუხისმგებელია ნებისმიერი „სადგურის“ ან მისი რომელიმე ნაწილის ინჟინერიაზე ან სამშენებლო მდგრადობაზე; და

(iii) აცნობიერებს, რომ ის ერთპიროვნულად არის პასუხისმგებელი „სადგურების“ ან მათი თითოეული ნაწილის დიზაინის ტექნიკურ-ეკონომიკურ განხორციელებადობაზე, საოპერაციო შესაძლებლობებსა და საიმედოობაზე.

4.2.3. დაბრკოლებების შესახებ ანგარიში

იმ შემთხვევაში თუ, „კომპანიისგან“ დამოუკიდებელ მიზეზთა გამო წარმოიშვება დაბრკოლებები, რაც იწვევს (ან გამოიწვევს) „სამშენებლო სამუშაოების“ შესრულების ვადის ან „დასრულების დაგეგმილი თარიღის“ გადაცილებას, „კომპანია“ ვალდებულია მსგავსი გარემოებების დადგომიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში წარუდგინოს „მთავრობის წარმომადგენელს“ ანგარიში, რომელშიც მითითებული იქნება მიზეზები რაც იწვევს ან გამოიწვევს ვადის გადაცილებას და ზომები, რომელსაც მიმართავს „კომპანია“ „დასრულების დაგეგმილი თარიღისთვის“ „სამშენებლო სამუშაოების“ დასრულების ვადის გადაცილების თავიდან აცილების ან მინიმუმამდე შემცირების მიზნით. აღნიშნული მუხლი, არცერთ შემთხვევაში არ შეზღუდავს 4.2.5 მუხლით (*„დასრულების დაგეგმილი თარიღისა და სხვა ეტაპების თარიღების გადავადება, გაგრძელების შემთხვევის დადგომის გამო“*) ან 4.4

მუხლით (*„პირგასამტეხლო პროექტის სხვადასხვა ეტაპზე“*) „კომპანიისათვის“ მინიჭებულ უფლებას „დასრულების დაგეგმილი თარიღ(ებ)ის“ გაგრძელების შესახებ.

4.2.4. მშენებლობის მიმდინარეობის ანგარიში

შესაბამისი „მშენებლობის ეტაპის“ მიმდინარეობისას (შესაბამისი „სადგულის“ „საბოლოოდ დასრულების თარიღის“ დადგომამდე), შესაბამისი „მშენებლობის ეტაპის“ დაწყების შემდგომ ყოველი თვის დასრულებიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში, „კომპანია“ წარუდგენს „მთავრობას“ მშენებლობის მიმდინარეობის ანგარიშს, რომელშიც მითითებული იქნება (i) გასული თვეში დასრულებული ან მიმდინარე „სამშენებლო სამუშაოების“ ჩამონათვალი (გარდა იმ თვისა, რომელიც წინ უსწრებს შესაბამისი „მშენებლობის ეტაპის“ დაწყებას), (ii) „სამშენებლო სამუშაოების“ ჩამონათვალი, რომელთა დასრულებაც იგეგმება მიმდინარე თვეში, (iii) „სამშენებლო სამუშაოების“ დასრულების სავარაუდო ვადა, „დასრულების დაგეგმილი თარიღ(ებ)ის“ გათვალისწინებით, და (iv) ინფორმაცია ნებისმიერი იმ გარემოების ან შემთხვევის შესახებ, რამაც შესაძლოა გონივრულად გამოიწვიოს „დასრულების დაგეგმილი თარიღის“ ან „საბოლოოდ დასრულების დაგეგმილი თარიღის“ გადაცილება.

4.2.5. დასრულების დაგეგმილი თარიღისა და სხვა ეტაპების თარიღების გადავადება, გაგრძელების შემთხვევის დადგომის გამო

(a) „დასრულების დაგეგმილი თარიღი“, „საბოლოოდ დასრულების დაგეგმილი თარიღი“ ან სხვა „ეტაპების თარიღები“, რომლებიც მითითებულია 4.1 მუხლში (*„წინასამშენებლო ეტაპი“*), 4.2 მუხლში (*„მშენებლობის ეტაპი“*) და დანართი #3-ში (*„ეტაპების ცხრილი“*) ექვემდებარება გადავადებას ქვემოთ ჩამოთვლილი ნებისმიერი გარემოების დადგომის შემთხვევაში („გაგრძელების შემთხვევები“ და თითოეული ინდივიდუალურად „გაგრძელების შემთხვევა“), თუმცა, იმ პირობით, რომ მსგავსი გარემოებები იწვევს ვადაგადაცილებას და, რომ ვადების გადავადება მოხდება არანაკლებ იმ ვადით, რა ვადითაც მოხდა შესრულების დაყოვნება ქვემოთ მითითებული გარემოებების გამო. აღნიშნული გარემოებებია:

(i) „ფორს მაჟორის შემთხვევა“;

(ii) „კანონმდებლობაში“ განხორციელებული ცვლილებები;

(iii) „მთავრობის დეფოლტის შემთხვევა“ (როგორც ეს განმარტებულია 9.1.2 მუხლში (*„მთავრობის დეფოლტის შემთხვევები“*)). „ეტაპების თარიღები“ გაგრძელდება იმ ვადით, რაც საჭიროა „მთავრობის“ მიერ დარღვევის გამოსწორებისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), იმ შემთხვევაშიც კი,

თუკი დარღვევის გამოსწორება მოხდება გამოსწორებისთვის დადგენილი ვადის განმავლობაში;

(iv) რომელიმე „სახარო დაწესებულებას“ ან მისი წარმომადგენლის, მათ შორის „შესაბამისი სახარო დაწესებულების“ ან მისი წარმომადგენლის, რომლებიც არიან „საპროექტო ხელშეკრულებების“ მხარეები, მხრიდან უკანონო ქმედება, უმოქმედობა ან ვალდებულების (სრულად ან ნაწილობრივ) შეუსრულებლობა;

(v) „მთავრობის“ მხრიდან დეფოლტის, უკანონო ქმედების, უმოქმედობის ან ვალდებულებების სრულად თუ ნაწილობრივ შეუსრულებლობის ნებისმიერი სხვა შემთხვევა;

(vi) „ხელშეკრულების“ ხელმოწერის შემდგომ „საქართველოს კანონმდებლობის“ მიღება, გამოქვეყნება, ძალაში შესვლა, გაუქმება ან განახლება (გარდა ისეთი განახლებისა, რომელიც ახდენს „საქართველოს კანონმდებლობის“ მხოლოდ კონსოლიდირებას ან კოდიფიცირებას), ცვლილება, გავრცელების, ინტერპრეტაციის ცვლილება ან მოდიფიცირება (მათ შორის „გადასახადებთან“ „ქსელის წესებთან“ ან „ბაზრის წესებთან“ დაკავშირებით), რაც გამოწვეულია „სამშენებლო მოედნის“ გეოგრაფიული, გეოლოგიური, ჰიდროგრაფიული თავისებურებებით ან გარემოებებით, რომლებიც ვრცელდება მხოლოდ „კომპანიაზე“ ან „პროექტთან“ დაკავშირებული მისი კონტრაქტორების / ოპერატორების საქმიანობაზე და „კომპანიის“ ან ზემოთ მითითებული კონტრაქტორების / ოპერატორების მსგავსად, არ ვრცელდება არცერთ სხვა პირზე ან პირებზე;

(vii) „სამშენებლო მოედანზე“ მიწისქვეშა პირობების არსებითი განსხვავება „ძირითადი დიზაინით“ და „გზის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლით“ გათვალისწინებული მონაცემებისგან; და

(viii) წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა შემთხვევა, რაც წარმოადგენს „გაგრძელების შემთხვევას“.

(b) წინამდებარე 4.2.5 მუხლის (*„დასრულების დაგეგმილი თარიღისა და სხვა ეტაპების თარიღების გადავადება, გაგრძელების შემთხვევის დადგომის გამო“*) მიზნებისთვის და ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ნებისმიერი შემთხვევა, რომელიც გამოწვეულია მესამე პირის (გარდა „სახარო დაწესებულებისა“), რომელიც „პროექტთან“ დაკავშირებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფება „კომპანიასთან“, მიერ ვალდებულებების დარღვევით ან დეფოლტით, უფლებას არ ანიჭებს „კომპანიას“ მოითხოვოს ვადის გაგრძელება, გარდა

იმ შემთხვევისა, თუკი მსგავსი შემთხვევა შეფასდება როგორც „ფორს მაჟორის შემთხვევა“.

(c) „გაგრძელების შემთხვევის“ წარმოშობიდან შესაძლო უმოკლეს ვადაში „კომპანია“ გაუგზავნის „მთავრობას“ შეტყობინებას „დასრულების დაგეგმილი თარიღის“ და სხვა „ეტაპების თარიღების“, რომლებიც მითითებულია 4.1 მუხლში (*„წინასამშენებლო ეტაპი“*), 4.2 მუხლში (*„მშენებლობის ეტაპი“*) და დანართ #3-ში (*„ეტაპების ცხრილი“*) ცვლილების პროცედურის დაწყების მოთხოვნით. შეტყობინება უნდა შეიცავდეს „კომპანიის“ გადაწყვეტილებით (გონივრულობის ფარგლებში) მოთხოვნილ დამატებით ვადას, რომელიც საჭიროა „გაგრძელების შემთხვევის“ აღმოფხვრისთვის და ნებისმიერ შემთხვევაში არ უნდა იყოს იმ ვადაზე ნაკლები, რა ვადითაც „კომპანია“ ყოვნდება, ფერხდება, ან მას ხელი ეშლება „საპროექტო ხელშეკრულებებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში.

(d) „მთავრობა“ ვალდებულია „კომპანიის“ შეტყობინების მიღებიდან ოთხმოცდაათი (90) დღის ვადაში აცნობოს „კომპანიას“ ეთანხმება თუ უარს ამბობს „დასრულების დაგეგმილი თარიღის“ და სხვა „ეტაპების თარიღების“, რომლებიც მითითებულია 4.1 მუხლში (*„წინასამშენებლო ეტაპი“*), 4.2 მუხლში (*„მშენებლობის ეტაპი“*) და დანართ #3-ში (*„ეტაპების ცხრილი“*) ცვლილებაზე, იმ პირობით, რომ ნებისმიერ შემთხვევაში „კომპანიისთვის“ დაწესებული დამატებითი ვადა არ იქნება იმ ვადაზე ნაკლები, რა ვადითაც „კომპანია“ „გაგრძელების შემთხვევის“ გამო ყოვნდება, ფერხდება, ან მას ხელი ეშლება „საპროექტო ხელშეკრულებებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში. „მთავრობის“ მიერ ვადების ცვლილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ნებისმიერი „მხარე“ უფლებამოსილია გადაწყვეტილებისთვის მიმართოს „ტექნიკურ ექსპერტს“. „ტექნიკური ექსპერტის“ მიერ დასკვნის მომზადების დასრულებამდე, ვადები ჩაითვლება გაგრძელებულად „კომპანიის“ მიერ წინამდებარე მუხლის (c) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შეტყობინებაში მითითებული ვადით. ცვლილების გაფორმება მოხდება „მთავრობის“ მიერ ვადის გაგრძელებაზე თანხმობის ან „ტექნიკური ექსპერტის“ მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან ოცდაათი (30) დღის ვადაში, წინამდებარე „ხელშეკრულების“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუკი ოცდაათ (30) დღიან ვადაში არ მოხდება ცვლილებების გაფორმება, ან „მთავრობა“ არ მიაწვდის „კომპანიას“ პასუხს ზემოხსენებული ოთხმოცდაათ (90) დღიანი ვადის განმავლობაში, „ხელშეკრულების“ ცვლილება ჩაითვლება განხორციელებულად, „კომპანიის“ მიერ 4.2.5 (c) მუხლის (*„დასრულების დაგეგმილი თარიღისა და სხვა ეტაპების თარიღების გადავადება, გაგრძელების შემთხვევის დადგომის გამო“*) შესაბამისად წარდგენილ შეტყობინებაში მითითებული ვადების მიხედვით.

(e) ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, „კომპანია“ წინამდებარე „ხელშეკრულების“ საფუძველზე თავისუფლდება „მთავრობისთვის“ ყოველგვარი თანხის გადახდის ვალდებულებისგან, რომელიც უკავშირდება „გაგრძელების შემთხვევის“ დადგომის გამო ვადაგადაცილებას, მათ შორის, პირგასამტეხლოს,

„ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე ზიანის ან კომპენსაციის ან წებისმიერი სხვა თანხის გადახდის ვალდებულებისგან.

(f) ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, წინამდებარე 4.2.5 მუხლი (*„დასრულების დაგეგმილი თარიღისა და სხვა ეტაპების თარიღების გადავადება, გაგრძელების შემთხვევის დადგომის გამო“*) არ ზღუდავს „კომპანიის“ უფლებას შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“ 9.2.2 მუხლის (*„კომპანიის მხრიდან ამ ხელშეკრულების შეწყვეტა“*) შესაბამისად, თუკი „კომპანია“ გადაწყვეტს აღნიშნული უფლების გამოყენებას.

4.2.6. სადგურების მშენებლობის მონიტორინგი და ინსპექტირება

(a) გარდა „საქართველოს კანონმდებლობით“ და წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მონიტორინგისა და ინსპექტირებისა, რომელიც შესაძლოა განახორციელონ შესაბამისმა „საჯარო დაწესებულებებმა“ (მათ შორის, „მთავრობის წარმომადგენლმა“), „მთავრობა“ ან „მთავრობის წარმომადგენელი“ უფლებამოსილია საკუთარი რისკით განახორციელოს მშენებლობის მონიტორინგი და ინსპექტირება შესაბამისი „მშენებლობის ეტაპის“ მიმდინარეობისას (შესაბამისი „სადგურის“ „საბოლოოდ დასრულების თარიღის“ დადგომამდე), „კომპანიის“ წარმომადგენლის თანდასწრებით და „კომპანიისათვის“ გონივრული ვადით (მინიმუმ 48 საათით) ადრე გაგზავნილი შეტყობინებებით; თუმცა, იმ პირობით, რომ:

(i) მსგავსი მონიტორინგი და ინსპექტირება არ გამოიწვევს მშენებლობის პროცესის შეფერხებას ან ამ პროცესში ჩარევას, მშენებლობის პროცესის ჩაშლას ან არ წარმოშობს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებს; და

(ii) ვიზიტორები დაემორჩილებიან „კომპანიის“ ან მისი კონტრაქტორების ინსტრუქციებსა და მითითებებს ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოსდაცვით საკითხებზე.

(b) „მთავრობა“ ან „მთავრობის წარმომადგენელი“ ვალდებულია გაიღოს მის მიერ „სადგურების“ მშენებლობის პროცესის მონიტორინგის და ინსპექტირების ხარჯები (მოგზაურობის, ცხოვრების და სხვ.), გარდა იმ შემთხვევისა თუკი მონიტორინგი და/ან ინსპექტირება გამოავლენს მშენებლობის, მასალების, მოწყობილობების და მანქანა-დანადგარების ნაკლს, რა დროსაც ხარჯების გაღების ვალდებულება წარმოეშვება „კომპანიას“.

(c) „კომპანია“ და მისი წარმომადგენლები (ასევე, „დამფინანსებელი მხარეები“ და მათი წარმომადგენლები) უფლებამოსილნი არიან საკუთარი რისკითა და ხარჯით

მოინახულონ და შეამოწმონ „გადამცემი ხაზების“ მშენებლობა, გონივრული ვადით ადრე გაგზავნილი წინასწარი შეტყობინებით; იმ პირობით, რომ:

(i) მსგავსი მონიტორინგი და ინსპექტირება არ გამოიწვევს მშენებლობის პროცესის შეფერხებას ან ამ პროცესში ჩარევას, მშენებლობის პროცესის ჩაშლას ან არ წარმოშობს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებს; და

(ii) ვიზიტორები დაემორჩილებიან ინსტრუქციებსა და მითითებებს ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოსდაცვით საკითხებზე.

4.2.7. სხვა ვალდებულებები

„კომპანია“ ვალდებულია:

(a) უზრუნველყოს „მთავრობის“ და „მთავრობის წარმომადგენლის“ წვდომა „სადგურებთან“ და „სამშენებლო მოედანთან“, „კომპანიის“ გონივრული ვადით ადრე ინფორმირებითა და იმ პირობით, რომ აღნიშნული წვდომა არ შეაფერხებს ან ჩაშლის მშენებლობის პროცესს;

(b) „მთავრობის წარმომადგენლის“ გონივრული მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ნებისმიერი ნახაზისა და საპროექტო დოკუმენტების ასლები. აღნიშნული დოკუმენტები არის კონფიდენციალური და „მთავრობა“ უფლებამოსილია გამოიყენოს ისინი მხოლოდ „პროექტისთვის“;

(c) თავიდან აიცილოს და/ან აკონტროლოს „სამშენებლო სამუშაოებით“ გამოწვეული გარემოს დაბინძურება „საქართველოს კანონმდებლობით“ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

(d) „სამშენებლო მოედნის“ ტერიტორიაზე მიიღოს უსაფრთხოების ზომები „საქართველოს კანონმდებლობის“ შესაბამისად; უზრუნველყოს სამშენებლო ნაგვისა და ნარჩენების განკარგვა „საქართველოს კანონმდებლობისა“ და „ინდუსტრიის კარგი პრაქტიკის“ გათვალისწინებით; და

(e) უზრუნველყოს სამშენებლო ნაგვისა და ნარჩენების განკარგვა „საქართველოს კანონმდებლობისა“ და „ინდუსტრიის კარგი პრაქტიკის“ გათვალისწინებით; და

(f) აღმოფხვრას „სადგურების“ „დეტალური დიზაინის“, ინჟინერიის, შესყიდვების, მშენებლობისა და გამოცდის ტესტების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები, წინამდებარე „ხელშეკრულების“ შესაბამისად და „ინდუსტრიის კარგი პრაქტიკით“

ჩამოყალიბებული წესით და აღნიშნული ხარვეზების შესახებ წარუდგინოს ინფორმაცია „მთავრობას“ და „მთავრობის წარმომადგენელს“.

4.2.8. ექსპლოატაციაში მიღების პროცედურა

„კომპანია“ „სადგურების“ ექსპლოატაციაში მიღებას და გამოცდის ტესტებს განახორციელებს „საქართველოს კანონმდებლობისა“ და „ბაზრის წესების“ შესაბამისად.

4.2.9. დასრულების შემდგომი ვალდებულებები

(a) ნახაზებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის მიწოდება

ყოველი „დასრულების თარიღის“ გასვლიდან არაუმეტეს ექვსი (6) თვის ვადაში, „კომპანია“ ვალდებულია წარუდგინოს „მთავრობის წარმომადგენელს“ შემდეგი დოკუმენტები:

(i) „სადგურის“ დიზაინთან და მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა ტექნიკური მონაცემი (მათ შორის, დიზაინის ანგარიში, კალკულაცია და დიზაინის დოკუმენტაცია), როგორც ბეჭდური სახით (შესაძლებლობის შემთხვევაში), ასევე ელექტრონული ფორმით, მათ შორის, ყველა აუცილებელი ელექტრონული ინსტრუქცია, თითოეული ორ (2) ეგზემპლარად;

(ii) მოწყობილობების ტექნიკური დოკუმენტები და ნახაზები, მათ შორის, ორიგინალი ნახაზები (მიმდინარე ნახაზების ჩათვლით), დოკუმენტაცია, ინსტრუქციები და ხარისხის სერთიფიკატები, მონტაჟისა და ინსპექტირების ჩანაწერები, როგორც ბეჭდური სახით (შესაძლებლობის შემთხვევაში), ასევე ელექტრონული ფორმით, მათ შორის, ყველა აუცილებელი ელექტრონული ინსტრუქცია, თითოეული ორ (2) ეგზემპლარად; და

(iii) სხვა ნებისმიერი ტექნიკური დოკუმენტი ან ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ „სადგურთან“ და გონივრულობის ფარგლებში მოთხოვნილია „მთავრობის წარმომადგენლის“ მიერ, როგორც ბეჭდური სახით (შესაძლებლობის შემთხვევაში), ასევე ელექტრონული ფორმით, როგორც ამას „მთავრობა“ მოითხოვს ხსენებული დოკუმენტაციისა და ინფორმაციის წარდგენამდე, ასევე ყველა აუცილებელი ელექტრონული ინსტრუქცია, თითოეული ორ (ეგზემპლარად).

აღნიშნული დოკუმენტები არის კონფიდენციალური და „მთავრობა“ უფლებამოსილია გამოიყენოს ისინი მხოლოდ „პროექტისთვის“.

(b) ინტელექტუალური საკუთრების უფლება

„კომპანია“ გარანტიას აძლევს „მთავრობას“, რომ მას გააჩნია „სადგურების“ დიზაინის სამუშაოების და მშენებლობის პროცესში გამოყენებული ნებისმიერი და ყველა დოკუმენტის საკუთრების ან გამოყენების უფლება, რომლებიც დაცულია ინტელექტუალური საკუთრების უფლებით. „კომპანია“ გაათავისუფლებს და დაიცავს „მთავრობას“ ყველა იმ ზიანის, ხარჯის, სახდელის ან პასუხისმგებლობისგან, რაც გამომდინარეობს ან უკავშირდება „კომპანიის“ მიერ განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევას.

4.2.10. სამშენებლო სამუშაოების მიტოვება და მშენებლობის შესრულების გარანტიის განაღდება

(a) სამშენებლო სამუშაოების მიტოვება ან მიტოვებულად მიჩნევა

„კომპანიის“ მიერ „პროექტის“ მშენებლობა მიიჩნევა მიტოვებულად, იმ შემთხვევაში თუ, „კომპანია“ „გაგრძელების შემთხვევების“ არსებობის გარდა, ნებისმიერ სხვა შემთხვევაში:

(i) ატყობინებს „მთავრობას“ გადაწყვეტილებას „სადგურების“ „სამშენებლო სამუშაოების“ სრულად ან ნაწილობრივ მიტოვების შესახებ;

(ii) „დაფინანსების დოკუმენტების“ შესაბამისად, „პროექტის“ შემაფერხებელი „ფორს მაჟორის შემთხვევის“ დასრულებიდან ოთხმოცდაათი (90) დღის ვადაში არ განაახლებს „სამშენებლო სამუშაოების“ სრულად არ ნაწილობრივ განხორციელებას;

(iii) შეაჩერებს „სამშენებლო სამუშაოების“ ან მათი არსებითი ნაწილის წარმოებას ზედიზედ ოთხმოცდაათი (90) კალენდარული დღის განმავლობაში; ან

(iv) „დასრულების დაგეგმილ თარიღამდე“ მის მიერ ან მისი სამშენებლო კონტრაქტორის ქმედების შედეგად, „სამშენებლო მოედანიდან“ სრულად ან აბსოლუტური უმრავლესობით მოხდება პერსონალის გახმობა, იმ პირობით, რომ:

(A) პერსონალის მსგავსი გახმობა გამოიწვევს „სამშენებლო სამუშაოების“ სრულად შეწყვეტას; და

(B) მშენებლობის გაგრძელების მიზნით სამშენებლო კონტრაქტორის ჩანაცვლება არ მოხდება მშენებლობის შეწყვეტიდან ოთხმოცდაათი (90) დღის ვადაში.

სამშენებლო სამუშაოების მიტოვება მალაში შედის ან სამუშაოები მიტოვებულად ჩაითვლება პარაგრაფი (i)-ის შემთხვევაში, შესაბამის შეტყობინების თარიღზე, ხოლო (ii)-(iv) პარაგრაფების შემთხვევაში, ამავე პარაგრაფებში მითითებული საშეღავათო პერიოდების ამოწურვისთანავე.

(b) მთავრობის მიერ სახელშეკრულებო გარანტიის განაღდების უფლება

7.1 მუხლის (*„წინასამშენებლო ეტაპის გარანტია“*) და 7.2 მუხლის (*„მშენებლობის დასრულების გარანტია“*) პირობების შეუზღუდავად, „კომპანიის“ მიერ 4.2.10 (a) მუხლის შესაბამისად (*„სამშენებლო სამუშაოების მიტოვება ან მიტოვებულად მიჩნევა“*), „სადგურის“ მშენებლობის მიტოვების ან მიტოვებულად მიჩნევის შემთხვევაში, „მთავრობა“ უფლებამოსილია გაანაღდოს ნებისმიერი თანხა, რომელიც ხელმისაწვდომია შესაბამისი „სახელშეკრულებო გარანტიის“ ფარგლებში.

4.2.11. მოწყობილობები და აღჭურვილობა, გარანტიები სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით

„კომპანია“ გარანტიას იძლევა, რომ „სამშენებლო ეტაპზე“ „სამშენებლო სამუშაოების“ წარმოებისას ან აღნიშნულ სამუშაოებში გამოყენებული ყველა მოწყობილობა შესაბამისობაში იქნება „საქართველოს კანონმდებლობით“ დადგენილ მოთხოვნებთან, მათ შორის, გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან, ისევე როგორც ზოგადად აღიარებულ სტანდარტებთან, რომლებიც ვრცელდება „სადგურების“ მსგავსი ზომისა და ტიპის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ჰიდროელექტრო სადგურების პროექტებზე, იმ პირობით, რომ „კომპანიის“ მიერ შერჩეული ნებისმიერი სტანდარტი შესაბამისობაში იქნება „ინდუსტრიის კარგ პრაქტიკასთან“, გარდა იმ შემთხვევისა თუკი „მხარეები“ სხვაგვარად შეთანხმდებიან.

4.2.12. პერსონალი

„კომპანიამ“ უნდა მიმართოს ყველა კომერციულად გონივრულ მცდელობას, რათა შესაბამის „მშენებლობის ეტაპზე“ (შესაბამისი „სადგურის“ „საბოლოოდ დასრულების თარიღის“ დადგომამდე) შესაბამის „სადგურზე (და დაკავშირებულ „გზებზე“) “დასაქმებულთა საშუალოდ ორმოცდაათი პროცენტი (50%) იქნება საქართველოს მოქალაქე („კომპანიის“ თანამშრომლებისა და „კომპანიის“ მიერ „პროექტის“ სამშენებლო სამუშაოების წარმოების მიზნით დაქირავებული პირების ჩათვლით). აღნიშნული ვალდებულების შესრულება დროის ნებისმიერ მონაკვეთში დამოკიდებულია საკმარისი კვალიფიკაციის მქონე საქართველოს მოქალაქეების ხელმისაწვდომობაზე, რომლებიც იმუშავებენ იმ კომერციული პირობებით, რომლითაც უცხოელი მოქალაქეები იმუშავებენ.

4.2.13. გზების გადაცემის წესი

„კომპანია“ ვალდებულია „გზების დეპარტამენტს“ ან შესაბამის მუნიციპალიტეტებს, საჭიროების შესაბამისად, გადასცეს „გზები“, „საქართველოს კანონმდებლობის“ შესაბამისად მათი დასრულებისა და ექსპლოატაციაში შეყვანის შემდეგ. „გზების დეპარტამენტი“ ან შესაბამისი მუნიციპალიტეტები, საჭიროების შესაბამისად, ვალდებულნი არიან მიიღონ „გზები“ და ხელი მოაწერონ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს, „გზების“ ან მათი თითოეული ნაწილის ექსპლოატაციაში შესვლიდან (რაც დადასტურდება „ექსპლოატაციაში მიღების აქტით“) თხუთმეტი (15) დღის ვადაში, ხოლო „მთავრობა“ უზრუნველყოფს „გზების დეპარტამენტის“ ან შესაბამისი მუნიციპალიტეტების მიერ „გზების“ გადაცემასთან დაკავშირებული ვალდებულებების დროულად და ჯეროვნად შესრულებას.

4.3. ოპერირების ეტაპი

4.3.1. „კომპანიის“ ვალდებულებები

თითოეული „ოპერირების ეტაპის“ განმავლობაში „კომპანია“ ვალდებულია:

(a) დაიწყოს შესაბამისი „სადგურის“ ოპერირება;

(b) გონივრულ ვადაში გაარემონტოს ან აღადგინოს შესაბამისი „სადგური“ ოპერირებად მდგომარეობამდე „ინდუსტრიის კარგი პრაქტიკის“ შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი „სადგური“ ან მისი ნაწილები განადგურდება;

(c) განახორციელოს შესაბამისი „სადგურის“ ოპერირება და მოვლა-პატრონობა;

(d) დაიცვას 4.3.2 (*ელექტროენერგიის გაყიდვა და დისპეტჩერიზაცია*) და 4.3.3 (*საოპერაციო და მოვლა-პატრონობის ხარჯები*) მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

(e) „სადგურების“ ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის მიზნით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს „საქართველოს კანონმდებლობისა“ და „ინდუსტრიის კარგი პრაქტიკის“ შესაბამისად;

(f) „მთავრობას“ წარუდგინოს (i) „კომპანიის“ აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშგების ასლი, (ii) წლიური ანგარიში „სადგურების“ ნებისმიერი დაგეგმილი თუ დაუგეგმავი სარემონტო სამუშაოების შესახებ, და (iii) შეტყობინება შედარებით მნიშვნელოვან საგანგებო მოვლენებთან დაკავშირებით, კერძოდ, ჯანმრთელობის,

გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. (i) და (ii) პუნქტებში მოხსენებული (წინა წლის შესახებ მომზადებული) ანგარიშების, წარდგენა უნდა მოხდეს ყოველი წლის ბოლოსთვის, ხოლო (iii) პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების წარდგენა უნდა მოხდეს მოვლენის დადგომიდან ათი (10) „სამუშაო დღის“ ვადაში;

(g) მიმართოს ყველა კომერციულად გონივრულ ზომას, რათა შესაბამისი „სადგურის“ „საბოლოოდ დასრულების თარიღიდან“ პირველი ათი (10) წლის განმავლობაში, საშუალოდ ამ პერიოდის განმავლობაში, შესაბამის „სადგურთან“ დაკავშირებით „კომპანიაში“ დასაქმებულ თანამშრომლებიდან არანაკლებ სამოცდაათი პროცენტი (70%) იყოს საქართველოს მოქალაქე (იმ შემთხვევაში, თუ ხელმისაწვდომი იქნება სათანადოდ კვალიფიციური საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც იმუშავებენ იმ კომერციული პირობებით, რომლითაც მუშაობენ უცხოეთის მოქალაქეები); და

(h) მიმართოს ყველა კომერციულად გონივრულ ზომას, რათა შესაბამისი „სადგურის“ „საბოლოოდ დასრულების თარიღის“ დადგომიდან მეთერთმეტე (11) წლიდან, ყოველწლიურად, შესაბამის „სადგურთან“ დაკავშირებით „კომპანიაში“ დასაქმებული თანამშრომლებიდან არანაკლებ ოთხმოცი პროცენტი (80%) იყოს საქართველოს მოქალაქე (იმ შემთხვევაში, თუ ხელმისაწვდომი იქნება სათანადოდ კვალიფიციური საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც იმუშავებენ იმ კომერციული პირობებით, რომლითაც მუშაობენ უცხოეთის მოქალაქეები).

4.3.2. ელექტროენერგიის გაყიდვა და დისპეტჩერიზაცია

(a) გაყიდვა და დისპეტჩერიზაცია გამოცდისა და ექსპლოატაციაში მიღების დროს

ნებისმიერი „სადგურის“ „კომერციული ოპერირების თარიღის“ დადგომამდე, გამოცდისა და ექსპლოატაციაში მიღების განმავლობაში:

(i) „ესკო“ ვალდებულია გადაიხადოს საფასური ამ პერიოდში გამომუშავებული მთლიანი „წარმოებული ენერგიისთვის“ და „დისპეტჩერი“ ვალდებულია მოახდინოს ამ პერიოდის განმავლობაში ყოველდღიურად დეკლარირებული „საპროგნოზო წარმოებული ენერგიის“ დისპეტჩერიზაცია, თითოეულ შემთხვევაში იმ ფასით, რაც დადგენილია „ბაზრის წესების“ შესაბამისად;

(ii) „კომპანია“ არ არის პასუხისმგებელი გადაცემის ან დისპეტჩერიზაციისთვის რაიმე სახის გადასახადის გადახდაზე, რაც დაკავშირებულია „წარმოებულ ენერგიასთან“, გარდა იმ შემთხვევისა, თუ „კომპანია“ განახორციელებს „წარმოებული ენერგიის“ ექსპორტს საქართველოს საზღვრებს გარეთ; და

(iii) „დისპეტჩერი“ არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი კომპენსაციის გადახდაზე, რაც დაკავშირებულია ნებისმიერი ასეთი „საპროგნოზო წარმოებული ენერგიის“ დისპეტჩერიზაციის განუხორციელებლობასთან გამოცდისა და ექსპლოატაციაში მიღების პერიოდში.

(b) გაყიდვა და დისპეტჩერიზაცია თითოეული „PPA პერიოდის“ განმავლობაში

თითოეული „PPA პერიოდის“ განმავლობაში:

(i) „ესკო“ გადაიხდის ყველა „წარმოებული ენერგიის“ ღირებულებას მოქმედი „ტარიფით“;

(ii) „დისპეტჩერი“ მოახდენს „PPA პერიოდის“ განმავლობაში ყოველდღიურად დეკლარირებული „საპროგნოზო წარმოებული ენერგიის“ დისპეტჩერიზაციას და „დისპეტჩერი“, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც „დისპეჩერის“ მიერ „საპროგნოზო წარმოებული ენერგიის“ დისპეჩერიზაციის ვალდებულების დარღვევა განპირობებულია: (A) „კომპანიის“ ბრალით; ან (B) არ იწვევს “კომპანიის“ მიერ (რომელიც მოქმედებს „წყალსაცავის გაიდლაინების“ მიხედვით) “წყალსაცავიდან“ წყლის დაღვრას, აუნაზღაურებს „კომპანიას“ ყველა იმ „საპროგნოზო წარმოებულ ენერგიას“, რომლის დისპეტჩერიზაცია არ განხორციელდა, „კომპანიისთვის“ იმ თანხის გადახდით, რაც უტოლდება მოქმედ „ტარიფს“ ყველა იმ „საპროგნოზო წარმოებული ენერგიისთვის“, რომლის დისპეტჩერიზაცია არ განხორციელდა;

(iii) ზემოაღნიშნული (ii) პუნქტის გათვალისწინებით, „კომპანია“ თოთხმეტი (14) დღის ვადაში იმ თვის დასრულების შემდგომ, როცა არ განხორციელდება დისპეტჩერიზაცია, მიაწოდებს „დისპეტჩერსა“ და „მთავრობას“ ინვოისს იმ საერთო თანხაზე, რაც გადასახდელია „კომპანიისთვის“, ასევე ამ თანხის კალკულაციას, და „დისპეტჩერი“ გადაიხდის ამ თანხას არა უგვიანეს ოცდარვა 28 (ოცდარვა) დღისა იმ თვის დასრულების შემდგომ, როცა არ განხორციელდა დისპეტჩერიზაცია ან თოთხმეტ (14) დღეში ინვოისის მიღებიდან (თუ ეს თარიღი უფრო გვიან დადგება); და

(iv) „კომპანია“ არ არის პასუხისმგებელი გადაცემის ან დისპეტჩერიზაციისთვის რაიმე სახის გადასახადის გადახდაზე, რაც დაკავშირებულია ასეთ „წარმოებულ ენერგიასთან“, გარდა იმ

შემთხვევისა, თუ „კომპანია“ განახორციელებს „წარმოებული ენერგიის“ ექსპორტს საქართველოს საზღვრებს გარეთ;

(c) გაყიდვა და დისპეტჩერიზაცია „PPA პერიოდის“ გარეთ

(i) „ვადის“ განმავლობაში თითოეულ იმ პერიოდში, რაც არ არის „PPA პერიოდი“:

(A) „კომპანიას“ შეუძლია თავისუფლად განკარგოს მთლიანი „საპროგნოზო წარმოებული ენერგია“ და „სადგურებისგან“ წარმოებული ენერგია, საქართველოში ნებისმიერი „ელექტროენერგიის მყიდველისთვის“ მიყიდვით ან ასეთი ელექტროენერგიის საქართველოს საზღვრებს გარეთ ექსპორტის გზით;

(B) „მთავრობა“ აცნობიერებს, რომ „კომპანია“ შედის „პროექტში“ იმ ვარაუდით, რომ „გადაცემის სისტემის“ სიმძლავრე თურქეთსა და საქართველოს შორის შემდგომში გაიზრდება საქართველოსა და თურქეთს შორის 2012 წლის 20 იანვარს გაფორმებული „სამთავრობათშორისი ხელშეკრულების“ შესაბამისად;

(C) „დისპეტჩერი“ მოახდენს თითოეული პერიოდისთვის დღიურად დეკლარირებული „საპროგნოზო წარმოებული ენერგიის“ დისპეტჩერიზაციას (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „დისპეჩერის“ მიერ „საპროგნოზო წარმოებული ენერგიის“ დისპეტჩერიზაციის ვალდებულების დარღვევა გამოწვეულია „კომპანიის“ ბრალით) და აუნაზღაურებს „კომპანიას“ ყველა იმ „საპროგნოზო წარმოებულ ენერგიას“, რომლის დისპეტჩერიზაცია არ განხორციელდა „დისპეტჩერის“ მიერ ამ პერიოდში:

(1) მხოლოდ იმ ფარგლებში, როდესაც „დისპეჩერის“ მიერ „საპროგნოზო წარმოებული ენერგიის“ დისპეტჩერიზაციის ვალდებულების დარღვევა გამოიწვევს „კომპანიის“ (რომელიც მოქმედებს „წყალსაცავის გაიდლაინები“-ს მიხედვით) „წყალსაცავიდან“ წყლის დაღვრას, საათობრივი პერიოდის „საორიენტაციო ფასს“ იმ პერიოდისათვის, როდესაც „საპროგნოზო წარმოებული ენერგიის“ დისპეჩერიაზია არ მოხდა; ან

(2) მხოლოდ იმ ფარგლებში, როდესაც „დისპეჩერის“ მიერ „საპროგნოზო წარმოებული ენერგიის“ დისპეტჩერიზაციის ვალდებულების დარღვევა არ გამოიწვევს „კომპანიის“ (რომელიც მოქმედებს „წყალსაცავის გაიდლაინები“-ს

მიხედვით) „წყალსაცავიდან“ წყლის დაღვრას, იმ ოდენობით (ასეთის შემთხვევაში) რაც შეადგენს სხვაობას „საორიენტაციო ფასს“ იმ პერიოდისათვის როდესაც „საპროგნოზო წარმოებული ენერგიის“ დისპეჩერიაზია უნდა განხორციელებულიყო და სარეალიზაციო ფასს შორის იმ პერიოდისათვის როდესაც განუხორციელებლი „საპროგნოზო წარმოებული ენერგიის“ დისპეჩერიაზია ფაქტორბივად განხორციელდა;

(D) 4.3.2(c)(i)(C) მუხლის შესაბაამისად, „კომპანია“, თოთხმეტი (14) დღის ვადაში იმ თვის დასრულების შემდგომ, როცა არ განხორციელდება დისპეტჩერიზაცია, მიაწოდებს „დისპეტჩერსა“ და „მთავრობას“ ინვოისს იმ საერთო თანხაზე, რაც გადასახდელია „კომპანიისთვის“, ასევე ამ თანხის კალკულაციას, და „დისპეტჩერი“ გადაიხდის ამ თანხას არა უგვიანეს ოცდარვა (28) დღისა იმ თვის დასრულების შემდგომ, როცა არ განხორციელდა დისპეტჩერიზაცია ან „კომპანიის“ მხრიდან ინვოისის მიღებიდან თოთხმეტი (14) დღეში (თუ ეს თარიღი უფრო გვიან დადგება); და

(E) „კომპანია“ არ არის პასუხისმგებელი გადაცემის ან დისპეტჩერიზაციისთვის რაიმე სახის გადასახადის გადახდაზე, რაც დაკავშირებულია ასეთ „წარმოებულ ენერგიასთან“, ენერგიის საქართველოში გაყიდვისას.

(ii) 4.3.2(b) მუხლის *(ელექტროენერგიის გაყიდვა ან დისპეტჩერიზაცია თითოეული „PPA პერიოდის“ განმავლობაში)* და წინამდებარე 4.3.2(c) მუხლის *(ელექტროენერგიის გაყიდვა ან დისპეტჩერიზაცია „PPA პერიოდის“ გარეთ)* მიზნებისათვის, წყლის დაღვრის ტარიფი და „წყალსაცავიდან“ დაღვრილი წყლის მოცულობა გაიზომება და გამოითვლება მე-16 დანართის (*ენერგიის აღრიცხვა*) მე-9 პუნქტისა (*დაღვრილი წყლის მოცულობის გაზომვა*) და „წყალსაცავის გაიდლაინების“ მიხედვით.

(d) პროგნოზირება და დეკლარირება

(i) პირველი „სადგურის“ „კომერციული ოპერირების თარიღის“ დადგომისას და შემდგომ, „მთავრობა“ უზრუნველყოფს, რომ მთლიანი „საპროგნოზო წარმოებული ენერგია“, დეკლარირებული „კომპანიის“ მიერ წინამდებარე (d) პარაგრაფის (*პროგნოზირება და დეკლარირება*), ყოველთვის შეყვანილი იქნება „ენერგეტიკულ ბალანსში“.

(ii) გამოცდისა და ექსპლოატაციაში მიღების პერიოდის განმავლობაში, „კომპანია“ ვალდებულია წარუდგინოს „დისპეტჩერს“ პროგნოზი

სავარაუდო „წარმოებული ენერგიის“ შესახებ, რაც გამომუშავებულ იქნება ასეთი გამოცდის შედეგად, დანართი #15-ის (*პროგნოზირება და დისპეტჩერიზაცია*) მიხედვით.

(iii) თითოეული „PPA პერიოდის“ განმავლობაში, „კომპანია“ ვალდებულია მიაწოდოს „დისპეტჩერს“ პროგნოზირება დანართი #15-ის (*პროგნოზირება და დისპეტჩერიზაცია*) შესაბამისად.

(iv) „ვადის“ განმავლობაში თითოეულ იმ პერიოდში, რაც არ წარმოადგენს „PPA პერიოდს“, „კომპანია“ ვალდებულია წარუდგინოს „დისპეტჩერს“ პროგნოზირება დანართი #15-ის (*პროგნოზირება და დისპეტჩერიზაცია*) შესაბამისად.

(v) თითოეული დღის განმავლობაში „დისპეტჩერი“ უფლებამოსილია, 4.3.2(a)(i) (*გაყიდვა და დისპეტჩერიზაცია გამოცდისა და ექსპლოატაციაში მიღების დროს*) და 4.3.2(b)(ii) (*გაყიდვა და დისპეტჩერიზაცია თითოეული „PPA პერიოდის“ განმავლობაში*) და 4.3.2(c)(i)(C) *(გაყიდვა და დისპეტჩერიზაცია „PPA პერიოდის“ გარეთ*) მუხლების შესაბამისად, ინსტრუქცია მისცეს „კომპანიას“, რომ მოახდინოს „წარმოებული ენერგიის“ წარმოება და „მიწოდების პუნქტამდე“ მიწოდება არაუმეტეს „საპროგნოზო წარმოებული ენერგიისა“ „წყალსაცავის გაიდლაინების“ მიხედვით.

(vi) ნებისმიერ დღიურ „საპროგნოზო წარმოებულ ენერგიას“ და „წყალსაცავის გაიდლაინებს“ შორის შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, „კომპანია“ ვალდებულია დააკორექტიროს დღიური „საპროგნოზო წარმოებული ენერგია“. ასეთ კორექტირებას ასევე ექნება რეტროსპექტული ეფექტი და „კომპანია“ ვალდებულია აანაზღაუროს „დისპეტჩერის“ მიერ „საპროგნოზო წარმოებული ენერგიის“ სიმძლავრის დისპეტჩერიზაციის განუხორციელებლობის გამო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდილი თანხები, არაზუსტ დღიურ „საპროგნოზო წარმოებულ ენერგიას“ და კორექტირებულ „საპროგნოზო წარმოებულ ენერგიას“ შორის სხვაობის მიხედვით.

(e) დამხმარე მომსახურება

(i) „კომპანია“:

(A) ვალდებულია უზრუნველყოს, სულ მცირე, პირველადი რეზერვის, მეორადი რეზერვის, მესამედი რეზერვის, მაბვის კონტროლის და ე.წ. შავი სტარტის

მომსახურებობების მიწოდება, თითოეულ შემთხვევაში „ქსელის წესების“ შესაბამისად; და

(B) უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერ სამომავლო რეზერვის ან სიმძლავრის ბაზარზე საქართველოში „PPA პერიოდის“ განმავლობაში და „PPA პერიოდის“ გარეთ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

და უფლებამოსილია „ქსელის წესების“ ან/და შესაბამისი წესების მიხედვით, “ტარიფზე“ დამატებით და მისგან დამოუკიდებლად, მიიღოს საზღაური ყველა მიწოდებული დამხმარე/სარეზერვო/სიმძლავრის ბაზრის მომსახურებისთვის.

(ii) 4.3.2(e)(i) მუხლის დებულებების შეუზღუდავად, როდესაც „კომპანია“ განახორციელებს დამხმარე/სარეზერვო/სიმძლავრის ბაზრის მომსახურებების მიწოდებას, „კომპანია“ კომპენსაციას მიიღებს „დისპეტჩერისგან“ 4.3.2(b) (*გაყიდვა და დისპეტჩერიზაცია თითოეული „PPA პერიოდის“ განმავლობაში*) მუხლის ან 4.3.2(c) (*გაყიდვა და დისპეტჩერიზაცია თითოეული „PPA პერიოდის“ გარეთ*) მუხლის (შესაბამის შემთხვევაში) შესაბამისად, ისე, თითქოს არ განხორციელებულა „საპროგნოზო წარმოებული ენერგიის“ დისპეტჩერიზაცია, მაგრამ მთლიანი თანხა, რასაც „კომპანია“ მიიღებს ასეთი დამხმარე/სარეზერვო/სიმძლავრის ბაზრის მომსახურებების მიწოდებაში, არ უნდა აღემატებოდეს (რომელიც უფრო მაღალი იქნება):

(A) „კომპანიისთვის“ „ქსელის წესების“ ან შესაბამისი წესების თანახმად გადასახდელ თანხას; ან

(B) „კომპანიისთვის“ 4.3.2(b) (*გაყიდვა და დისპეტჩერიზაცია თითოეული „PPA პერიოდის“ განმავლობაში*) მუხლის ან 4.3.2(c) (*გაყიდვა და დისპეტჩერიზაცია თითოეული „PPA პერიოდის“ გარეთ*) მუხლის (შესაბამის შემთხვევაში) შესაბამისად გადასახდელ თანხას;

(f) „წყალსაცავის“ ოპერაციები

„კომპანია“ უფლებამოსილია გამოიყენოს წყლის რესურსები „წყალსაცავში“ იმისთვის, რომ მაქსიმუმამდე მიიყვანოს ასეთი წყლის რესურსების ღირებულება, „წყალსაცავის“ მოხმარების შესახებ „წყალსაცავის გაიდლაინებში“ მოცემული რეგულაციების, 4.3.2(e) მუხლში აღწერილი დამხმარე/სისტემის მომსახურების საჭიროებისა და „დისპეტჩერიზაციის ინსტრუქციები“ გათვალისწინებით.

(g) ბაზრის წესები

ხელშეკრულების ვადის განმავლობაში, 8.2.5 *(კანონმდებლობის ცვლილების)* მუხლის შეზღუდვის გარეშე, თუ საქართველოს ელექტროენერგიის სისტემის ოპერირების და/ან ელექტროენერგიით ვაჭრობის მარეგულირებელი კანონმდებლობა შეიცვლება ან შეივსება, მხარეები ყველა ღონეს

მიმართავენ, რათა ხელახლა მოილაპარაკონ 4.3.2*(გაყიდვა და დისპეტჩერიზაცია თითოეული „PPA პერიოდის“ განმავლობაში)* და 4.3.2(c) *(გაყიდვა და დისპეტჩერიზაცია „PPA პერიოდის“ გარეთ)* მუხლები, რათა ასახულ იქნას შესაბამისი ცვლილებები ან დამატებები იმგვარად, რომ შენარჩუნდეს „კომპანიის“ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ეკონომიკური და ფინანსური პოზიცია.

4.3.3. საოპერაციო და მოვლა-პატრონობის ხარჯები

„კომპანიამ“ უნდა განახორციელოს „სადგურების“ ოპერირება და მოვლა-პატრონობა მისივე ხარჯით, ასევე გადაიხადოს „საქართველოს კანონმდებლობით“ განსაზღვრული ნებისმიერი მოსაკრებელი და გადასახადი „სადგურების“ ოპერირებასა და მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით, ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „კანონმდებლობის ცვლილების“ დებულებების შეუზღუდავად.

4.3.4. „წყალსაცავის გაიდლაინები“

(a) „წყალსაცავის გაიდლაინებს“ სავალდებულო ძალა ექნება „დისპეტჩერისა“ და „კომპანიისთვის“ და მასში ცვლილებების შეტანა შესაძლებელი იქნება მხოლოდ „დისპეტჩერისა“ და „კომპანიის“ ერთობლივი შეთანხმებით (და, „დაფინანსების დოკუმენტებით“ გათვალისწინებული საბოლოო დაფარვის თარიღამდე, იმის გათვალისწინებით, რომ „გამსესხებლების“ “დამოუკიდებელმა ინჟინერმა“ დაადასტურა ასეთი ცვლილებები).

(b) იმ შემთხვევაში, თუ არსებობს „დავა“ „წყალსაცავის გაიდლაინებთან“ დაკავშირებით, მაშინ ასეთი „დავა“ უნდა გადაწყდეს 12.2 მუხლის (*ტექნიკური ექსპერტი*) შესაბამისად.

4.4. „პირგასამტეხლო“ „პროექტის“ სხვადასხვა ეტაპზე

4.4.1. 4.2.5 მუხლის (*დასრულების დაგეგმილი თარიღისა და სხვა ეტაპების თარიღების გადავადება გაგრძელების შემთხვევის დადგომის გამო*) გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, თუ „კომპანია“ „სადგურთან“ მიმართებით დააგვიანებს შესაბამისი „მშენებლობის დაწყების თარიღის“ ან „დასრულების თარიღის“ მიღწევას (შესაბამის შემთხვევაში) იმ შესაბამისი თარიღისათვის, რომელიც განსაზღვრულია დანართ #3-ში (*ეტაპების ცხრილი*), და თუ ამგვარი დაგვიანება არ ჩაითვლება საპატიოდ წინამდებარე „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად, „მთავრობა“ უფლებამოსილია მოსთხოვოს „კომპანიას“ ქვემოთ მოცემული თანხები პირგასამტეხლოს („პირგასამტეხლო“) სახით, თითოეულ შემთხვევაზე:

(a) ქვემო ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურთან მიმართებაში:

დაგეგმილი „მშენებლობის დაწყების თარიღი“	„დასრულების დაგეგმილი თარიღი“

750 აშშ დოლარი თითოეულ (ვადაგადაცილებულ) დღეზე პირველი დღიდან 30-ე დღის ჩათვლით;	1,500 აშშ დოლარი თითოეულ (ვადაგადაცილებულ) დღეზე პირველი დღიდან 30-ე დღის ჩათვლით;
1,500 აშშ დოლარი თითოეულ (ვადაგადაცილებულ) დღეზე 31-ე დღიდან მე-60 დღის ჩათვლით;	3,000 აშშ დოლარი თითოეულ (ვადაგადაცილებულ) დღეზე 31-ე დღიდან მე-60 დღის ჩათვლით;
3,000 აშშ დოლარი თითოეულ (ვადაგადაცილებულ) დღეზე 61-ე დღიდან 90-ე დღის ჩათვლით;	6,000 აშშ დოლარი თითოეულ (ვადაგადაცილებულ) დღეზე 61-ე დღიდან 90-ე დღის ჩათვლით;
6,000 აშშ დოლარი თითოეულ (ვადაგადაცილებულ) დღეზე 91-ე დღიდან 120-ე დღის ჩათვლით;	12,000 აშშ დოლარი თითოეულ (ვადაგადაცილებულ) დღეზე 91-ე დღიდან 120-ე დღის ჩათვლით;
12,000 აშშ დოლარი თითოეულ (ვადაგადაცილებულ) დღეზე 121-ე დღიდან 150-ე დღის ჩათვლით;	24,000 აშშ დოლარი თითოეულ (ვადაგადაცილებულ) დღეზე 121-ე დღიდან 150-ე დღის ჩათვლით;
18,750 აშშ დოლარი თითოეულ (ვადაგადაცილებულ) დღეზე 151-ე დღიდან და შემდგომ;	97,500 აშშ დოლარი თითოეულ (ვადაგადაცილებულ) დღეზე 151-ე დღიდან და შემდგომ;

(b) ზემო ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურთან მიმართებით:

დაგეგმილი „მშენებლობის დაწყების თარიღი“	„დასრულების დაგეგმილი თარიღი“
250 აშშ დოლარი თითოეულ (ვადაგადაცილებულ) დღეზე პირველი დღიდან 30-ე დღის ჩათვლით;	500 აშშ დოლარი თითოეულ (ვადაგადაცილებულ) დღეზე პირველი დღიდან 30-ე დღის ჩათვლით;
500 აშშ დოლარი თითოეულ (ვადაგადაცილებულ) დღეზე 31-ე დღიდან მე-60 დღის ჩათვლით;	1,000 აშშ დოლარი თითოეულ (ვადაგადაცილებულ) დღეზე 31-ე დღიდან მე-60 დღის ჩათვლით;
1,000 აშშ დოლარი თითოეულ (ვადაგადაცილებულ) დღეზე 61-ე დღიდან 90-ე დღის ჩათვლით;	2,000 აშშ დოლარი თითოეულ (ვადაგადაცილებულ) დღეზე 61-ე დღიდან 90-ე დღის ჩათვლით;
2,000 აშშ დოლარი თითოეულ (ვადაგადაცილებულ) დღეზე 91-ე დღიდან 120-ე დღის ჩათვლით;	4,000 აშშ დოლარი თითოეულ (ვადაგადაცილებულ) დღეზე 91-ე დღიდან 120-ე დღის ჩათვლით;
4,000 აშშ დოლარი თითოეულ (ვადაგადაცილებულ) დღეზე 121-ე დღიდან 150-ე დღის ჩათვლით;	8,000 აშშ დოლარი თითოეულ (ვადაგადაცილებულ) დღეზე 121-ე დღიდან 150-ე დღის ჩათვლით;

6,250 აშშ დოლარი თითოეულ (ვადაგადაცილებულ) დღეზე 151-ე დღიდან და შემდგომ;	32,500 აშშ დოლარი თითოეულ (ვადაგადაცილებულ) დღეზე 151-ე დღიდან და შემდგომ;

ნებისმიერ „სადგურთან“ მიმართებით არ უნდა მოხდეს ერთდროულად ერთზე მეტი „პირგასამტეხლოს“ დაკისრება. „მთავრობა“ არ მოახდენს ისეთი „პირგასამტეხლოს“ დაკისრებას, რომელსაც აქვს სადამსჯელო ხასიათი.

4.4.2. თითოეულ „სადგურთან“ დაკავშირებით, „პირგასამტეხლოს“ ჯამური ოდენობის ზედა ზღვარი, რაც ნებადართულია დაეკისროს „კომპანიას“ წინამდებარე „ხელშეკრულების“ საფუძველზე, შეადგენს „წინასამშენებლო ეტაპის გარანტიის“ მაქსიმალურ ოდენობას („წინასამშენებლო ეტაპთან“ მიმართებით) და „მშენებლობის დასრულების გარანტიის“ მაქსიმალურ ოდენობას (თითოეულ შემთხვევაში „სადგურთან“ მიმართებით) და არც ერთ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს „სახელშეკრულებო გარანტიის“ მაქსიმალურ ოდენობას შესაბამის „სადგურთან“ მიმართებით.

4.4.3. თითოეულ „სადგურთან“ დაკავშირებით, დროის იმ მონაკვეთის შემდეგ, როცა „კომპანიისთვის“ დაკისრებული „პირგასამტეხლოს“ ჯამური ოდენობა შესაბამისი „სადგურისთვის“ გადააჭარბებს „სახელშეკრულებო გარანტიის“ მაქსიმალურ ოდენობას, „კომპანიას“ მიეცემა დამატებითი ვადა შესაბამისი „სადგურის“ დასრულებისთვის, „კომპანიისთვის“ დამატებითი „პირგასამტეხლოს“ ან სხვა ჯარიმის დაკისრების გარეშე, იმის გათვალისწინებით, რომ გაგრძელების ჯამური პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს თვრამეტ (18) თვეს იმ პერიოდის ჩათვლით, როცა „კომპანია“ იყო ვადაგადაცილებაში და ეკისრებოდა „პირგასამტეხლო“.

4.4.4. წინამდებარე მუხლში (*„პირგასამტეხლო“ „პროექტის“ სხვადასხვა ეტაპზე*) მოცემული „პირგასამტეხლო“ წარმოადგენს „მთავრობისთვის“ ხელმისაწვდომ ერთადერთ და ექსკლუზიურ ფინანსურ საშუალებას „კომპანიის“ მიერ არასაპატიო მიზეზით დანართ #3-ით (*ეტაპების ცხრილი*) გათვალისწინებული “ეტაპების თარიღების” მიუღწევლობის შემთხვევაში და რაც შეიძლება გაგრძელებულ იქნას დროთა განმავლობაში ამ „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად.

4.4.5. „პირგასამტეხლოს“ ნებისმიერი გადახდა „კომპანიის“ მიერ „მთავრობისთვის“ უნდა განხორციელდეს „მთავრობისგან“ „კომპანიის“ მიერ „პირგასამტეხლოს“ დაკისრების შესახებ შეტყობინების მიღებიდან ოცდაათ (30) დღეში, მიუხედავად „ხელშეკრულების“ შეწყვეტისა. იმ შემთხვევაში, თუ „კომპანია“ არ გადაიხდის „პირგასამტეხლოს“ შესაბამის „სადგურთან“ მიმართებით დათქმულ ვადაში, მაშინ „მთავრობა“/„მთავრობის წარმომადგენელი“ უფლებამოსილი იქნება მოითხოვოს ნებისმიერი ასეთი გადაუხდელი „პირგასამტეხლოს“ განაღდება შესაბამის „სადგურთან“ დაკავშირებით „წინასამშენებლო ეტაპის გარანტიიდან“ ან „მშენებლობის დასრულების გარანტიიდან“ (შესაბამის შემთხვევაში) შესაბამის „სადგურთან“ მიმართებით. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის „სადგურთან“ დაკავშირებით, „კომპანია“

ჯეროვნად გადაიხდის „პირგასამტეხლოს“ დათქმულ ვადაში, მაშინ „წინასამშენებლო ეტაპის გარანტია“ ან „მშენებლობის დასრულების გარანტია“ (შესაბამის შემთხვევაში) შემცირდება შესაბამისად, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე.

4.4.6. „კომპანიის“ მიერ არასაპატიო მიზეზით დაწართ #3-ში (*ეტაპების ცხრილი*) განსაზღვრული „ეტაპების თარიღების“ მიუღწევლობის შემთხვევაში, რაც გამოიწვევს „მთავრობის“ უპირობო მოთხოვნის უფლებას „პირგასამტეხლოს“ გადახდაზე, შესაბამისი „სადგურის“ დანართი #3-ით (*ეტაპების ცხრილი*) გათვალისწინებული ყველა შემდგომი „ეტაპის თარიღები“ გაგრძელდება იმ ვადით, რომლითაც მოხდა ვადაგადაცილება და რომლის მიხედვით მოხდა ასეთი წინა ვადაგადაცილებისთვის „პირგასამტეხლოს“ დაანგარიშება. ნებისმიერი შემდგომი ვადაგადაცილებისთვის გადასახდელი „პირგასამტეხლოს“ დაანგარიშება მოხდება იმ „ეტაპების თარიღებიდან“, რომელიც ყველაზე ბოლოს გაგრძელდა და არა საწყისი „ეტაპების თარიღებიდან“, და ყველა მომდევნო „ეტაპების თარიღები“ გაგრძელდება მაშინ მოქმედი „ეტაპების თარიღების“ მიხედვით და არა საწყისი „ეტაპების თარიღების“ საფუძველზე.

4.4.7. „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად „ხელშეკრულების“ ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, „კომპანია“ ვალდებულია გადაიხადოს „შეწყვეტის თარიღამდე“ დაკისრებული „პირგასამტეხლო“.

5. გარემოს დაცვა და სოციალური უსაფრთხოება

5.1. გარემოს დაცვის და სოციალური სტანდარტები

„მხარეები“ ერთობლივად ითანამშრომლებენ, რათა უზრუნველყონ „პროექტისა“ და „გადამცემი ხაზების“ მშენებლობის, ოპერირების, მოვლა-პატრონობის, მართვისა და მონიტორინგის შესაბამისობა გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან.

5.2. ზუთხზე ზემოქმედების შემცირების გეგმა

5.2.1. ბერნის კონვენციიდან გამომდინარე „მთავრობის“ ვალდებულების გათვალისწინებით, „მხარეები“ აღიარებენ, რომ მდინარე რიონში ზუთხის ჰაბიტატის დასაცავად კონსერვაციული ღონისძიებების განხორციელება მოითხოვს ერთიან მიდგომას ყველა მონაწილის, მათ შორის, „მთავრობის“ და ყველა ჰესის ოპერატორის მხრიდან.

5.2.2. აღნიშნულის ხელშესაწყობად, „მთავრობა“ კისრულობს ვალდებულებას, რომ ზუთხზე უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად საჭირო ღონისძიებების განსაზღვრისა და განხორციელების, ამგვარი ღონისძიებების განხორციელების პროგრესის მონიტორინგისა და ნებისმიერ დროს ადაპტირებული მართვის უზრუნველყოფის მიზნით, შექმნას სამუშაო ჯგუფი ყველა ჰესის ოპერატორისა და სხვა მონაწილეთა შემადგენლობით, რომელსაც უხელმძღვანელებს „მთავრობა“.

5.2.3. ამგვარი ღონისძიებები, სხვა საკითხთა შორის, უნდა მოიცავდეს:

(a) მდინარე რიონისთვის კასკადის მართვის გეგმის განხორციელებას (და შემდგომ პერიოდულ ოპტიმიზაციას საბაზისო დინებისა და კრიტიკული ჰაბიტატის პერიოდულ კვლევებზე მითითებით), რომელიც უნდა მომზადდეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და „ინდუსტრიის კარგი პრაქტიკის" შესაბამისად და რომელიც უნდა შეიცავდეს, სხვა საკითხთა შორის, დებულებას წყლის დონის გაზომვისათვის და მაქსიმალური აბსორბციის სისტემებს; და

(b) „სადგურების" დინების ქვემოთ არსებული ჰესების სათანადო მოვლა-პატრონობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.3. საოპერაციო გეგმა PPA პერიოდის შემდეგ

5.3.1. „ქვემო ნამახვანის სადგურთან" მიმართებით, შემდეგ თარიღებზე („ანგარიშის წარდგენის თარიღი"):

(a) დაგეგმილი „კომერციული ოპერირების თარიღის" დადგომამდე თორმეტი (12) თვით ადრე;

(b) მეორე „წარმოების წლიური პერიოდის" დაწყებამდე ექვსი (6) თვით ადრე;

(c) მეოთხე „წარმოების წლიური პერიოდის" დაწყებამდე ექვსი (6) თვით ადრე; და

(d) შემდგომ, ყოველი მესამე „წარმოების წლიური პერიოდის" დაწყებამდე ექვსი (6) თვით ადრე,

„კომპანიამ" „მთავრობას" უნდა წარუდგინოს წერილობითი ანგარიში („კომპანიის ანგარიში"), რომელიც თითოეული დარჩენილი „წარმოების წლიური პერიოდისათვის" უნდა შეიცავდეს:

i. იმ დამატებითი ზემოქმედების შეფასებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში, და იმ დროს არსებული ყველა სხვა გარემოების გათვალისწინებით), რომელიც „ქვემო ნამახვანის სადგურის" თავისუფალ რეჟიმში ოპერირებას სავარაუდოდ ექნება „ქვემო ნამახვანის სადგურის" ქვედა დინებაზე არსებულ ზუთხის პოპულაციის კრიტიკულ ჰაბიტატზე („ჰაბიტატზე ზემოქმედება") („კრიტიკული ჰაბიტატის შეფასება"); და

ii. „ქვემო ნამახვანის სადგურის" საოპერაციო გეგმას „არა-PPA პერიოდისთვის" და („PPA პერიოდის" უკანასკნელ „ანგარიშის წარდგენის თარიღზე" ან მის შემდეგ წარდგენილ ნებისმიერ საოპერაციო გეგმასთან მიმართებით) „PPA-ის შემდგომი პერიოდისთვის", რომელიც შედგენილ უნდა იქნას (იმ დროს არსებული ყველა სხვა გარემოების გათვალისწინებით) „ჰაბიტატზე ზემოქმედების" იმ დონემდე შესამცირებლად, რაც მოთხოვნილია საქართველოს კანონმდებლობით („არა-PPA პერიოდისთვის კომპანიის საოპერაციო გეგმა").

5.3.2. „მთავრობა" ვალდებულია დროულად გაუწიოს „კომპანიას" იმგვარი დახმარება, რომელსაც „კომპანია" გონივრულობის ფარგლებში მოითხოვს „კომპანიის ანგარიშის" მომზადებისა და „ჰაბიტატზე ზემოქმედების" შემცირების მიზნით, და ასევე

უზრუნველყოს „კომპანიისთვის“ ამგვარი დახმარების გაწევა ნებისმიერი შესაბამისი „საჯარო დაწესებულების“ მიერ.

5.3.3. ნებისმიერ დროს, თუ „კომპანიის“ აზრით შეიცვალა „კომპანიის ანგარიშის“ საფუძველი ან არსებული გარემოებები წინა „ანგარიშის წარდგენის თარიღის“ შემდეგ, „კომპანია“ უფლებამოსილია „მთავრობას“ წარუდგინოს შესწორებული „კომპანიის ანგარიში“.

5.3.4. „ქვემო ნამახვანის სადგურის“ „კომერციული ოპერირების თარიღამდე“, „მხარეებმა“ უნდა შეათანხმონ იმ „ტექნიკური ექსპერტების“ სია, რომელთა დანიშვნა უნდა მოხდეს „კომპანიის ანგარიშთან“ დაკავშირებული ნებისმიერი „დავის“ გადაწყვეტის მიზნით („შეთანხმებული ექსპერტები“). ნებისმიერი ამგვარი „დავის“ 5.4.3 მუხლის (*მთავრობის მიერ შემოწმება*) შესაბამისად „ტექნიკური ექსპერტისთვის“ გადასაწყვეტად გადაცემის შემთხვევაში, „მხარეებმა“ შეთანხმებით უნდა დანიშნონ ერთი ექსპერტი „შეთანხმებული ექსპერტებიდან“. თუ არც ერთი „შეთანხმებული ექსპერტი“ არ არის ხელმისაწვდომი „დავის“ გადასაწყვეტად, „მხარეებმა“ უნდა დანიშნონ სხვა ისეთი „ტექნიკური ექსპერტი“, რომლზეც „მხარეები“ შეთანხმდებიან 12.2.1 მუხლის (*ტექნიკური ექსპერტის შერჩევა და პროცედურა*) შესაბამისად.

5.4. <u>მთავრობის მიერ შემოწმება</u>

5.4.1. შემდეგი ვადების განმავლობაში:

(a) 5.3.1 მუხლის *(საოპერაციო გეგმა PPA პერიოდის შემდეგ)* შესაბამისად პირველი „კომპანიის ანგარიშის“ მიღებიდან სამი (3) თვის ვადაში; ან

(b) 5.3.1 ან 5.3.3. მუხლის *(საოპერაციო გეგმა PPA პერიოდის შემდეგ)* შესაბამისად ნებისმიერი შემდგომი „კომპანიის ანგარიშის“ მიღებიდან ერთი (1) თვის ვადაში,

თუ „მთავრობა“ „კომპანიას“ არ მიაწვდის წერილობით შეტყობინებას იმის თაობაზე, რომ „კომპანიის ანგარიში“, „მთავრობის“ მოსაზრებით (გონივრულობის ფარგლებში), მთლიანად ან ნაწილობრივ არ აკმაყოფილებს 5.3.1(d)(i) ან 5.3.1(d)(ii) მუხლის *(საოპერაციო გეგმა PPA პერიოდის შემდეგ)* (კონკრეტული შემთხვევის შესაბამისად) მოთხოვნებს, „კომპანიის ანგარიში“ ჩაითვლება „მთავრობის“ მიერ დადასტურებულად და „კომპანიის“ „კრიტიკული ჰაბიტატის შეფასება“ მიიჩნევა **„შეთანხმებულ კრიტიკული ჰაბიტატის შეფასებად“**, ხოლო „არა-PPA პერიოდისთვის კომპანიის საოპერაციო გეგმა“ - **„არა-PPA პერიოდისთვის შეთანხმებულ საოპერაციო გეგმად“**.

5.4.2. თუ „მთავრობა“ 5.4.1. მუხლის (*მთავრობის მიერ შემოწმება*) შესაბამისად „კომპანიას“ შეატყობინებს, რომ „კომპანიის ანგარიში“, „მთავრობის“ მოსაზრებით, მთლიანად ან ნაწილობრივ არ აკმაყოფილებს 5.3.1(d)(i) ან 5.3.1(d)(ii) მუხლის *(საოპერაციო გეგმა PPA პერიოდის შემდეგ)* (კონკრეტული შემთხვევის შესაბამისად) მოთხოვნებს, „მხარეებმა“ „დავა“ უნდა გადაწყვიტონ 12.1(a) მუხლის (*მშვიდობიანი მოლაპარკება*) მიხედვით.

5.4.3. მიუხედავად 12.1(b) მუხლისა (*მშვიდობიანი მოლაპარკება*), თუ „კომპანიის“ მიერ „მთავრობისგან“ 2.5 მუხლის (*მთავრობის მიერ შემოწმება*) შესაბამისად „დავის“

შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან თოთხმეტი (14) დღის ვადაში ვერ მოხდება შეთანხმების მიღწევა 12.1(a) მუხლის (*მშვიდობიანი მოლაპარაკება*) საფუძველზე, „დავა“ უნდა გადაეცეს „ტექნიკურ ექსპერტს“ გადასაწყვეტად 12.2 მუხლის (*ტექნიკური ექსპერტი*) თანახმად.

5.5. <u>ტექნიკური ექსპერტის გადაწყვეტილება</u>

5.5.1. იმ შემთხვევაში თუ, 5.4 მუხლის (*„მთავრობის მიერ შემოწმება“*) შესაბამისად, „ტექნიკური ექსპერტისთვის“ გადაცემულ ნებისმიერ დავასთან დაკავშირებით, „ტექნიკური ექსპერტი“:

(a) დაადგენს, რომ „კომპანიის ანგარიში“ აკმაყოფილებს 5.3.1(d) (i) ან (ii) მუხლებით *(საოპერაციო გეგმა PPA პერიოდის შემდეგ)* დადგენილ მოთხოვნებს და „მთავრობა“ არ გაასაჩივრებს აღნიშნულ შეფასებას 12.2.2 მუხლის (*„ტექნიკური ექსპერტის გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალა“*) და 12.3 (*„არბიტრაჟი“*) მუხლის შესაბამისად, „არა-PPA პერიოდისთვის კომპანიის საოპერაციო გეგმა“ მიიჩნევა „არა-PPA პერიოდისთვის შეთანხმებული საოპერაციო გეგმად“ და/ან „კომპანიის“ „კრიტიკული ჰაბიტატის შეფასება“ მიიჩნევა „შეთანხმებულ კრიტიკული ჰაბიტატის შეფასებად“;

(b) დაადგენს, რომ „კომპანიის ანგარიში“ აკმაყოფილებს 5.3.1(d) (i) ან (ii) მუხლებით *(საოპერაციო გეგმა PPA პერიოდის შემდეგ)* დადგენილ მოთხოვნებს და „მთავრობა“ გაასაჩივრებს აღნიშნულ შეფასებას 12.2.2 მუხლის (*„ტექნიკური ექსპერტის გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალა“*) და 12.3 მუხლის (*„არბიტრაჟი“*) შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში ამოქმედდება 5.5.2 პუნქტი (*„ტექნიკური ექსპერტის გადაწყვეტილება“*);

(c) დაადგენს, რომ „კომპანიის ანგარიში“ არ აკმაყოფილებს 5.3.1(d) (i) ან (ii) მუხლებით *(საოპერაციო გეგმა PPA პერიოდის შემდეგ)* დადგენილ მოთხოვნებს და „კომპანია“ სადავოდ არ გახდის აღნიშნულ შეფასებას 12.2.2 მუხლის (*„ტექნიკური ექსპერტის გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალა“*) და 12.3 მუხლის (*„არბიტრაჟი“*) შესაბამისად, „კომპანია“ უზრუნველყოფს „არა-PPA პერიოდისთვის კომპანიის საოპერაციო გეგმის“ და „კომპანიის“ „კრიტიკული ჰაბიტატის შეფასების“ საჭიროების ფარგლებში ცვლილებას, რათა მოხდეს „ტექნიკური ექსპერტის“ მოსაზრებების ასახვა, რის შემდგომაც, შეცვლილი „არა-PPA პერიოდისთვის კომპანიის საოპერაციო გეგმა“ და/ან შეცვლილი „კომპანიის“ „კრიტიკული ჰაბიტატის შეფასება“ მიიჩნევა „არა-PPA პერიოდისთვის შეთანხმებულ კომპანიის საოპერაციო გეგმად“ და/ან „შეთანხმებულ კრიტიკული ჰაბიტატის შეფასებად“; ან

(d) დაადგენს, რომ „კომპანიის ანგარიში“ არ 5.3.1(d) (i) ან (ii) მუხლებით *(საოპერაციო გეგმა PPA პერიოდის შემდეგ)* დადგენილ მოთხოვნებს და „კომპანია“ გაასაჩივრებს აღნიშნულ შეფასებას 12.2.2 მუხლის (*„ტექნიკური ექსპერტის გადაწყვეტილების*

სამართლებრივი ძალა“) და 12.3 მუხლის („*არბიტრაჟი*“) შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში ამოქმედდება 2.9 მუხლი („*ტექნიკური ექსპერტის გადაწყვეტილება*“).

5.5.2. 12.2.2 მუხლის („*ტექნიკური ექსპერტის გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალა*“) ბოლო წინადადების მიუხედავად, იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე 5.5.2 მუხლი *(ტექნიკური ექსპერტის გადაწყვეტილება)* გამოიყენება 5.5.1(ბ) ან 5.5.1(დ) *(ტექნიკური ექსპერტის გადაწყვეტილება)* შესაბამისად:

(a) იმ შემთხვევაში თუ „კომპანიის“ ან „მთავრობის“ მიერ არბიტრაჟის პროცედურების დაწყებიდან 14 (თოთხმეტი) დღის განმავლობაში „მთავრობა“ მიაწვდის „კომპანიას“ შესაბამის წერილობით ინსტრუქციას, „კომპანია“ უზრუნველყოფს „არა-PPA პერიოდისთვის კომპანიის საოპერაციო გეგმის“ ცვლილებას საჭიროების ფარგლებში, რათა მოხდეს „ტექნიკური ექსპერტის“ მოსაზრებების ასახვა, რის შემდგომაც შეცვლილი „არა-PPA პერიოდისთვის კომპანიის საოპერაციო გეგმა მიიჩნევა **„არა-PPA პერიოდისთვის დროებით საოპერაციო გეგმად“**; ან

(b) სხვა შემთხვევაში, „არა-PPA პერიოდისთვის კომპანიის საოპერაციო გეგმა“ მიიჩნევა „არა-PPA პერიოდისთვის დროებით საოპერაციო გეგმად“.

5.6. <u>არა-PPA პერიოდისთვის შეთანხმებული / დროებითი საოპერაციო გეგმის განხორციელება</u>

5.6.1. 5.6.2 მუხლის („*არა-PPA პერიოდისთვის შეთანხმებული / დროებითი საოპერაციო გეგმის განხორციელება*“) გათვალისწინებით, როდესაც 5.4.1 მუხლის („*მთავრობის მიერ შემოწმება*“), 5.5.1(a), 5.5.1(c) მუხლების („*ტექნიკური ექსპერტის გადაწყვეტილება*“) ან 5.7.1 მუხლის („*საარბიტრაჟო გადაწყვეტილება*“) შესაბამისად შედგება ან შეთანხმდება „არა-PPA პერიოდისთვის შეთანხმებული საოპერაციო გეგმა“, არა-PPA პერიოდის და/ან PPA-ს შემდგომი პერიოდის შემდეგ დარჩენილ ყველა „წარმოების წლიური პერიოდისთვის“ „კომპანია“ „ქვედა ნამახვანის სადგურის“ ოპერირებას განახორციელებს „არა-PPA პერიოდისთვის შეთანხმებული საოპერაციო გეგმის“ შესაბამისად.

5.6.2. როდესაც „არა-PPA პერიოდისთვის დროებითი საოპერაციო გეგმა“ შედგება 5.5.2(a) ან 5.5.2(b) მუხლების („*ტექნიკური ექსპერტის გადაწყვეტილება*“) შესაბამისად, მანამ სანამ მოხდება „არა-PPA პერიოდისთვის შეთანხმებული საოპერაციო გეგმის“ საბოლოოდ შედგენა 5.7.1 მუხლის („*საარბიტრაჟო გადაწყვეტილება*“) შესაბამისად, არა-PPA პერიოდში და/ან PPA-ს შემდგომ პერიოდში „კომპანია“ „ქვედა ნამახვანის სადგურის“ ოპერირებას განახორციელებს „არა-PPA პერიოდისთვის შეთანხმებული საოპერაციო გეგმის“ შესაბამისად.

5.7. <u>საარბიტრაჟო გადაწყვეტილება</u>

5.7.1. იმ შემთხვევაში თუ „კომპანია“ ან „მთავრობა“ სადავოდ გახდის ტექნიკური ექსპერტის გადაწყვეტილებას 12.2.2 მუხლის („*ტექნიკური ექსპერტის გადაწყვეტილებების სამართლებრივი ძალა*“) და 12.3 მუხლის („*არბიტრაჟი*“) შესაბამისად და:

(a) თუ საბოლოოდ დადგინდება, რომ „კომპანიის ანგარიში“ აკმაყოფილებს 5.3.1(d) (i) ან (ii) მუხლებით *(საოპერაციო გეგმა PPA პერიოდის შემდეგ)* მოთხოვნებს:

i. „არა-PPA პერიოდისთვის კომპანიის საოპერაციო გეგმა“ მიიჩნევა „არა-PPA პერიოდისთვის შეთანხმებულ საოპერაციო გეგმად“ და/ან „კომპანიის კრიტიკული ჰაბიტატის შეფასება“ მიიჩნევა „შეთანხმებულ კრიტიკული ჰაბიტატის შეფასებად“;

ii. კომპანიის“ მიერ „არა-PPA პერიოდისთვის დროებითი საოპერაციო გეგმის“ შესრულება განიხილება როგორც „კომპენსირებადი შემთხვევა“; და

iii. „მთავრობა“ აუნაზღაურებს „კომპანიას“ ყველა იმ გაზრდილ ხარჯს და/ან შემცირებულ შემოსავალს და ნებისმიერ სხვა „დანაკარგს“, რომელიც გამოწვეულია „კომპანიის“ მიერ 5.7.1(a)(i) მუხლის („*საარბიტრაჟო გადაწყვეტილება*“) შესაბამისად „არა-PPA პერიოდისთვის შეთანხმებული საოპერაციო გეგმის“ ნაცვლად „არა-PPA პერიოდისთვის დროებითი საოპერაციო გეგმის“ შესრულებით, 5.6.2 მუხლის („*არა-PPA პერიოდისთვის შეთანხმებული / დროებითი საოპერაციო გეგმის განხორციელება*“) შესაბამისად.

(b) თუ საბოლოოდ დადგინდება, რომ „კომპანიის ანგარიში“ ვერ აკმაყოფილებს 5.3.1(d) (i) ან (ii) მუხლებით *(საოპერაციო გეგმა PPA პერიოდის შემდეგ)* მოთხოვნებს, „კომპანია“ უზრუნველყოფს „არა-PPA პერიოდისთვის კომპანიის საოპერაციო გეგმის“ და „კრიტიკული ჰაბიტატის შეფასების“ საჭიროების ფარგლებში ცვლილებას, რათა მოხდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გათვალისწინება, რის შემდგომაც, შეცვლილი „არა-PPA პერიოდისთვის კომპანიის საოპერაციო გეგმა“ და/ან შეცვლილი „კრიტიკული ჰაბიტატის შეფასება“ მიიჩნევა „არა-PPA პერიოდისთვის შეთანხმებულ საოპერაციო გეგმად“ და/ან „შეთანხმებულ კრიტიკული ჰაბიტატის შეფასებად“.

5.8. საოპერაციო გეგმა PPA პერიოდში

5.8.1. ამ „ხელშეკრულების“ შესაბამისად „შეთანხმებული კრიტიკული ჰაბიტატის შეფასების“ შედგენიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, თითოეულ დარჩენილ „წარმოების წლიური პერიოდთან“ მიმართებით, „მთავრობა“ წარუდგენს „კომპანიას“ PPA პერიოდში „ქვედა ნამახვანის სადგურის“ წერილობით საოპერაციო გეგმას, რომელიც შედგენილ უნდა იქნას (იმ დროს არსებული ყველა სხვა გარემოების გათვალისწინებით) „შეთანხმებულ კრიტიკული ჰაბიტატის შეფასებაში“ იდენტიფიცირებული „ჰაბიტატზე ზემოქმედების“ იმ დონემდე შესამცირებლად, რაც მოთხოვნილია საქართველოს კანონმდებლობით („**PPA პერიოდისთვის მთავრობის საოპერაციო გეგმა**“).

5.8.2. „კომპანია“ ვალდებულია „მთავრობას“ და „დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტს“ აღმოუჩინოს დროული დახმარება, რაც შესაძლოა ობიექტურად დასჭირდეს „მთავრობას“ და „დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტს“ „PPA პერიოდისთვის მთავრობის საოპერაციო გეგმის“ მოსამზადებლად.

5.9. გარემოსდაცვითი ნებართვა

5.9.1. „მთავრობა“ ვალდებულია უზრუნველყოს „გარემოსდაცვითი ნებართვების“ და „გარემოსდაცვითი ნებართვების“ გაცემასთან, შენარჩუნებასთან, განახლებასთან, ჩანაცვლებასა და ცვლილებასთან დაკავშირებით „შესაბამისი საჯარო დაწესებულების“ მიერ დაწესებული ნებისმიერი მოთხოვნების შესაბამისობა წინამდებარე „ხელშეკრულებისა“ პირობებსა და საქართველოს კანონმდებლობასთან.

5.9.2. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, იმ შემთხვევაში თუ „კომპანიას“ წარმოეშვება ვალდებულება „ქვედა ნამახვანის სადგურის“ ოპერირება განახორციელოს „არა-PPA პერიოდისთვის შეთანხმებული საოპერაციო გეგმისგან“ ან „არა-PPA პერიოდისთვის დროებითი საოპერაციო გეგმისგან“ განსხვავებული წესით, „კომპანიისთვის“ მსგავსი ვალდებულების დაწესება წარმოადგენს „კომპენსირებად შემთხვევას“ ან „გაგრძელების შემთხვევას“, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.

5.9.3. 5.9.2 მუხლით (*„გარემოსდაცვითი ნებართვა“*) გათვალისწინებულ ნებისმიერ „საკომპენსაციო შემთხვევასთან“ მიმართებით, „არა-PPA პერიოდის“ განმავლობაში, ნებისმიერ „წლიური გამომუშავების პერიოდში“ „მთავრობის“ ჯამური პასუხისმგებლობა აღნიშნული „წლიური გამომუშავების პერიოდში“ წარმოშობილი მსგავსი „საკომპენსაციო შემთხვევებისთვის“ არ აღემატება „პასუხიმგებლობის ზღვრულ თანხას არა-PPA პერიოდისთვის“.

5.9.4. „PPA-ს შემდგომი პერიოდის“ დაწყებამდე 12 (თორმეტი) თვით ადრე, „მხარეები“ კეთილსინდისიერად, იმ ექვივალენტურ პრინციპებზე დაყრდნობით, რომლებიც ვრცელდება „პასუხიმგებლობის ზღვრულ თანხაზე არა-PPA პერიოდისთვის“, შეთანხმდებიან „PPA-ს შემდგომ პერიოდში“ „მთავრობის“ პასუხისმგებლობის შეზღუდვის წესზე 5.9.2 მუხლის (*„გარემოსდაცვითი ნებართვა“*) შესაბამისად.

6. საკუთრების უფლება „სადგურებზე“

6.1. „სადგურებზე“ საკუთრების, მშენებლობისა და ოპერირების განხორციელების უფლება ეკუთვნის „კომპანიას“.

6.2. „კომპანია“ ვალდებულებას იღებს შეინარჩუნოს „სადგურებზე“ საკუთრების უფლება და არ გაყიდოს ან სხვაგვარად გაასხვისოს „სადგურები“, გარდა იმ შემთხვევისა, როცა:

(a) საკუთრების უფლების გადაცემის საჭიროება წარმოიშობა წინამდებარე „ხელშეკრულების“ „დაფინანსების დოკუმენტებით“,

(b) არსებობს „მთავრობის“ წერილობითი თანხმობა (რომელიც უნდა იყოს დისკრეციული) საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებით,

და იმ პირობით, რომ, თუ შემძენი იძენს მთლიან „სადგურს“, შესაბამისი „სადგურ(ებ)ის“ შემძენმა უნდა გააფორმოს მავალდებულებელი დოკუმენტი, რომლის ძალითაც იგი, წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული უფლებების მოპოვების მიზნით, იკისრებს გადასაცემ „სადგურთან“ დაკავშირებით „კომპანიის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ყველა ვალდებულების შესრულებას (რის შემდგომაც შემძენზე გადავა ასეთი ვალდებულებები და მასვე მიენიჭება შესაბამისი უფლებები).

6.3. „კომპანიის“ მიერ „სადგურების“ (გარდა „სადგურების“ ნებისმიერი ისეთი გახარჯული, დაზიანებული ან დაძველებული ნაწილებისა, რომლებიც არ არის საჭირო შესაბამისი „სადგურის“ ოპერირებისთვის) გაყიდვას ან სხვაგვარი ფორმით გადაცემას წინამდებარე „ხელშეკრულების“ 6.2 მუხლით *(საკუთრების უფლება „სადგურებზე“)* გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევით, არ გააჩნია იურიდიული ძალა და წარმოადგენს წინამდებარე „ხელშეკრულების“ არსებით დარღვევას.

7. „სახელშეკრულებო გარანტია“

7.1. „წინასამშენებლო ეტაპის გარანტია“

7.1.1 „მშენებლობის ძალაში შესვლის თარიღის“ დადგომიდან ათი (10) სამუშაო დღის ვადაში, „კომპანიამ“ „მთავრობას“ უნდა წარუდგინოს ორი (2) საბანკო გარანტია, მილიონ ხუთასი ათასი (1,500,000) აშშ დოლარის ოდენობით „ქვემო ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურთან“ დაკავშირებით და ხუთასი ათასი (500 000) აშშ დოლარის ოდენობით „ზემო ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურთან“ დაკავშირებით (თითოეული „წინასამშენებლო ეტაპის გარანტია“), რომელიც გაცემული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი ბანკის ან „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) წევრი ქვეყნის ბანკის მიერ, „მთავრობის“ სასარგებლოდ, და რომელიც არსებითად შესაბამისობაში უნდა იყოს დანართი #4-ში (*გარანტია*) მოცემულ ფორმასთან. „წინასამშენებლო ეტაპის გარანტია“ ძალაში შევა მას შემდეგ, რაც მოხდება „წინასამშენებლო ეტაპის დაწყების გარანტიის“ გაუქმება და მათ შორის არ უნდა მოხდეს გადაფარვა.

7.1.2 „წინასამშენებლო ეტაპის გარანტია“ უზრუნველყოფს „კომპანიის“ მიერ შესაბამისი „წინასამშენებლო ეტაპის“ განმავლობაში ყველა ვალდებულების ჯეროვან და დროულ შესრულებას.

7.1.3 „კომპანია“ ვალდებულია შესაბამისი „წინასამშენებლო ეტაპის“ განმავლობაში უზრუნველყოს „წინასამშენებლო ეტაპის გარანტიის“ ყოველწლიურად განახლება და წარუდგინოს თითოეული განახლებული „წინასამშენებლო ეტაპის გარანტია“ „მთავრობას“ არა უგვიანეს წარმოდგენილი „წინასამშენებლო ეტაპის გარანტიის“ ვადის გასვლამდე ოცდაათი (30) სამუშაო დღისა. ნებისმიერ შემთხვევაში (მათ შორის, არსებული „წინასამშენებლო ეტაპის გარანტიის“ განაღდების შემთხვევაში), „კომპანიამ“ უნდა

უზრუნველყოს ძალაში მყოფი თითოეულ „სადგურთან“ მიმართებით „წინასამშენებლო ეტაპის გარანტიის“ ხელმისაწვდომობა მთლიანი „წინასამშენებლო ეტაპის“ განმავლობაში თითოეულ „სადგურთან“ მიმართებით.

7.1.4 „კომპანიის“ მიერ ნებისმიერი შემდგომი „წინასამშენებლო ეტაპის გარანტიის“ „მთავრობისთვის“ წარუდგენლობის შემთხვევაში, როგორც ეს ზემოთ არის განსაზღვრული, „მთავრობა“ უფლებამოსილი იქნება გაანაღდოს იმ დროისთვის ძალაში მყოფი „წინასამშენებლო ეტაპის გარანტია“.

7.1.5 „მთავრობა“ დააბრუნებს „წინასამშენებლო ეტაპის გარანტიას“ ათი (10) სამუშაო დღის ვადაში მას შემდეგ, რაც „კომპანია“ წარადგენს შესაბამისი „სადგურისთვის“ „მშენებლობის დასრულების გარანტიას“ ან დადგება „პროექტის“ შემადგენელი ამ „სადგურის“ „მშენებლობის დაწყების თარიღი“ (რომელიც უფრო გვიან დადგება) ან „ხელშეკრულება“ ვადამდე შეწყდება „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ „მთავრობა“ მოახდენს ასეთი „წინასამშენებლო ეტაპის გარანტიის“ განაღდებას „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად.

7.1. „მშენებლობის დასრულების გარანტია“

7.2.1. შესაბამისი „მშენებლობის დაწყების თარიღის“ დადგომიდან ათი (10) სამუშაო დღის ვადაში, „კომპანიამ“ “მთავრობას“ უნდა წარუდგინოს („ზემო ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურისთვის“) ხუთი მილიონი (5,000,000) აშშ დოლარის ოდენობის, პირველი მოთხოვნისთანავე განაღდებადი საბანკო გარანტია და („ქვემო ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურისვის“) თხუთმეტი მილიონი (15,000,000) აშშ დოლარის ოდენობის, პირველი მოთხოვნისთანავე განაღდებადი საბანკო გარანტია (თითოეული „მშენებლობის დასრულების გარანტია“), რომელიც გაცემული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი ბანკის ან „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) წევრი ქვეყნის ბანკის მიერ, „მთავრობის“ სასარგებლოდ, და რომელიც არსებითად შესაბამისობაში უნდა იყოს დანართი #4-ში (გარანტია) მოცემულ ფორმასთან. „მშენებლობის დასრულების გარანტია“ ძალაში შევა მას შემდეგ, რაც მოხდება შესაბამისი „წინასამშენებლო ეტაპის გარანტიის“ გათავისუფლება და მათ შორის არ უნდა მოხდეს გადაფარვა.

7.2.2. „მშენებლობის დასრულების გარანტია“ უზრუნველყოფს „კომპანიის“ მიერ შესაბამისი „მშენებლობის ეტაპის“ განმავლობაში ყველა ვალდებულების (მათ შორის, იმ ვალდებულებების, რომლებიც არ შესრულებულა შესაბამისი „მშენებლობის ეტაპის“ დაწყებისას) ჯეროვან და დროულ შესრულებას.

7.2.3. „კომპანია“ ვალდებულია შესაბამისი „მშენებლობის ეტაპის“ განმავლობაში უზრუნველყოს „მშენებლობის დასრულების გარანტიის“ ყოველწლიურად განახლება და წარუდგინოს თითოეული განახლებული „მშენებლობის დასრულების გარანტია“ „მთავრობას“ არა

უგვიანეს წარმოდგენილი „მშენებლობის დასრულების გარანტიის“ ვადის გასვლამდე ოცდაათი (30) სამუშაო დღისა. ყოველგვარი ეჭვის თავიდან არიდების მიზნით, მშენებლობის დასრულების თითოეული განახლებული გარანტია გაიცემა 7.2.1 ან 7.2.6 პუნქტში, გარემოებების გათვალისწინებით, მითითებულ სრულ ოდენობაზე. ნებისმიერ შემთხვევაში (მათ შორის, არსებული „მშენებლობის დასრულების გარანტიის“ განაღდების შემთხვევაში), „კომპანიამ“ უნდა უზრუნველყოს თითოეული „სადგურისთვის“ ძალაში მყოფი „მშენებლობის დასრულების გარანტიის“ ხელმისაწვდომობა მთლიანი „მშენებლობის ეტაპის“ განმავლობაში.

7.2.4. თუ „სადგურთან“ დაკავშირებით, „კომპანიის“ მიერ პირველი ან ნებისმიერი შემდგომი „მშენებლობის დასრულების გარანტიის“ „მთავრობისთვის“ წარუდგენლობის შემთხვევაში, როგორც ეს ზემოთ არის განსაზღვრული, „მთავრობა“ უფლებამოსილი იქნება გაანაღდოს იმ დროისთვის ძალაში მყოფი ნებისმიერი „სახელშეკრულებო გარანტია“ აღნიშნულ „სადგურთან“ დაკავშირებით (მათ შორის, შესაბამისი „სადგურისთვის“ „მშენებლობის დასრულების გარანტიის“ წარუდგენლობის შემთხვევაში - გაანაღდოს „წინასამშენებლო ეტაპის გარანტია“ შესაბამისი „სადგურისთვის“).

7.2.5. „მთავრობა“ გაათავისუფლებს / დააბრუნებს „მშენებლობის დასრულების გარანტიას“ სრულად „პროექტის“ შემადგენელი შესაბამისი „სადგურის“ „მშენებლობის ეტაპის“ დასრულებისას ან წინამდებარე „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად „ხელშეკრულების“ ვადამდე შეწყვეტისას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ „მთავრობა“ მოახდენს ასეთი „მშენებლობის დასრულების გარანტიის“ განაღდებას „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად.

7.2.6. როცა შესაბამისი „სადგურის“ მშენებლობის პროგრესი მიაღწევს ორმოცდაათ პროცენტს (50%), რაც დადასტურებული უნდა იყოს „დამოუკიდებელი ინჟინრის“ მიერ, „მთავრობის“ სასარგებლოდ გაიცემა ახალი „მშენებლობის დასრულების გარანტია“ შესაბამისი „სადგურისთვის“ საქართველოში მოქმედი ბანკის ან „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) წევრი ქვეყნის ბანკის მიერ, ორი მილიონ ხუთასი ათასი (2,500,000) აშშ დოლარის ოდენობით „ზემო ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურისთვის“ და შვიდი მილიონ ხუთასი ათასი (7,500,000) აშშ დოლარის ოდენობით „ქვემო ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურისთვის“, რომელიც არსებითად შესაბამისობაში უნდა იყოს დანართი #4-ში (*გარანტია*) მოცემულ ფორმასთან. ახალი „მშენებლობის დასრულების გარანტია“ შესაბამისი „სადგურისთვის“ ძალაში შევა ამ „სადგურთან“ მიმართებით წინა „მშენებლობის დასრულების გარანტიის“ გაუქმებისას და მათ შორის არ უნდა მოხდეს გადაფარვა.

7.2.7. „დამოუკიდებელი ინჟინრის“ მიერ ანგარიშის წარდგენის შემდგომ, „მთავრობა“ მიმართავს ყველა საჭირო ზომას და გასცემს „კომპანიის“ მიერ მოთხოვნილ ნებისმიერ და ყველა

დოკუმენტს, რაც საჭირო იქნება „მშენებლობის დასრულების გარანტიის“ შესაცვლელად 7.2.6 მუხლის შესაბამისად (*მშენებლობის დასრულების გარანტია).*

8. ფორს მაჟორი და კომპენსირებადი შემთხვევები

8.1. ფორს მაჟორი

8.1.1. „ფორს მაჟორის შემთხვევა“ ნიშნავს ნებისმიერ გარემოებას, რომელიც, პირდაპირ ან ირიბად, ვერ ექცევა გავლენის ქვეშ მყოფი „მხარის“ გონივრულ კონტროლში („**მხარე გავლენის ქვეშ**“) და რომელიც განაპირობებს „გავლენის ქვეშ მხარის“ მიერ ამ „ხელშეკრულების“ თანახმად ნებისმიერ ვალდებულებათა (გარდა თანხების გადახდისა) სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობას ან დაგვიანებულ შესრულებას, მაგრამ მხოლოდ შემდეგ ფარგლებში:

(a) ისეთი გარემოება, რომლის აცილება, არიდება ან გაქარწყლება შეუძლებელია ან შეუძლებელი იყო, გამოჩენილი გონივრული გულისხმიერების მიუხედავად;

(b) „გავლენის ქვეშ მხარემ“ განახორციელა გონივრული ღონისძიებანი, გამოიჩინა სათანადო გულისხმიერება და მიმართა გონივრულ ალტერნატიულ ქმედებებს, რათა აერიდებინა ასეთი შემთხვევის გავლენა „გავლენის ქვეშ მხარის“ უნარზე შეასრულოს საკუთარი ვალდებულებანი ამ ხელშეკრულების ფარგლებში და რათა მოახდინოს აღნიშნულის შედეგების შემცირება; და

(c) შეთხვევა არ არის ან არ იყო „გავლენის ქვეშ მხარის“ მიერ ამ ხელშეკრულების ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის პირდაპირი ან ირიბი შედეგი.

8.1.2. როგორც კი აღნიშნული იქნება გონივრულად განხორციელებადი, „გავლენის ქვეშ მხარემ“ უნდა მიაწოდოს მეორე „მხარეს“ („**მხარე ზეგავლენის გარეშე**“) შეტყობინება „ფორს მაჟორის შემთხვევის“ შესახებ ასეთის დადგომიდან ხუთი (5) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.1.3. „ფორს მაჟორის შემთხვევა“ მოიცავს ქვემორე გარემოებებს, იმ პირობით, რომ ისინი აკმაყოფილებენ „ფორს მაჟორის შემთხვევის“ განმარტების ზემოთ მოცემულ კრიტერიუმებს:

(a) პოლიტიკური ფორს მაჟორის შემთხვევა (თითოეული „პოლიტიკური ფორს მაჟორის შემთხვევა“), რომელიც მოიცავს:

(i) ნებისმიერი საომარი მოქმედება (გამოცხადებული ან არა), შემოსევა, შეიარაღებული კონფლიქტი ან ტერორისტული ქმედება ან კამპანია;

(ii) ნებისმიერი რევოლუცია, ამბოხება, აჯანყება, სამოქალაქო არეულობა, სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, სამხედრო ან უზურპირებული ძალაუფლების განხორციელება, სამხედრო აჯანყება, ალყა ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება ან განხორციელება საქართველოში;

(iii) ნებისმიერი გაფიცვა, პროტესტის ფორმად ეფექტურობის/წარმოების შემცირება, რომელიც სცდება „სადგურს“ და არის პოლიტიკური ხასიათის;

(iv) ნებისმიერი ბლოკადა, ემბარგო (მათ შორის, საქონლის ან მასალის უკმარისობის ან არარსებობის გამოწვევა), ნებისმიერი საზღვრების, გზების, რკინიგზის, აეროპორტების ან სხვა საქართველოსკენ მიმავალი ტრანსპორტის დამხარე ნაწილის ან მინაკუთვნის გადაკეტვა;

(v) ნებისმიერი იმპორტ-ექსპორტის შეზღუდვის დაწესება, დანაწილება ან განწილვადება ნებისმიერი „სამთავრობო ერთეულის“ მიერ, გარდა „კანონმდებლობის ცვლილებით“ გამოწვეულისა, რომლის შემთხვევაშიც ნებისმიერი ასეთი დაწესება განიხილება, როგორც „კანონმდებლობაში ცვლილება“ და მასთან მიმართებაში გამოიყენება ამ „ხელშეკრულების“ „კანონმდებლობის ცვლილების“ პირობები;

(vi) „სადგურების“ წინააღმდეგ ნებისმიერი საბოტაჟი, რომელიც არ არის თანამშრომლის, კონტრაქტორის, „კომპანიის“ ან მისი აგენტის ან „კომპანიის“ „აფილირებული პირის“ ან „პარტნიორის“ მიერ განხორციელებული;

(vii) რადიოაქტიური დაბინძურება ან იონიზირებული რადიაცია, რომლის წყარო საქართველოს ფარგლებს შიგნითაა;

(viii) დაბინძურება, რომლის წყარო საქართველოს ფარგლებშია და გავლენას ახდენს წყლის ხარისხზე;

(ix) ნებისმიერი საჯარო აგიტაცია ან პროტესტი, რაც ხელს უშლის მშენებლობას ან „პროექტის“ ოპერირებას ან ზოგადად „პროექტს“ და ხანგრძლივობით აღემატება ოცდაერთ (21) დღეს ჯამში ნებისმიერი ექვსთვიანი (6) პერიოდის განმავლობაში; ან

(x) „ნებართვასთან დაკავშირებული შემთხვევა“.

(b) არა-პოლიტიკური ფორს მაჟორის შემთხვევა (თითოეული „**არა-პოლიტიკური ფორს მაჟორის შემთხვევა**“), რაც მოიცავს:

(i) ხანძარს, აფეთქებას ან დატბორვას, მიუხედავად იმისა, გამოწვეულია იგი თუ არა ბუნებრივი კატასტროფით ან სხვა გარემოებით, მიწისძვრა, მეხი, შტორმი, ტაიფუნი, ტორნადო ან სხვა ბუნებრივი კატასტროფა;

(ii) ეპიდემია ან პანდემია;

(iii) არქეოლოგიური კულტურული რელიქვიების, განამარხებული ნივთების, სამარხი გორაკების და მემორალური საიტების, ისტორიული ხელოვნების ნარჩენების და სხვა არქეოლოგიური, გეოლოგიური და ისტორიული მნიშვნელობის მქონე ლოტების აღმოჩენა „სამშენებლო მოედანზე“, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული მითითებული „სადგურთან“ დაკავშირებულ „სამშებელო ნებართვაში“

(iv) ნებისმიერი გაფიცვა, პროტესტის ფორმად ეფექტურობის/წარმოების შემცირება, რომელიც სცდება „სადგურს“, მაგრამ არ არის პოლიტიკური ხასიათის;

(v) რადიოაქტიური დაბინძურება ან იონიზირებული რადიაცია, რომლის წყარო საქართველოს გარეთაა; ან

(vi) დაბინძურება, რომლის წყარო საქართველოს ფარგლებს გარეთაა და გავლენას ახდენს წყლის ხარისხზე.

8.1.4. ნებისმიერი სხვა მუხლის მნიშვნელობის შეზღუდვის გარეშე, „მხარე გავლენის ქვეშ“ თავისუფლდება ვალდებულების შესრულებისგან და არ მიიჩნევა „ხელშეკრულების“ დამრღვევად (მათ შორის, მუხლი 4.4 (*პირგასამტეხლო პროექტის სხვადასხვა ეტაპზე*) მიზნებისათვის) მანამ, სანამ და იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ასეთი შეუსრულებლობა გამომდინარეობს „ფორს მაჟორის შემთხვევიდან“. ნებისმიერი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც „მხარე“, თანახმად „ხელშეკრულებისა“, ვალდებულია შეასრულოს ნებისმიერი ქმედება ან დავალება, ექვემდებარება გაგრძელებას თანახმად მუხლისა 4.2.5 (*დასრულების დაგეგმილი თარიღისა და სხვა ეტაპების თარიღების გადავადება, გაგრძელების შემთხვევის დადგომის გამო*) იმავე პერიოდით, რომელიც ტოლია იმ დროისა, რომლის განმავლობაშიც ასეთი „მხარე“

მოკლებული იყო შესაძლებლობას განეხორციელებინა ასეთი ქმედება „ფორს მაჟორის შემთხვევის“ გამო და აღმოეფხვრა ასეთი „ფორს მაჟორის შემთხვევის“ შედეგები.

8.1.5. „ფორს მაჟორის შემთხვევა“, რომლიც გავლენას ახდენს ნებისმიერ „მხარეზე“ არც ერთ შემთხვევაში ათავისუფლებს ასეთ „მხარეს“ ვალდებულებისგან განახორციელოს ნებისმიერი გადახდა, როდესაც ასეთი ხდება ვადამოსული ამ „ხელშეკრულების“ ან „საპროექტო ხელშეკრულების“ საფუძველზე, გარდა მხოლოდ იმ შემთხვევისა, როდესაც „ფორს მაჟორის შემთხვევა“ გავლენას ახდენს საბანკო სისტემაზე და გავლენის ქვეშ მყოფი „მხარე“ მოკლებულია შესაძლებლობას განახორციელოს გადახდა ასეთის შედეგად, რა შემთხვევაშიც „მხარე“ გავლენის ქვეშ რჩება ვალდებული განახორციელოს ასეთი გადახდა ზემოქმედების ქვეშ თანახმად „ხელშეკრულებისა“ ან შესაბამისი „საპროექტო ხელშეკრულებისა“, მაგრამ არ იქნება ვალდებული გადაიხადოს საჯარიმო პროცენტი ნებისმიერ ასეთ ზეგავლენის ქვეშ მყოფ გადახდაზე.

8.1.6. არც „მთავრობა“ და არც „საჯარო დაწესებულება“ არის უფლებამოსილი მოითხოვოს გათავისუფლება „ხელშეკრულების“ ფარგლებში არსებული ვალდებულების შესრულებისგან „პოლიტიკური ფორს მაჟორის შემთხვევის“ შედეგად, რომელიც გავლენას ახდენს „მთავრობის“ ან ნებისმიერი „საჯარო დაწესებულების“ ვალდებულების შესრულებაზე ამ „ხელშეკრულების“ ან ნებისმიერი იმ „საპროექტო ხელშეკრულების“ ფარგლებში, რომლის მხარესაც ის წარმოადგენს ან მოითხოვოს ფორს-მაჟორულ გარემოებაზე დაყრდნობით „ხელშეკრულებით“ ან ნებისმიერი „საპროექტო დოკუმენტით“ ნაკისრი ვალდებულებისგან გათავისუფლება, რომლის მხარესაც წარმოადგენს იგი თუ ამგვარი გარემოება ხელს უშლის „დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის სამუშაოებს“ ან გამოიწვევს „გადამცემი სისტემის მოვლენას“.

8.1.7. ქვემორე წესები გავრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც „ფორს მაჟორის შემთხვევის“ შედეგად „მხარე გავლენის ქვეშ“ არის „კომპანია“:

(a) იმდენად, რამდენადაც „ფორს მაჟორის შემთხვევის“ შედეგები მოქცევა „კომპანიის“ მიერ საკუთარი ნებით გაფორმებული დაზღვევის ხელშეკრულებათა მიერ დაფარულ რისკებში, „კომპანია“ გააკეთებს შესაბამის მოთხოვნას ასეთი ხელშეკრულებების ქვეშ და მიმართავს შესაბამის ანაზღაურებას „ფორს მაჟორის შემთხვევის“ შედეგების აღმოსაფხვრელად, „დაფინანსების დოკუმენტების“ მიერ დაშვებულ ფარგლებში; და

(b) თუ დაზღვეული „ფორს მაჟორის შემთხვევა“ სრულად ან ნაწილობრივ გაანადგურებს „სადგურს“, „კომპანია“ მიმართავს სადაზღვევო ანაზღაურებას, „დაფინანსების დოკუმენტებით“ დაშვებულ ფარგლებში, ასეთი „სადგურის“ საოპერაციო მდგომარეობამდე შესაკეთებლად და აღსადგენად „მთავრობასთან“ შეთანხმებულ ვადაში, რათა დააკმაყოფილოს „მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები“.

8.1.8. იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერი „ფორს მაჟორის შემთხვევა“ ან „ცვლილება კანონმდებლობაში“, თანახმად მუხლისა 8.2.1(d) *(კომპენსირებადი შემთხვევა)*, (i) ხელს უშლის, აფერხებს ან სხვაგვარად უზღუდავს „მხარეს“ „ხელშეკრულების“ ფარგლებში ვალდებულების შესრულებას ჯამურად ას ოთხმოც (180) დღეზე მეტი ვადით (ან, ნებისმიერი საომარი მოქმედების შედეგად (გამოცხადებული თუ არა) შემოსევის ან შეიარაღებული კონფლიქტის, რომლიც არ არის გამოწვეული „მთავრობის“ მიერ შემთხვევაში - ორას სამოცდაათი (270) დღეზე), ან (ii) ასუსტებს ეკონომიკურ საფუძველს „პროექტის“ იმპლემენტაციისა ან ოპერირებისათვის თანახმად „ხელშეკრულებისა“, მაშინ (ა) თითოეული „ფორს მაჟორის შემთხვევის“ ან „კანონმდებლობაში ცვლილების“ ან 8.2.1(d) *(კომპენსირებადი შემთხვევა)* პუნქტის საფუძველზე, „კომპანიას“ ექნება „ხელშეკრულების“ შეწყვეტის უფლება თანახმად ამავე „ხელშეკრულებისა“, და (ბ) იმ შემთხვევაში, როდესაც „ხელშეკრულება“ წყდება „კომპანიის“ მიერ „პოლიტიკური ფორს მაჟორის შემთხვევის“ ან „კანონმდებლობაში ცვლილების“ ან 8.2.1(d) *(კომპენსირებადი შემთხვევა)* პუნქტის გამო, „მთავრობა“ ვალდებულია შეიძინოს ყველა „გადაცემადი აქტივი“ 9.4.3 მუხლის (*ხანგრძლივი პოლიტიკური ფორს-მაჟორის ან კანონმდებლობაში ცვლილების გამო შეწყვეტა*) შესაბამისად გამოანგარიშებული ფასით და (გ) იმ შემთხვევაში, თუ „ხელშეკრულება“ წყდება „არა-პოლიტიკური ფორს მაჟორის შემთხვევის“ გამო, „მთავრობა ვალდებულია შეიძინოს ყველა „გადაცემადი აქტივი“ 9.4.4 მუხლის (*ხანგრძლივი არაპოლიტიკური ფორს-მაჟორის გამო შეწყვეტა*) შესაბამისად გამოანგარიშებული ფასით.

8.2. კომპენსირებადი შემთხვევები

8.2.1. კომპენსირებადი შემთხვევები

„კომპანიის“ განკარგულებაში არსებული „ხელშეკრულებით“ ან ნებისმიერი სხვა „საპროექტო ხელშეკრულებით“ ასეთი შემთხვევებისთვის გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა ინსტრუმენტის მიუხედავად, თუ, ქვემორეს შედეგად:

(a) „მთავრობის“ ან ნებისმიერი „საჯარო დაწესებულების“ მიერ იმ „საპროექტო ხელშეკრულების“ დარღვევა, რომლის მხარესაც აღნიშნული წარმოადგენს;

(b) ნებისმიერი „პოლიტიკური ფორს მაჟორის შემთხვევა“;

I „ექსპროპრიაციის შემთხვევა“;

(d) საქართველოს კანონმდებლობის (მათ შორის, „გადასახადების“, „ქსელის წესების“ ან "ბაზრის წესების") შემოღება, პრომულგირება, ძალაში შესვლა, გაუქმება ან ახლიდან შემოღება (გარდა მხოლოდ კოდიფიცირების მიზნით განხორციელებულისა),

ცვლილება, გამოყენების შეცვლა, ცვლილება განმარტებაში ან მოდიფიცირება, რომელიც ხორციელდება „ხელშეკრულების“ თარიღის შემდეგ და განპირობებულია „სამშენებლო მოედნის“ გეოგრაფიული, გეოლოგიური, ჰიდროგრაფიული თავისებურებით ან გარემოებით, რომელიც ვრცელდება მხოლოდ „კომპანიაზე“ ან მისი კონტრაქტორების/ოპერატორების იმ ქმედებაზე, რომლიც უკავშირდება „პროექტს“ და არ გავრცელდება რომელიმე სხვა ერთეულზე ან ერთეულებზე, რომლებიც შედარებადია „კომპანიასთან“ ან მის ხსენებულ კონტრაქტორებთან/ოპერატორებთან;

(e) „მოულოდნელი ცვლილება კანონმდებლობაში“; ან

(f) ნებისმიერი სხვა შემთხვევა, რომელიც აღწერილია როგორც „კომპენსირებადი შემთხვევა“ ამ „ხელშეკრულების“ ფარგლებში,

„კომპანიას“ მიადგება ან განიცდის „დანაკარგს“, ასეთი შემთხვევა მიიჩნევა „კომპენსირებად შემთხვევად“ და „კომპანიას“ ექნება უფლება მოითხოვოს კომპენსაცია თანახმად წინამდებარე 8.2 (*კომპენსირებადი შემთხვევები*).

ეჭვის გამოსარიცხად დგინდება, რომ „კომპანიას“ ექნება უფლება მოითხოვოს ნებისმიერი „დანაკარგი“, რომლიც მან განიცადა ან რომელიც მას მიადგა „საკომპენსაციო შემთხვევის“ შედეგად ნებისმიერ დროს „ვადის“ განმავლობაში და რომლიც მოიცავს ნებისმიერ „დანაკარგს“, რომელიც გამომდინარეობს ნებისმიერი „დასრულების თარიღის“ ან „კომერციული ოპერირების თარიღის“ დაგეგმილი თარიღის დადგომის დაგვიანებიდან „საკომპენსაციო შემთხვევის“ შედეგად.

8.2.2. საკომპენსაციო შეტყობინება

(a) ნებისმიერი სხვა მუხლის მიუხედავად, „საკომპენსაციო შემთხვევის“ დადგომისას „კომპანია“ განახორციელებს შეტყობინებას („საკომპენსაციო შეტყობინება“) “მთავრობაზე“ როგორც კი ეს გონივრულად პრაქტიკულია მას შემდეგ, რაც შეიტყობს „საკომპენსაციო შემთხვევის“ თაობაზე და ასეთი შეტყობინება შეიცავს:

(i) „საკომპენსაციო შემთხვევის“ არსებობას და ბუნებას;

(ii) „საკომპენსაციო შემთხვევის“ შედეგებს, მათ შორის, „საკომპენსაციო შემთხვევის“ გავლენას „კომპანიის“ ხარჯებზე/შემოსავლებზე და ნებისმიერ სხვა „დანაკარგზე“ (იმ პირობით, რომ „კომპანია“ მუდმივად ეცდება ასეთი დანახარჯების შემცირებას კომერციულად გონივრული ქმედებით) და მოთხოვნილი კომპენსაციის ჯამურ ოდენობას ნებისმიერ „დანაკარგთან“ მიმართებაში.

(b) გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „მთავრობა“ უფრო ადრე მიაწვდის „კომპანიას“ თანხმობას „საკომპენსაციო შეტყობინების“ ფარგლებში მოთხოვნილი კომპენსაციის გადახდაზე, მხარეები შეხვდებიან ერთმანეთს „საკომპენსაციო შეტყობინების“ გამოცემიდან თხუთმეტი (15) დღის განმავლობაში, რათა განიხილონ და შეეჯერდნენ იმ კომპენსაციის ოდენობაზე, რომელიც ეკუთვნის „კომპანიას“ თანახმად მუხლისა 8.2.3 (*კომპენსაცია*). იმ შემთხვევაში, თუ მხარეები არ შეთანხმდებიან ერთჯერად საკომპენსაციო თანხაზე ოცდაათი (30) დღის განმავლობაში „საკომპენსაციო შეტყობინების“ გამოცემიდან, მაშინ ასეთი დავა გადაწყდება თანახმად მუხლისა 12.2 (*ტექნიკური ექსპერტი*). „მთავრობა“ გადაუხდის „კომპანიას“, თანახმად მუხლისა 8.2.3 (*კომპენსაცია*), „ტექნიკური ექსპერტის“ მიერ შეთანხმებულ ან დადგენილ ოდენობას.

8.2.3. კომპენსაცია

(a) „მთავრობა“ აუნაზღაურებს „კომპანიას“ ნებისმიერ გაზრდილ ხარჯს ან შემცირებულ შემოსავალს ან ნებისმიერ სხვა „დანაკარგს“ (იმ პირობით, რომ „კომპანია“ მუდამ ცდილობს ასეთი დანახარჯის მიტიგაციას კომერციულად გონივრული ქმედებით), რომლიც დგება „საკომპენსაციო შემთხვევის“ შედეგად.

(b) „მთავრობა“ აუნაზღაურებს „კომპანიას“ „საკომპენსაციო შემთხვევებს“ ერთჯერადი საკომპენსაციო თანხით თანახმად ქვემორე პუნქტისა 8.2.3(c) (*კომპენსაცია*).

(c) „მთავრობა“ გადაიხდის შეთანხმებულ ან 8.2.2(b) მუხლში *(კომპენსაციის* შეტყობინება) განსაზღვრული „ტექნიკური ექსპერტის“ მიერ დადგენილ ოდენობას ოცდაათ (30) დღეში ასეთის შეთანხმებიდან ან დადგენიდან.

8.2.4. კომპენსაცია საპროექტო ხელშეკრულებების ფარგლებში

(a) „კომპანიის“ უფლება მიიღოს ანაზღაურება „საკომპენსაციო შემთხვევის“ გამო თანახმად მუხლისა 8.2 (*კომპენსირებადი შემთხვევები*) იარსებებს მიუხედავად მისი უფლებისა გამოიყენოს ნებისმიერი სხვა ინსტრუმენტი ამ „ხელშეკრულების“ ან სხვა „საპროექტო ხელშეკრულების“ ფარგლებში, რაც შესაძლოა გავრცელდეს შესაბამის „საკომპენსაციო შემთხვევაზე“ (მათ შორის, „ეტაპების თარიღების“ გადავადება თანახმად მუხლისა 4.2.5 (*დასრულების დაგეგმილი თარიღისა და სხვა ეტაპების თარიღების გადავადება, გაგრძელების შემთხვევის დადგომის გამო*) და მე-9 მუხლის (*დეფოლტის შემთხვევები და ხელშეკრულების შეწყვეტა*) საფუძველზე არსებული ნებისმიერი შეწყვეტის უფლებისა).

(b) როდესაც „კომპანია“ მიიღებს გამოუხმობად კომპენსაციას სრულად, ნებისმიერი ნებისმიერი „საჯარო დაწესებულებისგან“, თანახმად ნებისმიერი „საპროექტო ხელშეკრულებისა“ ან სხვაგვარად, გამომდინარე საქართველოს კანონმდებლობიდან

„საკომპენსაციო შემთხვევასთან“ მიმართებით, მაშინ „კომპანიას“ ექნება უფლება „მთავრობას“ წაუყენოს მოთხოვნა 8.2 (*კომპენსირებადი შემთხვევები*) მუხლის თანახმად ქვემოთ განსაზღვრულ ორ შემთხვევაში:

(i) როდესაც შესაბამისი „საჯარო დაწესებულება“ არ უხდის „კომპანიას“ კუთვნილ კომპენსაციას დადგენილ ვადაში, შესაბამისი „საპროექტო ხელშეკრულებით“ ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; და/ან

(ii) იმ ფარგლებში, რაშიც „კომპანია“ სრულად არ იყო კომპენსირებული „დანაკარგის“ (მათ შორის, მიუღებელი შემოსავალი) გამო შესაბამისი „საპროექტო ხელშეკრულების“ ან საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

8.2.5. ცვლილება კანონმდებლობაში

(a) „კომპანიის“ ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობაზე მატერიალური უარყოფითი გავლენის მქონე „კანონმდებლობაში ცვლილების“ დადგომიდან ექვსი (6) თვის განმავლობაში, „კომპანიას“ გააჩნია უფლება წერილობით მოითხოვოს „მთავრობამ“ დაიწყოს კეთილსინდისიერი მოლაპარაკება „ხელშეკრულების“ შესაბამისი პირობების შეცვლაზე (რაც უნდა მოიცავდეს პირობას კომპენსაციის გადახდის თაობაზე), რათა ასახულ იქნას „კანონმდებლობაში ცვლილების“ შედეგები. ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში „მთავრობა“ დაუყოვნებლივ იწყებს მოლაპარაკების პროცესს. იგულისხმება, რომ „კანონმდებლობაში ცვლილების“ „კომპანიის“ ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობაზე მიყენებული ზეგავლენის შეფასებისას „მთავრობა“ და „კომპანია“ გაითვალისწინებენ პოზიტიურ გავლენასაც, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელიც შესაძლოა „კანონმდებლობაში ცვლილებას“ ჰქონდეს (უარყოფით გავლენასთან ერთად) „კომპანიის“ ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობაზე და შეცვლიან ამ „ხელშეკრულებას“ (მათ შორის, ნებისმიერ პირობას კომპენსაციის გადახდის თაობაზე) (i) მხოლოდ თუ ასეთ „კანონმდებლობაში ცვლილების“ უარყოფით გავლენას აქვს მატერიალური ხასიათი „კომპანიის“ ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობაზე დადებით გავლენასთან შედარებით; და (ii) მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც საჭიროა „კომპანიის“ ფინანსურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე უარყოფითი გავლენისა და დადებით გავლენას შორის არსებული სხვაობის დასაფარად.

(b) იმ პირობით, რომ (i) „კომპანიამ“ გასცა წერილობითი მოთხოვნა „მთავრობაზე“ მოლაპარაკების დაწყების თაობაზე; და (ii) „კომპანია“ და „მთავრობა“ ვერ შეთანხმდნენ ამ „ხელშეკრულების“ ცვლილებაზე შესაბამისი მოლაპარაკების დაწყებიდან სამი (3) თვის განმავლობაში, „კომპანიას“ აქვს უფლება, თუ „მთავრობამ“ არ აანაზღაურა იმ დრისათვის საკმარისი კომპენსაცია „კომპანიის“ მიერ განცდილი „დანაკარგის“ საკომპენსაციოდ ან არ დათანხმდა ასეთი კომპენსაციის გადახდას „კომპანიისათვის“ მისაღები პირობებით („მოუგვარებელი ცვლილება

კანონმდებლობაში"), განახორციელოს ერთ-ერთი: (x) შეწყვიტოს „ხელშეკრულება" „მთავრობის" დეფოლტის საფუძველზე და შესაბამისად გამოიყენება მუხლი 9.4.2 (*კომპანიის მიერ შეწყვეტა*) ისე, თითქოს შეწყვეტა წინამდებარე 8.2.5 მუხლის (*კანონმდებლობის ცვლილება*) საფუძველზე არის შეწყვეტა „მთავრობის" დეფოლტის საფუძველზე; და/ან (y) მოითხოვოს ასეთი „დანაკარგის" ოდენობა „საკომპენსაციო შემთხვევად" თანახმად 8.2 მუხლისა *(კომპენსირებადი შემთხვევა).*

(c) ისეთ „კანონმდებლობაში ცვლილებასთან" მიმართებით, რომელსაც გააჩნია ფინანსური ან ეკონომიკური ეფექტი, მიიჩნევა, რომ მას აქვს „მატერიალურად საზიანო ეფექტი" ან „მატერიალური გავლენა" თუ, „კანონმდებლობაში ცვლილება" სხვა „კანონმდებლობაში ცვლილებასთან" ერთად იწვევს „კომპანიის" დანახარჯების ზრდას/შემოსავლის შემცირებას იმ ოდენობით, რაც ნებისმიერი კალენდარული წლის მანძილზე აღემატება „კომპანიის" წინა კალენდარული წლის შემოსავლების ერთ პროცენტს (1%) (ან თუ ეფექტი დადგება „სამშენებლო ფაზის" მანძილზე ან „საოპერაციო ფაზის" პირველი კალენდარული წლის მანძილზე, ეფექტი დაითვლება „საოპერაციო ფაზის" პირველი კალენდარული წლის მანძილზე „კომპანიის" მიერ დაგეგმილი შემოსავლების საფუძველზე), ან წინამდებარე „ხელშეკრულების" მოქმედების მანძილზე, ჯამურად აღემატება 5,000,000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარს, და „მთავრობა" აუნაზღაურებს „კომპანიას" ნებისმიერ გაზრდილ ხარჯებს და/ან შემოსავლების შემცირებას იმ ოდენობით, რაც აღემატება წლიურ ან ჯამურ ზღვარს (შესაბამისი შემთხვევის გათვალისწინებით).

(d) ნებისმიერი დავა იმის თაობაზე, აკმაყოფილებს თუ არა „კანონმდებლობაში ცვლილება" ამ 8.2.5 მუხლით (*კანონმდებლობის ცვლილება*) დადგენილ კრიტერიუმებს და ასევე დადგა თუ არა იგი, „ხელშეკრულებაში" შესატან შესაბამის ცვლილებაზე ან „მთავრობის" მიერ „კანონმდებლობაში ცვლილების" გამო გადასახდელი კომპენსაციის ოდენობას, შესაძლოა ნებისმიერი „მხარის" მიერ გადაეცეს განსახილველად მე-12 მუხლის *(დავების გადაწყვეტა)* თანახმად.

9. დეფოლტის შემთხვევები და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. დეფოლტი

9.1.1.კომპანიის დეფოლტის შემთხვევა

თითოეული ქვემოთ აღნიშნული შემთხვევა წარმოადგე„ს "კომპანიის დეფოლტის შემთხვე"ას":

(a) კომპანიის ორივე სადგურის მშენებლობის სამუშაოების მიტოვება, როგორც ეს განისაზღვრება 4.3.10(a) პუნქტით (*მიტოვება და მშენებლობის გარანტიის განაღდება*);

(b) თუკი კომპანია ვერ მიაღწევს მშენებლობის დაწყების თარიღის დადგომას მშენებლობის ძალაში შესვლის თარიღიდან ოცდაოთხი (24) თვის თავზე;

(c) თუკი კომპანია ვერ მიაღწევს მშენებლობის დაწყების თარიღის დადგომას მშენებლობის შესაბამისი ძალაში შესვლის თარიღიდან ოცდაოთხი (24) თვის თავზე;

(d) თუკი კომპანია ვერ მიაღწევს მშენებლობის საბოლოოდ დასრულების თარიღის დადგომას ბოლო „საგურის“ მშენებლობის დაწყების თარიღიდან სამოცი (60) თვის თავზე;

(e) კომპანიის წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული რომელიმე ვალდებულების ან განცხადების არსებითი დარღვევა, წინასამშენებლო ფაზის ან სამშენებლო ფაზის განმავლობაში (მანამ, სანამ არ დადგება შესაბამისი მშენებლობის საბოლოოდ დასრულების თარიღი), თუკი ამგვარი დარღვევა არ გამოსწორდა საქართველოს მთავრობის მიერ კომპანიისათვის შეტყობინებიდან ოთხმოცდაათი (90) დღის განმავლობაში;

(f) კომპანიის გაკოტრება ან გადახდისუუნარობა; ან

თუ „კომპანიის“ მიერ გამოწვეული მიზეზებით დადგა ნებისმიერი ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევ

(g) ა:

i. „სესხის ხელშეკრულება“ არ დაიდო „მშენებლობის დაწყების თარიღიდან“ 18 (თვრამეტი) თვის ვადაში; ან

ii. დაფინანსება არ იქნა მოპოვებული „მშენებლობის დაწყების თარიღიდან“ 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში.

ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, კონკრეტდება, რომ არც ერთი შემთხვევა არ ჩაითვლება კომპანიის დეფოლტის შემთხვევად იმ შემთხვევაში, თუკი ამგვარი მოვლენა ან შემთხვევა გამოწვეულია საქართველოს მთავრობის ან ნებისმიერი შესაბამისი „საჯარო დაწესებულების“ მიერ ამ ხელშეკრულების ან ნებისმიერი სხვა „საპროექტო ხელშეკრულების“ დარღვევით ან ფორს-მაჟორული გარემოებით.

9.1.2. საქართველოს მთავრობის დეფოლტის შემთხვევა

თითოეული ქვემოთ აღნიშნული შემთხვევა წარმოადგე„ს "საქართველოს მთავრობის დეფოლტის შემთხვე"ას":

(a) წინამდებარე პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის ან „საჯარო დაწესებულების", მათ შორის შესაბამისი „საჯარო დაწესებულების" (მიუხედავად იმისა პირდაპირ არის თუ არა განსაზღვრული ასეთად ამ ხელშეკრულებით) წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული რომელიმე ვალდებულების ან განცხადების არსებითი დარღვევა, თუკი ამგვარი დარღვევა არ გამოსწორდა შესაბამისად საქართველოს მთავრობის ან „საჯარო დაწესებულების", ან შესაბამისი მთავრობის ორგანოსათვის შეტყობინებიდან ოთხმოცდაათი (90) დღის განმავლობაში;

(b) საქართველოს მთავრობის ან შესაბამისი „საჯარო დაწესებულების" მიერ კომპანიისათვის ამ ხელშეკრულებით ან ნებისმიერი პროექტის ხელშეკრულებით, რომლის მხარეც არის იგი, გათვალისწინებული გადახდის ვალდებულების დარღვევა თუკი დარღვევა გრძელდება ოცდაათი (30) დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც კომპანია მისცემს დამრღვევ მხარეს წერილობით შეტყობინებას ამგვარი გადახდის ვალდებულების დარღვევის თაობაზე;

(c) წინამდებარე ხელშეკრულების ან ნებისმიერი პროექტის ხელშეკრულების, რომლის მხარეც არის შესაბამისი „საჯარო დაწესებულება" სრული ან ნაწილობრივი ბათილობა ან აღუსრულებადობა, რაც პირდაპირ და ექსკლუზიურად არ არის გამოწვეული კომპანიის მიერ;

(d) კომპანიის მიერ შეწყდება ნებისმიერი საპროექტო ხელშეკრულების (გარდა ამ ხელშეკრულებისა) მოქმედება „საჯარო დაწესებულების" ან შესაბამისი სამთავრობო ერთეულის მხრიდან ამგვარი საპროექტო ხელშეკრულების დარღვევის გამო;

(e) ექსპროპრიაცია;

(f) ვერ მოხდება „დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის სამუშაოების" დასრულება „დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის სამუშაოების დაგეგმილი თარიღიდან" 18 (თვრამეტი) თვის ვადაში; ან

(g) შესაბამისი საჯარო დაწესებულების გაკოტრება ან გადახდისუუნარობა, თუ ამგვარი გაკოტრების ან გადახდისუუნარობის საქმის გახსნიდან ოთხმოცდაათი (90) დღის ვადაში „მთავრობა" არ უზრუნველყოფს „შესაბამისი საჯარო დაწესებულების" „პროექტთან" (რაც მოიცავს „საპროექტო ხელშეკრულებებს") დაკავშირებული ყველა უფლებისა და ვალდებულების სხვა „შესაბამისი საჯარო დაწესებულებისთვის"

გადაცემას იმგვარად, რომ ამგვარმა გაკოტრებამ, გადახდისუუნარობამ ან ჩანაცვლებამ (გარემოებების გათვალისწინებით) გავლენა არ უნდა იქონიოს „კომპანიაზე“.

9.2. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.2.1.საქართველოს მთავრობის მიერ ამ ხელშეკრულების შეწყვეტა

(a) შეწყვეტის უფლება

9.3 პუნქტის (*დამფინანსებელი მხარის მიერ შეწყვეტის უფლება*) და ნებისმიერი პირდაპირი ხელშეკრულების ნებისმიერი დებულების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, კომპანიისთვის შეწყვეტის შეტყობინების გაგზავნის გზით თუ:

(i) ადგილი აქვს კომპანიის დეფოლტის შემთხვევას და:

(A) კომპანია არ გამოასწორებს ამგვარ კომპანიის დეფოლტის შემთხვევას 9.2.1(ბ) პუნქტით (*გამოსწორების გეგმა*) განსაზღვრული წესით; და

(B) დამფინანსებელი მხარე არ გამოასწორებს ამგვარ დარღვევას 9.3 პუნქტით (*დამფინანსებელი მხარის მიერ შეწყვეტის უფლება*) და ნებისმიერი პირდაპირი ხელშეკრულებით დადგენილი წეს ით; ან

(ii) ჯამში, კომპანიის მხრიდან შესაბამისი წინასამშენებლო ფაზის დასრულების ვადის გადაცილება, რაც გამოწვეულია კომპანიის მხრიდან მიწაზე უფლებების მოუპოვებლობით და რაც არ ჩაითვლება საპატიოდ ამ ხელშეკრულების მიხედვით, აღემატება ოცდაოთხ (24) თვეს, იმ პერიოდის ჩათვლით, რომლის განმავლობაშიც კომპანიას ჰქონდა შესრულების ვადის გადაცილება და ერიცხებოდა პირგასამტეხლო, და ადგილი არ ჰქონია ვადის გაგრძელების შემთხვევას, როგორც ეს განმარტებულია 4.2.5 პუნქტით (*გეგმიური დასრულების თარიღის და სხვა ეტაპების დასრულების თარიღის გადავადება, ვადის გაგრძელების შემთხვევების დადგომის გამო*).

(ხ) გამოსწორების გეგმა

(i) თუკი ადგილი აქვს კომპანიის დეფოლტის შემთხვევას, რაც გათვალისწინებულია 9.1.1 (ა), (გ), (დ), (ე) ან (ზ) (*კომპანიის დეფოლტის*

შემთხვევა) პუნქტებით, კომპანია ვალდებულია, ორმოცდახუთი (45) დღის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობა ან საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი აცნობებს კომპანიას კომპანიის დეფოლტის შემთხვევის დადგომის შესახებ, შესთავაზოს საქართველოს მთავრობას ან საქართველოს მთავრობის წარმომადგენელს გამოსწორების გეგმა. საქართველოს მთავრობა ვალდებულია, გონივრული განსჯის საფუძველზე, მიიღოს ან უარყოს ამგვარი გამოსწორების გეგმა, მიღებიდან ორმოცდახუთი (45) დღის განმავლობაში და დაუყოვნებლივ აცნობოს კომპანიას ამგვარი მიღების ან უარყოფის თაობაზე, მათ შორის, უარყოფის შემთხვევაში - ამგვარი უარყოფის საფუძველი.

(ii) 9.3 პუნქტის (*დამფინანსებელი მხარის მიერ შეწყვეტის უფლება*) და ნებისმიერი პირდაპირი ხელშეკრულების ნებისმიერი დებულების გათვალისწინებით:

(A) იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობა უარყოფს გამოსწორების გეგმას, კომპანიას ექნება ოცდაათ (30) დღიანი ვადა, რომ გამოასწოროს კომპანიის დეფოლტის შემთხვევა (ვადა აითვლება საქართველოს მთავრობის მიერ გეგმის უარყოფის შესახებ შეტყობინების დღიდან), ხოლო თუკი კომპანიის დეფოლტის შემთხვევა არ გამოსწორდება მითითებული ვადის ამოწურვამდე ან თუ კომპანია არ დაიწყებს ამგვარი კომპანიის დეფოლტის შემთხვევის გამოსწორებას და გულდასმით არ მიჰყვება გამოსწორების პროცესს, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება კომპანიისათვის შეწყვეტის შეტყობინების გაგზავნის გზით.

(B) თუკი საქართველოს მთავრობა მოიწონებს გამოსწორების გეგმას, ამასთან მოწონების გაცემა არ უნდა იყოს მთავრობის მხრიდან უსაფუძვლოდ დაკავებული ან დაყოვნებული, კომპანია ვალდებულია გულმოდგინედ შეასრულოს ამგვარი გამოსწორების გეგმა. თუკი კომპანიის მიერ არ მოხდება კომპანიის დეფოლტის შემთხვევის გამოსწორება, გამოსწორების გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია გაუგზავნოს კომპანიას შეწყვეტის შეტყობინება.

(C) ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, კონკრეტდება, რომ თუკი კომპანია არ მოახდენს საქართველოს მთავრობისათვის გამოსწორების გეგმის შეთავაზებას ნებისმიერ პუნქტზე ზემოთ (i) პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია გაუგზავნოს კომპანიას შეწყვეტის შეტყობინება; და

(D) თუკი საქართველოს მთავრობა არ უპასუხებს კომპანიას ზემოთ (ა) პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, ჩაითვლება, რომ საქართველოს მთავრობამ

მოიწონა გამოსწორების გეგმა და იგი კარგავს უფლებას მოგვიანებით გამოიხმოს ამგვარი მოწონება.

9.2.2. კომპანიის მხრიდან ამ ხელშეკრულების შეწყვეტა

კომპანია უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება საქართველოს მთავრობისათვის შეწყვეტის შეტყობინების გაგზავნის გზით, შემდეგი საფუძვლებით:

(a) საქართველოს მთავრობის დეფოლტის შემთხვევა;

(b) 4.1.4 პუნქტით (*წინასამშენებლო ფაზა*) ან 8.1.8. პუნქტით (*ფორს-მაჟორული გარემოება*) გათვალისწინებული შემთხვევები; ან

(c) თუკი შეწყდება რომელიმე პროექტის ხელშეკრულების მოქმედება, რომლის მხარეც არის შესაბამისი საჯარო დაწესებულება 9.4 პუნქტით (*ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგები*) განსაზღვრულ შემთხვევებში.

9.2.3. შეწყვეტის უფლებები

თითოეული მხარე თანხმდება მასზედ, რომ მას არ აქვს უფლება შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება ნებისმიერი საფუძვლით, გარდა ამ ხელშეკრულებაში უშუალოდ განსაზღვრული საფუძვლებისა.

9.2.4. ნაწილობრივი შეწყვეტა

(c) იმ შემთხვევაში, თუ „მხარე“ უფლებამოსილი გახდება შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“ მხოლოდ ან არსებითად „ზემო ნამახვანთან“ დაკავშირებული მიზეზებით, იგი უფლებამოსილი იქნება შეწყვიტოს „ხელშეკრულება“ მხოლოდ აღნიშნულ სადგურთან (და მასთან ასოცირებულ გადაცემად აქტივებთან) მიმართებით;

(d) ამ შემთხვევაში, „მხარეები“ თანხმდებიან და აცნობიერებენ, რომ ეს „ხელშეკრულება“, „სამშენებლო ნებართვები“, „გარემოსდაცვითი ნებართვები“ და პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა უფლებამოსილება და ხელშეკრულება ძალაში დარჩება და შეეხება ქვემო ნამახვანის სადგურს (და მასთან დაკავშირებულ გადაცემად აქტივებს) *mutatis mutandis*;

(e) „მხარეები“ თანხმდებიან, რომ პირდაპირი ხელშეკრულება შეიცავს მექანიზმს „საბაზისო თანხის“ აღნიშნულ ორ სადგურზე გადანაწილებასთან დაკავშირებით იმ

შემთხვევაში, თუ „ხელშეკრულება“ შეწყდება ნაწილობრივ 9.2.4(ა) *(ნაწილობრივი შეწყვეტა)* მუხლის საფუძველზე.

9.3. დამფინანსებელი მხარის შეწყვეტის უფლებები

9.3.1.კომპანიის დეფოლტის შემთხვევის შესახებ შეტყობინება

წინასამშენებლო ფაზის შემდეგ, ნებისმიერ დროს, საქართველოს მთავრობა ვალდებულია, კომპანიის დეფოლტის შემთხვევის დადგომის თაობაზე შეტყობისთანავე დაუყოვნებლივ, აცნობოს აღნიშნული დამფინანსებელ მხარეებს იმ მოსაზრებით, რომ მიეცეს დამფინანსებელ მხარეებს შესაძლებლობა, გამოასწორონ კომპანიის დეფოლტის შემთხვევა ან უზრუნველყონ მისი გამოსწორება, ყოველ ასეთ შემთხვევაში შესაბამისი პირდაპირი ხელშეკრულების შესაბამისად, და საქართველოს მთავრობა ვალდებულია დაეხმაროს ამაში დამფინანსებელ მხარეებს, გონივრულობის ფარგლებში.

9.3.2. საქართველოს მთავრობის მიერ შეწყვეტა

თუკი, მიუხედავად ზემოაღნიშნული 9.3.1 პუნქტისა (*კომპანიის დეფოლტის შემთხვევის შესახებ შეტყობინება*), დამფინანსებელი მხარეები არ გამოასწორებენ კომპანიის დეფოლტის შემთხვევას ან არ უზრუნველყოფენ მის გამოსწორებას (მათ შორის, მართვაში შემოსვლის და/ან ჩანაცვლების გზით), ყოველ ასეთ შემთხვევაში შესაბამისი პირდაპირი ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება პირდაპირი ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და მის შესაბამისად.

9.4. ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგები

9.4.1.საქართველოს მთავრობის მიერ შეწყვეტა

(a) იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა ამ „ხელშეკრულებას“ შეწყვეტს 9.2.1(a)(i) ან 9.2.1.(a)(ii) *(ხელშეკრულების შეწყვეტა მთავრობის მიერ)* მუხლის თანახმად ან სხვაგვარად, მაშინ მთავრობამ ან მის მიერ დანიშნულმა პირმა უნდა იყიდოს, და „კომპანია“ ვალდებულია გაყიდოს „გადაცემადი აქტივები“ 9.4.6 *(გამოსყიდვის ფასის გადახდა)* და 9.4.7 *(შეწყვეტის შედეგად მთავრობისთვის გადაცემადი აქტივების გადაცემა)* მუხლების შესაბამისად „კომპანიის დარღვევისას შეწყვეტის კომპენსაციის“ ფასად.

(b) „კომპანიის დარღვევისას შეწყვეტის კომპენსაცია“ არის აშშ დოლარში დენომინირებული თანხა, რომელიც უდრის:

(i) თუ ხელშეკრულება შეწყდება „წინასამშენებლო ეტაპზე“ ან „სადგურის“ მშენებლობისას, შესაბამის სადგურთან მიმართებით, პროპორციულად დათვლილი შემდეგი კომპონენტების ჯამი:

(A) საბაზისო თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

(B) იმის გათვალისწინებით, რომ საბაზისო თანხა არ აღემატება საბაზისო თანხისა და კაპიტალში ინვესტიციის ორმოცდაათ პროცენტს (50%), „სამართლიანი საბაზრო ფასის“ 50%-ს გამოკლებული საბაზისო თანხა;

(C) გადაცემადი აქტივების გადაცემასთან დაკავშირებული ყველა გადასახადი;

(D) გადასახადის ზემოდან დარიცხვის თანხა.

რაც, თითოეულ შემთხვევაში, უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტულ სადგურთან დაკავშირებულ გადაცემად აქტივებს; ან

(ii) თუ ეს „ხელშეკრულება“ შეწყდება სადგურის „ოპერირების ბაზაზე“, შესაბამის სადგურთან მიმართებით:

(A) პროპორციულად დათვლილი შემდეგი კომპონენტების ჯამი:

1. საბაზისო თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. გადაცემადი აქტივების გადაცემასთან დაკავშირებული ყველა გადასახადი;

3. გადასახადის ზემოდან დარიცხვის თანხა.

რაც, თითოეულ შემთხვევაში, უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტულ სადგურთან დაკავშირებულ გადაცემად აქტივებს; და

(B) პროპორციულად დათვლილი შემდეგი კომპონენტების ჯამი:

1. „სამართლიანი საბაზრო ღირებულების“ 90 (ოთხმოცდაათი) პროცენტი;

2. გადაცემადი აქტივების გადაცემასთან დაკავშირებული ყველა გადასახადი;

3. გადასახადის ზემოდან დარიცხვის თანხა.

რაც, თითოეულ შემთხვევაში, უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტულ სადგურთან დაკავშირებულ გადაცემად აქტივებს.

9.4.2.კომპანიის მიერ შეწყვეტა

იმ შემთხვევაში, თუკი კომპანია წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედებას მთავრობის დეფოლტის შემთხვევაში, ან თუკი კომპანია წყვეტს ნებისმიერი საპროექტო ხელშეკრულების მოქმედებას, რომლის მხარეც არის შესაბამისი საჯარო დაწესებულება, შესაბამისი საჯარო დაწესებულების მიერ ამგვარი საპროექტო ხელშეკრულების დარღვევის გამო, ან თუკი წინამდებარე ხელშეკრულება ან ნებისმიერი საპროექტო ხელშეკრულების მოქმედებას, რომლის მხარეც არის შესაბამისი საჯარო დაწესებულება არის ან იქნება სრულად ბათილი ან აღუსრულებადი, მაშინ კომპანია უფლებამოსილია, მისი სურვილისამებრ, მოსთხოვოს მთავრობას გადაცემადი აქტივის შეძენა და, ამგვარი მოთხოვნის შემთხვევაში, მთავრობა ვალდებულია შეიძინოს კომპანიისაგან და კომპანია გადაცემად აქტივს გადასცემს მთავრობას ან მის მიერ განსაზღვრულ პირს 9.4.6 (*გამოსყიდვის ფასის გადახდა*) და 9.4.7 (*შეწყვეტის შემდეგ გადაცემადი აქტივის მთავრობისათვის გადაცემა*) პუნქტებით დადგენილი წესით, ანაზღაურების (შემდგომ„ი "მთავრობის დეფოლტის გამო შეწყვეტის შედეგად გადასახდელი თა"ხა") სანაცვლოდ, რაც განისაზღვრება აშშ დოლარში და შეადგენს შემდეგი თანხების ჯამს:

(a) შემდეგი თანხების ჯამი:

(i) საბაზისო თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

(ii) ყველა დოკუმენტირებული ზარალის ჯამი, ჯარიმა ხელშეკრულებების შეწყვეტისთვის, იმ ხელშეკრულებების შეწყვეტის ან გამოსყიდვის ხარჯი, რომლის მხარეც არის კომპანია და რომელიც შეწყდება ან დაირღვევა კომპანიის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის ან მთავრობისთვის გადაცემადი აქტივის მიყიდვის გამო, აგრეთვე, ნებისმიერი ხარჯი, რასაც კომპანია გაიღებს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ყველა ვალდებულებებისგან კომპანიის გათავისუფლება, რაც უკავშირდება იმ ხელშეკრულებებს, რომელიც შედის გადასაცემ აქტივში;

(iii) ნებისმიერი გადასახადი, რაც გადაიხდება გადასაცემი აქტივის გადაცემასთან დაკავშირებით;

(iv) კაპიტალში ინვესტიცია; და

(v) საგადასახადო gross-up თანხა; და

(b) შემდეგი თანხების ჯამი

(i) გადაცემადი აქტივების სამართლიანი საბაზრო ღირებულება;

(ii) ყველა დოკუმენტირებული ზარალის ჯამი, ჯარიმა ხელშეკრულებების შეწყვეტისთვის, იმ ხელშეკრულებების შეწყვეტის ან გამოსყიდვის ხარჯი, რომლის მხარეც არის კომპანია და რომელიც შეწყდება ან დაირღვევა კომპანიის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის ან მთავრობისთვის გადაცემადი აქტივის მიყიდვის გამო, აგრეთვე, ნებისმიერი ხარჯი, რასაც კომპანია გაიღებს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ყველა ვალდებულებისგან კომპანიის გათავისუფლება, რაც უკავშირდება იმ ხელშეკრულებებს, რომელიც შედის გადასაცემ აქტივში;

(iii) ნებისმიერი გადასახადი, რაც გადაიხდება გადასაცემი აქტივის გადაცემასთან დაკავშირებით; და

(iv) საგადასახადო gross-up თანხა.

9.4.3. ხანგრძლივი პოლიტიკური ფორს-მაჟორის ან კანონმდებლობის ცვლილების გამო შეწყვეტა

კომპანიის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ხანგრძლივი პოლიტიკური ფორს-მაჟორის ან კანონმდებლობის ცვლილების ან 8.2.1(d) *(კომპენსირებადი შემთხვევა)* მუხლით გათვალისწინებული მოვლენის გამო შეწყვეტის შემთხვევაში, 8.1.8 პუნქტის (*ფორს-მაჟორი*) შესაბამისად, ან თუკი წყდება რომელიმე საპროექტო ხელშეკრულების მოქმედება, რომლის მხარეც არის შესაბამისი საჯარო დაწესებულება, პოლიტიკური ფორს-მაჟორის ან კანონმდებლობის ცვლილების ეკვივალენტური მიზეზით, მაშინ კომპანია უფლებამოსილია, მისი სურვილისამებრ, მოსთხოვოს მთავრობას გადაცემადი აქტივის შეძენა და, ამგვარი მოთხოვნის შემთხვევაში, მთავრობა ვალდებულია შეიძინოს კომპანიისაგან და კომპანია გადაცემად აქტივს გადასცემს მთავრობას ან მის მიერ განსაზღვრულ, პირს 9.4.6 (*გამოსყიდვის ფასის გადახდა*) და 9.4.7 (*შეწყვეტის შემდეგ გადაცემადი აქტივის მთავრობისათვის გადაცემა*) პუნქტებით დადგენილი წესით, ანაზღაურების სანაცვლოდ, რაც განისაზღვრება აშშ დოლარში და უდრის მთავრობის დეფოლტის გამო შეწყვეტის შედეგად გადასახდელ თანხას (შემდგომ„ი "პოლიტიკური ფორს-მაჟორის გამო შეწყვეტის შედეგად გადასახდელი თა"ხა").

9.4.4. ხანგრძლივი არაპოლიტიკური ფორს-მაჟორის გამო შეწყვეტა

კომპანიის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ხანგრძლივი არაპოლიტიკური ფორს-მაჟორის გამო შეწყვეტის შემთხვევაში, 8.1.8 პუნქტის (*ფორს-მაჟორი*) შესაბამისად, ან თუკი წყდება რომელიმე საპროექტო ხელშეკრულების მოქმედება, რომლის მხარეც არის შესაბამისი საჯარო დაწესებულება, პოლიტიკური ფორს-მაჟორის ეკვივალენტური მიზეზით, მაშინ კომპანია უფლებამოსილია, მისი სურვილისამებრ, მოსთხოვოს მთავრობას გადაცემადი აქტივის შეძენა და, ამგვარი მოთხოვნის შემთხვევაში, მთავრობა ვალდებულია შეიძინოს კომპანიისაგან და კომპანია გადაცემად აქტივს გადასცემს მთავრობას ან მის მიერ განსაზღვრულ პირს 9.4.6 (*გამოსყიდვის ფასის გადახდა*) და 9.4.7 (*შეწყვეტის შემდეგ გადაცემადი აქტივის მთავრობისათვის გადაცემა*) პუნქტებით დადგენილი წესით, ანაზღაურების (შემდგომ„ი "**არაპოლიტიკური ფორს-მაჟორის გამო შეწყვეტის შედეგად გადასახდელი თა"ზა**") სანაცვლოდ, რაც განისაზღვრება აშშ დოლარში და შეადგენს შემდეგი თანხების ჯამს:

(a) საბაზისო თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

(b) ნებისმიერი გადასახადი, რაც გადაიხდება გადასაცემი აქტივის გადაცემასთან დაკავშირებით;

(c) კაპიტალში ინვესტიცია; და

(d) საგადასახადო gross-up თანხა.

9.4.5. შეწყვეტა მშენებლობის ეტაპის დაწყებამდე

(a) თუკი წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება წყდება კომპანიის მიერ 4.1.4 პუნქტის (*წინასამშენებლო ფაზა*) საფუძველზე, მაშინ კომპანია უფლებამოსილია, მისი სურვილისამებრ, მოსთხოვოს მთავრობას გადაცემადი აქტივის შეძენა და, ამგვარი მოთხოვნის შემთხვევაში, მთავრობა ვალდებულია შეიძინოს კომპანიისაგან და კომპანია გადაცემად აქტივს გადასცემს მთავრობას ან მის მიერ განსაზღვრულ პირს 9.4.6 (*გამოსყიდვის ფასის გადახდა*) და 9.4.7 (*შეწყვეტის შემდეგ გადაცემადი აქტივის მთავრობისათვის გადაცემა*) პუნქტებით დადგენილი წესით, იმ მომენტისთვის მშენებლობის ეტაპზე არსებულ ნებისმიერ სადგურთან დაკავშირებული ანაზღაურების სანაცვლოდ, რაც შეადგენს შესაბამის სადგურთან დაკავშირებული ნასყიდობის ფასის, დეველოპმენტის და გზების ხარჯების ჯამს და იმ მომენტისთვის მშენებლობის ეტაპზე არსებულ ნებისმიერ სადგურთან მიმართებით, „მთავრობის მიერ შეწყვეტის კომპენსაციის“ პროპორციულ თანხას, რაც მიემართება შესაბამის სადგურს და მასთან დაკავშირებულ გზას.

(b) თუკი წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება წყდება კომპანიის მიერ წინასამშენებლო ფაზის განმავლობაში, მთავრობის დეფოლტის, პოლიტიკური ფორს-მაჟორის ან კანონმდებლობის ცვლილების ან 8.2.1(d) *(კომპენსირებადი შემთხვევა)* მუხლით გათვალისწინებული მოვლენის გამო, მთავრობა კომპანიას გადაუხდის, შესაბამისად, მთავრობის ან პოლიტიკური ფორს-მაჟორის გამო შეწყვეტის შედეგად გადასახდელ თანხას (შემდგომში „წინასამშენებლო ეტაპზე შეწყვეტის შედეგად გადასახდელი თანხა").

9.4.6. გამოსყიდვის თანხების გადახდა

(a) პირველივე პრაქტიკული შესაძლებლობისთანავე და, ნებისმიერ შემთხვევაში, შეწყვეტის თარიღიდან არაუგვიანეს სამოცი (60) დღის ვადაში, კომპანია ვალდებულია წარუდგინოს საქართველოს მთავრობას ინვოისი საქართველოს მთავრობის მიერ შეწყვეტასთან დაკავშირებით კომპანიისათვის გადასახდელ თანხაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, წინამდებარე 9.4 პუნქტის (*გამოსყიდვის თანხების გადახდა*) შესაბამისად (შემდგომ„ი "შეწყვეტის ინვო"სი").

(b) საქართველოს მთავრობის მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში, და ნებისმიერი ამგვარი მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნეს საქართველოს მთავრობის მიერ შეწყვეტის ინვოისის მიღებიდან არაუგვიანეს თხუთმეტი (15) დღისა, კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს შეწყვეტის ინვოისში მითითებული სამართლიანი საბაზრო ღირებულების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კომპანიისეული კალკულაციის შეთანხმებული აუდიტორის მიერ შემოწმება.

(c) შეთანხმებული აუდიტორი ვალდებულია შეამოწმოს სამართლიანი საბაზრო ღირებულების კომპანიისეული კალკულაცია და ამგვარი კალკულაციის მიღებიდან ოცდაათი (30) კალენდარული დღის ვადაში, გასცეს კომპანიაზე შემოწმების ანგარიში (ამასთან, ასლი მიეწოდება საქართველოს მთავრობას), რომელიც ან უნდა ადასტურებდეს, რომ შეწყვეტის ინვოისში მითითებული სამართლიანი საბაზრო ღირებულება სწორად არის დათვლილი ან, თუკი შეთანხმებული აუდიტორის აზრით, ღირებულების დათვლა სწორად არ მომხდარა, ანგარიშში უნდა იყოს წარმოდგენილი სამართლიანი საბაზრო ღირებულების მისეული კალკულაცია.

(d) შეთანხმებული აუდიტორის სერტიფიკატი არის საბოლოო და მხარეებზე მბოჭავი ძალის მქონე (გარდა აშკარა შეცდომისა). შეთანხმებული აუდიტორი მოქმედებს როგორც ექსპერტი და არა როგორც არბიტრი. შეთანხმებული აუდიტორის მომსახურების გონივრული ხარჯი თანაბრად ანაზღაურდება კომპანიისა და საქართველოს მთავრობის მიერ. შეთანხმებულ აუდიტორს უნდა ჰქონდეს წვდომა კომპანიის ობიექტებზე და მის საბუღალტრო და სხვა დოკუმენტაციაზე, მათი შემოწმების მიზნით და თითოეული მხარე ვალდებულია, შეთანხმებული

აუდიტორის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, დროულად მიაწოდოს მას ყველა ის დოკუმენტი და ინფორმაცია, რასაც შეთანხმებული აუდიტორი მოითხოვს, ამ 9.4.6 *(გამოსყიდვის ფასის გადახდა)* მუხლით გათვალისწინებული ფუნქციის შესასრულებლად.

(e) ქვემოთ (ვ) პუნქტის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობა ვალდებულია, გადაუხადოს კომპანიას შეწყვეტის ინვოისში მითითებული თანხა, არაუგვიანეს საქართველოს მთავრობისათვის შეწყვეტის ინვოისის წარდგენიდან ასოთხმოცი (180) დღის განმავლობაში, იმ პირობით რომ, სამართლიანი საბაზრო ღირებულების კალკულაციის შემთხვევაში, ამგვარი თანხა დაკორექტდება შეთანხმებული აუდიტორის დასკვნაში გათვალისწინებული წესით (და დამატებით დაიქვითება ნებისმიერი თანხა, რაც კომპანიას აქვს გადასახდელი საქართველოს მთავრობისათვის წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე), ან მოგვიანებით, მხარეთა მიერ შეთანხმებული აუდიტორის დასკვნის მიღებიდან ოცდაათი (30) დღის განმავლობაში.

(f) ხელშეკრულების 9.4.1 *(მთავრობის მიერ შეწყვეტა)*, 9.4.2 *(კომპანიის მიერ შეწყვეტა), 9.4.3 (ხანგრძლივი პოლიტიკური ფორს-მაჟორის ან კანონმდებლობის ცვლილების გამო შეწყვეტა)* ან 9.4.4 *(ხანგრძლივი არაპოლიტიკური ფორს-მაჟორის გამო შეწყვეტა)* ან 9.4.5 *(სამშენებლო ეტაპამდე შეწყვეტა)* პუნქტის საფუძველზე შეწყვეტის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობა გადაუხდის დამფინანსებელ მხარეებს საბაზისო თანხას, ასეთის არსებობის შემთხვევაში და საგადასახადო gross-up თანხას, საქართველოს მთავრობისათვის შეწყვეტის ინვოისის ჩაბარებიდან არაუგვიანეს ასოთხმოცი (180) დღის ვადაში, მიუხედავად სამართლიანი საბაზრო ღირებულების დათვლის პროცესის მიმდინარეობისა.

9.4.7. საქართველოს მთავრობისათვის გადაცემადი აქტივის გადაცემა შეწყვეტის შემდეგ

(a) საქართველოს მთავრობის ან მის მიერ განსაზღვრული პირის მიერ კომპანიისათვის 9.4.6 (ე) პუნქტით (*გამოსყიდვის თანხების გადახდა*) გათვალისწინებული თანხის გადახდის შემდეგ უმალვე (შემდგომში „გადაცემის თარიღი"), კომპანია გადასცემს საქართველოს მთავრობას ან მის მიერ განსაზღვრულ პირს გადაცემად აქტივს და საქართველოს მთავრობა ან მის მიერ განსაზღვრული პირი მიიღებს კომპანიისაგან კომპანიის ყველა უფლებას, მოთხოვნას და ინტერესს ამგვარ გადაცემად აქტივთან დაკავშირებით და ამგვარი გადაცემადი აქტივი და უფლებები გადავა ტავისუფალი ყოველგვარი უფლებრივი დატვირთისაგან.

(b) კომპანია უფლებამოსილია, მაგრამ არ არის ვალდებული, გადასცეს ამგვარი გადაცემადი აქტივი საქართველოს მთავრობას ან მის მიერ განსაზღვრულ პირს გადაცემის თარიღამდე, საქართველოს მთავრობისათვის სულ მცირე ოცდაათი (30)

დღით ადრე გაგზავნილი შეტყობინების გზით. ამგვარი გადაცემა არ ათავისუფლებს საქართველოს მთავრობას 9.4 პუნქტით (*ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგები*) გათვალისწინებული გადახდის ვალდებულებებისაგან.

9.4.8. გადაცემის დაყოვნება

(a) კომპანია უფლებამოსილია მიიღოს და დაიტოვოს 9.4.6 (ე) პუნქტის (*გამოსყიდვის თანხების გადახდა*) საფუძველზე მისთვის გადახდილი თანხები, მიუხედავად იმისა, მოხდება თუ არა გადაცემადი აქტივის გადაცემა საქართველოს მთავრობისათვის ან მის მიერ განსაზღვრული პირისათვის ზემოთ მითითებულ ასოთხმოცდღიანი (180) ვადის ამოწურვამდე, მათ შორის თუკი ამგვარი გადაცემა არ ხდება ან ფერხდება იმის გამო, რომ:

(i) წინამდებარე ხელშეკრულების ან ნებისმიერი სხვა საპროექტო ხელშეკრულების დებულებები არის უკანონო, ბათილი, აღუსრულებადი ან საჭიროებს ნებისმიერი მესამე პირის თანხმობას;

(ii) ეს გამოწვეულია საქართველოს მთავრობის, საჯარო დაწესებულების მოქმედებით ან უმოქმედობით, ან სხვა რაიმე მოვლენით ან გარემოებით, რაც კომპანიის ან პარტნიორების გონივრულ კონტროლს მიღმაა;

(iii) ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით;

(iv) ეს გამოწვეულია ნებისმიერი კანონმდებლობის ცვლილებით ან მარეგულირებელი კანონმდებლობით; ან

(v) ეს გამოწვეულია ექსპროპრიაციის, ნაციონალიზაციის ან სავალდებულო შესყიდვით.

(b) წინამდებარე 9.4 პუნქტის (*ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგები*) საფუძველზე, ნებისმიერი ანგარიშსწორება დამფინანსებელი მხარის წინაშე, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ, დაანგარიშდება აშშ დოლარში და გადაიხდება აშშ დოლარში შესაბამისი პირდაპირი ხელშეკრულების მიხედვით.

10. დაფინანსება

10.1. „მთავრობა“ აღიარებს, რომ „კომპანია“ დააფინანსებს „პროექტს“ (i) მესამე მხარეთა სესხებით, ან (ii) „პარტნიორის მიერ პროექტისათვის გაცემული სესხებით“ და/ან (ii) „კაპიტალით“.

10.2. ინფორმაცია „დაფინანსების მხარეებზე“, საერთო სესხის ოდენობაზე და საპროცენტო განაკვეთებზე „დაფინანსების დოკუმენტების“ ქვეშ, დეტალები „სამშენებლო

ხელშეკრულებების“ საერთო ხარჯზე და ფინანსური მოდელის მიეწოდება „მთავრობას“ „დაფინანსების მოპოვებისას“.

10.3. „მთავრობა“ აღიარებს, რომ „კომპანიამ“ და/ან მისმა „პარტნიორებმა“ შესაძლებელია გადაწყვიტონ პოლიტიკური რისკის დაზღვევის მოპოვება იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ „პროექტის“ დაფინანსებას. „მთავრობა“ კისრულობს ვალდებულებას, „კომპანიის“ მოთხოვნის შემთხვევაში, კეთილსინდისიერად ითანამშრომლოს „კომპანიასთან“, მის „პარტნიორებთან“ და ასეთი პოლიტიკური რისკის დაზღვევის მომწოდებლებთან და გასცეს ინფორმაცია და აწარმოოს კეთილსინდისიერი მოლაპარაკებები შესაბამის დოკუმენტაციაზე, როგორც „კომპანია“, მისი პარტნიორები და პოლიტიკური რისკის დაზღვევის მომწოდებლები გონივრულად მოითხოვენ.

11. გადახდები

11.1. ამ „ხელშეკრულების“ ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი გადახდა დაანგარიშდება აშშ დოლარსა და ლარში (გარდა შეწყვეტის თანხებისა, რომლებიც გადაიხდება თანახმად მუხლისა 9.4.6 (*გამოსყიდვის თანხების გადახდა*), რომელთა გადახდა მოხდება აშშ დოლარში თანახმად შესაბამისი “პირდაპირი ხელშეკრულებისა“), რაც შესრულდება ლარის ექვივალენტში თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული კურსისა დაანგარიშების დღისათვის, რაც ნიშნავს, „ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების“ ფარგლებში განხორციელებული გადახდებისათვის, საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღეს, რომელთან დაკავშირებითაც დგება შესაბამისი ინვოისი და იმ გადახდებისათვის, რომლებიც არ ხდება „ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების“ ფარგლებში, იმ დღეს, როდესაც შესაბამისი გადახდის ვადა დადგა ან, თუ აღნიშნული უფრო ადრეა, იმ დღეს, როდესაც გადახდა შესრულდა.

11.2. თუ გადახდა ხორციელდება „მთავრობის“ ან შესაბამისი „საჯარო დაწესებულების“ მიერ (გარდა „ესკოს“ მიერ გადახდისა „ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების“) დაგვიანებით, ვიდრე ეს განსაზღვრული იყო ამ „კომპანიისათვის“ „ხელშეკრულებით“ ან შესაბამისი „საპროექტო ხელშეკრულებით“, „მთავრობა“ აარიდებს „კომპანიას“ ნებისმიერ „დანაკარგს“ აშშ დოლარის/ლარის კურსის ცვლილებასთან მიმართებაში თუ ასეთი ნაკლებად მომგებიანია „კომპანიისთვის“ ფაქტობრივად გადახდის დღეს გადახდის დაგეგმილ თარიღის კურსთან შედარებით.

11.3. თუ ნებისმიერი გადახდა, რომელსაც ახორციელებს „ესკო“ „ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების“ ფარგლებში სრულდება იმ თარიღზე გვიან, ვიდრე ეს დაგეგმილია „ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებით“:

(a) „მთავრობა“ აარიდებს „კომპანიას“ ნებისმიერ „დანაკარგს“ აშშ დოლარის/ლარის კურსის ცვლილებასთან მიმართებაში თუ ასეთი ნაკლებად მომგებიანია „კომპანიისთვის“ ფაქტობრივად გადახდის დღეს გადახდის დაგეგმილ თარიღის კურსთან შედარებით, არაუგვიანეს თხუთმეტი (15) დღისა ასეთი გადახდის თარიღიდან; და

(b) „კომპანია“ გადაუხდის „მთავრობას“ თანხას, რომლიც ტოლია იმ ფინანსური სარგებლისა, რომელსაც „კომპანია“ მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ აშშ დოლარის/ლარის გაცვლითი კურსი მეტად მომგებიანია „კომპანიისთვის“ ფაქტობრივად გადახდის დღეს გადახდის დაგეგმილ თარიღის კურსთან შედარებით, არაუგვიანეს თხუთმეტი (15) დღისა ასეთი გადახდის თარიღიდან.

11.4. თუ „მხარე“ სადაოს ხდის ამ „ხელშეკრულების“ ფარგლებში გადახდის მოთხოვნის ნაწილს, მიუხედავად წებისმიერი დავისა, იგი ვალდებულია გადაიხადოს ყველა არასადაო თანხმები „ხელშეკრულებით“ განსაზღვრულ შესაბამის თარიღზე. საკითხები, რომელიც ეხება სადაო გადახდის ნაწილს გადასაწყვეტად გადაეცემა თანახმად მუხლისა 12 *(დავების გადაწყვეტა).*

11.5. ყველა გადახდა ამ „ხელშეკრულების“ ფარგლებში განხორციელდება გაქვითვის, დაქვითვის (გარდა საქართველოს კანონმდებლობის ან სხვა სავალდებულოდ გამოყენებადი კანონმდებლობის მიერ დადგენილი დაქვითვებისა) ან შემხვედრი მოთხოვნის გარეშე.

11.6. ამ „ხელშეკრულებით“ დადგენილი თითოეული გადახდა განხორციელდება შესაბამისად ვალდებული „მხარის“ მიერ, მიმღების საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით არაუგვიანეს დადგენილი თარიღისა, როგოც ეს განსაზღვრულია „ხელშეკრულებით“, დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომი თანხებით. თითოეული „მხარე“ მიაწვდის იმ მეორე „მხარეს“, რომლისგანაც იგი უფლებამოსილია მიიღოს გადახდები „ხელშეკრულების“ ფარგლებში, საკუთარ საბანკო რეკვიზიტებს ამ „ხელშეკრულების“ დადებიდან ოცდაათი (3) დღის ვადაში და თითოეული „მხარე“ უფლებამოსილია შეცვალოს აღნიშნული მეორე „მხარისათვის“ შესაბამისი ცვლილების შეტყობინების გაგზავნით, არაუგვიანეს შეცვლამდე ათი (10) დღისა.

11.7. თუ „მხარე“ გადააცილებს ამ “ხელშეკრულებით“ განსაზღვრული გადახდის ვადას, იგი გადაიხდის პროცენტს გადასახდელ თანხაზე გადახდის დაგეგმილი თარიღიდან ფაქტობრივი გადახდის შესრულების თარიღამდე (გადაწყვეტილების გამოტანამდე და მერეც), LIBOR-ზე დამატებული ოთხი პროცენტის (4%) ოდენობით, რაც დაირიცხება ყოველდღიურად და კაპიტალიზდება თვიურ ჭრილში.

11.8. ამ „ხელშეკრულების“ ფარგლებში „მთავრობის“ ან ნებისმიერი „საჯარო დაწესებულების“ მიერ გადასახდელი თანხები გადაიხდება ყოველგვარი დაქვითვისა და საქართველოში დადგენილი გადასახადების დაკავების გარეშე იმდენად, რამდენადაც ასეთი გადასახადის დაკავების/დაკისრების ვალდებულება არ აკისრია „მთავრობას“ ან შესაბამის „საჯარო დაწესებულებას“ კანონმდებლობის საფუძველზე. თუ კანონმდებლობის თანახმად, ნებისმიერი ასეთი საგადასახადო დაქვითვა უნდა განხორციელდეს, „მთავრობა“ ან შესაბამისი „საჯარო დაწესებულება“ გადაიხდის იმ დამატებით თანხას, რაც საჭიროა იმის უზრუნველსაყოფად, რომ „კომპანიამ“ მიიღოს ის თანხა სრულად, რასაც იგი მიიღებდა შესაბამისი გადახდა რომ არ დაქვემდებარებოდა ასეთ გადასახადს.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 მშვიდობიანი მოლაპარაკება

(a) იმ შემთხვევაში თუ ამ „ხელშეკრულებიდან" გამომდინარე წარმოიშვება რაიმე წინააღმდეგობა, დავა ან მოთხოვნა, მათ შორის, დავა „ხელშეკრულების" არსებობის, მისი კანონიერების, შესრულების, შეწყვეტის ან მისი ბათილობის შესახებ („დავა"), „დავის" ნებისმიერმა „მხარემ" წერილობით უნდა შეატყობინოს მეორე „მხარეს" აღნიშნული „დავის" შესახებ, რის შემდგომაც „მთავრობა" და „კომპანია" მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მეშვეობით, დაუყოვნებლივ შეხვდებიან და კეთილსინდისიერი განზრახვით ეცდებიან მიაღწიონ მშვიდობიან მორიგებას. ნებისმიერი მორიგება „დავასთან" დაკავშირებით, რომელიც მიღწეულ იქნება „მხარეებს" შორის უნდა შესრულდეს წერილობითი ფორმით და ხელმოწერილ იქნას „მხარეების" მიერ.

(b) „დავის" შესახებ 12.1 მუხლით (*მშვიდობიანი მორიგება*) გათვალისწინებული წესით შეტყობინების მიღებიდან სამოცი (60) დღის ვადაში ამავე მუხლით განსაზღვრული წესით მშვიდობიანი მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში (i) ნებისმიერი ტექნიკური სახის „დავა", რომლის ფარგლებში წამოყენებული მოთხოვნის ჯამური ოდენობა არ აღემატება სამ მილიონ (3,000,000) აშშ დოლარის ექვივალენტს და (ii) ნებისმიერი „დავა" 8.2.2 მუხლით (*კომპენსაციის შეტყობინება*) გათვალისწინებულ „კომპენსაციის შეტყობინებასთან" დაკავშირებით, რომლის ფარგლებში წამოყენებული მოთხოვნის ჯამური ოდენობა არ აღემატება სამ მილიონ (3,000,000) აშშ დოლარის ექვივალენტს, „მხარის" მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, გადასაწყვეტად უნდა გადაეცეს ტექნიკურ ექსპერტს („ტექნიკური ექსპერტი") 12.2 მუხლის შესაბამისად (*ტექნიკური ექსპერტი*). ყველა სხვა „დავა" პირდაპირ უნდა გადაეცეს არბიტრაჟს 12.3 მუხლის (*არბიტრაჟი*) შესაბამისად.

12.2 ტექნიკური ექსპერტი

12.2.1 ტექნიკური ექსპერტის შერჩევა და პროცედურა

(a) უთანხმოება, რომელი წარმოადგენს ტექნიკური სახის „დავას" უნდა გადაწყდეს „ტექნიკური ექსპერტის" მიერ.

(b) „მხარეები" უნდა ეცადონ აირჩიონ „ტექნიკური ექსპერტი", რომელიც წარმოადგენს „დავის" საგანთან მიმართებით საერთაშორისოდ აღიარებულ ექსპერტს და არ წარმოადგენს იმ ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც განეკუთვნება რომელიმე „მხარე". იმ შემთხვევაში, თუ 12.2.2 მუხლით (*ტექნიკური ექსპერტის გადაწყვეტილების იურიდიული ძალა*) განსაზღვრული წესით წერილობითი შეტყობინების მიღებიდან ოცდაათი (30) დღის ვადაში „მხარეებმა" ვერ შეძლეს „ტექნიკური ექსპერტის" არჩევა ან შერჩეული „ტექნიკური ექსპერტი" უარს ამბობს ან ვერ ახერხებს გასწიოს მომსახურება, ნებისმიერ „მხარეს" შეუძლია მოსთხოვოს „საერთაშორისო სავაჭრო პალატის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების საერთაშორისო

ცენტრს“ (International Center for ADR of the International Chamber of Commerce), რათა მან „საერთაშორისო სავაჭრო პალატის ექსპერტებისა და ნეიტრალური პირების არჩევის შესახებ წესების“ შესაბამისად აირჩიოს „ტექნიკური ექსპერტი“. აღნიშნული წესით არჩევასთან დაკავშირებული ხარჯები „მხარეებს“ შორის უნდა განაწილდეს თანაბრად.

(c) „ტექნიკურმა ექსპერტმა“ არჩევისას უნდა დაადასტუროს მისი დამოუკიდებლობა და ნეიტრალობა და ის უნდა დარჩეს ნეიტრალური და დამოუკიდებელი მთელი პერიოდის განმავლობაში.

(d) „ტექნიკური ექსპერტის“ მიერ დადგენილი განრიგის შესაბამისად, „ტექნიკური ექსპერტის“ არჩევიდან ორმოცდახუთი (45) დღის ვადაში ყველა „მხარემ“ „ტექნიკურ ექსპერტს“ უნდა წარუდგინოს ნებისმიერი სახის წერილობითი წარდგინება, რომელიც წარმოაჩენს საკუთარ პოზიციას გადასწყვეტ საკითხთან მიმართებაში. „ტექნიკურმა ექსპერტმა“ უნდა გადაწყვიტოს სურს თუ არა ზეპირად მოუსმინოს მხარეებს, რა შემთხვევაშიც ზეპირი მოსმენები გაიმართება პირადად ან სხვა საშუალებების გამოყენებით, რომელსაც „ტექნიკური ექსპერტი“ მიზანშეწონილად მიიჩნევს.

(e) „ტექნიკურმა ექსპერტმა“, მისი არჩევიდან ოთხმოცდაათ (90) დღეში ან „მხარეებს“ შორის შეთანხმების შემთხვევაში უფრო ხანგრძლივ ვადაში, უნდა წარმოადგინოს საკუთარი გადაწყვეტილება მისთვის განსახილველად გადაცემულ საკითხთან მიმართებაში.

(f) „ტექნიკურმა ექსპერტმა“ უნდა იმოქმედოს როგორც ექსპერტმა და არა როგორც არბიტრმა და ასევე მან შესაძლოა შეიმუშავოს ისეთი პროცედურები, როგორსაც ის მიზანშეწონილად მიიჩნევს.

12.2.2 ტექნიკური ექსპერტის გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები

„ტექნიკური ექსპერტის“ გადაწყვეტილება არის საბოლოო და ის სავალდებულოა „მხარეებისათვის“, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „ტექნიკური ექსპერტის“ მიერ გადაწყვეტილების წარდგენიდან ოცდაათი (30) დღის ვადაში რომელიმე მხარე წარუდგენს წერილობით შეტყობინებას მეორე „მხარეს“, რომლითაც ის გამოხატავს საკუთარ უკმაყოფილებას „ტექნიკური ექსპერტის“ გადაწყვეტილების მიმართ („**უკმაყოფილების შესახებ შეტყობინება**“) და „უკმაყოფილების შესახებ შეტყობინების“ წარდგენიდან ოცდაათი (30) დღის ვადაში წამოიწყებს საარბიტრაჟო წარმოებას აღნიშნული „ხელშეკრულების“ 12.3 (*არბიტრაჟი*) მუხლის შესაბამისად იმ „დავასთან“ მიმართებაში, რომელიც წარმოადგენს „ტექნიკური ექსპერტის“ მიერ გადაწყვეტილებით განხილულ საკითხს. „ტექნიკური

ექსპერტის“ გადაწყვეტილება სავალდებულოა „მხარეთათვის“ ზემოხსენებული არბიტრაჟის განსაზღვრამდე.

12.2.3 ტექნიკური ექსპერტის ანაზღაურება

„მთავრობამ“ და „კომპანიამ“ სრულად და თანაბარწილად უნდა გადაიხადონ „ტექნიკური ექსპერტის“ საფასური.

12.3 არბიტრაჟი

12.3.1 ნებისმიერი „დავა“, რომელიც ვერ გადაწყდება „მხარეთა“ შორის მშვიდობიანი მორიგების გზით 12.1 მუხლის (*მშვიდობიანი მორიგება*) შესაბამისად ან ტექნიკური სახის „დავა“, რომელიც „ტექნიკური ექსპერტის“ პროცედურის გზით ვერ გადაწყდება 12.2 მუხლის (*ტექნიკური ექსპერტი*) შესაბამისად, საბოლოოდ უნდა გადაწყდეს არბიტრაჟის მეშვეობით, „საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო წესების“ (ICC Rules) შესაბამისად („საერთაშორისო სავაჭრო პალატის წესები“).

12.3.2 საარბიტრაჟო ტრიბუნალი უნდა შედგებოდეს სამი (3) არბიტრისგან. მოსარჩელემ (მოსარჩელეებმა) და მოპასუხემ (მოპასუხეებმა) უნდა აირჩიონ თითო-თითო არბიტრი. მესამე არბიტრი, რომელიც არის საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარე, უნდა არჩეულ უნდა იქნას ორივე (2) მხარის მიერ არჩეული არბიტრების მიერ.

12.3.3 არბიტრაჟის ადგილსამყოფელი უნდა იყოს პარიზი, საფრანგეთი.

12.3.4 არბიტრაჟის ენა უნდა იყოს ინგლისური.

12.3.5 აღნიშნული „ხელშეკრულების“ ყოველი „მხარე“ ადასტურებს და თანხმდება, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება შესაბამის იურისდიქციაში ძალაში შევა „უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის“ შესაბამისად (მასში გათვალისწინებული შეზღუდვების გათვალისწინებით).

12.3.6 „მხარეები“ თანხმდებიან, რომ ყველა შესაძლო გზით მაქსიმალურად დაიცავენ კონფიდენციალობას არბიტრაჟთან დაკავშირებულ ყველა საკითხთან მიმართებით, მათ შორის, ინფორმაციას მისი არსებობისა და ყველა დაკავშირებული სასამართლო წარმოების შესახებ.

12.3.7 „მთავრობა“ საკუთარი სახელით და „საქართველოს სახელმწიფოს“ და „საჯარო დაწესებულების“ სახელით აცხადებს და ადასტურებს, რომ აღნიშნული „ხელშეკრულებით“

განსაზღვრული ყველა გარიგება წარმოადგენს მის/მათ კერძო სამართლებრივ აქტს და არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს.

12.4 დავების გაერთიანება

12.4.1 წინამდებარე 12.4 მუხლში (*დავების გაერთიანება*), „დაკავშირებული ხელშეკრულება“ ნიშნავს „საპროექტო ხელშეკრულებებს“ გარდა:

(a) წინამდებარე „ხელშეკრულებისა“; და

(b) ნებისმიერი „დაფინანსების დოკუმენტისა“, იმ პირობით, რომ „პირდაპირი ხელშეკრულება“ წარმოადგენს „დაკავშირებულ ხელშეკრულებას“.

12.4.2 „მხარის“ მოთხოვნის შემთხვევაში, „საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო“ უფლებამოსილია გადაწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულებიდან“ და ნებისმიერი „დაკავშირებული ხელშეკრულებიდან“ ან ერთი ან რამდენიმე „დაკავშირებული ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე ორი (2) ან მეტი წამოწყებული საარბიტრაჟო წარმოების ერთ არბიტრაჟად გაერთიანება და წინამდებარე „ხელშეკრულებით“ „მხარეები“ თანხმობას აცხადებენ აღნიშნულ გაერთიანებაზე. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, აღნიშნული შეთანხება არ ზღუდავს „სასამართლოს“ უფლებამოსილებას მიიღოს გადაწყვეტილება გაერთიანებაზე „საერთაშორისო სავაჭრო პალატის წესების“ მე-10 მუხლის შესაბამისად. იმ საარბიტრაჟო წარმოებაში, რომელიც დაიწყო ერთი „დაკავშირებული ხელშეკრულების“ საფუძველზე, „საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო“ ან ტრიბუნალი უფლებამოსილია ნება დართოს „მხარეს“ წამოაყენოს მოთხოვნა ნებისმიერ სხვა „დაკავშირებულ ხელშეკრულებაზე“ დაყრდნობით.

12.4.3 წინამდებარე „ხელშეკრულების“ ყველა „მხარე“ ადასტურებს, რომ 12.3 მუხლის (*არბიტრაჟი*) არბიტრაჟის დებულებები ნამდვილია და სავალდებულო ძალის მქონეა მხარეთათვის, და თითოეული „მხარე“ თანხმდება, რომ არ იდავებს საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად.

13. უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემა

13.1 არც ერთი „მხარე“ არ არის უფლებამოსილი გაასხვისოს, ვალდებულებით დატვირთოს, დაუთმოს ან სხვაგვარად გადასცეს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ ან მისგან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები მეორე „მხარის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, იმ პირობით, რომ „მთავრობის“ თანხმობა არ იქნება საჭირო (i) იმისათვის, რათა „კომპანიამ“ გადასცეს ან უზრუნველყოფის სახით გამოიყენოს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მისი უფლებები „დამფინანსებელ მხარეებთან“, ან

(ii) „პირდაპირი ხელშეკრულების“ ან ნებისმიერი „დაფინანსების დოკუმენტის“ შესაბამისად დათმობის ან გადაცემის შემთხვევაში.

13.2 წინამდებარე „ხელშეკრულების“ შესაბამისად „მხარის“ მიერ მისი ნებისმიერი უფლების ან ვალდებულების არსებული, დაგეგმილი ან განზრახული ნასყიდობა, ვალდებულებით დატვირთვა, დათმობა ან გადაცემა, რომელიც არ შეესაბამება 13.1 მუხლით (*უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემა*) გათვალისწინებულ დებულებებს, არის ბათილი.

14. კომპენსაცია

14.1 ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, წინამდებარე „ხელშეკრულების“ 21-ე მუხლით (*არაპირდაპირი ზიანი*) გათვალისწინებული შეზღუდვების შესაბამისად:

14.1.1 წინამდებარე „ხელშეკრულების“ თარიღიდან ნებისმიერ დროს „კომპანია“ ვალდებულია დაიცვას და აუნაზღაუროს ზიანი „მთავრობას“, მის მინისტრებს, თანამდებობის პირებს და თანამშრომლებს, ასევე არ დააკისროს პასუხისმგებლობა „მთავრობას“, მის მინისტრებს, თანამდებობის პირებს და თანამშრომლებს, ყველა და ნებისმიერი „დანაკარგისათვის“, რომელიც მიადგა, განიცადა ან ვალდებული გახდა აენაზღაურებინა (პირდაპირ ან არაპირდაპირ) ან შეიძლება დაეკისროს „მთავრობას“, მის მინისტრებს, თანამდებობის პირებს და თანამშრომლებს:

(a) წინამდებარე „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე „კომპანიის“ მიერ ადამიანების დაზიანების ან სიკვდილის ან ქონების დაზიანების გამო, რაც გამოწვეული უხეში გაუფრთხილებლობით ან განზრახი ქმედებით ან უმოქმედობით; ან

(b) „დანაკარგებისათვის“, რომლებიც გამომდინარეობს მესამე პირთა მოთხოვნებიდან რაც გამოწვეულია „კომპანიის“ მიერ „საქართველოს კანონმდებლობის“ მოთხოვნების დაუცველობიდან.

14.1.2 „მთავრობა“ ვალდებულია დაიცვას და აუნაზღაუროს ზიანი „კომპანიას“, მის დირექტორებს, თანამდებობის პირებს და თანამშრომლებს, მათი ნებისმიერი დონის კონტრაქტორებსა და „კომპანიის“ კონსულტანტებს ან მრჩევლებს, „დამფინანსებელ მხარეებს“ და მათ მრჩევლებს და პროექტთან დაკავშირებულ სხვა ტექნიკურ და მენეჯერულ პერსონალს, ასევე არ დააკისროს პასუხისმგელობას „კომპანიას“, მის დირექტორებს, თანამდებობის პირებს და თანამშრომლებს, მათი ნებისმიერი დონის კონტრაქტორებსა და „კომპანიის“ კონსულტანტებს ან მრჩევლებს, „დამფინანსებელ მხარეებს“ და მათ მრჩევლებს და პროექტთან დაკავშირებულ სხვა ტექნიკურ და მენეჯერულ პერსონალს ყველა და ნებისმიერი „დანაკარგისათვის“, რომელიც მიადგა, განიცადა ან ვალდებული გახდა აენაზღაურებინა (პირდაპირ ან არაპირდაპირ) ან შეიძლება დაეკისროს „კომპანიას“, მის დირექტორებს, თანამდებობის პირებს და თანამშრომლებს, მათი ნებისმიერი დონის კონტრაქტორებსა და „კომპანიის“ კონსულტანტებს ან მრჩევლებს, „დამფინანსებელ

მხარეებს“ და მათ მრჩევლებს და პროექტთან დაკავშირებულ სხვა ტექნიკურ და მენეჯერულ პერსონალს:

(a) წინამდებარე „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე „მთავრობის“ მიერ ადამიანების დაზიანების ან სიკვდილის ან ქონების დაზიანების გამო, რაც გამოწვეულია უხეში გაუფრთხილებლობით ან განზრახი ქმედებით ან უმოქმედობით; ან

(b) „დანაკარგებისათვის“, რომლებიც გამომდინარეობს მესამე პირთა მოთხოვნებიდან, რაც გამოწვეულია „მთავრობის“ ან „სამთავრობო ერთეულის“ მიერ „საქართველოს კანონმდებლობის“ მოთხოვნების დაუცველობით.

14.1.3 ისეთი „დანაკარგების“ შემთხვევაში, რომელიც გამოწვეულია ორივე „მხარის“ მიერ შერეული ან თანმხვედრი გაუფრთხილებლობის ან განზრახი ქმედებით ან უმოქმედობით, ყოველი „მხარე“ პასუხს აგებს ზიანის ანაზღაურებაზე მისი ბრალის ხარისხის პროპორციულად.

14.2. „საქართველოს კანონმდებლობით“ დადგენილ ფარგლებში, „კომპანია“ ვალდებულია დროულად აანაზღაუროს პირის ჯანმრთელობის ან გარდაცვალების ან მესამე პირთა ქონების დაზიანებით გამოწვეული ზიანი, რაც დაკავშირებულია „პროექტთან“ და გამოწვეულია „კომპანიის“ ბრალით.

15. ენა

15.1. წინამდებარე „ხელშეკრულება“ შედგენილია ინგლისურ და ქართულ ენებზე. „ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებული ყველა კომუნიკაცია და შეტყობინება უნდა განხორციელდეს ინგლისურ (და, სადაც ამას მოითხოვს „მთავრობა“ ან „შესაბამისი საჯარო დაწესებულება“ „კომპანიისათვის“ გონივრული ვადით ადრე შეტყობინების გზით), ასევე ქართულ ენაზე. „ხელშეკრულების“ ან შესაბამისი შეტყობინების ან კომუნიკაციის ქართულ და ინგლისურენოვან ვერსიებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობით სარგებლობს ინგლისურენოვანი ვერსია.

15.2. „მხარეები“ თანხმდებიან, რომ ამ „ხელშეკრულების“ ქართულენოვანი ვერსია გადამოწმდება სიზუსტის მიზნით და დადასტურდება წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერიდან ოცდაათი (30) დღის ვადაში.

16. გამოსაყენებელი სამართალი

წინამდებარე „ხელშეკრულება“ რეგულირდება და განიმარტება „საქართველოს კანონმდებლობის“ შესაბამისად.

17. მთავრობის, როგორც საჯარო დაწესებულების პოზიცია

17.1 წინამდებარე „ხელშეკრულების“ დებულებების შესაბამისად, აღნიშნული „ხელშეკრულება“ არ ზღუდავს ან სხვაგვარად არ ახდენს გავლენას „მთავრობაზე“, რათა მან გამოიყენოს მარეგულირებელი ან სხვა საჯარო მმართველობითი უფლებამოსილებები, იმ დაშვებით, რომ უფლებამოსილებები გამოყენებულ იქნება „საქართველოს კანონმდებლობის“ და წინამდებარე „ხელშეკრულების“ შესაბამისად.

17.2 „მთავრობა“ ვალდებულია წინამდებარე „ხელშეკრულებით“ მასზე დაკისრებული ვალდებულებები შეასრულოს „საქართველოს კანონმდებლობის“ დაცვით.

18. წიაღისეულისა და ანტიკვარიატის აღმოჩენა

მე-8 მუხლით (*ფორს მაჟორი და კომპენსაციის შემთხვევები*) გათვალისწინებული „კომპანიის“ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების უფლებების შეზღუდვის გარეშე, წიაღისეულის ან ანტიკვარიატის აღმოჩენის ან შესაძლო აღმოჩენის შემთხვევაში (სამშენებლო მოედანზე ან სამშენებლო მოდენას გარეთ), „კომპანია“ ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის თაობაზე „მთავრობას“, რათა მან შეაჩეროს „სამშენებლო სამუშაოები“ შესაბამის სამშენებლო მოედანზე და იმოქმედოს „საქართველოს კანონმდებლობისა“ და წინამდებარე „ხელშეკრულების“ შესაბამისად.

19. შეტყობინებები

19.1 ერთი „მხარის“ მიერ მეორე „მხარესთან“ ნებისმიერი შეტყობინება ან კომუნიკაცია, რომელიც სავალდებულოა ან დაშვებულია წინამდებარე „ხელშეკრულების“ დებულებებით: (i) უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით; (ii) უნდა ჩაბარდეს პირადად (ხელზე ჩაბარება) ან გაიგზავნოს დაზღვეული ფოსტის ან კურიერის მეშვეობით „მხარის“ ქვემოთ მითითებულ მისამართზე ან სხვა მისამართზე, რომელზეც „მხარე“ მოითხოვს შეტყობინების გაგზავნას ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით „მხარის“ ქვემოთ მითითებულ ელექტრონულ ფოსტის მისამართზე ან სხვა ელექტრონული ფოსტის მისამართზე, რომელზეც „მხარე“ მოითხოვს შეტყობინების მიღებას; და (iii) უნდა გამოიგზავნოს ქვემოთ განსაზღვრული პასუხისმგებელი პირის (პირების) სახელზე ან იმ სხვა პასუხისმგებელი პირის (პირების) სახელზე, რომლისთვისაც გაგზავნას „მხარე“ მოითხოვს.

19.2 ნებისმიერი შეტყობინება ან კომუნიკაცია, რომელიც 19.1 (*შეტყობინებები*) მუხლის შესაბამისად ერთი „მხარისგან“ გამოიგზავნა მეორე „მხარესთან“ „მხარის“ ქვემოთ მითითებულ მისამართზე ან „მხარის“ სხვა მისამართზე, რომელზეც მეორე „მხარე“ გაფრთხილებული იყო, ჩაითვლება „მეორე“ მხარის მიერ მიღებულად, ხელზე ჩაბარების შემთხვევაში - ხელზე ჩაბარების დღეს, დაზღვეული ფოსტით ან კურიერით გაგზავნის შემთხვევაში - გზავნილის გაგზავნის თარიღიდან სამოცდათორმეტ (72) საათში ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნის შემთხვევაში გამიზნული ადრესატის მიერ წაკითხვად ფორმაში შეტყობინების მიღებისას.

„მთავრობა“

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

2 სანაპიროს ქუჩა, 0114, თბილისი, საქართველო

ministry@moesd.gov.ge

პასუხისმგებელი პირი: მისი აღმატებულება, მინისტრი

„კომპანია“

თავისუფლების მოედანი

ძველი თბილისი რაიონი

თბილისი

საფოსტო კოდი 0105

თბილისი

zeki.kocaoglu@enka.com

პასუხისმგებელი პირი: ზეკი კოცაოღლუ, პროექტის დირექტორი

GEDF

ზარათაშვილის ქ. 8

მე-4 სართული

თბილისი 0105

საქართველო

Info@gedf.com.ge

პასუხისმგებელი პირი: გიორგი ჩიქოვანი

„ნამახვანი“

კახეთის გზატკეცილი 21

თბილისი, საქართველო

g.chachibaia@namakhvani.ge

პასუხისმგებელი პირი: გიორგი ჩაჩიბაია

„ესკო“

ბარათაშვილის ქ. 2,

თბილისი 0114

საქართველო

vambokadze@esco.ge; info@esco.ge

პასუხისმგებელი პირი: გენერალური დირექტორი

„სსე“

ბარათაშვილის ქ. 2,

თბილისი 0105

საქართველო

David.tvalabeishvili@gse.com.ge

პასუხისმგებელი პირი: გენერალური დირექტორი

„ენერგოტრანსი“

ბარათაშვილის ქ. 2,

თბილისი 0105

საქართველო

Romeo.mikautadze@energotrans.com.ge

პასუხისმგებელი პირი: რომეო მიქაუტაძე, დირექტორი

21-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები არ მიემართება „დისპეტჩერიზაციის ინსტრუქციებს“ ან დისპეტჩერიზაციის მიზნებისათვის ელექტრონული მოწყობილობების მეშვეობით მიწოდებულ სხვა სახის სიგნალებს.

20. წინამდებარე ხელშეკრულების ნამდვილობა

წინამდებარე „ხელშეკრულების“ რომელიმე მუხლის ბუნდოვანების, არაკანონიერად მიჩნევის ან ბათილობის შემთხვევაში, აღნიშნული არ იქონიებს გავლენას „ხელშეკრულების“ დანარჩენ დებულებებზე.

21. არაპირდაპირი ზიანი

წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული სხვა დებულებების ან „ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების“ შეზღუდვის გარეშე, არც ერთი „მხარე“ არ აგებს პასუხს მეორე „მხარისათვის“ მიყენებულ არაპირდაპირ ზიანზე ან „დანაკარგებზე“, რაც მოიცავს მიუღებელ შემოსავალს, დაკარგულ პროდუქტს, მიუღებელ სარგებელს, დაკარგულ ბიზნესს და დაკარგულ ბიზნეს შესაძლებლობებს, გარდა „განზრახი დარღვევის“ შემთხვევებისა.

22. შემდგომი გარანტიები

ყოველი „მხარე“ ვალდებულებას იღებს ხელი მოაწეროს და აღასრულოს შემდგომი დოკუმენტები და სამართლებრივი აქტები, ასევე განახორციელოს შემდგომი ქმედებები, რაც გონივრულად მოითხოვება წინამდებარე „ხელშეკრულების“ დებულებების შესრულებისათვის.

23. ხელშეკრულების მთლიანობა

წინამდებარე „ხელშეკრულება“, მასზე თანდართული დანართების ჩათვლით, წარმოადგენს მთლიან ხელშეკრულებას, რომელიც მოქმედებს „მხარეებს“ შორის „პროექტთან“ მიმართებაში.

აღნიშნულის დასტურად, „ხელშეკრულების“ მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლები ხელს აწერენ წინამდებარე „ხელშეკრულებას“ ზემოთ პირველად მითითებულ დღეს.

—

საქართველოს მთავრობა, წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ:

სახელი:
თანამდებობა:

შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯია“

სახელი:
თანამდებობა:

სახელი:
თანამდებობა:

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“

სახელი:
თანამდებობა:

სს „წამახვანი“

სახელი:
თანამდებობა:

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“

სახელი:
თანამდებობა:

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

სახელი:
თანამდებობა:

დანართი #1
მდებარეობა

დასახელება	რეგიონი, მდინარე
ქვემო ნამახვანის ჰესი	წყალტუბო, რიონი
ზემო ნამახვანის ჰესი	ცაგერი, რიონი

„სამშენებლო მოედნის“ საილუსტრაციო რუკა თან ერთვის დანართ #1-ს (მდებარეობა).



დანართი #2

სიმძლავრე

დასახელება	„საორიენტაციო მაქსიმალური სიმძლავრე“ (მეგავატი)
ქვემო ნამახვანის ჰესი	333
ზემო ნამახვანის ჰესი	100
სულ:	**433**

დანართი #3

ეტაპების ცხრილი

დასახელება	„მშენებლობის დაწყების დაგეგმილი თარიღი”	„დასრულების დაგეგმილი თარიღი“
ქვემო ნამახვანის ჰესი	დაფინანსების მოპოვება	45 თვე, „მშენებლობის დაწყების თარიღიდან“
ზემო ნამახვანის ჰესი	დაფინანსების მოპოვება	42 თვე, „მშენებლობის დაწყების თარიღიდან“

დანართი #4

გარანტია

[თარიღი]

გარანტიის წერილი ნომ.: [----]

ვინაიდან თქვენ, საქართველოს მთავრობამ, შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიასთან“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404507495) (შემდგომში: „კომპანია“) ხელი მოაწერეთ მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავს ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის (შემდგომში: „პროექტი“) სრულ ტექნიკურ და ეკონომიკური განხორციელებადობის შესწავლას, სოციალურ და გარემოსდაცვითი ზემოქმედების შეფასებას, დეტალურ დიზაინს და ასევე პროექტის დაფინანსებას, მშენებლობას, გამოცდას, ექსპლოატაციაში მიღებას, ოპერირებასა და მოვლას (შემდგომში: „**ხელშეკრულება**“):

ჩვენ, [•] (შემდგომში: „ბანკი“) ვიღებთ უპირობო და გამოუხმობად ვალდებულებას, რომ გადაგიხადოთ პირველი მოთხოვნისთანავე ნებისმიერი თანხა, რომელიც მთლიანობაში არ უნდა აღემატებოდეს, ---------- აშშ დოლარს (შემდგომში: „მაქსიმალური ღირებულება“), და რომელიც დაკავშირებულია „ხელშეკრულების“ საფუძველზე კომპანიის და კომპანიის წინა სამშენებლო ან მშენებლობის ეტაპის ვალდებულებებთან. წინამდებარე ვალდებულების განხორციელება მოხდება შემდეგნაირად:

A. ჩვენ ვალდებულნი ვართ, თქვენი წერილობითი მოთხოვნისთანავე, გადაგიხადოთ მოთხოვნილი თანხა ან თანხა რომელიც შეიძლება მოთხოვნილი იქნას „მაქსიმალურ ღირებულებამდე“, მიუხედავად „კომპანიის“ ან ნებისმიერი მესამე მხარის უარყოფისა. მოთხოვნაში ასახული უნდა იქნეს მოთხოვნის სახე და კომპანიის მიერ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის ხასიათი. მოთხოვნა ასევე უნდა მოიცავდეს „კომპანიისთვის“ მოთხოვნის განხორციელებამდე მინიმუმ 30 (ოცდაათი) დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების ასლს, ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამოსწორების შესახებ;

B. ყველა გადახდა, რომელიც განხორციელებული იქნება თქვენი მოთხოვნის საფუძველზე, ყოველგვარი ახლანდელი ან სამომავლო გამოქვითვის ან დაკავების გარეშე, თავისუფალი იქნება ნებისმიერი სახის გადასახადის, მოსაკრებლებისა და ვალდებულებისგან;

C. წინამდებარე გარანტიის წერილით გათვალისწინებული ვალდებულებები წარმოადგენს ჩვენს პირდაპირ და ფუნდამენტურ ვალდებულებებს, რომლებიც არის უპირობო და შეუქცევადი. ჩვენ არ გავთავისუფლდებით ამ ვალდებულებისგან, ნებისმიერი მიზეზით, როგორიცაა: „ხელშეკრულების“ პირობების შეცვლა ან ვადის გაგრძელება, შესასრულებელი სამუშაოს

მოცულობის ან არსის შეცვლა. ასევე თქვენს ან ნებისმიერი მესამე პირის მიერ განხორციელებული ნებისმიერი მოქმედება ან უმოქმედობა არ გამოიწვევს წინამდებარე გარანტიის წერილით ნაკისრი ვალდებულებებისგან ჩვენს გათავისუფლებას;

D. წინამდებარე გარანტიის წერილი ძალაშია [დღე, თვე, წელი]-მდე. წინამდებარე გარანტიის წერილიდან გამომდინარე ნებისმიერი მოთხოვნა ან საჩივარი ჩვენს მიერ მიღებულ უნდა იქნას მოქმედების ვადის გასვლის დღეს ან მანამდე, ზემოთ მითითებული ბანკის იურიდიულ მისამართზე; და

E. ჩვენ ვადასტურებთ, რომ არ გაგვაჩნია რეგრესული მოთხოვნა, საპასუხო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ან ნებისმიერი სხვა მოთხოვნის უფლება „კომპანიის“ ან მისი აქტივების მიმართ.

წინამდებარე საბანკო გარანტიაზე ვრცელდება უნიფიცირებული წესები გარანტიის შესახებ (2010 წლის რედაქცია) ICC-ის პუბლიკაცია #758 (“URDG”).

ბრჭყალებში ჩასმულ ტერმინებს „ხელშეკრულებით“ დადგენილი მნიშვნელობა აქვთ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „გარანტიის წერილი“ მათ სხვაგვარად განმარტავს.

[*სახელი*] [*თანამდებობა*] [*ბანკის დასახელება*]

დანართი #5

მიწასთან დაკავშირებული უფლებები (დამატებითი დებულებები)

(a) „მთავრობა“ ვალდებულია უზრუნველყოს ყველა იმ რეგისტრაციის დასრულება, რომელიც აუცილებელია „საჭირო მიწების“ სტატუსის შეცვლის, საკუთრების ან აღნაგობის უფლების გადაცემისათვის, ნებისმიერი „საჭირო მიწის“ მიმართ, დანართი #5-ით გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად. ნებისმიერ შემთხვევაში, „მთავრობა“ ვალდებულია ითანამშრომლოს „კომპანიასთან“ მიწის ნაკვეთების გაერთიანების პროცესში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

(b) „მთავრობა” ვალდებულია უზრუნველყოს ყველა არსებული მიწის, რომელიც კვალიფიცირდება როგორც „სახელმწიფო მიწა“ და რომელიც წინამდებარე „ხელშეკრულების“ გაფორმების თარიღისთვის არ არის რეგისტრირებული სახელწმიფოს საკუთრებაში და რომელსაც იყენებენ კერძო პირები, წინამდებარე წესების და პროცედურების შესაბამისად სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაცია: „კომპანია“ ვალდებულია „მთავრობას“ წარუდგინოს მიწის მფლობელსა და „კომპანიას“ შორის გაფორმებული „მიწის ფლობის შეწყვეტისა და კომპენსაციის ხელშეკრულება“, რომელიც ადასტურებს შესაბამისი კომპენსაციის მიწის მფლობელისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდის ფაქტს. ასევე, „კომპანია“ ვალდებულია წარადგინოს შესაბამისი მიწის ნაკვეთები shapefile ფორმატით. „მთავრობა” თავის მხრივ კისრულობს ვალდებულებას განახორციელოს რეგისტრაციის პროცესი ყოველივე ზემოთ ხსენებულის საფუძველზე.

(c) „მთავრობა” ვალდებულია უზრუნველყოს ყველა მიწის ნაკვეთის, რომელიც კვალიფიცირდება როგორც „სახელმწიფოს საკუთრების გარეთ არსებული გადაუცემადი მიწა“, სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრაცია სამმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე, არსებითად დანართ #7-ში მოცემული პირობებით *(სამმხრივი ხელშეკრულების ფორმა)*. აღნიშნული უნდა განხორციელდეს იმ პირობების შესაბამისად, რომ სახელმწიფო მიიღებს შესაბამის მიწებს თავის საკუთრებაში, იმ მიზნით, რომ შემდგომში განახორციელოს მისი „კომპანიისათვის“ გადაცემა წინამდებარე „ხელშეკრულების“ ზოგადი წესების გათვალისწინებით, „კომპანიის“ მიერ მესაკუთრისათვის ნასყიდობის ფასის გადახდის პირობით.

(d) თუ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, რაიმე მიზეზით, მთავრობის მიერ აკრძალული იქნება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ რომელიმე მიწის ნაკვეთზე „კომპანიისათვის“ საკუთრების უფლების გადაცემა, „მთავრობამ“ უნდა გადასცეს „კომპანიას“ კანონიერი და შეზღუდვებისგან თავისუფალი აღნაგობის უფლება, „საჭირო მიწების“ თითოეულ ასეთ ნაკვეთთან მიმართებით. ყველა განცხადება და გარანტია, ასევე ნებისმიერი სხვა წინამდებარე „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულება „საჭირო მიწებთან“ დაკავშირებით, ასევე ვრცელდება იმ მიწებზე, რომლებიც გადაცემულია აღნაგობის უფლებით.

(e) „კომპანიის“ მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც დაკავშირებულია „საჭირო მიწების“ შეძენის მიზნით თანამშრომლობასთან და მოიცავს ნებისმიერი დაზარალებული პირის

გასახლებას, „მთავრობა" ვალდებულებას იღებს და თანხმდება, რომ ყველანაირ დახმარებას აღმოუჩენს „კომპანიას", რაც აუცილებელი იქნება „საჭირო მიწების" შეძენისთვის.

(f) თუ „კომპანია" ნებისმიერი მიზეზით ვერ შეძლებს მოიპოვოს საკუთრების უფლება „საჭირო მიწებზე", „მთავრობა" ვალდებული იქნება განახორციელოს ნებისმიერი აუცილებელი ქმედება, მათ შორის და არა მხოლოდ, განახორციელოს „სახელმწიფოს საკუთრების გარეთ არსებული მიწის" სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაცია, სავალდებულო შეძენა, ჩამორთმევა, ექსპროპრიაცია ან სხვა მსგავსი საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებები, რათა შესაძლებლობა მისცეს „კომპანიას", „პროექტის" ხანგრძლივობის განმავლობაში, უზრუნველყოს, შეინარჩუნოს და გადაიხადოს „საჭირო მიწებზე" ყველა უფლებისთვის გონივრული კომპენსაცია. პასუხისმგებლობა ხარჯებისთვის (რომელიც მოიცავს კანონმდებლობით დადგენილ რეგისტრაციის და სასამართლო ხარჯებს, ასევე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებისათვის გადასახდელ ხარჯებს, გარდა მენეჯმენტთან დაკავშირებულ ხარჯებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)), რაც დაკავშირებულია მსგავს სავალდებულო შეძენას, იძულებით ჩამორთმევასა ან/და ექსპროპრიაციასთან, ეკისრება „კომპანიას" და, შესაბამისად, „მთავრობა" არ არის პასუხისმგებელი მსგავსი ხარჯებზე. „კომპანიისათვის" ნებისმიერი კერძო შეთანხმების საფუძველზე („სახელმწიფოს საკუთრების გარეთ არსებული მიწაზე" შეთანხმებების ჩათვლით) მიწაზე გადაცემული ან მოპოვებული უფლებები, რომლებიც საჭიროა „პროექტის" განხორციელებისათვის, აღსრულებადი უნდა იყოს „კომპანიის" მიერ ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოს ან მესამე პირების მიმართ. როგორც კი „მთავრობა" დაასრულებს მიწაზე საკუთრების მიღებას, ექსპროპრიაციას, იძულებით ჩამორთმევას ან/და სავალდებულო შეძენას, ის ვალდებულია გადასცეს „კომპანიას" მიწაზე საკუთრება 3.2.6 მუხლით *(მიწასთან დაკავშირებული უფლებები)* გათვალისწინებულ ვადებში, „სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის" გადაცემასთან დაკავშირებული ზოგადი წესების შესაბამისად.

(g) „მთავრობა" აცხადებს, რომ ვინაიდან „პროექტი" არის სახელმწიფო მნიშვნელობის, იგი უზრუნველყოფს მისი კომპეტენციის ფარგლებში ყველა საჭირო დახმარების გაწევას, რათა „კომპანიამ" შეძლოს დაუყოვნებლივ დაიწყოს და დაასრულოს „სახელმწიფოს საკუთრების გარეთ არსებულ გადაცემად მიწებზე" ნებისმიერი ექსპროპრიაციის პროცედურა, რომელიც განხორციელებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნულის შეზღუდვის გარეშე, „მთავრობა" ვალდებულია უზრუნველყოს, რომ „კომპანიის" განაცხადის (განაცხადზე თანდართული დოკუმენტები სავალდებულოა ადასტურებდეს, რომ „კომპანიამ" მინიმუმ 3-ჯერ (სამჯერ) სცადა მიეღწია შესაბამის პირებთან შეთანხმებას, არანაკლებ 2 (ორი) თვის განმავლობაში. ამასთან, თითოეულ მცდელობას შორის შუალედი იყო არანაკლებ 2 (ორი) კვირა) მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მიერ გაიცეს შესაბამისი ბრძანება (ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი გადაწყვეტილება ან დოკუმენტი), რომელიც დაადასტურებს, მათ შორის, „სახელმწიფოს საკუთრების გარეთ არსებული გადაცემადი მიწის" ექსპროპრიაციის აუცილებლობას აუცილებელი საზოგადოებრივ საჭიროებიდან გამომდინარე. ამასთან, „მთავრობა" ვალდებულია „კომპანიისთვის" ან/და „კომპანიასთან" სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი მესამე პირებისთვის (წარმომადგენლებისათვის) გამოსცეს ნებისმიერი სხვა დოკუმენტი ან განახორციელოს სხვა ნებისმიერი ქმედება, რათა ხელი შეუწყოს „კომპანიის" ან მისი წარმომადგენლის (რომელთანაც შესაბამისი ხელშეკრულება გაფორმდა მიწების შესყიდვის მიზნით) მიერ „სახელმწიფოს საკუთრების გარეთ არსებულ გადაცემად მიწებზე" ექსპროპრიაციის დაუყოვნებლივ განხორციელებას.

(h) „მთავრობა" კისრულობს ვალდებულებას, რომ „კომპანიისგან" მიწის „საჭირო მიწად" კვალიფიკაციასთან დაკავშირებით განაცხადის მიღებიდან 60 (სამოცი) დღის განმავლობაში, დაასრულებს ყველა საჭირო პროცედურას და შეიტანს განაცხადს სასამართლოში.

(i) „კომპანიამ" უნდა უზრუნველყოს მიწის მფლობელთა კომპენსაცია გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან შესაბამისობაში, რაც გულისხმობს, რომ მიწის მფლობელთა და მესაკუთრეთა ანაზღაურება განხორციელდება თანაბრად. იმ შემთხვევაში, თუ „კომპანია" ვერ მიაღწევს შეთანხმებას მიწის მფლობელებთან, „მთავრობა" ვალდებული იქნება უზრუნველყოს შესაბამისი მიწის თავის სახელზე რეგისტრაცია განაცხადის (განაცხადზე თანდართული დოკუმენტები სავალდებულოა ადასტურებდეს, რომ „კომპანიამ" მინიმუმ 3-ჯერ (სამჯერ) სცადა მიეღწია შესაბამის პირებთან შეთანხმებას, არანაკლებ 2 (ორი) თვის განმავლობაში. ამასთან, თითოეულ მცდელობას შორის შუალედი იყო არანაკლებ 2 (ორი) კვირა) მიღებიდან 45 (ორმოცდახუთი) დღის ვადაში და შემდგომ მისი „კომპანიისათვის" გადაცემა. ასეთ შემთხვევაში „კომპანია" ვალდებულია დაიცვას და გაათავისუფლოს სახელმწიფო სასამართლოს მიერ დაკისრებული კომპენსაციის ან ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან. „მთავრობა" პასუხს არ აგებს ასეთ მიწებთან დაკავშირებული მოთხოვნებისთვის, იმ პირობით, რომ იგი იმოქმედებს კეთილსინდისიერად.

(j) „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის" „კომპანიის" სახელზე რეგისტრაციისას, „მთავრობა" ვალდებულია დაიცვას და აუწაზღაუროს „კომპანიას" ნებისმიერი ზიანი, რომელიც უკავშირდება: (1) მესამე პირების მოთხოვნებს საკუთრებასთან, მფლობელობასთან, სარგებლობასთან ან მსგავს უფლებებთან (გარდა (i) პარაგრაფისა), ან მათ უკანონო ხელყოფასთან დაკავშირებით, რომელსაც ადგილი აქვს „კომპანიის" მიერ მიწაზე საკუთრების მიღებამდე, ან ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირებს "საჭირო მიწასთან" დაკავშირებით; ან (2) ნებისმიერ უკვე არსებულ გარემოსდაცვით ვალდებულებებს „საჭირო მიწასთან" ან „სამშენებლო მოედანთან" დაკავშირებით.

(k) საქართველოს მთავრობის მიერ 3.2.6 მუხლით *(მიწასთან დაკავშირებული უფლებები)* და წინამდებარე დანართი #5-ით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა ან დაგვიანებული შესრულება წარმოადგენს „გაგრძელების შემთხვევას".

(l) „მთავრობა", „კომპანიისათვის" „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების" ან/და „სახელმწიფოს საკუთრების გარეთ არსებული გადაუცემადი მიწების" შეძენასა და გადაცემასთან დაკავშირებით:

(i) ვალდებულია ყველა შემთხვევაში უზრუნველყოს გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების დაცვა;

(ii) ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს „კომპანიას" მიწის შეძენასთან ან გადაცემასთან დაკავშირებული დავის, პოტენციური დავის ან სხვა შეფერხების რისკის შესახებ, 19.1 მუხლით (*შეტყობინებები*) განსაზღვრული წესით;

(iii) აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ „კომპანიისათვის" „საჭირო მიწებზე" საკუთრების გადაცემის ყოველი თარიღისათვის:

(1) ასეთი მიწები შესყიდულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

(2) ასეთი მიწები არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და ამჟამად მათზე არ ხორციელდება არანაირი ეკონომიკური საქმიანობა;

(3) ასეთ მიწებზე არ არის გაცემული თანხმობა, ნებართვა, ლიცენზია, ავტორიზაცია, სერთიფიკატი ან რეგისტრაცია, რაც ხელს შეუშლის „პროექტის“ ან/და შესაბამისი „სამშენებლო სამუშაოების“ განხორციელებას; და

(4) ასეთ მიწებზე არსებობს კანონიერი და შეუზღუდავი საკუთრების უფლება. ყოველივე ზემოხსენებულის შეზღუდვის გარეშე, „კომპანია“ აცნობიერებს, რომ მისთვის (i) პარაგრაფის საფუძველზე გადაცემულ მიწის ნაკვეთზე, შესაძლოა წარმოიშვას შესაბამისი მიწით მოსარგებლეების მოთხოვნები.

(iv) ვალდებულია, დაუყოვნებლივ დაიცვას და გაათავისუფლოს „კომპანია“ მესამე პირების ნებისმიერი დანაკარგსა და ხარჯთან დაკავშირებული მოთხოვნებისგან (გარდა (i) პარაგრაფისა), რომლებიც ეხება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწებზე“ საკუთრების გადაცემას ან შეძენას, ან გადაცემამდე მათ მფლობელობას ან სარგებლობას, მიუხედავად იმისა, აღნიშნული მოთხოვნები წარმოიშვა გადაცემის თარიღამდე თუ ნებისმიერ დროს გადაცემის თარიღის შემდეგ; და

(v) მიუხედავად ნებისმიერი საწინააღმდეგო დებულებისა, წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერით, „მთავრობა” ადასტურებს, რომ „კომპანია“ უფლებამოსილია, „პროექტის“ განხორციელებისათვის აღებული სესხის უზრუნველყოფის მიზნით, იპოთეკით დატვირთოს ა) ნებისმიერი ან/და ყველა „საჭირო მიწა“, რომელიც გადაცემულია „კომპანიისთვის“ „მიწის გადაცემის ხელშეკრულებებით“, და ბ) აღნაგობის უფლება, როგორც პროექტის განვითარებისთვის აღებული ვალის დაფინანსებისთვის საჭირო უზრუნველყოფა და შესაბამისად, ამისათვის საჭირო არ არის საქართველოს მთავრობის დამატებითი ან წინასწარი თანხმობა.

(m) „მთავრობა” ვალდებულია უზრუნველყოს რომ „საჭირო მიწებზე“ გაცემული აღნაგობის უფლება ძალაში იყოს 99 წლის ვადით.

(n) 3.2.6 მუხლისა *(მიწასთან დაკავშირებული უფლებები)* და დანართი #5-ის *(მიწასთან დაკავშირებული უფლებები (დამატებითი დებულებები))* მნიშვნელობისათვის „უნაკლო საკუთრება” და „თავისუფალი ყოველგვარი შეზღუდვისგან” გულისხმობს, რომ გადაცემაზე არ ვრცელდება არანაირი პირობა, გარდა წინამდებარე „ხელშეკრულებით“, ნებისმიერი „მიწის გადაცემის ხელშეკრულებით“ და „აღნაგობის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული პირობებისა, რომლებიც „მთავრობას“ ან ნებისმიერ სახელმწიფო ორგანოს მიანიჭებს უფლებას გააუქმოს „სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწებზე“ „კომპანიის“ საკუთრების ან სარგებლობის უფლება.

დანართი #6

განცხადებები და გარანტიები

ნაწილი 1 („მთავრობა“, „ფონდი“, „წამახვანი“, „ესკო“ და „სსე“)

„მთავრობა“, „ფონდი“, „წამახვანი“, „ესკო“ და „სსე“ თითოეული აცხადებენ და გარანტიას იძლევიან, რომ წინამდებარე „ხელშეკრულების“ თარიღისათვის და ასევე მისი მოქმედების სრული ვადის განმავლობაში:

(a) მათ წარმომადგენლებს აქვთ სრული უფლებამოსილება მათი სახელით გააფორმონ წინამდებარე „ხელშეკრულება“ და იგი სათანადოდ იქნა ხელმოწერილი შესაბამისი წარმომადგენლების მიერ;

(b) მათ აქვთ სრული უფლებამოსილება განახორციელონ წინამდებარე „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე ვალდებულებები;

(c) არ არსებობს რაიმე ხელშეკრულება ან რომელიმე სხვა შეთანხმება (რომელიც მათზე ვრცელდება ან რომლის მხარეებსაც ისინი წარმოადგენენ), რომელსაც ისინი არღვევენ და რომელთა შეუსრულებლობამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს წინამდებარე „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე ვალდებულებების შესრულებას ან მის ნამდვილობას და აღსრულებას;

(d) არ არსებობს არანაირი მიმდინარე დავა, სასამართლო პროცესი ან საგამოძიებო პროცესი ან, მათ ხელთ არსებული ინფორმაციით, აღნიშნულის პოტენციური საფრთხე, რამაც, უარყოფითად გადაწყვეტის შემთხვევაში შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს „კომპანიას“, „პროექტს“, მათ მიერ წინამდებარე „ხელშეკრულების“ შესრულებას ან მის ნამდვილობას და აღსრულებას;

(e) მათ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აქვთ სრული უფლებამოსილება, რომ „კომპანიასა“ და „პროექტის მონაწილეებს“, შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიანიჭონ შესაბამისი უფლებები და უპირატესობები;

(f) წინამდებარე „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე ვალდებულებები არის ნამდვილი, მბოჭავი და აღსრულებადი მათ წინააღმდეგ, წინამდებარე „ხელშეკრულების“, სხვა „საპროექტო ხელშეკრულებების“ (რომლის მხარეებიც არიან) და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

(g) მათ მიერ წინამდებარე „ხელშეკრულების“, ასევე „ხელშეკრულების“ პირობების შესრულება და „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ტრანზაქციების შესრულება არ ეწინააღმდეგება და არ არღვევს მათ მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების და შეთანხმებების პირობებს,

საქართველოს კანონმდებლობას, სხვა გამოსაყენებელ სამართალს, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ნებართვას, ბრძანებას, გადაწყვეტილებას და განჩინებას ან განკარგულებას; და

(h) მათ არ გადაუციათ და არც ვალდებულება აკისრიათ გადასცენ „პირებს“ ისეთი უფლებები და უპირატესობები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის, ზღუდავს ან აფერხებს „კომპანიისთვის“ ან სხვა „პროექტის მონაწილეებისთვის“, წინამდებარე „ხელშეკრულებით“, „საპროექტო ხელშეკრულებებით“ და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების და უპირატესობების განხორციელებას;

ამასთან, „მთავრობა“ დამატებით აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერისა და მოქმედების სრული ვადის განმავლობაში:

(i) მას აქვს სრული უფლებამოსილება, უზრუნველყოს „მთავრობის“ მიერ წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება;

(j) მას აქვს სრული უფლებამოსილება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე „მთავრობის“ და სახელმწიფო ორგანოების სახელით, „კომპანიას“ და ყველა „პროექტის მონაწილეს“, შესაბამისად, მიანიჭოს უფლებები და უპირატესობები წინამდებარე „ხელშეკრულების“ საფუძველზე;

(k) წინამდებარე „ხელშეკრულებით“ და „საპროექტო ხელშეკრულებებით“ (რომლის მხარესაც ის წარმოადგენს) ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული „მთავრობის“ და სახელმწიფო ორგანოების ვალდებულებები არის კანონიერი, ნამდვილი, მბოჭავი და აღსრულებადი „მთავრობის“ და სახელმწიფო ორგანოების მიმართ, წინამდებარე „ხელშეკრულების“, „საპროექტო ხელშეკრულებების“ ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; და

(l) არც „მთავრობის“ და არც სახელმწიფო ორგანოებს არ გადაუციათ და არც ვალდებულება აკისრიათ გადასცენ „პირებს“ ის უფლებები და უპირატესობები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის, ზღუდავს ან აფერხებს „კომპანიის“ ან სხვა „პროექტის მონაწილეების“ მიერ, წინამდებარე „ხელშეკრულებით“, „საპროექტო ხელშეკრულებებით“ და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების და უპირატესობების განხორციელებას.

ამასთან, „მთავრობა“, „ფონდი“ და „წამახვანი“ დამატებით აცხადებენ და გარანტიას იძლევიან, რომ წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერიდან მისი მოქმედების სრული ვადის განმავლობაში:

(m) „კომპანიას“ კანონიერად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიენიჭა „პროექტის“ განხორციელებისათვის საჭირო ყველა უფლება; და

(n) „პროექტის“ განხორციელებისათვის „ფონდისთვის“ და „ნამახვანისთვის“ მინიჭებული თავდაპირველი უფლებები და ამ უფლებების შემდგომი გადაცემა „კომპანიისათვის“ იყო კანონიერი და განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ნაწილი 2 („კომპანია“)

„კომპანია“ აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერისა და მოქმედების სრული ვადის განმავლობაში:

(a) ის არის სათანადოდ დაფუძნებული და მოქმედი მისი კანონმდებლობის შესაბამისად, აქვს უფლებამოსილება, რომ განახორციელოს ის სამეწარმეო საქმიანობა, რომელსაც ის ამჟამად ახორციელებს ან აპირებს განახორციელოს, აქვს შესაბამისი ლიცენზია და უფლებამოსილება, ასევე სათანადოდ არის დაფუძნებული შესაბამის იურისდიქციაში, სადაც მის მიერ განხორციელებული საქმიანობის ხასიათი მოითხოვს მსგავსი ლიცენზიის ან უფლებამოსილების არსებობას;

(b) მას აქვს უფლებამოსილება დადოს და განახორციელოს წინამდებარე „ხელშეკრულება“, შეასრულოს „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე ვალდებულებები და მისი მხრიდან ყველა ზემოთხსენებული ქმედება შესაბამისი პროცედურების დაცვით არის განხორციელებული;

(c) წინამდებარე „ხელშეკრულების“ გაფორმება და შესრულება არ ეწინააღმდეგება, არ არღვევს, არ წარმოადგენს დეფოლტს ან არ იწვევს ვადამდე შესრულებას, რაც მოთხოვნილია სადამფუძნებლო თუ ორგანიზაციის დოკუმენტაციით ან იმ შეთანხმებით, ბრძანებით ან განკარგულებით, რომლის მხარესაც ის წარმოადგენს ან რომელიც ვრცელდება მის აქტივებზე;

(d) წინამდებარე „ხელშეკრულება“ სათანადოდ იქნა ხელმოწერილი და წარმოშობს იურიდიულად ნამდვილ და მბოჭავ ვალდებულებებს, რომლებიც აღსრულებადია წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მიხედვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისი აღსრულება შეიძლება შეიზღუდოს გაკოტრების, გადახდისუუნარობის, რეორგანიზაციის ან სხვა მსგავსი პროცესით, რომელიც ზეგავლენას ახდენს ზოგადად კრედიტორებზე, ან სამართლიანობის ზოგადი პრინციპების შესაბამისად;

(e) არ არსებობს ხელშეკრულება ან სხვა ნებისმიერი ინსტრუმენტი, რომლებსაც ის არ ასრულებს და რომელთა შეუსრულებლობამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს წინამდებარე „ხელშეკრულების“ ძალაში ყოფნას და აღსრულებას;

(f) მის ხელთ არსებული ინფორმაციით, არ არსებობს არანაირი მიმდინარე ან პოტენციური დავა, სასამართლო პროცესი ან საგამოძიებო პროცესი, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს წინამდებარე „ხელშეკრულების“ ძალაში ყოფნას და აღსრულებას; და

(g) წინამდებარე „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე ვალდებულებები არის ნამდვილი, მბოჭავი და აღსრულებადი მის წინააღმდეგ, წინამდებარე „ხელშეკრულების“, სხვა „საპროექტო

ხელშეკრულებების“ (რომლის მხარეც ის არის) და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

დანართი #7

სამმხრივი ხელშეკრულების ფორმა

უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება

წინამდებარე „უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) გაფორმებულია 201_ წლის [•] (შემდგომში - „ხელმოწერის თარიღი“) შემდეგ მხარეებს შორის:

1. შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯია“ (საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრირებული კომპანია, საიდენტიფიკაციო კოდი: 404507495, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, თავისუფლების მოედ. 4) (შემდგომში - „კომპანია“), წარმოდგენილი [

2. •] (პირადი ნომერი: [•]) მიერ;

3. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (შემდგომში - „სააგენტო“), წარმოდგენილი იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის იურიდიული მრჩევლის [•] (პირადი ნომერი: [•]) მიერ, მოქმედი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მიერ 201[9] წლის [•] გაცემული №[•] მინდობილობის საფუძველზე;

და

4. ა. ქ-ნ / ბ-ნ [•], პირადი ნომერი: [•], მცხოვრები მისამართზე: [•]; ბ. ქ-ნ / ბ-ნ [•], პირადი ნომერი: [•], მცხოვრები მისამართზე: [•]

(შემდგომში - „გამყიდველი“).

„კომპანია“, „სააგენტო“ და „გამყიდველი“ შემდგომში ერთობლივად მოხსენიებულნი იქნებიან, როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე, როგორც „მხარე“.

პრეამბულა

ვინაიდან, „გამყიდველი“ ფლობს სრულ და შეუზღუდავ საკუთრების უფლებას [•] კვ. მ.-ის მიწის ნაკვეთზე, მდებარე სოფელ [•], [•] რაიონი, საკადასტრო კოდით: [•] (შემდგომში - „უძრავი ქონება“);

ვინაიდან, 2019 წლის [•] აპრილს საქართველოს მთავრობას, სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“, სს „ნამახვანს“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ და „კომპანიას“ შორის გაფორმდა

„მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების ხელშეკრულება“ (შემდგომში - „BOO ხელშეკრულება“), რომლის საფუძველზე „კომპანია“ მიზნად ისახავს ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობას, ფლობას და ოპერირებას (შემდგომში - „პროექტი“);

ვინაიდან, „უძრავი ქონება“ მდებარეობს ზემოქმედების ზონაში (რომლის დეტალური რუკა დართულია დანართი #1 სახით) (შემდგომში - „ზემოქმედების ზონა“), რომელიც აუცილებელია „პროექტის“ განსახორციელებლად, მათ შორის, მშენებლობის და საჭირო დაფინანსების მოპოვებისთვის და, ამრიგად, „კომპანია“ ითხოვს „უძრავი ქონების“ შეძენას და მასზე შეუზღუდავი და სრული საკუთრების უფლების მოპოვებას (შემდგომში - „საკუთრების უფლება“), თავისუფალი ნებისმიერი ტიპის დატვირთვისგან, მათ შორის, საკუთრების/მფლობელობითი უფლების, იჯარის ხელშეკრულებების, იპოთეკების და მსგავსი დატვირთვებისგან (შემდგომში - „დატვირთვებისგან თავისუფალი“);

ვინაიდან, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) ამონაწერი და „უძრავი ქონების“ საკადასტრო რუკა წინამდებარე „ხელშეკრულების“ ერთვის დანართი #2-ის სახით;

ვინაიდან, „უძრავი ქონების“ კომპენსაციის პაკეტი წინამდებარე „ხელშეკრულების“ ერთვის დანართი #3-ის სახით, რომელიც, როგორც ქვემოთ არის განმარტებული, წარმოადგენს „შესყიდვის ფასის“ განსაზღვრის საფუძველს;

ამრიგად, „მხარეები“ თანხმდებიან დადონ წინამდებარე „უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება“ შემდეგი პირობებით:

1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე „ხელშეკრულების“ საფუძველზე „გამყიდველი“ „სააგენტოს“ გადასცემს „დატვირთვებისგან თავისუფალ“ „საკუთრების უფლებას“ „უძრავ ქონებაზე“. „უძრავი ქონების“ მახასიათებლები მითითებულია „ხელშეკრულების“ დანართ #2-ში.

2. შესყიდვის ფასი და გადახდის პირობები

2.1 „უძრავი ქონების“ შესყიდვის ფასი (შემდგომში - „შესყიდვის ფასი“) შედგება [ნატურით და/ან ფულადი ნაწილისგან]. კერძოდ, „სააგენტოსთვის“ „დატვირთვებისგან თავისუფალი“ „საკუთრების უფლების“ გადაცემასთან ერთად, „კომპანია“ „გამყიდველს“ გადასცემს:

[ა) [•] ლარს (შემდგომში - „ფულადი კომპენსაცია“) და/ან];

[ბ) საკუთრების უფლებას [•] კვ. მ.-ის მიწის ნაკვეთზე, მდებარე სოფელ [•], [•] რაიონი, საკადასტრო კოდით: [•] (შემდგომში - „ნატურით კომპენსაცია“).]

2.2 „კომპანია“ „გამყიდველს“ გადაუხდის „ფულად კომპენსაციას“ დაუყოვნებლივ „ხელმოწერის თარიღის“ დადგომისთანავე, თუმცა არაუგვიანეს „ძალაში შესვლის თარიღამდე“.

2.3 „შესყიდვის ფასი“ არ მოიცავს „გამყიდველისთვის“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს. „მხარეები“ თანხმდებიან, რომ „კომპანია“ ვალდებულია „გამყიდველის“ სახელით დაიანგარიშოს და სახელმწიფოს ბიუჯეტში გადაიხადოს „გამყიდველის“ საშემოსავლო გადასახადი და თუ საჭიროა, დამატებითი ღირებულების გადასახადი. თუკი აუცილებელია დამატებითი ღირებულების გადასახადის გადახდა, „გამყიდველი“ ვალდებულია გამოსაყენებელი კანონმდებლობის შესაბამისად გამოსცეს დამატებითი გადასახადის ინვოისი.

2.4 „შესყიდვის ფასის“ გადახდა განხორციელდება „გამყიდველის“ შემდგომ საბანკო ანგარიშ(ებ)ზე გადარიცხვის გზით:

ბანკი:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომ.:

გადასახადის გადამხდელის ნომ.:

[ბანკი:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომ.:

გადასახადის გადამხდელის ნომ.:]

2.5 „კომპანიის“ მხრიდან „გამყიდველისთვის“ „ნატურით კომპენსაცია“ განხორციელდება „ძალაში შესვლის თარიღიდან“ [•] დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ „კომპანია“ ამ პუნქტში მითითებულ ვადაში ვერ შეძლებს „ნატურით კომპენსაციისთვის“ საჭირო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვებას, მაშინ „კომპანიას“ ექნება ოფცია (რომელიც განხორციელდება მხოლოდ „კომპანიის“ შეხედულებისამებრ) იმავე ვადებში „გამყიდველს“ გადაუხადოს კომპენსაცია ნაღდი ფულით (შემდგომში - „ნაღდი ფულით კომპენსაციის ოფცია“); იმ შემთხვევაში, თუ „კომპანია“ არჩევანს გააკეთებს „ნაღდი ფულით კომპენსაციის ოფციაზე“, „გამყიდველი“ ვალდებული იქნება მიიღოს ამგვარი კომპენსაცია, რა შემთხვევაშიც, „გამყიდველს“ კომპენსაცია გადაეცემა დანართ #3-ში მითითებული კომპენსაციის პაკეტის შესაბამისად.

3. „გამყიდველის“ ვალდებულებები

3.1 „გამყიდველი“ აცხადებს და გარანტიას აძლევს „სააგენტოს“ და „კომპანიას“, რომ:

(a) ის არის „უძრავი ქონების“ ერთადერთი და ექსკლუზიური კანონიერი მესაკუთრე და მფლობელი;

(b) მას აქვს უფლებამოსილება დადოს წინამდებარე „ხელშეკრულება“ და განახორციელოს მასში განსაზღვრული გარიგებები;

(c) წინამდებარე „ხელშეკრულების“ გაფორმება და აქ განსაზღვრული გარიგებების განხორციელება სათანადოდ არის ნებადართული და დადასტურებული ყველა აუცილებელი ქმედებით და არ საჭიროებს სხვა პროცესებს ამ „ხელშეკრულების“ დადებისა და მასში განსაზღვრული გარიგებების განხორციელებისათვის;

(d) „უძრავი ქონება“ თავისუფალია ნებისმიერი ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან და საკუთრების, ფლობისა და სარგებლობის უფლება თავისუფლად ექვემდებარება გადაცემას;

(e) „უძრავი ქონება“ მთლიანად ან ნაწილობრივ (i) არ გასხვისებულა ნებისმიერ მესამე პირზე ნებისმიერი იურიდიული დოკუმენტით, მათ შორის და არა მხოლოდ, გაყიდვით, გაქირავებით, იჯარით, გაცვლით ან ჩუქებით; (ii) არ ამოღებულა ბრუნვიდან ნებისმიერი კანონის ან რეგულაციის საფუძველზე; და (iii) არ მომხდარა ექსპროპრიაცია, ნაციონალიზაცია, ჩამორთმევა და ა.შ.;

(f) „უძრავი ქონება“ არ არის დატვირთული რაიმე ყადაღით, იპოთეკით, უპირატესი უფლებით ან მესამე მხარის ნებისმიერი სხვა უფლებით, მათ შორის და არა მხოლოდ, უპირატესი შესყიდვის უფლებით და ა.შ.;

(g) „უძრავ ქონებასთან“, მის ფლობასთან ან სარგებლობასთან დაკავშირებით არ დაწყებულა, არ მიმდინარეობს და არ დასრულებულა რაიმე სამოქალაქო ან სისხლისსამართლებრივი დავა, სამართალწარმოება, იძულებითი აღსრულება ან ნებისმიერი სხვა პროცედურა; „უძრავი ქონება“ არ ექვემდებარება რაიმე მოთხოვნას საკუთრების უფლების აღდგენასთან დაკავშირებით, „გამყიდველის“ საკუთრების უფლება არ ექვემდებარება რაიმე პრეტენზიას და „გამყიდველისთვის“ არ არის ცნობილი რაიმე ისეთი გარემოების შესახებ, რომელიც ამჟამად ან მომავალში (გარანტიების/განცხადებების განმეორებით გაცემის დროს) გავლენას იქონიებდა ამგვარ საკუთრების უფლებაზე.

(h) იგი არ ფლობს, არ იყენებს ან არ აქვს რაიმე სხვა რეგისტრირებული ან არა-რეგისტრირებული საკუთრების უფლება (დამტკიცებული საარქივო დოკუმენტაციით ან სხვაგვარად) ნებისმიერ სხვა მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით, რომელიც შეადგენს „ზემოქმედების ზონის“ ნაწილს, გარდა ამ „ხელშეკრულების“ დანართ #4-ში ჩამოთვლილი მიწის ნაკვეთებისა. აქედან გამომდინარე, „გამყიდველს“ ექნება უფლება „კომპანიისგან“ მოითხოვოს კომპენსაცია მხოლოდ ამ

„ხელშეკრულების“ და/ან დანართ #4-ში ჩამოთვლილი მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებების პირობებიდან გამომდინარე. თუ „ხელმოწერის თარიღისთვის“ პირდაპირ არ იქნება გამჟღავნებული, „გამყიდველს“ არ ექნება რაიმე შემდგომი მოთხოვნა და პრეტენზია „კომპანიის“ და/ან „სააგენტოს“ მიმართ ნებისმიერ ნაკვეთთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენს „ზემოქმედების ზონის“ ნაწილს.

(i) „გამყიდველი“ აღიარებს რომ: (ა)„უძრავ ქონებას“ იყენებს არაკომერციული მიზნით, და (ბ) მზად არის მიაწოდოს „კომპანიას“ ნებისმიერი ინფორმაცია, დოკუმენტი ან/და განახორციელოს 2.3 მუხლში მითითებული პროცედურის დაცვისთვის აუცილებელი ყველა რეგისტრაცია.

(j) „გამყიდველი“ აღიარებს, რომ „კომპანია“ და „სააგენტო“ დებენ წინამდებარე „ხელშეკრულებას“ მხოლოდ „გამყიდველის“ ყველა განცხადებასა და გარანტიაზე დაყრდნობით.

3.2 იმ შემთხვევაში, თუ „გამყიდველი“ დაარღვევს 3.1 მუხლში მითითებულ რომელიმე განცხადებას ან გარანტიას, მათ შორის, თუ „უძრავი ქონება“ გამოყენებულია როგორც ნებისმიერი სახელშეკრულებო ან არასახელშეკრულებო მოთხოვნის უზრუნველსაყოფის საშუალება, და „კომპანია“ გაიღებს ნებისმიერ ხარჯს ან განახორციელებს გადახდებს „უძრავი ქონების“ სამართლებრივი დატვირთვისგან გათავისუფლების ან მასზე აღსრულების მიქცევის თავიდან აცილების მიზნით, მაშინ „კომპანიის“ მხრიდან გაწეული ამგვარი ხარჯები/გადახდები გამოაკლდება „შესყიდვის ფასს“ და „გამყიდველი“ უფლებამოსილი იქნება მიიღოს მხოლოდ დარჩენილი ოდენობა. აღნიშნულმა ზიანი არ უნდა მიაყენოს „კომპანიის“ უფლებას გამოიყენოს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ ან შესაბამისი კანონმდებლობით მინიჭებული ნებისმიერი სხვა უფლება და უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალება.

3.3 „ნატურით კომპენსაციის“ მიღებიდან [•] კალენდარული დღის ვადაში, „გამყიდველმა“ უნდა დატოვოს და გაათავისუფლოს „უძრავი ქონება“ და თავი შეიკავოს ნებისმიერი ქმედებისგან, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს „კომპანიას“ „დატვირთვებისგან თავისუფალი“ „საკუთრების უფლებით“ სარგებლობაში. იმ შემთხვევაში, თუ „კომპანია“ არჩევანს გააკეთებს „ნაღდი ფულით კომპენსაციის ოფციაზე“, როგორც მითითებულია ამ „ხელშეკრულების“ 2.5. მუხლში, მაშინ „უძრავი ქონების“ დატოვების და განთავისუფლების ვალდებულება ძალაში შევა „კომპანიის“ მხრიდან სრული კომპენსაციის გადახდის შემდეგ, რომელიც დაანგარიშებულია „ნაღდი ფულით კომპენსაციის ოფციისთვის“.

4. რეგისტრაციის ოფცია

„საჯარო რეესტრის“ საყურადღებოდ

„მხარეები“ აქვე თანხმდებიან, რომ მხოლოდ „კომპანია“ იქნება უფლებამოსილი „ხელმოწერის თარიღიდან“ 2 (ორი) თვის ვადაში „საჯარო რეესტრს“ წარუდგინოს სარეგისტრაციო განცხადება „სააგენტოს“ სახელზე „დატვირთვებისგან თავისუფალი“ „საკუთრების უფლების“ რეგისტრაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით. წინამდებარე

„ხელშეკრულება“ ძალაში შევა იმ მომენტიდან, როცა „კომპანია“ ამ პუნქტში მითითებულ ვადაში განახორციელებს აღნიშნულ ოფციას და „სააგენტო“ „უძრავ ქონებაზე“ მოიპოვებს „დატვირთვებისგან თავისუფალ“ „საკუთრების უფლებას“, რაც დადასტურდება „საჯარო რეესტრის“ „უძრავი ქონების“ ამონაწერით (შემდგომში - „ძალაში შესვლის თარიღი“).

5. ძალაში შესვლა

წინამდებარე „ხელშეკრულება“ ძალაში შევა „მხარეთა“ მხრიდან მისი ხელმოწერის დღეს და ძალაში დარჩება ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მხარეთა“ შესაბამისი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, იმ პირობით, რომ ის ვალდებულებები, რომელთაც აქვთ განგრძობადი ხასიათი, დარჩება ძალაში.

6. ფორს-მაჟორი

6.1 არც ერთი „მხარე“ არ იქნება პასუხისმგებელი წინამდებარე „ხელშეკრულების“ საფუძველზე მისი ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობის ან დაგვიანებით შესრულებისთვის, თუ ამგვარი დაგვიანება ან შეუსრულებლობა გამოწვეულია იმგვარი შემთხვევით, რომელიც არის დაზარალებული „მხარის“ გონივრული კონტროლის მიღმა და რომლის წინასწარ განჭვრეტა „ხელმოწერის თარიღისთვის“ შეუძლებელი იყო.

6.2 „მხარე“, რომელიც იმყოფება ფორს-მაჟორული გარემოების ზემოქმედების ქვეშ განთავისუფლდება მისი ვალდებულებებისგან ფორს-მაჟორული გარემოების არსებობის განმავლობაში ან ამგვარი მდგომარეობის შედეგების ლიკვიდირებამდე. „მხარეთა“ სახელშეკრულებო ვალდებულებები აღდგება ფორს-მაჟორული გარემოების შეწყვეტის ან მისი შედეგების ლიკვიდირების შემდეგ.

6.3 იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორული გარემოება გაგრძელდება 6 (ექვსი) თვეზე მეტ ხანს, თითოეული „მხარე“ უფლებამოსილი იქნება შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“ და ამგვარი შეწყვეტისთვის არც ერთ „მხარეს“ არ დაეკისრება რაიმე პასუხისმგებლობა (იქნება ეს სამართლებრივი, თუ ფინანსური).

7. შეტყობინებები

„მხარეთა“ შორის ნებისმიერი შეტყობინება და კომუნიკაცია განხორციელდება წერილობითი ფორმით, ქართულ ენაზე და მიწოდებული იქნება პირადად ან საკურიერო მომსახურების საშუალებით, ქვემოთ მითითებულ მისამართზე ან წინასწარ შეტყობინებულ სხვა მისამართზე.

8. მარეგულირებელი სამართალი, დავების გადაწყვეტა

8.1 მარეგულირებელი სამართალი

წინამდებარე „ხელშეკრულება“ და ამ „ხელშეკრულებიდან“ წარმოშობილი ან მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 დავათა გადაწყვეტა

„მხარეთა“ შორის წინამდებარე „ხელშეკრულებიდან“ წარმოშობილი ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა გადაწყდება მოლაპარაკებების გზით. იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკებების დაწყების შემდგომ „მხარეები“ ვერ მიაღწევენ სამართლიან გადაწყვეტილებას, მაშინ დავა გადაეცემა და საბოლოოდ გადაწყდება შესაბამისი იურისდიქციის მქონე საქართველოს სასამართლოს მიერ.

9. სხვადასხვა

9.1 ცვლილებები და დამატებები

წინამდებარე „ხელშეკრულების“ ნებისმიერი ცვლილება და დამატება მოქმედია, თუ ის „მხარეთა“ შორის წერილობით არის შეთანხმებული, „მხარეთა“ ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ სათანადოდ არის ხელმოწერილი და რეგისტრირებულია „საჯარო რეესტრში“.

9.2 სოლიდარული ვალდებულებები

თუ წინამდებარე „ხელშეკრულება“ ხელმოწერილია რამდენიმე „გამყიდველის“ მიერ, მასთან დაკავშირებული უფლებები და ვალდებულებები იქნება სოლიდარული ხასიათის.

9.3 დელეგირება

წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „კომპანიის“ უფლებები და ვალდებულებები შეიძლება დელეგირებულ იქნას ან გადაეცეს ნებისმიერ მესამე მხარეს. „კომპანია“ (ან შესაბამისი მემკვიდრე/უფლებამონაცვლე) ამგვარი დელეგირებიდან ან გადაცემიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში აღნიშნულის შესახებ შეატყობინებს „სააგენტოს“. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, ამგვარი დელეგირება ან გადაცემა არ საჭიროებს სხვა „მხარის“ თანხმობას.

9.4 ხარჯები

წინამდებარე „ხელშეკრულების“ გაფორმებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს („საჯარო რეესტრის“ და ნოტარიუსის ხარჯები) გაიღებს „კომპანია“.

9.5 ეგზემპლარი

წინამდებარე „ხელშეკრულება“ გაფორმებულია 4 (ოთხი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ინგლისურ და ქართულ ენებზე. „ხელშეკრულების“ ინგლისურ და ქართულ ენოვან ტექსტებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ქართულ ვარიანტს.

აღნიშნულის დასტურად, „მხარეთა“ უფლებამოსილი წარმომადგენლები ხელს აწერენ წინამდებარე „ხელშეკრულებას“ ზემოთ პირველად მითითებულ დღეს.

___

სახელი:

თანამდებობა:

___

სახელი:

თანამდებობა:

„გამყიდველი“___

სახელი:

საბოლოო ვერსია

დანართი #8

ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმა

ქონების გადაცემის შესახებ ხელშეკრულება

სს „ნამახვანსა“

“გამყიდველი”

და

შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას“

„მყიდველი“

შორის

[●] აპრილი, 2019

წინამდებარე ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება („ხელშეკრულება“) დაიდო 2019 წლის [●] აპრილს შემდეგ მხარეებს შორის:

ერთის მხრივ, სს „ნამახვანი“ (საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, კახეთის გზატკეცილი #21, რეგისტრირებული საჯარო რეესტრის მიერ საიდენტიფიკაციო კოდით: 406062503) წარმოდგენილი გიორგი ჩაჩიბაიას (პირადი ნომერი: 62001037359) მიერ („გამყიდველი“ ან „კომპანია“);

და

მეორეს მხრივ, შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯია“ (საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრირებული შეზღუდული პასუხსმგებლობის საზოგადოება, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, თავისუფლების მოედანი #4, რეგისტრირებული საჯარო რეესტრის მიერ საიდენტიფიკაციო კოდით: 404507495) („მყიდველი“),

„გამყიდველი“ და „მყიდველი“ შემდგომში ერთობლივად მოიხსენებიან როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე - როგორც „მხარე“.

ვიანიდან:

A. 2015 წლის 24 დეკემბერს, სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდმა“ („GEDF“ ან „ფონდი“), რომლის 100%-იან წილს ფლობს საქართველოს სახელმწიფო და იმართებოდა იმ დროს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, გამოაცხადა ინტერესთა გამოხატვა („ინტერესთა გამოხატვა“) საქართველოს წყალტუბოსა და ცაგერის რეგიონებში დაახლოებით 433 მგვტ.-იანი ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის („ნამახვანის პროექტი“) დაფინანსების, მშენებლობის, გამოცდის, ექსპლუატაციაში მიღების, ფლობის, ოპერირებისა და მოვლის მიზნით, ექსკლუზიურ საფუძველზე;

B. 2016 წლის 2 თებერვალს, შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიამ“ წარადგინა „ინტერესთა გამოხატვა“ „ნამახვანის პროექტის“ განხორციელებაზე და იმავე დღეს სს „ფონდისგან“ მიიღო სატენდერო დოკუმენტაცია;

C. 2016 წლის 7 ივლისს, შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიამ“ წარადგინა შეთავაზება „ნამახვანის პროექტის“ განხორციელებაზე, მათ შორის, „ნამახვანის პროექტის“ დეტალური დიზაინის, დაფინანსების, მშენებლობის, გამოცდის, ექსპლუატაციაში მიღების, ფლობის, ოპერირების და მოვლის განხორციელების ვალდებულებაზე;

D. „ფონდის“ შეფასების კომიტეტის 2017 წლის 17 იანვრის წერილის თანახმად, „მყიდველი“ გამოცხადდა „ნამახვანის პროექტის“ განხორციელების შესახებ „ინტერესთა გამოხატვის“ გამარჯვებულად;

E. „ინტერესთა გამოხატვის“ ერთერთი წინაპირობის თანახმად, გამარჯვებულს „ნამახვანის პროექტთან“ დაკავშირებული ქონება უნდა შეესყიდა სს „ნამახვანი“-ს 100%-იანი წილის ან პირდაპირ შესაბამისი ქონების შესყიდვით;

F. „მყიდველმა“ ჩაატარა სს „ნამახვანი“-ს დეტალური ანალიზი და შედეგად გადაწყვიტა შეესყიდა პირდაპირ ქონება, ხოლო „გამყიდველი“ დათანხმდა ამგვარ შეთავაზებას:

ამრიგად, მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. განმარტებები და ინტერპრეტაცია

1.1. განმარტებები

თუ სხვა რამ არ არის პირდაპირ მითითებული, ამ „ხელშეკრულებაში“ გამოყენების შემთხვევაში, ქვემოთ ჩამოთვლილი ტერმინები გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობით:

„ხელშეკრულება“	ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულებას, მის ყველა დანართთან და ცხრილთან ერთად, თითოეულ შემთხვევაში, მათში დროდადრო განხორციელებული ნებისმიერი ცვლილებით თუ დამატებით.
„დანართი“	ნიშნავს ან „ხელშეკრულების“ დანართებს.
„გამოსაყენებელი სამართალი“	ნიშნავს შესაბამის თემასთან ან პირთან დაკავშირებულ ნებისმიერ და ყველა სახელმწიფოს (როგორც ნაციონალური ასევე სუპრანაციონალური, შტატების, პროვინციული, ადგილობრივი ან სხვა დონის), კვაზი-სახელმწიფოებრივ ან თვითმარეგულირებელი ორგანოს მიერ მიღებულ ნებისმიერ კანონს, რეგულაციას, მითითებას, ბრძანებას და ნებისმიერ სხვა სამართლებრივი ძალის მქონე აქტს.
"წასყიდობის ძალაში შესვლის თარიღი	გამოიყენება „BOO ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მნიშვნელობით.
„მუხლი“	ნიშნავს წინამდებარე „ხელშეკრულების“ მუხლს.
„სამუშაო დღე“	ნიშნავს ნებისმიერ დღეს, გარდა შაბათ-კვირისა და საქართველოში ოფიციალურად გამოცხადებული უქმე დღეებისა, როდესაც მუშაობენ საქართველოს ბანკები.
„BOO ხელშეკრულება“	ნიშნავს საქართველოს მთავრობას, სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“, სს „ნამახვანი“-ს, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ და შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯია“-ს შორის გაფორმებულ მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც „კომპანია“ აპირებს ააშენოს ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადი და მოახდინოს მისი ოპერირება.

„ძალაში შესვლის თარიღი“	ნიშნავს „მხარეთა“ მიერ ამ „ხელშეკრულების“ ხელმოწერის დღეს.
„აღწაგობის არსებული უფლება“	ნიშნავს სს „ნამახვანი“-სა და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ შორის 2016 წლის 12 ივლისს დადებულ ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც „გამყიდველმა“ შეიძინა 99 წლის ვადით 6 (ექვს) მიწის ნაკვეთზე აღნაგობის უფლება.
„ინტერესთა გამოხატვა“	ენიჭება პრეამბულის A პუნქტით გათვალისწინებული მნიშვნელობა.
„სახელმწიფო ორგანო“	ნიშნავს ნებისმიერ სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან დაწესებულებას, რომელიც აღჭურვილია უფლებამოსილებით საბოლოოდ აღასრულოს „გამოსაყენებელი სამართლიდან“ გამომდინარე ვალდებულებები.
„ეკონომიკის სამინისტრო“	ნიშნავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.
„გარემოს დაცვის სამინისტრო“	ნიშნავს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.
„წამახვანის პროექტი“	ენიჭება პრეამბულის A პუნქტით გათვალისწინებული მნიშვნელობა.
„NASP“	ნიშნავს „ეკონომიკის სამინისტროს“ დაქვემდებარებაში არსებულ სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“
„ნებართვები“	მოიცავს ერთობლივად ყველა ნებართვას, რომელსაც ფლობს „გამყიდველი“ და რომელიც ჩამოთვლილია ამ „ხელშეკრულების“ მე-3 „დანართში“ (ნებართვების ნუსხა).
„საჯარო რეესტრი”	ნიშნავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს”.
„მყიდველი“	ენიჭება ამ „ხელშეკრულების“ შესავალში გათვალისწინებული მნიშვნელობა.
„განახლებული ნებართვები“	გამოიყენება „BOO ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მნიშვნელობით.
„გამყიდველი“	ენიჭება ამ „ხელშეკრულების“ შესავალში გათვალისწინებული მნიშვნელობა.
„ნასყიდობის საგანი“	ენიჭება ამ „ხელშეკრულების“ 2.2 მუხლით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

„ზედამხედველობის სააგენტო“	ნიშნავს „ეკონომიკის სამინისტროს“ დაქვემდებარებაში არსებულ სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“.
„გადასახადი“	ნიშნავს ყველა სახის გადასახადს, რომლის გადახდაც სავალდებულოა მთლიანად ან ნაწილობრივ და რომელიც დაკისრებულია ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოს ან ისეთი მუნიციპალური დაწესებულების მიერ, რომელსაც აქვს გადასახადის გადახდის დაკისრების უფლებამოსილება, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება მოგების გადასახადით, ან წყაროსთან დასაკავებელი გადასახადით, რაც თავის მხრივ მოიცავს ნებისმიერ პროცენტს, ჯარიმას ან სხვა დამატებებს, მიუხედავად იმისა, არის იგი სადაო თუ არა.
„მესამე პირი“	ნიშნავს ნებისმიერ მესამე პირს, რომელიც არ წარმოადგენს „მხარეს“.
„გადაცემის თარიღი“	ნიშნავს „ნასყიდობის საგნით“ გათვალისწინებული ყველა ქონების „მყიდველისთვის“ სათანადოდ გადაცემის თარიღს, „ხელშეკრულების“ მე-4 მუხლის წესების შესაბამისად.

1.2. ინტერპრეტაცია

თუ „ხელშეკრულების“ კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს:

1.2.1. მხოლობითში გამოყენებული სიტყვები მოიცავს მრავლობითს და პირიქით, ნებისმიერი სქესის აღმნიშვნელი სიტყვები მოიცავს თითოეულ სქესს, პირის აღმნიშვნელი სიტყვები მოიცავს კორპორაციებს, ამხანაგობებსა და სხვა იურიდიულ პირებს და მითითება პირზე მოიცავს მის უფლებამონაცვლეებსა და სამართალმემკვიდრეებს;

1.2.2. მითითება პუნქტზე ან ქვეპუნქტზე მოიცავს ამ „ხელშეკრულების“ პუნქტებს ან ქვეპუნქტებს და მითითება ამ „ხელშეკრულებაზე“ მოიცავს მის პრეამბულასა და დანართებს;

1.2.3. „ხელშეკრულებაში“ სათაურები მითითებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის, არ გააჩნიათ სამართლებრივი ძალა და არ უნდა იქნას გამოყენებული წინამდებარე „ხელშეკრულების“ განმარტებისთვის;

1.2.4. მითითება ხელშეკრულებაზე მოიცავს ამგვარ ხელშეკრულებას, აგრეთვე მასში დრო და დრო განხორციელებულ დამატებას, ცვლილებას, გადაცემას, ნოვაციას;

1.2.5. ნებისმიერი მითითება კანონზე, საკანონმდებლო აქტზე ან „გამოსაყენებელ სამართალზე“ ნიშნავს ნებისმიერ კანონს, სტატუტს ან/და სხვა ნორმატიულ აქტს, დადგენილებას, დეკრეტს, რეგულაციას, მარეგულირებელ აქტს, საერთაშორისო შეთანხმებას (ხელშეკრულებას), ბრძანებას, ბრძანებულებას, გადაწყვეტილებას, რომელიც მიიღება დრო და დრო;

1.2.6. ტერმინები „აქ“, „ამის“ ან „ამით“ ეხება ამ „ხელშეკრულებას“ მთლიანად და არა მის რომელიმე კონკრეტულ ნაწილს;

1.2.7. მითითება დროზე ნიშნავს საქართველოს დროის შესაბამის დროს;

1.2.8. ივარაუდება, რომ სიტყვებს „ჩათვლით“, „მათ შორის“ მოყვება „შეზღუდვის გარეშე“ ან „არა მხოლოდ“, იმის მიუხედავად, მითითებულია თუ არა ამგვარი ფრაზა, და, შესაბამისად, არ იზღუდება ამ სიტყვების წინმსწრები სიტყვები, აღწერა, განმარტება, განსაზღვრება ან ფრაზა.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე „ხელშეკრულების“ პირობების თანახმად, „გამყიდველი“ თანახმაა გაყიდოს და „მყიდველი” თანახმაა შეიძინოს „ხელშეკრულების“ ხელმოწერის თარიღზე „გამყიდველის“ საკუთრებაში არსებული და „ხელშეკრულების“ „დანართებში“ მითითებული „ნამახვანის პროექტის“ განხორციელებასთან დაკავშირებული ქონება, მისი ნებისმიერი ინფრასტრუქტურის, უძრავი ქონების, პროექტის დიზაინის, „ნებართვებისა“ და „ნამახვანის პროექტთან“ დაკავშირებული მსგავსი უფლებების ჩათვლით.

2.2. ქონება, რომელიც დაკავშირებულია „ნამახვანის პროექტის“ განხორციელებასთან და რომლის გადაცემაც ხდება წინამდებარე „ხელშეკრულების“ საფუძველზე, მოიცავს შემდეგი სახის ქონებას:

a) „გამყიდველის“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება და „აღნაგობის არსებული უფლება“, რომლის სრული ჩამონათვალი და დეტალები მოცემულია „ხელშეკრულების“ 1-ელ „დანართში“;

b) „ნამახვანის პროექტის“ განვითარების უფლება, პროექტის დიზაინი და სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, რომლებიც მოცემულია „ხელშეკრულების“ მე-2 „დანართში“;

c) „ნებართვები“, რომლის ჩამონათვალიც მოცემულია „ხელშეკრულების“ მე-3 „დანართში“.

(2.2 ქვეპარაგრაფით გათვალისწინებული ყველა ქონება შემდგომში მოიხსენება როგორც **„ნასყიდობის საგანი“**).

2.3. „ნასყიდობის საგანი“ „მყიდველს“ გადაეცემა „ხელშეკრულების“ ხელმოწერის დღეს, „ხელშეკრულების“ მე-2 და მე-3 მუხლების გათვალისწინებით.

2.4. „მხარეები“ აქვე თანხმდებიან, რომ „ხელშეკრულება“ ითვალისწინებს „ნასყიდობის ფასის“ სანაცვლოდ „ნამახვანის პროექტთან“ დაკავშირებით „გამყიდველის“ საკუთრებაში არსებული ყველა ქონების გადაცემას. შესაბამისად, თუ „ხელშეკრულების“ ხელმოწერის შემდგომ, „მხარეები“ აღმოაჩენენ „გამყიდველის“ ნებისმიერ ქონებას, უფლებას ან უფლებამოსილებას, რომელიც დაკავშირებული „ნამახვანის პროექტის“ მშენებლობასთან, განვითარებასთან, ექსპლუატაციაში მიღებასთან ან ოპერირებასთან, მაგრამ ტექნიკური თუ ადამიანური რესურსის მიზეზით არ არის მითითებული შესაბამის „დანართებში“, ისინი ვალდებული იქნებიან კეთილსინდისიერად ითანამშრომლონ ამგვარი ქონების „მყიდველისთვის“ დაუყოვნებლივ გადაცემის მიზნებისთვის.

3. ნასყიდობის ფასი

3.1. „გამყიდველი“ ყიდის, ხოლო „მყიდველი“ ყიდულობს „ნასყიდობის საგანს“ 7,600,000 (შვიდი მილიონ ექვსასი ათასი) აშშ დოლარის სანაცვლოდ („**ნასყიდობის ფასი**“).

3.2. „მყიდველი“ „ნასყიდობის ფასს“ გამყიდველს გადაუხდის შემდეგ ტრანშებად:

a) ერთი მილიონი აშშ დოლარი ($ 1 მილიონი) გადახდილ იქნება „ნასყიდობის ძალაში შესვლის თარიღზე“;

b) ერთი მილიონი აშშ დოლარი ($ 1 მილიონი) – „კომპანიის“ მიერ „გზებისთვის“ „განახლებული ნებართვების“ მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში; და

c) ხუთი მილიონ ექვსასი ათასი აშშ დოლარი ($ 5,6 მილიონი) - „კომპანიის“ მიერ „სადგურებისთვის“ „განახლებული ნებართვების“ მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

3.3. „ნასყიდობის ფასი“ მოიცავს ნებისმიერ და ყველა „გადასახადს“, საფასურსა და მსგავს მოსაკრებლებს, რომლებიც გადასახდელია წინამდებარე „ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებით „გამოსაყენებელი კანონმდებლობის“ შესაბამისად. თუ შესაბამისი თანხის გადახდასთან დაკავშირებით საჭიროა „გადასახადის“ დარიცხვა და/ან გამოქვითვა, ან გადახდა, „მხარეები“ ვალდებულებას იღებენ, რომ შეასრულებენ „გამოსაყენებელი სამართლით“ გათვალისწინებულ ნებისმიერ ქმედებას და დაეხმარებიან ერთმანეთს შესაბამისი გადასახადის გადახდასა და/ან ანაზღაურებაში და საგადასახადო ვალდებულების შესრულებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარდგენაში.

4. ქონების მყიდველისთვის გადაცემა

4.1. „ნასყიდობის საგნით“ გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება, ისევე როგორც შემთხვევითი დაღუპვის და დაზიანების რისკი, „მყიდველს“ გადაეცემა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების „საჯარო რეესტრში“ რეგისტრაციისას. „მხარეები“ აცხადებენ, რომ ისინი ყველა ღონეს მიმართავენ, რათა უფლების გადაცემა „საჯარო რეესტრში“ დარეგისტრირდეს „ძალაში შესვლის თარიღიდან“ 5 (ხუთი) „სამუშაო დღის“ ვადაში. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნებისთვის, „მხარეები“ უფლებას ინარჩუნებენ საკუთრების გადაცემის რეგისტრაციის მიზნებისთვის არ დაარეგისტრირონ „საჯარო რეესტრში“ ხელშეკრულება და წარადგინონ მხოლოდ მოკლე ფორმის ქონების გადაცემის შესახებ აქტი (შეთანხმება).

4.2. „ნამახვანის პროექტის“ განხორციელების უფლება, ისევე როგორც ინტელექტუალური საკუთრების უფლებები „ნამახვანის პროექტის“ დიზაინზე და სხვა დაკავშირებული დოკუმენტაცია, რომელიც „მყიდველს“ გადაეცემა „ხელშეკრულების“ შესაბამისად, გადაცემულად არ ჩაითვლება იქამდე, სანამ შესაბამისი კონტრაჰენტი არ დაეთანხმება „მყიდველისთვის“ მოთხოვნების/უფლებების გადაცემას, თუ შესაბამისი ხელშეკრულება ან „გამოსაყენებელი კანონი“ ითვალისწინებს გადაცემისთვის ამგვარი თანხმობის საჭიროებას. შესაბამისად, ამგვარი მოთხოვნები/უფლებები „მყიდველისთვის“ გადაცემულად ჩაითვლება კონტრაჰენტის თანხმობის მოპოვების შემდგომ. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნებისთვის, „ნასყიდობის ფასი“ არ იქნება გადახდილი იქამდე, სანამ „გამყიდველი“ წარუდგენს მას ყველა საჭირო თანხმობას. „მხარეები“ თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონტრაჰენტი უარს განაცხადებს „მყიდველისთვის“ შესაბამისი უფლებების/მოთხოვნების (საავტორო უფლების ჩათვლით), ან გადაცემას ხელს უშლის ნებისმიერი სხვა გარემოება, „გამყიდველი“ ვალდებული იქნება აუნაზღაუროს და ააცილოს ნებისმიერი ზიანი, თუ ამგვარი დაბრკოლება აზიანებს „მყიდველის“ „ნამახვანის პროექტის“ განხორციელების უფლებას. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ „გამყიდველი“ ვერ მოიპოვებს შესაბამის თანხმობას, (ა) „ნასყიდობის ფასის“ შესაბამისი ნაწილი გამოაკლდება „მყიდველის“

მიერ გადახდილ თანხას; და (ბ) „გამყიდველი“ ვალდებული იქნება აუნაზღაუროს „მყიდველს“ ხარჯები, რომლებიც ამ უკანასკნელმა გაწია ექვივალენტური პროდუქტის შექმნისთვის.

4.3. „მხარეები“ თანხმდებიან, რომ „ხელშეკრულების“ მე-3 „დანართში“ ჩამოთვლილი „ნებართვები“ წარმოადგენს „ნასყიდობის საგნის“ არსებით ნაწილს. ვინაიდან მათი გადაცემა დამოკიდებულია „ეკონომიკის სამინისტროდან“ შესაბამისი თანხმობის მოპოვებაზე, „მხარეები“ ვალდებული არიან მიმართონ მას ამგვარი თანხმობის თაობაზე „მალაში შესვლის თარიღიდან“ 7 (შვიდი) „სამუშაო დღის“ ვადაში.

4.4. „მხარეები“ ვალდებული იქნებიან შესაძლებლობისდაგვარად მაქსიმალურად ითანამშრომლონ 1-ელ, მე-2 და მე-3 „დანართებში“ მითითებული ქონების „მყიდველზე“/„მყიდველისთვის“ რეგისტრაციის ან/და გადაცემის პროცესში და მიმართონ ყველა ღონეს პროცესში ნებისმიერი შეფერხების ასარიდებლად.

5. წინაპირობები

5.1. „ხელშეკრულების“ შესრულება, მათ შორის, „ნასყიდობის ფასის“ გადახდა დამოკიდებულია ყველა შემდეგი წინაპირობის შესრულებაზე:

5.1.1. „გამყიდველი“ ვალდებულია „მყიდველს“ მიაწოდოს „გამყიდველის“ აქციონერის დამოწმებული გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს წინამდებარე „ხელშეკრულების“ დადებასა და „ნასყიდობის საგნის“ მყიდველისთვის მიყიდვას;

5.1.2. „მყიდველი“ ვალდებულია „გამყიდველს“ მიაწოდოს „მყიდველის“ შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს დამოწმებული გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს წინამდებარე „ხელშეკრულების“ დადებასა და „ნასყიდობის საგნის“ შესყიდვას;

5.1.3. „გამყიდველი“ ვალდებულია „მყიდველს“ მიაწოდოს 1-ლი „დანართით“ გათვალისწინებული თითოეული უძრავი ქონების სათანადო ამონაწერი „საჯარო რეესტრიდან“, რომელიც დაადასტურებს „გამყიდველის“ ნამდვილ, შეუზღუდავ და ყოველგვარი დატვირთვისგან თავისუფალ საკუთრების უფლებას შესაბამის უძრავ ქონებაზე.

5.1.4. „გამყიდველი“ ვალდებულია „მყიდველს“ მიაწოდოს „არსებული აღნაგობის უფლების“ მყიდველისთვის გადაცემაზე „NASP”-ის მიერ გაცემული თანხმობა.

5.2. „მხარეები“ ვალდებული არიან მიმართონ გონივრულ ზომებს, რათა წინამდებარე მე-5 მუხლით გათვალისწინებული ყველა წინაპირობა შესრულდეს სრულად და დროულად, არაუგვიანეს „მალაში შესვლის თარიღიდან“ 10 (ათი) დღის ვადაში.

6. განცხადებები და გარანტიები

6.1. „გამყიდველის“ განცხადებები და გარანტიები:

„მალაში შესვლის თარიღისთვის“, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს სხვაგვარი მითითება, „გამყიდველი“ „მყიდველს“ უცხადებს და აძლევს გარანტიას, რომ:

a) „გამყიდველი“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული და მოქმედი კომპანიაა და მას გააჩნია სრული და შეუზღუდავი უფლებამოსილება დადოს წინამდებარე „ხელშეკრულება“ და განახორციელოს მასში გათვალისწინებული ტრანზაქციები;

b) „გამყიდველი“ „ხელშეკრულების“ 2.2(a)-ე პუნქტით გათვალისწინებული მიწების, ასევე მათი არსებითი შემადგენელი ნაწილების, სტრუქტურებისა და მათზე განთავსებული ნაგებობების ერთადერთი მესაკუთრე/მფლობელია;

c) „გამყიდველს“ გააჩნია სრული და შეუზღუდავი უფლება და უფლებამოსილება დადოს წინამდებარე „ხელშეკრულება“ და განახორციელოს მასში გათვალისწინებული ტრანზაქციები. წინამდებარე „ხელშეკრულების“ დადებასა და მასში გათვალისწინებული ტრანზაქციების განხორციელებაზე გაცემულია სათანადო და ნამდვილი კორპორატიული უფლებამოსილება/თანხმობა და წინამდებარე „ხელშეკრულების“ ნამდვილობისთვის და მასში გათვალისწინებული ტრანზაქციების განსახორციელებლად დამატებითი ქმედებებისა და პროცედურების განხორციელება საჭირო არ არის;

d) წინამდებარე „ხელშეკრულება“ სათანადოდ დადებული და ნამდვილია და წარმოადგენს „გამყიდველის“ მიერ გაცემულ კანონიერ, ნამდვილ და მბოჭავ ხელშეკრულებას და მასში გათვალისწინებული პირობების აღსრულება შესაძლებელია „გამყიდველის“ წინააღმდეგ;

e) „გამყიდველი“ „ნასყიდობის საგანს“ არ იყენებს იმგვარად, რომ დაირღვეს „გამოსაყენებელი სამართალი“, რეგულაციები, „ნებართვები“, ლიცენზიები და ფუნქციური ზონის გეგმები;

f) „გამყიდველმა“ მყიდველს მიაწოდა „ნასყიდობის საგანთან“ დაკავშირებული ყველა შეთანხმება/ხელშეკრულება და ლიცენზია. ნებისმიერი ამგვარი შეთანხმება/ხელშეკრულება (მათ შორის მიწასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები) და ლიცენზია სრულ ძალაშია და „გამყიდველი“ არ არღვევს მის ნებისმიერ არსებით პირობას;

g) „გამყიდველის“ საკუთრებაში არსებული „ნასყიდობის საგნის“ ყველა ერთეულის საფასური სრულად არის გადახდილი და „ნასყიდობის საგანი“ არ არის დატვირთული იპოთეკით, გირავნობით, ყადაღით, შეზღუდვით, პირობით (პირობითი ნასყიდობის ხელშეკრულებით) ან ვალდებულებით;

h) არ არსებობს ნებისმიერი ისეთი გარემოება, რომელსაც შეუძლია: (i) უფლება მიანიჭოს ან დაავალდებულოს პირი, რომ მიატოვოს, შევიდეს, მფლობელობა მოიპოვოს ან დაიკავოს „ნასყიდობის საგნის“ ნებისმიერი ნაწილი ან (ii) შეუზღუდოს ან შეუწყვიტოს „მყიდველს“ „ნასყიდობის საგნის“ (ან მისი შესაბამისი ნაწილის) ხელშეუშლელი ფლობა, სარგებლობა ან გამოყენება;

i) „ნასყიდობის საგნის“ არცერთი ერთეულის მიმართ არ მოქმედებს არანაირი ვალდებულება, შეზღუდვა, დათქმა ან ხარჯი, რომელიც დამამძიმებელია, უჩვეულოა ან რომელიც ეწინააღმდეგება მის ამჟამინდელ გამოყენებას ან არსებითად ახდენს გავლენას მის საფასურზე. არ მიმდინარეობს ვალდებულების ისეთი არსებითი დარღვევა, რომელიც მოქმედებს „ნასყიდობის საგანზე“ ან მის ნებისმიერ ნაწილზე არსებულ საკუთრების უფლებაზე და „მყიდველს“ არ მიუღია არანაირი შეტყობინება ნებისმიერი ამგვარი ვალდებულების დარღვევის თაობაზე;

j) „ნასყიდობის საგანს“ არ გააჩნია არანაირი ნივთობრივი ან უფლებრივი ნაკლი, „ნასყიდობის საგანი“ და მისი ნებისმიერი ნაწილი არ არის დატვირთული გირავნობით, იპოთეკით, ყადაღით, „მესამე პირის“ უფლებით, მათ შორის სარგებლობის, იჯარის და სხვ. უფლებით, ან ნებისმიერი სხვა ვალდებულებით ან უფლებით;

k) „ხელშეკრულების“ მე-4 „დანართით“ გათვალისწინებული სამართლებრივი ანალიზის შედეგად გამოვლენილი გარემოებების გარდა, „ნასყიდობის საგანთან“, მის საკუთრებასთან,

მფლობელობასთან ან სარგებლობასთან დაკავშირებით არ მიმდინარეობს არანაირი სამოქალაქო ან სისხლისსამართლებრივი წარმოება, იძულებითი აღსრულების ან ნებისმიერი სხვა პროცედურა/პროცესი, „ნასყიდობის საგანი“ არ არის საკუთრების უფლების აღდგენის/დადგენის არცერთი დავის საგანი, „გამყიდველისთვის“ არ არის ცნობილი არანაირი ისეთი გარემოება, რომელმაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს, ამჟამად ან მომავალში, „ნასყიდობის საგნის“ საკუთრების უფლებაზე, ასევე მისთვის არ არის ცნობილი ნებისმიერი „მესამე პირის“, სახელმწიფოს ან ადგილობრივი უფლებამოსილი ორგანოს მიერ შესაძლო სასამართლო პროცესის/დავის დაწყების შესახებ.

l) „გამყიდველი“ „ნასყიდობის საგანს“ ოპერირებდა/ოპერირებს და იყენებდა/იყენებს შესაბამისი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დავით. ნებისმიერ „მესამე პირს“ არ წარუდგენია და არც ამჟამად არის წარდგენილი არანაირი საჩივარი/სარჩელი „ნასყიდობის საგნის“ ნებისმიერი ნაწილთან დაკავშირებით გარემოსდაცვითი რეგულაციების დარღვევის თაობაზე და „გამყიდველისთვის“ არ არის ცნობილი ნებისმიერი ასეთი შესაძლო საჩივრის/სარჩელის მომავალში აღძვრის შესახებ;

m) „გამყიდველმა“ „ნებართვები“ მოიპოვა კანონმდებლობის დაცვით, ყოველთვის შეესაბამებოდა ამგვარი „ნებართვების“ პირობებს და არ არსებობს ისეთი გარემოება, რის საფუძველზეც შესაძლოა ვარაუდი, რომ „ნებართვების“ მოქმედება შეჩერდება ან შეწყდება;

n) არც „გამყიდველს“ და არც ნებისმიერ სხვა პირს არ გამოუყენებია, მოუპოვებია, შეუნახავს, გადაუზიდავს ან გაუფრქვევია ნებისმიერი საშიში ნივთიერება ნებისმიერ მიწაზე/მიწაში/მიწიდან ან სხვა ქონებაზე/ქონებაში/ქონებიდან, ასევე არც „გამყიდველს“ და არც ნებისმიერ პირს, რომელზეც პასუხისმგებელია „გამყიდველი“, არ გამოუყენებია, მოუპოვებია, შეუნახავს, გადაუზიდავს და გაუფრქვევია ნებისმიერი საშიში ნივთიერება ნებისმიერ სივრცეში/სივრციდან/სივრცეზე,

o) „გამყიდველის“ საკუთრებაში არსებული და წინამდებარე „ხელშეკრულებით“ „მყიდველისთვის“ გადაცემული არცერთი ქონება არ ექვემდებარება არანაირ დაბინძურებას, რომელიც არღვევს ნებისმიერ გარემოსდაცვით რეგულაციას ან „ნებართვებს“ და არც ქონების მიმდებარედ ან მის ქვეშ არსებული ნიადაგი, მიწა, წყალი, ზედაპირული წყლები და ჰაერი არ დაბინძურებულა.

p) „ძალაში შესვლის თარიღიდან“ „ნასყიდობის საგანზე“ საკუთრებისა და მფლობელობის მყიდველისთვის სრულ და საბოლოო გადაცემამდე, „გამყიდველი“ არ განახორციელებს ნებისმიერი საქმიანობას ან/და ქმედებას (უმოქმედობას), რომელმაც, გონივრული მოლოდინის ფარგლებში, შესაძლებელია გააუარესოს „ნასყიდობის საგნის“ ნებისმიერი ნაწილის მდგომარეობა ან შეამციროს მისი ღირებულება ან/და დააზიანოს ის. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, „გამყიდველი“ არ გამოიყენებს „ნასყიდობის საგანს“ ან/და არ განახორციელებს მის ოპერირებას იმგვარად, რომ შესაძლო იყოს, გონივრული მოლოდინის საფუძველზე, ნებისმიერი „მესამე პირისთვის“ ან მისი ქონებისთვის ზიანის მიყენება.

6.2. ზემოთ აღნიშნული განცხადებებისა და გარანტიების გარდა, „გამყიდველი“ ვალდებული იქნება თავი შეიკავოს ნებისმიერი ისეთი ქმედებისგან, რომელმაც შესაძლებელია გამოიწვიოს წინამდებარე „ხელშეკრულების“, სრული ან ნაწილობრივი, ბათილობა, უკანონობა, აღუსრულებლობა, შეწყვეტა ან მისი სრული ეფექტისა და ძალის შეჩერება/შეწყვეტა.

6.3. 6.1 პუნქტით გათვალისწინებული განცხადებები და გარანტიები სრული, სწორი და უდავოა როგორც „ძალაში შესვლის თარიღისთვის“, ასევე „ხელშეკრულების“ მოქმედების სრული პერიოდის განმავლობაში. „მხარეები“ აღნიშნავენ, რომ „გამყიდველის“ მიერ დათქმული განცხადებები და გარანტიები კვლავ ნამდვილად და მოქმედად ჩაითვლება „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ნებისმიერი გადახდის ან ქმედების განხორციელების ან ფაქტის დადასტურების საჭიროებისას, თუ „მხარეები“ სხვაგვარად არ შეთანხმდნენ წერილობით.

6.4. „გამყიდველის“ მიერ აღნიშნული განცხადებებისა და გარანტიების ნებისმიერი დარღვევა ჩაითვლება „ხელშეკრულების“ არსებით დარღვევად და ამგვარი დარღვევა უფლებამოსილებას ანიჭებს „მყიდველს“ მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ამ „ხელშეკრულებისა“ და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.5. „გამყიდველი“ ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს „მყიდველს“ ნებისმიერი მოსალოდნელი ან არსებული მდგომარეობის, შემთხვევის, გარემოების ან ფაქტის შესახებ, რომელმაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ ნებისმიერი განცხადებისა და გარანტიის ნამდვილობაზე, სისწორეზე ან სისრულეზე.

6.6. როდესაც ნებისმიერი განცხადება და გარანტია მიუთითებს „გამყიდველის“ ცოდნაზე, ინფორმაციაზე ან რწმენაზე, ამგვარი მითითება გაგებული უნდა იქნას როგორც მითითება „გამყიდველის“ თანამშრომლებზე, მმართველ და ხელმძღვანელ პირებზე (თუ სხვაგვარად არ არის მითითებული შესაბამისა განცხადებასა და გარანტიაში). „გამყიდველი“ ვალდებულებას იღებს „მყიდველის“ წინაშე, რომ „გამყიდველი“ უარს ამბობს ნებისმიერ უფლებაზე, სამართლებრივ საშუალებაზე ან მოთხოვნაზე, რომელიც მას შესაძლებელია წარმოეშვას 6.1 პუნქტით გათვალისწინებული განცხადებებისა და გარანტიების გაცემისას მისი დირექტორების, საკვანძო ხელმძღვანელების ან წარმომადგენლების მიერ „გამყიდველისთვის” მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაციის ან რჩევის ნამდვილობის, სისწორის ან სისრულის დარღვევის შემთხვევაში.

6.7. „გამყიდველი“ აცნობიერებს და თანხმდება იმ გარემოებაზე, რომ „მყიდველი“ წინამდებარე „ხელშეკრულებას“ დებს „გამყიდველის“ თითოეული განცხადებისა და გარანტიის საფუძველზე და მათზე დაყრდნობით. „გამყიდველი“ „მყიდველს“ უცხადებს და აძლევს გარანტიას, რომ თითოეული განცხადება და გარანტია ნამდვილი, სრული და სწორია და არ არის შეცდომაში შემყვანი, როგორც ამ „ხელშეკრულების“ „ძალაში შესვლის თარიღისთვის“, ასევე „გადაცემის თარიღზე“.

6.8. „გამყიდველი“ აცხადებს მზაობას და თანახმაა უპირობოდ გადაიხადოს/აუნაზღაუროს „მყიდველს“ თითოეული არასრული, არასწორი, არაზუსტი ან მცდარი განცხადებისა და გარანტიის შედეგად გაღებული ხარჯები (მათ შორის ნებისმიერი სასამართლო, სამართლებრივი და ადვოკატის/იურისტის ხარჯები), მიყენებული ზიანი და სხვა მატერიალური თუ არამატერიალური ზარალი.

6.9. „მყიდველის“ განცხადებები და გარანტიები:

„ძალაში შესვლის თარიღისთვის“, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს სხვაგვარი მითითება, „მყიდველი“ „გამყიდველს“ უცხადებს და აძლევს გარანტიას, რომ:

a) „მყიდველი“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული და მოქმედი კომპანიაა და მას გააჩნია სრული და შეუზღუდავი უფლებამოსილება დადოს წინამდებარე „ხელშეკრულება“ და განახორციელოს მასში გათვალისწინებული ტრანზაქციები.

წინამდებარე „ხელშეკრულების“ დადებასა და მასში გათვალისწინებული ტრანზაქციების განხორციელებაზე გაცემულია სათანადო და ნამდვილი კორპორატიული უფლებამოსილება/თანხმობა და წინამდებარე „ხელშეკრულების“ ნამდვილობისთვის და მასში გათვალისწინებული ტრანზაქციების განსახორციელებლად დამატებითი ქმედებებისა და პროცედურების განხორციელება საჭირო არ არის;

b) წინამდებარე „ხელშეკრულება“ სათანადოდ დადებული და ნამდვილია და წარმოადგენს „მყიდველის“ მიერ გაცემულ კანონიერ, ნამდვილ და მბოჭავ ხელშეკრულებას და მასში გათვალისწინებული პირობების აღსრულება შესაძლებელია „მყიდველის“ წინააღმდეგ;

c) „მყიდველის“ მიერ წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ტრანზაქციების განსახორციელებლად და საკუთარი ვალდებულებების სრულიად შესასრულებლად არ არის საჭირო დამატებითი ნებართვის, უფლებამოსილების მოპოვება ან შეტყობინებისა ან განაცხადის წარდგენა ნებისმიერი შესაბამისი ფიზიკური ან იურიდიული პირისთვის;

d) „ხელშეკრულების“ შესაბამისად გადასახდელი ნებისმიერი ფულადი თანხა მოპოვებულია კანონიერად და გადახდის განსახორციელებლად არ არის საჭირო ნებისმიერი მესამე პირის თანხმობა.

306. სს „ნამახვანი"-სა და ავთანდილ კიბორძალიძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების ცვლილება, თარიღი 12/12/2016;
307. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.33.097 307. თარიღით 07/04/2015;
308. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.33.098 თარიღით 07/04/2015;
309. სს „ნამახვანი"-სა და რაპიელ ქობულაძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, თარიღი 03/22/2015;
310. სს „ნამახვანი"-სა და რაპიელ ქობულაძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების ცვლილება, თარიღი 13/12/2016;
311. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.33.032 თარიღით 02/04/2015;
312. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.33.034 თარიღით 02/04/2015;
313. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.33.035 თარიღით 02/04/2015;
314. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.33.040 თარიღით 02/04/2015;
315. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.31.020 თარიღით 10/06/2015;
316. სს „ნამახვანი"-სა და პარპილე სარტანია შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, თარიღი 24/06/2016;
317. სს „ნამახვანი"-სა და ავთანდილ კიბორძალიძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების ცვლილება, თარიღი 20/12/2016;
318. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.35.289 თარიღით 25/10/2016;
319. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.35.290 თარიღით 25/10/2016;

320. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.35.258 თარიღით 15/07/2016;
321. სს „ნამახვანი"-სა და ცისანა ბანძელაძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, თარიღი 20/05/2015;
322. სს „ნამახვანი"-სა და რაჟდენი ბანძელაძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, თარიღი 12/06/2015;
323. სს „ნამახვანი"-სა და რაჟდენი ბანძელაძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების ცვლილება, თარიღი 19/12/2016;
324. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.33.058 თარიღით 26/07/2015;
325. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.31.009 თარიღით 01/07/2015;
326. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.32.020 თარიღით 01/07/2015;
327. სს „ნამახვანი"-სა და ზურაბ ასათიანს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, თარიღი 05/08/2016;
328. სს „ნამახვანი"-სა და ზურაბ ასათიანს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების ცვლილება, თარიღი 19/12/2016;
329. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.35.013 თარიღით 23/09/2016;
330. სს „ნამახვანი"-სა და ლოლა ტყეშელაშვილს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, თარიღი 01/12/2015;
331. სს „ნამახვანი"-სა და ლოლა ტყეშელაშვილს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების ცვლილება, თარიღი 27/12/2016;
332. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.35.252 თარიღით 20/01/2016;
333. სს „ნამახვანი"-სა და ზვიად მანაგაძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, თარიღი 08/02/2015;
334. სს „ნამახვანი"-სა და ზვიად მანაგაძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების ცვლილება, თარიღი 23/12/2016;
335. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.03.31.113 თარიღით 12/02/2016;
336. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.03.35.046 თარიღით 13/02/2016;
337. სს „ნამახვანი"-სა და თეიმურაზ მანაგაძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, თარიღი 05/09/2015;
338. სს „ნამახვანი"-სა და თეიმურაზ მანაგაძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების ცვლილება, თარიღი 08/12/2016;
339. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.33.176 თარიღით 06/10/2015;
340. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.33.216 თარიღით 06/10/2015;

341. სს „ნამახვანი"-სა და ავთანდილ მანაგაძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, თარიღი 18/03/2015;
342. სს „ნამახვანი"-სა და ავთანდილ მანაგაძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების ცვლილება, თარიღი 26/12/2016;
343. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.33.102 თარიღით 27/03/2015;
344. სს „ნამახვანი"-ს, მალხაზ ბანძელაძეს, ლინდა ბანძელაძესა და ბექა ბანძელაძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, თარიღი 12/05/2015;
345. სს „ნამახვანი"-ს, მალხაზ ბანძელაძეს, ლინდა ბანძელაძესა და ბექა ბანძელაძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების ცვლილება, თარიღი 20/12/2016;
346. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.33.052 თარიღით 04/06/2015;
347. სს „ნამახვანი"-სა და ბორის ქობულაძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, თარიღი 05/11/2015;
348. სს „ნამახვანი"-სა და ბორის ქობულაძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების ცვლილება, თარიღი 19/12/2016;
349. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.33.173 თარიღით 14/12/2015;
350. სს „ნამახვანი"-სა და ჯიმშერ ჩაკვეტაძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, თარიღი 05/09/2015;
351. სს „ნამახვანი"-სა და ჯიმშერ ჩაკვეტაძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების ცვლილება, თარიღი 15/12/2016;
352. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.35.174 თარიღით 06/10/2015;
353. სს „ნამახვანი"-სა და ბაბუცა ბანძელაძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, თარიღი 28/04/2015;
354. სს „ნამახვანი"-სა და ბაბუცა ბანძელაძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების ცვლილება, თარიღი 20/12/2016;
355. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.35.066 თარიღით 04/06/2015;
356. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.35.067 თარიღით 04/06/2015;
357. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.35.068 თარიღით 04/06/2015;
358. სს „ნამახვანი"-სა და სოფიო მიქაუტიძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, თარიღი 28/03/2015;
359. სს „ნამახვანი"-სა და სოფიო მიქაუტიძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების ცვლილება, თარიღი 20/12/2016;
360. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.33.038 თარიღით 03/04/2015;

361. სს „ნამახვანი"-სა და გოგი ბანძელაძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, თარიღი 19/08/2015;
362. სს „ნამახვანი"-სა და გოგი ბანძელაძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების ცვლილება, თარიღი 20/12/2016;
363. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.06.31.028 თარიღით 07/09/2015;
364. სს „ნამახვანი"-ს, თათია მურუსიძეს, ნესტან კაკიტაძეს, რატი მურუსიძესა და სტრიპონი მურუსიძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, თარიღი 20/03/2015;
365. სს „ნამახვანი"-ს,თათია მურუსიძეს, ნესტან კაკიტაძეს, რატი მურუსიძესა და სტრიპონი მურუსიძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების ცვლილება, თარიღი 19/12/2016;
366. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.33.051 თარიღით 28/03/2015;
367. სს „ნამახვანი"-სა და ნაზიკო ლომთაძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, თარიღი 19/08/2015;
368. სს „ნამახვანი"-ს, ტარიელ მანაგაძესა და ნაზიკო ლომთაძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების ცვლილება, თარიღი 19/12/2016;
369. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.33.209 თარიღით 07/09/2015;
370. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.33.210 თარიღით 07/09/2015;
371. სს „ნამახვანი"-სა და თორნიკე ჩუმბაშვილს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, თარიღი 22/06/2015;
372. სს „ნამახვანი"-სა და თორნიკე ჩუმბაშვილს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების ცვლილება, თარიღი 14/12/2016;
373. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.06.31.024 თარიღით 06/07/2015;
374. სს „ნამახვანი"-სა და ნანული ქობულაძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, თარიღი 28/09/2015;
375. სს „ნამახვანი"-სა და ნანული ქობულაძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების ცვლილება, თარიღი 22/12/2016;
376. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.06.31.102 თარიღით 05/11/2015;
377. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.33.223 თარიღით 05/11/2015;
378. სს „ნამახვანი"-სა და ციალა ჩაკვეტაძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, თარიღი 16/05/2015;
379. სს „ნამახვანი"-სა და ციალა ჩაკვეტაძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების ცვლილება, თარიღი 15/12/2016;
380. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.35.098 თარიღით 01/06/2015;

381. სს „ნამახვანი"-ს, გიორგი მანაგაძეს, ელისო მანაგაძეს, ზვიად მანაგაძეს, ლამარა მანაგაძეს, ქრისტინე მანაგაძესა და შორენა ჯანელიძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, თარიღი 23/06/2015;
382. სს „ნამახვანი"-ს, გიორგი მანაგაძეს, ელისო მანაგაძეს, ზვიად მანაგაძეს, ლამარა მანაგაძეს, ქრისტინე მანაგაძესა და შორენა ჯანელიძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების ცვლილება, თარიღი 23/12/2016;
383. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.35.115 თარიღით 10/07/2015;
384. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.35.116 თარიღით 10/07/2015;
385. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.35.117 თარიღით 10/07/2015;
386. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.03.31.043 თარიღით 20/07/2015;
387. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.03.31.042 თარიღით 10/07/2015;
388. სს „ნამახვანი"-სა და გოგი ბანძელაძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, თარიღი 03/22/2015;
389. სს „ნამახვანი"-სა და გოგი ბანძელაძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების ცვლილება, თარიღი 20/12/2016;
390. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.31.005 თარიღით 06/04/2015;
391. უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 29.01.31.006 თარიღით 06/04/2015;
392. სს „ნამახვანი"-ს, ავთანდილ ქობულაძეს, თათია ქობულაძეს, თამილა ქობულაძესა და მანია ქობულაძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, თარიღი 17/06/2015;
393. სს „ნამახვანი"-ს, ავთანდილ ქობულაძეს, თათია ქობულაძეს, თამილა ქობულაძესა და მანია ქობულაძეს შორის დადებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების ცვლილება, თარიღი 26/12/2016;
394. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან უძრავ ქონებაზე საკადასტრო კოდით 29.01.33.091 თარიღი 30/06/2015;
395. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან უძრავ ქონებაზე საკადასტრო კოდით 29.01.33.140 თარიღი 30/06/2015;
396. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან უძრავ ქონებაზე საკადასტრო კოდით 29.01.33.141 თარიღი 30/06/2015;
397. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან უძრავ ქონებაზე საკადასტრო კოდით 29.01.33.142 თარიღი 30/06/2015;
398. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან უძრავ ქონებაზე საკადასტრო კოდით 29.01.33.159 თარიღი 30/06/2015;
399. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან უძრავ ქონებაზე საკადასტრო კოდით 29.01.33.160 თარიღი 30/06/2015;

400.სს ,,ნამახვანის" წესდება თარიღით 28.09.2017;
401. სს ,,ნამახვანის" წესდება თარიღით 13.07.2013;
402.სს ,,საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" წერილი #2601-5-12-03/1 თარიღით 26.01.2012;
403.უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ს.კ 01/17/10/10/015 თარიღით 29.08.2007;
404.აქციონერის გადაწყვეტილება N1 თარიღით 26.01.2012;
405.ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილის წერილი #04/353 თარიღით 25.01.2012;
406.სს ,,ნამახვანის" წესდება თარიღით 26.01.2012;
407.ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილის წერილი #04/381 თარიღით 26.01.2012;
408.მინდობილობა #241 თარიღით 26.01.2012;
409.აქციონერის გადაწყვეტილება N3 თარიღით 27.03.2012;
410.აქციონერის გადაწყვეტილება N5 თარიღით 04.06.2012;
411.ბიზნეს ცენტრი სოფმშენის წერილი თარიღით 08.06.2012;
412.სს საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაციის მინდობილობა #6 თარიღით 15.01.2013;
413.აქციონერის გადაწყვეტილება N1 თარიღით 14.01.2013;
414.სს ,,ნამახვანის" ამონაწერი თარიღით 27.03.2012;
415.ამონაწერი საჯარო რეესტრიდან უძრავ ქონებაზე 01.17.10.010.015 თარიღით 04.07.2012;
416.416. აქციონერის გადაწყვეტილება N5 თარიღით 03.06.2013;
417.სს ,,ნამახვანის" ამონაწერი თარიღით 16.01.2013;
418.სს ,,ნამახვანის" მინდობილობა თარიღით 04.06.2013;
419.აქციონერის გადაწყვეტილება N9 419. თარიღით 31.07.2013;
420.სს ,,ნამახვანის" მინდობილობა თარიღით 01.08.2013;
421.მინდობილობა #208 საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაცია თარიღით 29.10.2013;
422.აქციონერის გადაწყვეტილება N11 თარიღით 29.10.2013;
423.სს ,,ნამახვანის" მინდობილობა #NHC-2-3012-1 თარიღით 30.12.2013;
424.აქციონერის გადაწყვეტილება N12 თარიღით 30.12.2013;
425.აქციონერის გადაწყვეტილება თარიღით 20.05.2014;
426.გიორგი ჩაჩიბაიას განცხადება თარიღით 20.05.2014;
427.აქციონერის გადაწყვეტილება თარიღით 25.08.2017;
428.აქციონერის გადაწყვეტილება თარიღით 31.12.2015;
429.აქციონერის გადაწყვეტილება თარიღით 14.01.2015;
430.სს ,,ნამახვანის" ამონაწერი ამონაწერი თარიღით 02.11.2017;
431.ნასყიდობის ხელშეკრულება #406-001 თარიღით 13.05.2014;
432.უსასყიდლოდ გაცემის ხელშეკრულება #73-030414-04 თარიღით 03.04.2014;
433.სს ნამხვანის ამონაწერი თარიღით 31.12.2013;
434.სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მინდობილობა თარიღით 03.04.2014;
435.ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თარიღით 27.03.2012 საქართველოს მთავრობას, სს ,,ნამახვანს" და სს ,,ელექტრისითი მარკეტის ოპერატორს" შორის;
436.ხელშეკრულება სს ,,ნამახვანს" და სს ,,ხიდმშენს" შორის თარიღით 27.04.2012;

437. ხელშეკრულება ხარჯების დაფარვის შესახებ სს „ნამახვანს" და სს „ხიდმშენს" შორის თარიღით 27.04.2012;
438. სს „ნამახვანს" და სს „ხიდმშენს" შორის დადებული ხელშეკრულება თარიღით 02.06.2013;
439. სს „ნამახვანს" და სს „ხიდმშენს" შორის დადებული ხელშეკრულება თარიღით 03.10.2013;
440. სს „ნამახვანს" და სს „ხიდმშენს" შორის დადებული ხელშეკრულება თარიღით 22.05.2014;
441. შედარების აქტი სს „ნამახვანს" და სს „ხიდმშენს" შორის თარიღით 22.05.2014;
442. სს „ნამახვანს" და სს „ხიდმშენს" შორის დადებული ხელშეკრულება თარიღით 01.07.2014;
443. სს „ნამახვანს" და სს „ხიდმშენს" შორის დადებული ხელშეკრულება თარიღით 03.07.2015;
444. სს „ნამახვანს" და სს „ხიდმშენს" შორის დადებული ხელშეკრულება თარიღით 07.10.2015;
445. მიღება-ჩაბარების აქტი სს „ნამახვანს" და სს „ხიდმშენს" შორის თარიღით 11.03.2016;
446. ნასყიდობის ხელშეკრულება #NHC-19/05/20141 სს „ნამახვანს" და შპს „მშენ-ექსპერტს" შორის თარიღით 19.05.2014;
447. სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება #NHC-08/09/2014-1 თარიღით 08.09.2014 სს „ნამახვანს" და შპს „ჯეოინჯინიარინგს" შორის;
448. ხელშეკრულება #NHC-08/09/2014-1-1AD სს „ნამახვანს" და შპს „ჯეოინჯინიარინგს" შორის თარიღით 27.10.2014;
449. სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება #NHC-27/10/2014-1 (SPA140020254) თარიღით 27.10.2014 სს „ნამახვანს" და შპს „გამა ქონსალთის" შორის;
450. სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება #NHC-30/01/2015-1 (SPA140029373) სს ნამახვასნ და შპს „მშენ-ექსპერტს" შორის თარიღით 30.01.2015;
451. მომსახურების ხელშეკრულება #NHC-20/03/2015-1 სს „ნამახვანს" და სს „კოქს ქონსალტინგს" შორის;
452. ხელშეკრულება #1 ხელშეკრულება #NHC-20/03/2015-1-ს ცვლილებაზე სს „ნამახვანს" და „კოქს ქონსალტინგის" საქართველოს ფილიალს შორის თარიღით 09.10.2015;
453. ხელშეკრულება #2 ხელშეკრულება #NHC-20/03/2015--ის ცვლილებაზე თარიღით 11.01.2016 სს „ნამახვანს" და „კოქს ქონსალტინგის" საქართველოს ფილიალს შორის;
454. მომსახურების ხელშეკრულება #NHC-3/04/2015-1 სს „ნამახვანს" და სს „საქართველოს ეროვნულ მუზეუმს" შორის თარიღით 03.04.2015;
455. სსიპ საქართველო ეროვნული მუზეუმის დირექტორის ბრძანება #284 თარიღით 26.09.2011;
456. სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება სს „ნამახვანს" და შპს „საქგზათამეცნიერაბას" შორის თარიღით 23.04.2015;
457. სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება #NHC-05-1406-1 სს „ნამახვანს" და შპს „გამა ქონსალთინგს" შორის;
458. სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება სს „ნამახვანს" და შპს „ჯეოსერვის+"-ს შორის თარიღით 13.03.2013;
459. საკონსულტაციო მომსახურების ხელშეკრულება სს „ნამახვანს" და სტუდიო ინგ. ჯი. პიეტრანგელო ეს. არ. ელ-ს თარიღით 22.06.2012;
460. ცვლილების ხელშეკრულება სს „ნამახვანს" და სტუდიო პიეტრანგელოს შორის თარიღით 01.08.2012;
461. ცვლილების ხელშეკრულება სს „ნამახვანს" და სტუდიო პიეტრანგელოს შორის თარიღით 31.08.2012;

462. საკონსულტაციო მომსახურების ხელშეკრულების ცვლილება სს „ნამახვანს" და სტუდიო ინგ. ჯი. პიეტრანგელო ეს. არ. ელ-ს. შორის თარიღით 20.02.2013;
463. საკონსულტაციო მომსახურების ხელშეკრულება სს „ნამახვანს" და სტუდიო ინგ. ჯი. პიეტრანგელო ეს. არ. ელ-ს თარიღით 25.09.2014;
464. დანართი #2 საკონსულტაციო მომსახურების ხელშეკრულებაზე სს „ნამახვანს" და სტუდიო ინგ. ჯი. პიეტრანგელო ეს. არ. ელ-ს თარიღით 04.07.2013;
465. დანართი #1 საკონსულტაციო მომსახურების ხელშეკრულებაზე სს „ნამახვანს" და სტუდიო ინგ. ჯი. პიეტრანგელო ეს. არ. ელ-ს თარიღით 01.04.2017;
466. საბოლო ჩაბარების დასტური სს „ნამახვანს" და ინგ. ჯი. პიეტრანგელი ეს. არ. ელ-ს შორის თარიღით 24.05.2017;
467. გადაცემის დასტური სს „ნამახვანს" და სტუდიო ინგ. ჯი. პიეტრანგელი ეს. არ. ელ-ს შორის თარიღით 18.05.2017/04.05.2017;
468. გადაცემის მოწმობა ხელმოწერილი სს „ნამახვანის" მიერ თარიღზე 16.07.2014 სტუდიო ინგ. ჯი. პიეტრანგელის მიერ თარიღზე 18.07.2014;
469. გადაცემის მოწმობა ხელმოწერილი სს „ნამახვანის" მიერ თარიღზე - 18.05.2017 და სტუდიო ინგ. ჯი. პიტრანგელის მიერ თარიღზე - 04.05.2017;
470. გადაცემის მოწმობა სს „ნამახვანს" და სტუდიო ინგ ჯი. პიტრანგელს შორის, თარიღი 18.09.2015;
471. გადაცემის მოწმობა ხელმოწერილი სს „ნამახვანის" მიერ თარიღზე 15.04.2015 და სტუდიო ინგ. ჯი. პიეტრანგელის მიერ თარიღზე 03.04.2015;
472. გადაცემის მოწმობა ხელმოწერილი სს „ნამახვანის" მიერ თარიღზე 09.03.2015 სტუდიო ინგ. ჯი. პიეტრანგელის მიერ თარიღზე 16.02.2015;
473. გადაცემის მოწმობა სს „ნამახვანს" და სტუდიო ინგ ჯი. პიტრანგელს შორის, თარიღი 06.09.2012;
474. გადაცემის მოწმობა სს „ნამახვანს" და სტუდიო ინგ ჯი. პიტრანგელს შორის, თარიღი 08.08.2012;
475. გადაცემის მოწმობა სს „ნამახვანს" და სტუდიო ინგ ჯი. პიტრანგელს შორის, თარიღი 12.09.2012;
476. გადაცემის მოწმობა სს „ნამახვანს" და სტუდიო ინგ ჯი. პიტრანგელს შორის, თარიღი 25.09.2012;
477. გადაცემის მოწმობა ხელმოწერილი სს „ნამახვანის" მიერ თარიღზე 14.01.2013 და სტუდიო ინგ. ჯი. პიეტრანგელის მიერ თარიღზე 04.01.2013;
478. გადაცემის მოწმობა ხელმოწერილი სს „ნამახვანის" მიერ თარიღზე 10.11.2014 სტუდიო ინგ. ჯი. პიეტრანგელის მიერ თარირზე 04.11.2014;
479. გადაცემის მოწმობა ხელმოწერილი სს „ნამახვანის" მიერ თარიღზე 07.07.2015 სტუდიო ინგ. ჯი. პიეტრანგელის მიერ თარიღზე 30.06.2015;
480. საბოლოოდ ჩაბარების აქტი სს „ნამახვანს" და სტუდიო ინგ. ჯი. პიეტრანგელს შორის თარიღით 24.05.2017;
481. მიღება ჩაბარების მოწმობა სს „ნამახვანს" და შპს „ჯეოინჯინიარინგს" შორის თარიღით 31.10.2014;
482. მიღება-ჩაბარების აქტი სს „ნამახვანს" და შპს „ჯეოინჯინიარინგს" შორის თარიღით 15.12.2014;
483. მიღება-ჩაბარების აქტი სს „ნამახვანს" და შპს „გამა წონსალთინგს" შორის თარიღით 15.11.2016;
484. მიღება-ჩაბარების აქტი #1 სს „ნამახვანს" და შპს „გამა ქონსალთინგს" შორის თარიღით 28.12.2015;
485. შეწყვეტის ხელშეკრულება სს „ნამახვანს" და შპს „გამა ქონსალთინგს" შორის თარიღით 27.04.2017;
486. მიღება-ჩაბარების აქტი შპს „მშენ-ექსპერტს" და სს „ნამახვანს" შორის თარიღით 20.05.2014;

487. მიღება-ჩაბარების აქტი #1 სს ,,ნამახვანს" და შპს ,,მშენ ექსპერტს შორის" თარიღით 21.04.2015;
488. მიღება ჩაბარების აქტი #2 სს ,,ნამახვანს" და შპს ,,მშენ-88 ექსპერტს" შორის თარიღით 29.06.2015;
489. 489. შპს ,,მშენ ქესპერტის" მოთხოვნა თარიღით 21.04.2015;
490. მიღება ჩაბარების აქტი სს ,,ნამახვანს" და სს ,,საქართველოს ეროვნულ მუზეუმს" შორის თარიღით 04.05.2015;
491. მიღება ჩაბარების აქტი სს ,,ნამახვანს" და შპს ,,საქგზამეცირებეას" შორის თარიღით 15.06.2015;
492. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი სს ,,ნამახვანს" და შპს ,,გამა ქონსალთინგ"-ს შორის თარიღით 24.05.2017;
493. მიღება-ჩაბარების აქტი სს ,,ნამახვანს" და შპს ,,გამა ქონსალთინგს" შორის თარიღით 24.04.2017
494. მიღება-ჩაბარების აქტი 1 საქართველოს ფილიალსა და სს ,,ნამახვანს" შორის 12.07.2015;
495. მიღება-ჩაბარების აქტი ,,კოქს ქონსალტინგის" საქართველოს ფილიალსა და სს ,,ნამახვანს" შორის თარიღით 11.01.2016;
496. მიღება-ჩაბარების აქტი სს ,,ნამახვანს" და სს ,,ხიდმშენს" შორის თარიღით 10.02.2017;
497. მიღება-ჩაბარების აქტი სს ,,ნამახვანს" და სს ,,ხიდმშენს" შორის თარიღით 02.07.2014;
498. მიღება-ჩაბარების აქტი სს ,,ნამახვანს" და სს ,,ხიდმშენს" შორის თარიღით 15.07.2014;
499. მიღება-ჩაბარების აქტი სს ,,ნამახვანს" და სს ,,ხიდმშენს" შორის თარიღით 07.08.2014;
500. მიღება-ჩაბარების აქტი სს ,,ნამახვანს" და სს ,,ხიდმშენს" შორის თარიღით 17.09.2014;
501. მიღება-ჩაბარების აქტი სს ,,ნამახვანს" და სს ,,ხიდმშენს" შორის თარიღით 13.11.2014;
502. მიღება-ჩაბარების აქტი სს ,,ნამახვანს" და სს ,,ხიდმშენს" შორის თარიღით 08.12.2014;
503. მიღება-ჩაბარების აქტი სს ,,ნამახვანს" და სს ,,ხიდმშენს" შორის თარიღით 18.12.2014;
504. მიღება-ჩაბარების აქტი სს ,,ნამახვანს" და სს ,,ხიდმშენს" შორის თარიღით 30.12.2014;
505. მიღება-ჩაბარების აქტი სს ,,ნამახვანს" და სს ,,ხიდმშენს" შორის თარიღით 29.01.2015;
506. მიღება-ჩაბარების აქტი სს ,,ნამახვანს" და სს ,,ხიდმშენს" შორის თარიღით 16.02.2015;
507. მიღება-ჩაბარების აქტი სს ,,ნამახვანს" და სს ,,ხიდმშენს" შორის თარიღით 03.07.2015;
508. მიღება-ჩაბარების აქტი სს ,,ნამახვანს" და სს ,,ხიდმშენს" შორის თარიღით 29.09.2015;
509. მიღება-ჩაბარების აქტი სს ,,ნამახვანს" და სს ,,ხიდმშენს" შორის თარიღით 20.10.2015;
510. მიღება-ჩაბარების აქტი სს ,,ნამახვანს" და სს ,,ხიდმშენს" შორის თარიღით 21.07.2014;
511. მიღება-ჩაბარების აქტი სს ,,ნამახვანს" და სს ,,ხიდმშენს" შორის თარიღით 11.03.2016;
512. მიღება-ჩაბარების აქტი სს ,,ნამახვანს" შპს ,,ჯეოსერვის+"-ს შორის თარიღით თარიღით 12.04.2013;
513. მიღება-ჩაბარების აქტი სს ,,ნამახვანს" შპს ,,ჯეოსერვის+"-ს შორის თარიღით 27.04.2013;
514. მიღება-ჩაბარების აქტი სს ,,ნამახვანს" შპს ,,ჯეოსერვის+"-ს შორის თარიღით 02.05.2013;
515. ხელშეკრულება სს ,,ნამახვანს" და შპს ,,ჯეოსერვის+"-ს შორის თარიღით 12.04.2013;
516. გადაცემის დასტური #1109 თარიღით 09.01.2013;
517. გადაცემის დასტური #1121 თარიღით 18.01.2013;
518. გადაცემის დასტური #1197 თარიღით 29.03.2013;
519. გადაცემის დასტური #1200 თარიღით 12.04.2013;
520. გადაცემის დასტური #1234 თარიღით 30.04.2013;
521. გადაცემის დასტური #1277 თარიღით 10.06.2013;
522. გადაცემის დასტური #1575 თარიღით 28.01.2014;
523. გადაცემის დასტური #1574 თარიღით 28.01.2014;
524. გადაცემის დასტური #671 თარიღით 15.08.2012;

525.გადაცემის დასტური #93 თარიღით 22.05.2012;
526.გადაცემის დასტური #99 თარიღით 23.05.2012;
527.გადაცემის დასტური #004 თარიღით 29.05.2014;
528.გადახდის ქვითარი #0 თარიღით 05.01.2017;
529.გადახდის ქვითარი #114 თარიღით 04.11.2014;
530.გადახდის ქვითარი #66 თარიღით 26.09.2014;
531.გადახდის ქვითარი #65 თარიღით 26.09.2014;
532.გადახდის ქვითარი #150 თარიღით 05.12.2014;
533.გადახდის ქვითარი #187 თარიღით 25.12.2014;
534.გადახდის ქვითარი #784 თარიღით 28.12.2015;
535.გადახდის ქვითარი #581 თარიღით10.08.2015;
536.გადახდის ქვითარი #0 თარიღით15.01.2016;
537.გადახდის ქვითარი #428 თარიღით 02.06.2015;
538.გადახდის ქვითარი #328 თარიღით23.04.2015;
539.გადახდის ქვითარი #497 თარიღით 09.07.2015;
540.გადახდის ქვითარი #485 თარიღით 01.07.2015;
541.გადახდის ქვითარი # 631 თარიღით 18.09.2015;
542.გადახდის ქვითარი #630 თარიღით 18.09.2015;
543.გადახდის ქვითარი #688 თარიღით 12.11.2015;
544.გადახდის ქვითარი #1496389259 თარიღით 02.06.2017;
545.გადახდის ქვითარი #1496058332 თარიღით 29.05.2017;
546.გადახდის ქვითარი #1435 თარიღით 11.10.2013;
547.გადახდის ქვითარი #1559 თარიღით 31.12.2013;
548.გადახდის ქვითარი #1521 თარიღით 05.12.2013;
549.გადახდის ქვითარი #73 თარიღით 14.05.2012;
550.გადახდის ქვითარი #425 თარიღით 31.07.2012;
551.გადახდის ქვითარი #426 თარიღით 31.07.2012;
552.გადახდის ქვითარი #747 თარიღით 31.08.2012;
553.გადახდის ქვითარი #748 თარიღით 31.08.2012;
554.გადახდის ქვითარი #827 თარიღით 27.09.2012;
555.გადახდის ქვითარი #828 თარიღით 27.09.2012;
556.გადახდის ქვითარი #1599 თარიღით 19.02.2014;
557.გადახდის ქვითარი #65 თარიღით 26.09.2014;
558.გადახდის ქვითარი #196 თარიღით 30.12.2014;
559.გადახდის ქვითარი #62 თარიღით 19.09.2014;
560.გადახდის ქვითარი #131 თარიღით14.11.2014;
561.გადახდის ქვითარი #0074 თარიღით 12.06.2014;
562.გადახდის ქვითარი #0134 თარიღით 02.07.2014;
563.გადახდის ქვითარი #580 თარიღით 10.08.2015;
564.გადახდის ქვითარი #647 თარიღით 29.09.2015;
565.გადახდის ქვითარი #709 თარიღით 16.11.2015;
566.გადახდის ქვითარი #66 თარიღით 25.09.2014;

567. გადახდის ქვითარი #78 თარიღით 26.09.2014;
568. გადახდის ქვითარი #1 თარიღით 18.07.2014;
569. გადახდის ქვითარი #37 თარიღით 08.08.2014;
570. გადახდის ქვითარი #65 თარიღით 25.09.2014;
571. გადახდის ქვითარი #77 თარიღით 26.09.2014;
572. გადახდის ქვითარი #130 თარიღით 14.11.2014;
573. გადახდის ქვითარი #158 თარიღით 09.12.2014;
574. გადახდის ქვითარი #172 თარიღით 18.12.2014;
575. გადახდის ქვითარი #198 თარიღით 31.12.2014;
576. გადახდის ქვითარი #222 თარიღით 29.01.2015;
577. გადახდის ქვითარი #261 თარიღით 02.03.2015;
578. ხელშეკრულება #867/17-H3 სს ,,საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიასა" და სს ,,ნამახვანს" შორის თარიღით 21.07.2017;
579. სამედიცინო დაზღვევის პოლისი ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულებაზე #867/17-H3 თარიღით 21.07.2017;
580. ავტომობილის დაზღვევის პირობები #MI 136328/16;
581. ავტომობილის დაზღვევის პოლისი #MI 136328/16 თარიღით 28.11.2014;
582. ავტომობილის დაზღვევის პოლისი #MI 136329/16 თარიღით 28.11.2014;
583. დასაქმებულთა სია თარიღით 14.11.2017;
584. სს ,,ნამხვანის" დასაქმების ხელშეკრულების ნიმუში;
585. სს ,,ნამახვანის" შრომის შინაგანაწესი თარიღით 22.05.2012;
586. სასამართლო დავების სია თარიღით10.11.2017;
587. შესაგებელი საქმეზე N2/12380-17 თარიღით15.06.2017;
588. სარჩელი საქმეზე N2/12380-17 თარიღით15.05.2017;
589. თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილი #2113419 თარიღით 04.10.2017;
590. თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილი #2147286 თარიღით 01.11.2017;
591. თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილი #1-02285/6331 თარიღით 30.10.2017;
592. თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილი #2/16494 თარიღით 30.10.2017;
593. თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილი #3/6304 თარიღით 30.10.2017;
594. თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილი #1/7713-17 თარიღით 03.11.2017;
595. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წერილი #26617 თარიღით 27.10.2017;
596. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს წერილი #544-2/596 თარიღით 26.10.2017;
597. უზენაესი სასამართლოს წერილი #a-4457-17 თარიღით 03.11.2017;
598. უზენაესი სასამართლოს წერილი #b-1171-17 თარიღით 03.11.2017.

დანართი 9

მიწის გადაცემის ხელშეკრულების ნიმუში

მიწის გადაცემის ხელშეკრულება

თბილისი, საქართველო [●], 2019 წ.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (შემდგომში - „გამყიდველი“), წარმოდგენილი იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის იურიდიული მრჩევლის [•] (პირადი ნომერი: [•]) მიერ, მოქმედი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მიერ 201[9] წლის [•] გაცემული №[•] მინდობილობის საფუძველზე,

შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯია“ (საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო კოდი: 404507495, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ბველი თბილისის უბანი, თავისუფლების მოედ. 4) (შემდგომში - „მყიდველი“), წარმოდგენილი [•] (პირადი ნომერი: [•]) მიერ

(ერთობლივად მოხსენებული როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე - როგორც „მხარე“),

სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონის, სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 სექტემბრის №1-1/1537 ბრძანებისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯია“-სთვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ საქართველოს მთავრობის [•] წლის [•] № [•] განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

„გამყიდველი“ გადასცემს და „მყიდველი“ იღებს საკუთრების უფლებას წინამდებარე „ხელშეკრულების“ #1 დანართში მოცემულ უძრავ ქონებაზე (შემდგომში - „ქონება“), წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით.

2. საპრივატიზაციო თანხა და გადახდის პირობები

2.1. „მყიდველმა“ უნდა გადაიხადოს საპრივატიზაციო თანხა 1 (ერთი) ლარის[1] ოდენობით (შემდგომში - „საპრივატიზაციო თანხა“) წინამდებარე „ხელშეკრულების“ გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

2.2 „მყიდველის“ მიერ „საპრივატიზაციო თანხის“ გადახდა უნდა განხორციელდეს საბანკო გადარიცხვის გზით, შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

ლარის ანგარიში

ანგარიშის სახელი (მიმღები):

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

ანგარიშის ნომერი: GE50BG0000000655067100/ ანგარიშის ვალუტა: ლარი

მიმღები ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“

მიმღები ბანკის კოდი: BAGAGE22

2.3 „საპრივატიზაციო თანხის“ გადარიცხვისას, „მყიდველმა“, გადახდის იდენტიფიცირების მიზნით, უნდა მიუთითოს „ხელშეკრულების“ ხელმოწერის თარიღი, „მყიდველის“ სახელი და საიდენტიფიკაციო კოდი ან „ქონების“ საკადასტრო კოდი.

2.4 „საპრივატიზაციო თანხა“ გადახდილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი აისახება ,,გამყიდველის“ საბანკო ანგარიშზე, განმარტებულია „ხელშეკრულების“ 2.2. მუხლში.

2.5 „ხელშეკრულების“ 2.2 მუხლში მითითებულ საბანკო ანგარიშის ცვლილების შემთხვევაში, „გამყიდველმა“ წერილობით უნდა შეატყობინოს „მყიდველს“ აღნიშნულის თაობაზე.

3. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

3.1. „მყიდველმა“:

3.1.1. უნდა უზრუნველყოს ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის (შემდგომში - „სადგური“) მშენებლობა და ექსპლოატაციაში მიღება, საქართველოს მთავრობას, სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“, სს „ნამახვანს“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ და შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას“ შორის 2019 წლის [●] აპრილს გაფორმებული მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების ხელშეკრულებით (შემდგომში - „BOO ხელშეკრულება“) განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

[1] თუ ქონება გამოიყენება ნატურით კომპენსირების მიზნებისთვის პროექტთან დაკავშირებული განსახლების ფარგლებში, საპრივატიზებო თანხა იქნება ქონების საბაზრო ფასი, რომელიც გამოანგარიშდება საქართველოს კანონმდებლობის თანახმად.

3.1.2. „ხელშეკრულების“ 3.1.1 მუხლში განსაზღვრული ყველა ვალდებულების შესრულების დადასტურების მიზნით, ამგვარი ვალდებულების შესრულების ვადის გასვლიდან არა უგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღისა, „გამყიდველს“ უნდა წარუდგინოს ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტი („მყიდველის“ არჩევანისამებრ): (ა) აუდიტის დასკვნა, როგორც ეს განსაზღვრულია „ხელშეკრულების“ 4.3 მუხლში; ან (ბ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გაცემული წერილი, რომლითაც დადასტურდება ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის სათანადო დასრულება და ექსპლოატაციაში მიღება (შემდგომში - „სამინისტროს წერილი“).

3.1.3. უნდა დაფაროს ის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია „ქონებაზე“ საკუთრების უფლებისა და „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ვალდებულებების სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) რეგისტრაციასთან, ასევე „ხელშეკრულების“ გაფორმებასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი ხარჯი („მყიდველის“ იურიდიული ხარჯები და სანოტარო ხარჯები).

3.1.4. „გამყიდველის“ მოთხოვნის შემთხვევაში, ამგვარი შეტყობინების მიღებიდან არა უგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, უნდა მიაწოდოს „გამყიდველს“ ინფორმაცია „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით.

3.2. „გამყიდველმა“:

3.2.1. უნდა უზრუნველყოს, რომ წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერის მომენტში „მყიდველს“ „ქონება“ გადაეცეს ყოველგვარი უფლებრივი ნაკლისგან, მათ შორის და არა მხოლოდ, ნებისმიერი დატვირთვისგან, იპოთეკისგან, გირავნობისგან, სამართლებრივი შეზღუდვისგან ან სხვა ისეთი უზრუნველყოფის საშუალებისგან თავისუფალ მდგომარეობაში, რომლითაც უზრუნველყოფილია ნებისმიერი პირის ნებისმიერი ვალდებულება.

3.2.2. „ხელშეკრულების“ 4.3 მუხლით განსაზღვრული აუდიტის დასკვნის ან „სამინისტროს წერილის“ („მყიდველის“ არჩევანისამებრ) წარდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, წერილობით უნდა დაადასტუროს „ხელშეკრულების“ 3.1.1 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად შესრულება, რაც წარმოადგენს „საჯარო რეესტრიდან“ შესაბამისი ვალდებულებების მოხსნის საფუძველს.

3.2.3. წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერით, „გამყიდველი“ ადასტურებს, რომ „მყიდველი“ უფლებამოსილია „ქონება“ დატვირთოს იპოთეკის უფლებით „სადგურის“ ასაშენებლად და ექსპლუატაციაში მისაღებად აღებული სესხის უზრუნველყოფის მიზნით.

3.2.4. „მყიდველის“ მიერ გადახდილი „საპრივატიზაციო თანხის“ „გამყიდველის“ საბანკო ანგარიშზე (როგორც ეს განსაზღვრულია „ხელშეკრულების“ 2.2 მუხლში) მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში, წერილობით უნდა დაადასტუროს „საპრივატიზაციო თანხის“ მიღება, რაც წარმოადგენს „საჯარო რეესტრიდან“ შესაბამისი ვალდებულებების მოხსნის საფუძველს.

3.3. გაყიდვის ოფცია

„ხელშეკრულების“ 3.1.1 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების სათანადოდ შესრულების შემდეგ, რაც დადასტურებულია „ხელშეკრულების“ 4.4 მუხლის შესაბამისად, „მყიდველს“ აქვს უფლება (მაგრამ არა ვალდებულება) „გამყიდველს“ უკან მიჰყიდოს „ქონება“ ან მისი ნებისმიერი ნაწილი 1 ლარად. იმ შემთხვევაში, თუ „მყიდველი“ გადაწყვეტს გამოიყენოს გაყიდვის ოფცია, „გამყიდველი“ იღებს ვალდებულებას, რომ ყველა ფორმალობას მოაგვარებს და მიიღებს საკუთრების უფლებას მიწის ნაკვეთებზე „მყიდველისგან“ გაყიდვის ოფციის გამოყენების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში. გაყიდვის ოფცია ძალაშია [●]-მდე.

4. ხელშეკრულების სპეციალური პირობები

4.1. „ქონებაზე“ საკუთრების უფლება „მყიდველზე“ გადადის წინამდებარე „ხელშეკრულების“ „საჯარო რეესტრში“ რეგისტრაციის მომენტიდან. ამასთან, საკუთრების უფლება „მყიდველზე“ გადადის იმ პირობით, რომ იგი შეასრულებს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ ნაკისრ ვალდებულებებს.

4.2. „ქონებაზე“ საკუთრების უფლების გარდა, „საჯარო რეესტრში“ უნდა დარეგისტრირდეს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ვალდებულებები, მათ შორის, „საპრივატიზაციო თანხის“ გადახდის ვალდებულება.

4.3. იმ შემთხვევაში, თუ „მყიდველი“ აირჩევს აუდიტის დასკვნის წარდგენას, როგორც ეს განსაზღვრულია „ხელშეკრულების“ 3.1.2 მუხლით, „ხელშეკრულების“ 3.1.1 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დადასტურება უნდა მოხდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის 14 (7) მუხლით განსაზღვრული აუდიტორული კომპანიის მიერ.

4.4. „ხელშეკრულების“ 3.1.1 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებები შესრულებულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა „გამყიდველი“ წერილობით დაადასტურებს „მყიდველის“ მიერ ამგვარი ვალდებულების შესრულებას.

4.5. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადის განმავლობაში „მყიდველი“ გაყიდის „ქონებას“ „საპრივატიზაციო თანხის“ გადახდის შემდეგ, „მყიდველმა“ „ქონება“ უნდა გაყიდოს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული პირობებით. „გამყიდველს“ წერილობით უნდა ეცნობოს „ქონების“ გასხვისების შესახებ.

4.6. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადის განმავლობაში „მყიდველი“ მესამე პირს გადასცემს საკუთრების უფლებას „ქონების“ ნაწილზე „საპრივატიზაციო თანხის“ გადახდის შემდეგ, „მყიდველმა“ „ქონების“ ნაწილი უნდა გაყიდოს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული პირობებით. ახალი მესაკუთრე და „მყიდველი“ სოლიდარულად იქნებიან პასუხისმგებელნი წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე. „გამყიდველს“ წერილობით უნდა ეცნობოს „ქონების“ ნაწილის გასხვისების შესახებ.

4.7. „მყიდველის“ მიერ „საპრივატიზაციო თანხის“ გადახდამდე, „მყიდველი“ არ არის უფლებამოსილი გასცეს ქონება სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს „ქონება“ იპოთეკით, გარდა „ხელშეკრულების“ 4.7 მუხლით განსაზღვრული შემთხვევისა, ხოლო „საპრივატიზაციო თანხის“ გადახდის შემდეგ, „მყიდველი“ უფლებამოსილია გასცეს ქონება სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს „ქონება“ იპოთეკით მხოლოდ „გამყიდველის“ თანხმობით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა „ქონება“ “კასკადის“ აშენებისა და ექსპლუატაციაში მიღების მიზნით აღებული ვალის დაფინანსებისთვის საჭირო უზრუნველყოფის სახით არის იპოთეკით დატვირთული, რომელიც დარეგულირდება ამ „ხელშეკრულების“ 3.2.3 მუხლით.

4.8. [წინამდებარე „ხელშეკრულების“ ნებისმიერი დებულების მიუხედავად, „გამყიდველი“ აცხადებს თანხმობას, რომ იგი დაუყოვნებლივ გაათავისუფლებს „ქონებას“ მთლიანად „ხელშეკრულების“ 3.1.1 და 4.2 მუხლების შესაბამისად მათზე რეგისტრირებული ვალდებულებებისგან, თუკი „მყიდველი“ გამყიდველისაგან შეძენილ ქონებას მთლიანად იყენებს შესაბამისი მიწის მესაკუთრეების/მოსარგებლეებისთვის ნატურით კომპენსაციის გაცემის მიზნით.][2]

5. მხარეთა პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების შეწყვეტა

5.1. თუ „მყიდველი“ ვერ შეასრულებს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ ნაკისრ ვალდებულებებს, „მყიდველმა“ უნდა მიიღოს წერილობითი შეტყობინება, რომელშიც განსაზღვრული უნდა იყოს დარღვევის გამოსასწორებლად დადგენილი ვადა, გადასახდელი ჯარიმების/პირგასამტეხლოების ოდენობა და იმ საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც უნდა მოხდეს ჯარიმების/პირგასამტეხლოების გადარიცხვა. წინამდებარე მუხლში გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინების მიუხედავად, თუ „მყიდველი“ ვერ შეასრულებს „ხელშეკრულებით“ ნაკისრ ვალდებულებას, „მყიდველი“ ვალდებულია გადაიხადოს შესაბამისი ჯარიმა/პირგასამტეხლო.

5.2. თუ „მყიდველი“ ვერ შეასრულებს ან არაჯეროვნად შეასრულებს „ხელშეკრულების“ 2.1 მუხლით განსაზღვრული „საპრივატიზაციო თანხის“ გადახდის ვალდებულებას, „მყიდველმა“ უნდა გადაიხადოს პირგასამტეხლო „საპრივატიზაციო თანხის“ გადაუხდელი ნაწილის 0.1%-ის (წული მთელი ერთი მეათედი პროცენტის) ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.3. თუ „მყიდველი“ არ შეასრულებს ან არასრულად შეასრულებს „ხელშეკრულების“ 3.1.4 მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებას, იგი ვალდებული იქნება გადაიხადოს პირგასამტეხლო თითოეულ შემთხვევაზე 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

5.4. წინამდებარე „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადის განმავლობაში, ჯარიმების/პირგასამტეხლოების გადახდა არ ათავისუფლებს „მყიდველს“ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

[2] აღნიშნული პუნქტი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ქონება გამოიყენება განსახლების ფარგლებში გადასაცემი ნატურით კომპენსაციის მიზნით.

5.5. „გამყიდველს“ არ აქვს უფლება შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“, თუ „BOO ხელშეკრულება“ და „პირდაპირი ხელშეკრულება“ (როგორც ეს განმარტებულია „BOO ხელშეკრულებაში“) არ შეწყდება მათში განსაზღვრული წესების შესაბამისად.

6. შეტყობინებები

6.1. მხარეთა შორის განხორციელებული ნებისმიერი კორესპონდენცია ან შეტყობინება უნდა შესრულდეს წერილობითი ფორმით, ქართულ ენაზე და უნდა ჩაბარდეს პირადად, კურიერის მეშვეობით, ქვემოთ მოცემულ ან მხარეთა მიერ შეტყობინებულ სხვა მისამართებზე.

6.2. წინამდებარე „ხელშეკრულების“ მიზნებისათვის, „მხარეთა“ რეკვიზიტები არის შემდეგი:

„გამყიდველისთვის“:

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზ. 10ა, 0179, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 32 299 11 05 / +995 32 299 11 11

„მყიდველისთვის“:

მისამართი:

ტელ:

6.3. „მხარეებმა“ ერთმანეთს უნდა შეატყობინონ მათი საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილების შესახებ, მისამართის ცვლილების ჩათვლით, ამგვარი ცვლილებების განხორციელებამდე სულ მცირე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის ძველ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია, მათ შორის, წერილობითი შეტყობინება, ჩაითვლება ჩაბარებულად.

6.4. გარდა „ხელშეკრულების“ 7.3 მუხლით გაწსაზღვრული შემთხვევისა, თუ „გამყიდველი“ ვერ შეძლებს კორესპონდენციის/წერილობითი შეტყობინების „მყიდველისთვის“ მიწოდებას ორჯერ, ამგვარი კორესპონდენცია/შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად მეორედ მიწოდების თარიღისათვის.

7. გამოსაყენებელი სამართალი და დავების გადაწყვეტა

7.1. წინამდებარე „ხელშეკრულება“ რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. თუკი „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით წარმოიშობა ნებისმიერი დავა, უთანხმოება ან მოთხოვნა, მათ შორის, წინამდებარე „ხელშეკრულების“ არსებობასთან, ნამდვილობასთან, შესრულებასთან, შეწყვეტასთან ან მისი ბათილობის შედეგებთან დაკავშირებული დავები (შემდგომში - „დავა“), ერთ-ერთი „მხარე“ წერილობით შეტყობინებას წარუდგენს მეორე „მხარეს“, რის შემდეგაც „მხარეები“, თავიანთი კანონიერი წარმომადგენლების მეშვეობით დაუყოვნებლივ შეხვდებიან და კეთილსინდისიერად შეეცდებიან „დავის“ მოლაპარაკების გზით გადაწყვეტას. „დავას“ უნდა ჰქონდეს წერილობითი ფორმა და უნდა იყოს ხელმოწერილი ორივე „მხარის“ სახელით.

7.3. „დავის“ შესახებ 7.2 მუხლით (მშვიდობიანი მორიგება) გათვალისწინებული წესით შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში მშვიდობიანი მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს არბიტრაჟი 7.4 მუხლის შესაბამისად.

7.4. ნებისმიერი „დავა“ რომლის გადაწყვეტაც ვერ მოხდება 7.2. მუხლის შესაბამისად მხარეთა მიერ მოლაპარაკების გზით, საბოლოოდ უნდა გადაწყდეს არბიტრაჟს მეშვეობით, „საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო წესების“ (ICC Rules) შესაბამისად.

7.5. ტრიბუნალი უნდა შედგებოდეს 3 (სამი) არბიტრისგან. თითოეულმა მოსარჩელემ/მოსარჩელეებმა და მოპასუხემ/მოპასუხეებმა უნდა დაასახელონ თითო-თითო არბიტრი. მესამე არბიტრი, რომელიც უნდა იყოს ტრიბუნალის თავმჯდომარე, დასახელდება მხარეთა მიერ არჩეული (2) ორი არბიტრის მიერ.

7.6. არბიტრაჟის ადგილსამყოფელი იქნება პარიზი, საფრანგეთი.

7.7. არბიტრაჟის ენა იქნება ინგლისური.

7.8. აღნიშნული „ხელშეკრულების“ ყოველი „მხარე“ ადასტურებს და თანხმდება, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება შესაბამის იურისდიქციაში ძალაში შევა „უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციით“ დადგენილი შეზღუდვების შესაბამისად.

7.9. „მხარეები“ თანხმდებიან რომ ყველა შესაძლო გზით მაქსიმალურად დაიცავენ კონფიდენციალობას არბიტრაჟთან დაკავშირებულ ყველა საკითხთან მიმართებით, მათ შორის, ინფორმაციას მისი არსებობისა და ყველა დაკავშირებული სასამართლო წარმოების შესახებ.

7.10. „გამყიდველი“ აცხადებს და ადასტურებს, რომ აღნიშნული „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ყველა გარიგება წარმოადგენს მის კერძო სამართლებრივ აქტს და არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს.

8. სხვადასხვა

8.1. წინამდებარე „ხელშეკრულების“ ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „მხარეთა“ წერილობითი თანხმობის საფუძველზე, წინამდებარე „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ფორმით.

8.2. ნებისმიერი ცვლილება/დამატება და/ან დანართი წარმოადგენს „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს.

8.3. წინამდებარე „ხელშეკრულების“ კონკრეტული დებულებების ბათილობა არ იწვევს „ხელშეკრულების“ სხვა დებულებების ბათილობას.

8.4. წინამდებარე „ხელშეკრულებაში“ სათაურები მოცემულია მხოლოდ მოხერხებულობისთვის და გავლენას არ ახდენს „ხელშეკრულების“ განმარტებაზე.

8.5. წინამდებარე „ხელშეკრულება“ შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე, 3 (სამი) თანაბარი იურიდიული მნიშვნელობის ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემათ „მხარეებს“ და „საჯარო რეესტრს“. ინგლისურ და ქართულ ტექსტებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ვერსია.

8.6. წინამდებარე „ხელშეკრულება“ ძალაში შედის „მხარეთა“ მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

„გამყიდველი“:

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

წარმომადგენელი: _____

„მყიდველი“:

წარმომადგენელი: _____

დანართი #10

აღნაგობის ხელშეკრულების ნიმუში

სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულება

თბილისი, საქართველო [●], 2019 წ.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (შემდგომში - „მესაკუთრე“), წარმოდგენილი იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის იურიდიული მრჩევლის [•] (პირადი ნომერი: [•]) მიერ, მოქმედი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მიერ 2019 წლის [•] გაცემული №[•] მინდობილობის საფუძველზე,

შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯია“ (საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო კოდი: 404507495, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, თავისუფლების მოედ. 4) (შემდგომში - „აღნაგობის უფლების მფლობელი“), წარმოდგენილი [•] (პირადი ნომერი: [•]) მიერ

(ერთობლივად მოხსენებული როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე - როგორც „მხარე“),

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონის და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „აღნაგობის უფლების მფლობელი“-სთვის აღნაგობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ საქართველოს მთავრობის [•] წლის [•] №[•] განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

4. ხელშეკრულების საგანი

1.1. „მესაკუთრე“ გასცემს და „აღნაგობის უფლების მფლობელი“ იღებს აღნაგობის უფლებას (შემდგომში - „აღნაგობის უფლება“) წინამდებარე „ხელშეკრულების“ #1 დანართში მოცემულ უძრავ ქონებაზე (შემდგომში - „ქონება“).

1.2. წინამდებარე „ხელშეკრულება“ ძალაშია მის გაფორმებიდან 99 (ოთხმოცდაცხრამეტი) წლის განმავლობაში.

1.3. „მესაკუთრე“ აცხადებს, რომ წინამდებარე „ხელშეკრულების“ გაფორმების თარიღისათვის „ქონება“ თავისუფალია ყოველგვარი სამართლებრივი შეზღუდვისგან და რაიმე უფლებით არ არის გადაცემული რომელიმე მესამე პირისთვის.

1.4. „მესაკუთრის“ მიერ „ქონებაზე“ საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადების შეუზღუდავად, „აღნაგობის უფლების მფლობელი“ ადასტურებს, რომ მისთვის

ცნობილია „ქონების“ მატერიალური მდგომარეობის შესახებ და მას არ აქვს უფლება „მესაკუთრეს“ წაუყენოს რაიმე მოთხოვნა „ქონების“ მდგომარეობასთან და/ან ნივთობრივ ნაკლთან დაკავშირებით.

2. ანაზღაურება და გადახდის პირობები

2.1. „აღნაგობის უფლების მფლობელმა“ „აღნაგობის უფლების“ სანაცვლოდ უნდა გადაიხადოს ყოველწლიური ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით (შემდგომში - **„ანაზღაურება“**). პირველი წლის „ანაზღაურება“ გადახდილ უნდა იქნას წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერიდან 1 (ერთი) თვის ვადაში. ყოველი მომდევნო „ანაზღაურება“ გადახდილ უნდა იქნას ყოველი სახელშეკრულებო წლის დაწყებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში. წინამდებარე მუხლის ზოგადი ხასიათის შეუზღუდავად, „აღნაგობის უფლების მფლობელს“ უფლება აქვს „ანაზღაურება“ გადაიხადოს ერთდროულად მთლიანი სახელშეკრულებო პერიოდისთვის ოთხმოცდაცხრამეტი ლარი (99 ლარი) წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

2.2. „ანაზღაურების“ გადახდა უნდა განხორციელდეს საბანკო გადარიცხვის გზით, „მესაკუთრის“ შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

ლარის ანგარიში

ანგარიშის სახელი (მიმღები):

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

ანგარიშის ნომერი: GE50BG0000000655067100/ ანგარიშის ვალუტა: ლარი

მიმღები ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“

მიმღები ბანკის კოდი: BAGAGE22

2.3. „ანაზღაურება“ გადახდილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი აისახება „მესაკუთრის“ საბანკო ანგარიშზე. „მესაკუთრემ“ ამგვარი გადახდის დამადასტურებელი ქვითარი უნდა მიაწოდოს „აღნაგობის უფლების მფლობელს“.

3. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

3.1. „აღნაგობის უფლების მფლობელმა“:

3.1.1. „ქონება“ უნდა გამოიყენოს ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის (შემდგომში - „სადგური“) მშენებლობისა და ექსპლოატაციაში მიღებისთვის, საქართველოს მთავრობას, სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“, სს „ნამახვანს“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს

სახელმწიფო ელექტროსისტემას“ და შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას“ შორის 2019 წლის [•] გაფორმებული მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების ხელშეკრულებით (შემდგომში - „BOO ხელშეკრულება“) განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

3.1.2. „ხელშეკრულების“ 3.1.1 მუხლში განსაზღვრული ყველა ვალდებულების შესრულების დადასტურების მიზნით, ამგვარი ვალდებულების შესრულების ვადის გასვლიდან არა უგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღისა, „მესაკუთრეს“ უნდა წარუდგინოს ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტი („აღნაგობის უფლების მფლობელის“ არჩევანისამებრ): (ა) აუდიტის დასკვნა, როგორც ეს განსაზღვრულია „ხელშეკრულების“ 4.3 მუხლში; ან (ბ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გაცემული წერილი, რომლითაც დადასტურდება „კასკადის“ სათანადო დასრულება და ექსპლოატაციაში მიღება (შემდგომში - „სამინისტროს წერილი“).

3.1.3. უნდა დაარეგისტრიროს „ხელშეკრულება“ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) და დაფაროს რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

3.1.4. „მესაკუთრის“ მოთხოვნის შემთხვევაში, ამგვარი შეტყობინების მიღებიდან არა უგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, უნდა მიაწოდოს „მესაკუთრეს“ ინფორმაცია „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით.

3.1.5. დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს „მესაკუთრეს“, თუ რომელიმე მესამე პირი იმ უფლების საფუძველზე, რომელიც არსებობდა წინამდებარე „ხელშეკრულების“ გაფორმებამდე, წარადგენს რაიმე მოთხოვნას „აღნაგობის უფლების მფლობელის“ წინააღმდეგ „ქონებასთან“ დაკავშირებით. ამასთან, იგი უფლებამოსილია ნებისმიერ მესამე პირს წარუდგინოს ისეთი შესაგებლები, რომლის წარდგენის უფლება ექნებოდა თავად „მესაკუთრეს“.

3.2. „აღნაგობის უფლების მფლობელი“ უფლებამოსილია:

3.2.1. გაავრცელოს აღნაგობის უფლება „ქონების“ იმ ნაწილზე, რომელიც არ არის აუცილებელი მშენებლობისთვის, თუმცა იძლევა შენობით სრულფასოვნად სარგებლობის შესაძლებლობას.

3.2.2. „მესაკუთრის“ წერილობითი თანხმობის საფუძველზე, „ქონება“ ან „ქონების“ ნაწილი დატვირთოს იჯარის ან ქირავნობის უფლებით. „ქონებაზე“ აშენებული შენობების სარგებლობის უფლებით გადაცემამ არ უნდა დააბრკოლოს „აღნაგობის უფლების მფლობელის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

3.2.3. მოსთხოვოს ნებისმიერ უკანონო მფლობელს „ქონების“ დაბრუნება, აღმოფხვრას ყველა დაბრკოლება, რაც ხელს უშლის „ქონებით“ სარგებლობაში და მიიღოს ანაზღაურება „ქონებისთვის“ მიყენებული ზიანისთვის; მიღებული ანაზღაურება უნდა მოხმარდეს „ქონების“ შეკეთებას.

3.3. „მესაკუთრემ“:

3.3.1. „აღნაგობის უფლების მფლობელს“ მფლობელობაში უნდა გადასცეს „ქონება“ წინამდებარე „ხელშეკრულების“ „საჯარო რეესტრში“ რეგისტრაციის მომენტიდან.

3.3.2. უნდა უზრუნველყოს, რომ „აღნაგობის უფლების მფლობელს“ „ქონება“ გადაეცეს ყოველგვარი უფლებრივი ნაკლისგან, მათ შორის და არა მხოლოდ, ნებისმიერი დატვირთვისგან, იპოთეკისგან, გირავნობისგან, სამართლებრივი შეზღუდვისგან ან სხვა ისეთი უზრუნველყოფის საშუალებისგან თავისუფალ მდგომარეობაში, რომლითაც უზრუნველყოფილია ნებისმიერი პირის ნებისმიერი ვალდებულება.

3.3.3. „ხელშეკრულების“ 4.3 მუხლით განსაზღვრული აუდიტის დასკვნის ან „სამინისტროს წერილის“ („მყიდველის“ არჩევანისამებრ) წარდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, წერილობით უნდა დაადასტუროს „ხელშეკრულების“ 3.1.1 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად შესრულება.

3.3.4. წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერით „მესაკუთრე“ ადასტურებს, რომ „აღნაგობის უფლების მფლობელი“ უფლებამოსილია „ქონება“ დატვირთოს იპოთეკის უფლებით „სადგურის“ ასაშენებლად და ექსპლუატაციაში მისაღებად აღებული სესხის უზრუნველყოფის მიზნით.

3.4. „მესაკუთრე“ უფლებამოსილია:

3.4.1. „აღნაგობის უფლების მფლობელის“ მიერ შესაბამისი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, წერილობით გასცეს ვალდებულებების ნაწილობრივი ან მთლიანი შესრულების დადასტურება. „მესაკუთრის“ დადასტურება წარმოადგენს „საჯარო რეესტრში“ რეგისტრირებული შესაბამისი ვალდებულების შეცვლის ან გაუქმების საფუძველს.

3.4.2. „აღნაგობის უფლების მფლობელისთვის“ წინასწარი შეტყობინების მიწოდების შემდეგ, ეწვიოს „ქონებას“ ნებისმიერ დროს, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, იმგვარად, რომ არ შეუშალოს ხელი „აღნაგობის უფლების მფლობელის“ მიერ „ქონებით“ სარგებლობასა და „ქონების“ ფლობას.

3.4.3. მოსთხოვოს „აღნაგობის უფლების მფლობელს“ იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეულია „ქონების“ დაზიანებით და/ან „ქონების“ ღირებულების შემცირებით.

3.4.4. ცალმხრივად, „აღნაგობის უფლების მფლობელის“ თანხმობის გარეშე, გააუქმოს წინამდებარე „ხელშეკრულების“ საფუძველზე წარმოშობილი აღნაგობის უფლების რეგისტრაცია „საჯარო რეესტრში“.

4. ხელშეკრულების სპეციალური პირობები

4.1. ნებისმიერი შენობა ან სხვა უძრავი ქონება, რომელიც ნებისმიერი ფორმით შეიქმნება/აშენდება/წარმოიქმნება „ქონებაზე“ „აღნაგობის უფლების“ საფუძველზე (შემდგომში -

„აღნაგობის უფლების არსებითი შემადგენელი ნაწილი“), წარმოადგენს „აღნაგობის უფლების“ არსებით შემადგენელ ნაწილს. წინამდებარე „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადის განმავლობაში, „აღნაგობის უფლების არსებითი შემადგენელი ნაწილი“ უნდა დარეგისტრირდეს „აღნაგობის უფლების მფლობელის“ საკუთრებაში, „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით.

4.2. წინამდებარე „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადის განმავლობაში, „ქონებისა“ და „აღნაგობის უფლების არსებითი შემადგენელი ნაწილის“ ნებისმიერი ნაყოფი ეკუთვნის „აღნაგობის უფლების მფლობელს“.

4.3. იმ შემთხვევაში, თუ „აღნაგობის უფლების მფლობელი“ აირჩევს აუდიტის დასკვნის წარდგენას, როგორც ეს განსაზღვრულია „ხელშეკრულების“ 3.1.2 მუხლით, „ხელშეკრულების“ 3.1.1 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დადასტურება უნდა მოხდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის 14 (7) მუხლით განსაზღვრული აუდიტორული კომპანიის მიერ.

4.4. „აღნაგობის უფლების“ საფუძველზე აშენებული შენობის დანგრევა არ გამოიწვევს „აღნაგობის უფლების“ შეწყვეტას.

4.5. „აღნაგობის უფლების მფლობელი“ არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს რაიმე კომპენსაცია ნივთობრივი ნაკლისთვის და/ან მოითხოვოს ნივთობრივი ნაკლის გამოსწორება, თუ იგი აღნიშნულის შესახებ „მესაკუთრეს“ არ შეატყობინებს წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში.

4.6. იმ შემთხვევაში, თუ „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადის განმავლობაში მოხდება „აღნაგობის უფლების“ განკარგვა, „აღნაგობის უფლების მფლობელი“ ვალდებულია „აღნაგობის უფლება“ გადასცეს ნებისმიერ მესამე პირს მხოლოდ „მესაკუთრის“ წერილობითი თანხმობის საფუძველზე, წინამდებარე „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული პირობებით და ასევე იმ პირობით, რომ მესამე პირი ჩაანაცვლებს „აღნაგობის უფლების მფლობელს“ წინამდებარე „ხელშეკრულებაში“.

4.7. „აღნაგობის უფლების“ ვადის ამოწურვის შემდეგ, „აღნაგობის უფლების მფლობელი“ არ არის უფლებამოსილი წაიღოს „ქონებაზე“ აშენებული შენობა ან მისი არსებითი შემადგენელი ნაწილი.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. თუ „აღნაგობის უფლების მფლობელი“ ვერ შეასრულებს და/ან არაჯეროვნად შეასრულებს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ ნაკისრ ვალდებულებებს, „აღნაგობის უფლების მფლობელმა“ უნდა მიიღოს წერილობითი შეტყობინება, რომელშიც განსაზღვრული უნდა იყოს დარღვევის გამოსასწორებლად დადგენილი ვადა, გადასახდელი ჯარიმების/პირგასამტეხლოების ოდენობა და იმ საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც უნდა მოხდეს ჯარიმების/პირგასამტეხლოების გადარიცხვა.

5.2. თუ „აღნაგობის უფლების მფლობელი“ დაარღვევს „ხელშეკრულების“ 2.1 მუხლით განსაზღვრულ ვალდებულებას, „აღნაგობის უფლების მფლობელმა“ უნდა გადაიხადოს პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.1%-ის (ნული მთელი ერთი მეათედი პროცენტის) ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.3. თუ „აღნაგობის უფლების მფლობელი“ დაარღვევს „ხელშეკრულების“ 3.1.4 მუხლით განსაზღვრულ ვალდებულებას, იგი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო თითეული დარღვევისთვის 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

5.4. „მესაკუთრეს“ არ აქვს უფლება შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“, თუ „BOO ხელშეკრულება“ და „პირდაპირი ხელშეკრულება“ (როგორც ეს განმარტებულია „BOO ხელშეკრულებაში“) არ შეწყდება მათში განსაზღვრული წესების შესაბამისად. ამ შემთხვევაში წინამდებარე „ხელშეკრულების“ შეწყვეტის შედეგები (მათ შორის „საქართველოს მთავრობის“ მიერ „კომპანიისთვის“ კომპენსაციის გადახდა) მოცემულია “BOO ხელშეკრულების“ 9.4 მუხლში („ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგები“).

5.5. თუ წინამდებარე „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადის გასვლის ან სხვა საფუძვლით მისი შეწყვეტის შემთხვევაში, „აღნაგობის უფლების მფლობელი“ არ დატოვებს „ქონებას“ „მესაკუთრის“ შეტყობინების მიღების შემდეგ, „აღნაგობის უფლების მფლობელმა“ უნდა გააგრძელოს „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „ანაზღაურების“ გადახდა „ქონების“ დატოვებამდე.

5.6. თუ „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადის ამოწურვის ან მისი სხვაგვარად შეწყვეტის შემთხვევაში, „აღნაგობის ფულების მფლობელი“ არ დააბრუნებს „ქონებას“, „მესაკუთრე“ უფლებამოსილია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეულია „ქონების“ დაგვიანებით დაბრუნებით და/ან რომელიც თავად „ქონებას“ მიადგა.

5.7. წინამდებარე „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „აღნაგობის უფლების მფლობელი“ პასუხს აგებს წინამდებარე „ხელშეკრულების“, „BOO ხელშეკრულების” და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. წინამდებარე „ხელშეკრულება“ შეიძლება შეწყდეს:

6.1.1. „მხარეთა“ შეთანხმებით;

6.1.2. „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადის გასვლით; ან

6.1.3. „მესაკუთრის“ ან „აღნაგობის უფლების მფლობელის“ მიერ, „BOO ხელშეკრულების” პირობებისა და “პირდაპირი ხელშეკრულების“ შესაბამისად.

7. შეტყობინებები

7.1. მხარეთა შორის განხორციელებული ნებისმიერი კორესპონდენცია ან შეტყობინება უნდა შესრულდეს წერილობითი ფორმით, ქართულ ენაზე და უნდა ჩაბარდეს პირადად, კურიერის მეშვეობით, ქვემოთ მოცემულ ან მხარეთა მიერ შეტყობინებულ სხვა მისამართებზე.

7.2. წინამდებარე „ხელშეკრულების" მიზნებისათვის, „მხარეთა" რეკვიზიტები არის შემდეგი:

7.2.1. „მესაკუთრისთვის":

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზ. 10ა, 0179, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 32 299 11 05 / +995 32 299 11 11

7.2.2. „აღნაგობის უფლების მფლობელისთვის":

მისამართი:

ტელ:

7.3. „აღნაგობის უფლების მფლობელმა" „მესაკუთრეს" უნდა შეატყობინოს თავისი საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილების შესახებ, მისამართის ცვლილების ჩათვლით, ამგვარი ცვლილებების განხორციელებამდე სულ მცირე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე. წინააღმდეგ შემთხვევაში, „მესაკუთრის" მიერ „აღნაგობის უფლების მფლობელისთვის" ძველ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია, მათ შორის, წერილობითი შეტყობინება, ჩაითვლება ჩაბარებულად.

8. გამოსაყენებელი სამართალი და დავების გადაწყვეტა

8.1. წინამდებარე „ხელშეკრულება" რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუკი „ხელშეკრულებიდან" გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით წარმოიშობა ნებისმიერი დავა, უთანხმოება ან მოთხოვნა, მათ შორის, წინამდებარე „ხელშეკრულების" არსებობასთან, ნამდვილობასთან, შესრულებასთან, შეწყვეტასთან ან მისი გათიშლობის შედეგებთან დაკავშირებული დავები (შემდგომში - „დავა"), ერთ-ერთი „მხარე" წერილობით შეტყობინებას წარუდგენს მეორე „მხარეს", რის შემდეგაც „მხარეები", თავიანთი კანონიერი წარმომადგენლების მეშვეობით დაუყოვნებლივ შეხვდებიან და კეთილსინდისიერად შეეცდებიან „დავის"

მოლაპარაკების გზით გადაწყვეტას. „დავას“ უნდა ჰქონდეს წერილობითი ფორმა და უნდა იყოს ხელმოწერილი ორივე „მხარის“ სახელით.

8.3. „დავის“ შესახებ 8.2 მუხლით (მშვიდობიანი მორიგება) გათვალისწინებული წესით შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში მშვიდობიანი მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს არბიტრაჟი 8.4 მუხლის შესაბამისად.

8.4. ნებისმიერი „დავა“ რომლის გადაწყვეტაც ვერ მოხდება 8.2. მუხლის შესაბამისად მხარეთა მიერ მოლაპარაკების გზით, საბოლოოდ უნდა გადაწყდეს არბიტრაჟს მეშვეობით, „საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო წესების“ (ICC Rules) შესაბამისად.

8.5. ტრიბუნალი უნდა შედგებოდეს სამი არბიტრისგან. თითოეულმა მოსარჩელემ/მოსარჩელეებმა და მოპასუხემ/მოპასუხეებმა უნდა დაასახელონ თითო-თითო არბიტრი. მესამე არბიტრი, რომელიც უნდა იყოს ტრიბუნალის თავმჯდომარე, დასახელდება მხარეთა მიერ არჩეული 2 (ორი (2) არბიტრის მიერ.

8.6. არბიტრაჟის ადგილსამყოფელი იქნება პარიზი, საფრანგეთი.

8.7. არბიტრაჟის ენა იქნება ინგლისური.

8.8. აღნიშნული „ხელშეკრულების“ ყოველი „მხარე“ ადასტურებს და თანხმდება, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება შესაბამის იურისდიქციაში ძალაში შევა „უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციით“ დადგენილი შეზღუდვების შესაბამისად.

8.9. „მხარეები“ თანხმდებიან რომ ყველა შესაძლო გზით მაქსიმალურად დაიცავენ კონფიდენციალობას არბიტრაჟთან დაკავშირებულ ყველა საკითხთან მიმართებით, მათ შორის, ინფორმაციას მისი არსებობისა და ყველა დაკავშირებული სასამართლო წარმოების შესახებ.

8.10. „გამყიდველი“ აცხადებს და ადასტურებს, რომ აღნიშნული „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ყველა გარიგება წარმოადგენს მის კერძო სამართლებრივ აქტს და არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს.

9. სხვადასხვა

9.1. წინამდებარე „ხელშეკრულების“ ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „მხარეთა“ წერილობითი თანხმობის საფუძველზე, რომელიც უნდა გაფორმდეს ცალკე შეთანხმების ფორმით და თან უნდა დაერთოს „ხელშეკრულებას“ როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

9.2. ნებისმიერი ცვლილება/დამატება და/ან დანართი წარმოადგენს „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს. ნებისმიერი ამგვარი დოკუმენტი უნდა გაფორმდეს იმავე ფორმით, რა ფორმითაც გაფორმებულია „ხელშეკრულება“.

9.3. წინამდებარე „ხელშეკრულების“ რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს „ხელშეკრულების“ სხვა დებულებების ბათილობას.

9.4. წინამდებარე „ხელშეკრულებაში“ სათაურები მოცემულია მხოლოდ მოხერხებულობისთვის და გავლენას არ ახდენს „ხელშეკრულების“ განმარტებაზე.

9.5. წინამდებარე „ხელშეკრულება“ შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე, 3 (სამი) თანაბარი იურიდიული მნიშვნელობის ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემათ „მხარეებს“ და „საჯარო რეესტრს“. ინგლისურ და ქართულ ტექსტებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ვერსია.

9.6. წინამდებარე „ხელშეკრულება“ ძალაში შედის „მხარეთა“ მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

„მესაკუთრე“:

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

წარმომადგენელი: _____

„აღნაგობის უფლების მფლობელი“:

წარმომადგენელი: _____

დანართი #11

ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულება

თარიღი: [●], 2019

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“

როგორც, „მყიდველი“

და

შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯია“

როგორც, „კომპანია“

ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულება

ეხება წამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პროექტით გათვალისწინებული *[ზემო წამახვანი/ქვემო წამახვანი]* ელექტრო სადგურის მიერ წარმოებულ ელექტროენერგიას

სარჩევი

1. განმარტებები და ინტერპრეტაცია 204
2. „ხელშეკრულების“ ვადა 207
3. ენერგიის ნასყიდობა 207
4. დასრულება 208
5. წარმოებულ ენერგიაზე საკუთრების უფლება 208
6. ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინაპირობები 208
7. გადასახადები და სხვა დაქვითვები 209
8. ფორს-მაჟორი და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების სხვა საფუძვლები 210
9. „ხელშეკრულების“ შეწყვეტა 211
10. განცხადებები, გარანტიები და ვალდებულებები 213
11. დავების გადაწყვეტა 215
12. იმუნიტეტზე უარის თქმა 216
13. უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემა 216
14. პირდაპირი ხელშეკრულება 216
15. კომპენსაცია 216
16. გამოსაყენებელი სამართალი 217
17. შეტყობინებები 217
18. არაპირდაპირი ზიანი 218
19. დასკვნითი დებულებები 218

დანართი #1 220

ელექტროენერგიის შესყიდვის წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში - „ხელშეკრულება“) გაფორმებულია [●], 2019წ. შემდეგ მხარეებს შორის:

1) სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (კომპანია რეგისტრირებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ნომერი: 205170036, იურიდიული მისამართი: ბარათაშვილის ქ. 2, თბილისი, საქართველო) (შემდგომში - „ესკო“) (მოიცავს მის სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებს) (შემდგომში - „მყიდველი“); და
2) შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯია“ (კომპანია რეგისტრირებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ნომერი: 404507495, იურიდიული მისამართი: თავისუფლების მოედანი 4, „ჯიემთი პლაზა“, სართული 2, თბილისი 0105, საქართველო) (შემდგომში - „კომპანია“).

შემდგომში „მყიდველი“ და „კომპანია“ ცალ-ცალკე მოიხსენიებიან როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად - როგორც „მხარეები“.

<u>პრეამბულა</u>

ვინაიდან: „კომპანიამ“ გააფორმა მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების ხელშეკრულება ნამახვანის 433 მგვტ.-იანი ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პროექტის დაფინანსების, მშენებლობის, გამოცდის, ექსპლოატაციაში მიღების, ფლობის, ოპერირებისა და მოვლის მიზნით „მთავრობასთან“, „მყიდველთან“ და სხვა მხარეებთან.

ვინაიდან: ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პროექტი მათ შორის მოიცავს ქვემო ნამახვანში 333 მგვტ.-იან ჰიდროელექტროსადგურს და ზემო ნამახვანში 100 მგვტ.-იან ჰიდროელექტროსადგურს. „კომპანია“ და „მყიდველი“ თანხმდებიან გააფორმონ თითოეულ ჰიდროელექტროსადგურზე დამოუკიდებელი ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები, იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი ხელშეკრულებების ძირითადი პირობები იქნება ერთი და იგივე;

ვინაიდან: „მხარეებმა“ გადაწყვიტეს დადონ ელექტროენერგიის შესყიდვის წინამდებარე ხელშეკრულება [ქვემო ნამახვანის/ზემო ნამახვანის] ჰიდროელექტროსადგურთან მიმართებით შემდეგ პირობებზე დაყრდნობით:

„მხარეები“ თანხმდებიან შემდეგზე:

1. განმარტებები და ინტერპრეტაცია

1.1. განმარტებები

წინამდებარე „ხელშეკრულების“ ფარგლებში, მისი პრეამბულის და დანართების ჩათვლით, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც კონტექსტიდან სხვაგვარად გამომდინარეობს, ქვემოთ ჩამოთვლილი ტერმინები გამოიყენება ქვემოთ მოცემული მნიშვნელობებით. ტერმინებს, რომლებიც არ არის განმარტებული წინამდებარე ხელშეკრულებით, აქვთ “BOO ხელშეკრულებაში“ მოცემული მნიშვნელობა.

„გადახდისუუნარობა" ნიშნავს ვითარებას, როდესაც:

(a) „მყიდველი“: (i) მიმართავს, ან დაეთანხმება მიმღების, რწმუნებულის, მეურვის, ჩამრევის ან ლიკვიდატორის დანიშვნას მისთვის ან მისი აქტივების მთლიან ან ძირითად ნაწილთან მიმართებით; (ii) წარადგენს ნებაყოფლობით განაცხადს გაკოტრების თაობაზე, წერილობით აღიარებს, რომ ვალაუვალია ან, ზოგადად ვერ შეძლებს ვადამოსული ვალების დაფარვას; (iii) განახორციელებს კრედიტორების სასარგებლოდ ქონების დათმობას; (iv) წარადგენს განაცხადს ან პასუხს

რეორგანიზაციის ან კრედიტორებთან მორიგების თაობაზე ან იმ მიზნისთვის, რომ ისარგებლოს გაკოტრების, რეორგანიზაციისა და გადახდისუუნარობის მარეგულირებელი კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებებით; (v) წარადგენს პასუხს, რომლითაც აღიარებს მატერიალურ მოთხოვნებს ან დაეთანხმება, ან ვერ შეძლებს პასუხის გაცემას გაკოტრების, რეორგანიზაციის ან გადახდისუუნარობის შესახებ საქმეში წარდგენილ განცხადებაზე; ან (vi) მიიღებს ნებისმიერ კორპორატიულ გადაწყვეტილებას ზემოაღნიშნულის განხორციელების მიზნებისთვის; და

(b) ნებისმიერი ასეთი წარმოება დაწყებულია შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოში ან შესაბამისი იურისდიქციის მქონე საჯარო უფლებამოსილი ორგანო „მყიდველის" მიმართ მოითხოვს გაკოტრების გამოცხადებას, რეორგანიზაციას, საქმიანობის შეწყვეტას, გაუქმებას, ლიკვიდაციას, კრედიტორებთან შეთანხმებას, ვალაუვალობის გამოსწორებას, რწმუნებულის, მიმღების, ლიკვიდატორის ან მსგავსი წარმომადგენლის დანიშვნას მისი ქონების ან აქტივების მთლიან ან ძირითად ნაწილთან მიმართებით, ან გაკოტრების, გადახდისუუნარობის, რეორგანიზაციის კანონმდებლობიდან გამომდინარე ნებისმიერ სხვა სახის სამართლებრივ საშუალებას; და, თუ ასეთი პროცედურები გასაჩივრებულია „მყიდველის" მიერ კეთილსინდისიერად და გრძელდება უწყვეტად 90 დღის განმავლობაში.

„წარმოების წლიური პერიოდი" ნიშნავს ყოველ 12 თვიან პერიოდს, რომელიც იწყება და მოიცავს 1 იანვარს და მთავრდება და მოიცავს 31 დეკემბერს. პირველი „წარმოების წლიური პერიოდი" დაიწყება „სადგურის" „კომერციული ოპერირების თარიღიდან" და დასრულდება იმავე კალენდარული წლის 31 დეკემბერს. ბოლო „წარმოების წლიური პერიოდი" დაიწყება იმ წლის 1 იანვრიდან, როდესაც გადის „ვადა" და დასრულდება „ვადის" ამოწურვისას.

„საანგარიშგებო პერიოდი" ნიშნავს ერთ თვიან პერიოდს, რომელიც იწყება ყოველი თვის პირველ რიცხვში და მთავრდება შესაბამისი თვის ბოლო დღეს. იმ შემთხვევაში, თუკი პირველი საანგარიშო პერიოდი იწყება ნებისმიერ სხვა დღეს გარდა შესაბამისი თვის პირველი რიცხვისა, მაშინ, საანგარიშო პერიოდი იწყება ასეთ რიცხვში და მთავრდება შესაბამისი თვის ბოლო დღეს.

„BOO ხელშეკრულება" ნიშნავს „კომპანიას", „მყიდველს", „მთავრობას", „სსე"-ს, „ფონდს" და „ნამახვანს" შორის გაფორმებულ დათარიღებულ ან დასათარიღებელ ხელშეკრულებას.

„კომერციული ოპერირების თარიღი" გამოიყენება მე-4 მუხლით (*დასრულება*) გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„წინაპირობები" გამოიყენება მე-6 მუხლით (წინაპირობები) გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„სამშენებლო სამუშაოები" ნიშნავს ნებისმიერ სამუშაოს, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, რაც საჭიროა ან დამხმარეა „სადგურების" და მათთან დაკავშირებული „გზების" დიზაინის, ტესტირების, ექსპლუატაციაში გაშვებისთვის (ყველა საჭირო სამშენებლო და ელექტრო-მექანიკური სამონტაჟო სამუშაოების ჩათვლით, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება ტურბინების, გენერატორების, ქვესადგურის მოწყობილობის, ტრანსფორმატორების და გამომრთველების მონტაჟს).

„დარღვევის საპროცენტო განაკვეთი" ნიშნავს საპროცენტო განაკვეთს, რომელიც მიიღება შემდეგი ფორმულით: LIBOR + ოთხი პროცენტი (4%), რომლის დარიცხვაც ხდება დღიურად და მრგვალდება თვის ბოლოს.

„მიწოდებული ელექტროენერგიის ღირებულება" გამოიყენება 1-ლი დანართით (*ღირებულებები*) გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„პირდაპირი ხელშეკრულება" გამოიყენება მე-15 მუხლით (*პირდაპირი ხელშეკრულება*) გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„ბოლო ვადა" გამოიყენება 7.3(c) მუხლით (*ინვოისები*) გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„წარმოებული ელექტროენერგია“ ნიშნავს „სადგურის“ მიერ წარმოებულ და „მიწოდების პუნქტში“ „დისპეჩერის“ მიერ „BOO ხელშეკრულების“ მე-15 დანართის *(პროგნოზირება და დისპეჩერიზაცია)* შესაბამისად გაცემული „დისპეჩერიზაციის ინსტრუქციის“ შესაბამისად მიწოდებულ ენერგიას, რომელიც აღირიცხება „BOO ხელშეკრულების“ მე-16 დანართით *(ელექტროენერგიის აღრიცხვა)* გათვალისწინებული წესებით, მგვტ.სთ-ებში ან კვტ.სთ-ებში, კონტექსტის შესაბამისად.

„ელექტროენერგიის საპროგნოზო წარმოება“ ნიშნავს ელექტროენერგიის წარმოების საპროგნოზო მაჩვენებლებს, რომელიც დაანგარიშდება და/ან გადაიხედება (შესაბამისი შემთხვევის გათვალისწინებით) „რეზერვუარის გაიდლაინების“ თანახმად და „კომპანიის“ მიერ „BOO ხელშეკრულების“ მე-15 დანართის *(პროგნოზირება და დისპეჩერიზაცია)* მე-2 ნაწილის *(ელექტროენერგიის საპროგნოზო წარმოება)* თანახმად მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, რაც შესაძლოა „კომპანიამ“ შეცვალოს „BOO ხელშეკრულების“ მე-15 დანართის *(პროგნოზირება და დისპეჩერიზაცია)* მე-2 *(ელექტროენერგიის საპროგნოზო წარმოება)* პუნქტის თანახმად.

„მთავრობა“ ნიშნავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ წარმოდგენილ საქართველოს მთავრობას.

„ქსელის წესები“ ნიშნავს საქართველოს ენერგეტიკისა და წყლის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ 2014 წლის 17 აპრილს დამტკიცებულ ქსელის წესებს, მასში დროდადრო შესული ცვლილებების გათვალისწინებით.

„ინვოისზე შედავების შეტყობინება“ გამოიყენება 7.3(f) მუხლით (*ინვოისები*) გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„დაკავშირებული ხელშეკრულება“ გამოიყენება 12.3(a) მუხლით (*დავების გაერთიანება*) გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„სხვა ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულება“ ნიშნავს არსებითად „BOO ხელშეკრულების“ მე-11 დანართის *(ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულება)* ფორმით დადებულ ხელშეკრულებას ელექტროენერგიის ნასყიდობის და მიწოდების თაობაზე, რომელიც დაიდება „კომპანიას“, „ესკოს“ და „მთავრობას“ შორის და რომლის საფუძველზეც „კომპანია“ თანახმაა გაყიდოს და „ესკო“ თანახმაა იყიდოს შესაბამისი წლის „წარმოებული ენერგია“ „PPA პერიოდის“ მანძილზე და რომელიც მისაღებია „დამფინანსებელი მხარისთვის.

„სხვა სადგური“ ნიშნავს *[ქვემო ნამახვანის/ზემო ნამახვანის]* სადგურს.

„სადგური“ ნიშნავს „BOO ხელშეკრულების“ მე-2 დანართში *(სიმძლავრე)* მითითებული სავარაუდო სიმძლავრის *[ქვემო ნამახვანის/ზემო ნამახვანის]* ჰიდროელექტროსადგურებს, კაშხლების, საგუბრის, გამტარი ან გადაცემის გვირაბების, რეზერვუარის და მდინარე რიონის ნებისმიერ სხვა ელემენტის და ატრიბუტის ჩათვლით, „სადგურთან“ დაკავშირებით აშენებულ ნებისმიერ სხვა გვირაბს და მდინარე რიონზე აშენებულ ნებისმიერ ნაგებობას.

„მიწოდების პუნქტი“ ნიშნავს ქვესადგურის გამტარს, რომელიც „სადგურს“ აკავშირებს“ „გადამცემ სისტემასთან“.

„PPA პერიოდი“ ნიშნავს პერიოდს, რომელიც მოიცავს სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის, იანვრის, თებერვლის, მარტის და აპრილის თვეებს ამ „სადგურის“ „კომერციული ოპერირების თარიღიდან“ შემდგომი თხუთმეტი (15) წლის მანძილზე, რაც ექვემდებარება შემდგომ გახანგრძლივებას „BOO ხელშეკრულების“ ან ამ „ხელშეკრულების“ შესაბამისად.

„პროექტი“ ნიშნავს „სადგურის“ და „სხვა სადგურის“ დეტალურ დიზაინს, დაფინანსებას, მშენებლობას, ტესტირებას, ექსპლუატაციაში გაშვებას, საკუთრებას, ოპერირებას და მოვლას და „გზების“ დეტალურ დიზაინს, დაფინანსებას, მშენებლობას და გადაცემას („BOO ხელშეკრულების“ გათვალისწინებული წესით).

„მყიდველის მიერ დარღვევის შემთხვევა“ გამოიყენება 9(b) მუხლით (*მყიდველის მიერ დარღვევის შემთხვევები*) გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„მიმღები“ გამოიყენება 7.2(c) მუხლით (*გადასახადები და სხვა გამოქვითვები*) გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„დასრულების დაგეგმილი თარიღი“ თითოეულ „სადგურთან“ მიმართებაში, ნიშნავს „BOO ხელშეკრულების“ დანართი 3-ში (*„ეტაპების ცხრილი“*) მითითებულ „სამშენებლო სამუშაოების“ დასრულების დაგეგმილ თარიღს.

„მიმწოდებელი“ გამოიყენება 7.2(c) მუხლით (*გადასახადები და სხვა დაქვითვები*) გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„ტარიფი“ ნიშნავს „მყიდველის“ მიერ, „წარმოებული ენერგიისთვის“, „წარმოების წლიურ პერიოდში“ (ან მის რომელიმე მონაკვეთში) გადასახდელ ტარიფს, რომელიც იქნება ყოველ 1 კვტ-ზე 0,062 აშშ დოლარი, რომელიც ინდექსირებული იქნება შესაბამისი „სადგურის“ „ფაქტობრივად დასრულების თარიღიდან“ (თითოეულ შემთხვევაში, გამოაკლდება „გაგრძელების შემთხვევით“ გამოწვეული დაყოვნების დღეების რაოდენობა) და გაიზრდება ყოველწლიური 3%-ით „PPA პერიოდის“ დასრულებამდე, „BOO ხელშეკრულების“ ან ამ „ხელშეკრულების“ შესაბამისი კორექტირების გათვალისწინებით.

„ვადა“ გამოიყენება მე-2 მუხლით (*ხელშეკრულების ვადა*) გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„ერთიანი საარბიტრაჟო შეთანხმება“ გამოიყენება 12.3(b) მუხლით (*დავების გაერთიანება*) გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„აშშ დოლარი“ ან „USD“ ნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების კანონიერ ვალუტას, დენომინირებულს დოლარში.

„დღგ“ ნიშნავს დამატებითი ღირებულების გადასახადს.

1.2. ინტერპრეტაცია
ითვლება, რომ „BOO ხელშეკრულების“-ის 1.2 მუხლი (ინტერპრეტაცია), შესაბამისი საჭირო ცვლილებებით, გამოიყენება ამ „ხელშეკრულების“ განმარტების მიზნებისთვის, ისე, როგორც გამოყენებული იქნებოდა ამავე „ხელშეკრულებაში“ გათვალისწინებისას.

2. „ხელშეკრულების“ ვადა

წინამდებარე „ხელშეკრულება“ ძალაშია (6.1. მუხლის (ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინაპირობებით დადგენილი მხარეთა უფლებები და ვალდებულებები) შესაბამისად) მასზე მითითებული თარიღიდან, „PPA პერიოდის“ დასრულებამდე, წინამდებარე „ხელშეკრულების“ სხვა პირობების გათვალისწინებით („ვადა“).

3. ენერგიის ნასყიდობა
3.1. „PPA პერიოდის“ განმავლობაში ნასყიდობა
(a) "სადგურის“ „კომერციული ოპერირების თარიღის“ შემდეგ, „PPA პერიოდის“ განმავლობაში თითოეული „საანგარიშგებო პერიოდისთვის“, „კომპანია“:
(i) ვალდებულია მიჰყიდოს და მიაწოდოს „მყიდველს“ „წარმოებული ენერგია“; და
(ii) არ არის პასუხისმგებელი „წარმოებული ენერგიის“ გადაცემის ან დისპეტჩერიზაციისთვის რაიმე სახის გადასახადის გადახდაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა „კომპანია“ ახორციელებს „წარმოებული ენერგიის“ საქართველოს ფარგლებს გარეთ ექსპორტს.
(b) "სადგურის“ „კომერციული ოპერირების თარიღის“ შემდეგ, „PPA პერიოდის“ განმავლობაში თითოეული „საანგარიშგებო პერიოდისთვის“, „მყიდველი“ ვალდებულია განახორციელოს

„დისპეჩერის“ მიერ დისპეტჩერიზებული „წარმოებული ენერგია“ და გადაიხადოს „წარმოებული ენერგიის“ საფასური 7.1 მუხლის (მიწოდებული ენერგიის საფასური) შესაბამისად.

3.2. „PPA პერიოდის“ ფარგლებს გარეთ ნასყიდობა

„PPA პერიოდის“ გარდა ნებისმიერ სხვა დროს:

(a) "კომპანია“ უფლებამოსილია თავისუფლად განკარგოს მთლიანი „საპროგნოზო წარმოებული ენერგია“ და „სადგურებისგან“ წარმოებული ენერგია, საქართველოში ნებისმიერი „ელექტროენერგიის მყიდველისთვის“ მიყიდვით ან ასეთი ელექტროენერგიის საქართველოს საზღვრებს გარეთ ექსპორტის გზით; და

(b) "კომპანია“ არ არის პასუხისმგებელი წარმოებული ენერგიის საქართველოს ტერიტორიაზე გაყიდვასთან დაკავშირებული გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხარჯების დაფარვაზე.

4. დასრულება

„სადგურის“ „კომერციული ოპერირების თარიღი“ დადგება:

(a) "BOO ხელშეკრულების“ შესაბამისად განმარტებული „სადგურის“ „დასრულების თარიღის“ დადგომის შემდეგ; და

(b) „სადგურის“ დასრულებასთან დაკავშირებით „გენერირების ლიცენზიის“ გამოცემისას და „მყიდველის“ მიერ „სადგურისთვის“ „კვალიფიციური საწარმოს“ სტატუსის მინიჭებისას („გენერირების ლიცენზია“) „ბაზრის წესების“ შესაბამისად.

5. წარმოებულ ენერგიაზე საკუთრების უფლება

(a) „წარმოებულ ენერგიაზე“ საკუთრების უფლება და რისკები „კომპანიისგან“ გადაეცემა „მყიდველს“ „მიწოდების პუნქტზე“ მიწოდების მომენტიდან.

(b) „კომპანია“ არ არის პასუხისმგებელი „წარმოებული ენერგიის“ „მიწოდების პუნქტიდან“ „გამოყენების პუნქტამდე“ გადატანაზე.

6. ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინაპირობები

6.1. მხარეთა უფლებების და ვალდებულებების წინაპირობები

მე-3 (ენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულება), მე-5 („წარმოებულ ენერგიაზე საკუთრების უფლება“) და მე-7 (გადასახადები, ანგარიშგება და გადახდა) მუხლებით გათვალისწინებულ მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს ნასყიდობის ხელშეკრულებით დადგენილი წინაპირობების დაკმაყოფილებამდე ან შესაბამისი მხარის მიერ უარის თქმამდე არ ექნებათ სამართლებრივი ძალა.

(a) „კომპანიას“ მოპოვებული აქვს ყველა აუცილებელი თანხმობა „სადგურის“ მშენებლობის, ოპერირებისა და აგრეთვე „წარმოებული ენერგიის“ „მყიდველისთვის“ მიყიდვისთვის წინამდებარე „ხელშეკრულებისა“ და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

(b) „გამყიდველმა“ მიაწოდა "კომპანიას“ წინამდებარე „ხელშეკრულების“ დადებისა და „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უფლებამოსილების დამადასტურებელი მტკიცებულებები;

(c) „კომპანიამ“ მიაწოდა „გამყიდველს“ წინამდებარე „ხელშეკრულების“ დადებისა და „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უფლებამოსილების დამადასტურებელი მტკიცებულებები;

(d) წინამდებარე „ხელშეკრულება“ დარეგისტრირებულია „დისპეტჩერთან“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; და

(e) „BOO ხელშეკრულება“ ნამდვილია და ძალაშია.

ცალ-ცალე - „ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინაპირობა“, ხოლო ერთად - „ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინაპირობები“.

6.2. „ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ წინაპირობაზე“ უარის თქმა

(a) (b) და (e) პარაგრაფებში მოცემულ „ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თითოეულ წინაპირობაზე“ უარის თქმა შესაძლებელია „კომპანიის“ მიერ.

(b) (a), (c) და (d) პარაგრაფებში მოცემულ „ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თითოეულ წინაპირობაზე“ უარის თქმა შესაძლებელია „მყიდველის“ მიერ.

6.3. მხარეების“ მიერ წინაპირობების დაკმაყოფილება

„მყიდველი“ გამოიყენებს ყველა ღონეს, რათა უზრუნველყოს 6.1 მუხლის (ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინაპირობებით დადგენილი მხარეთა უფლებები და ვალდებულებები) (b) და (e) პარაგრაფებით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილება, ხოლო „კომპანია“ გამოიყენებს ყველა ღონეს, რათა უზრუნველყოს 6.1 მუხლის („ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინაპირობებით დადგენილი მხარეთა უფლებები და ვალდებულებები“) (a), (c) და (d) პარაგრაფებით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილება.

7. გადასახადები და სხვა დაქვითვები

7.1. მიწოდებული ენერგიის გადასახადი

„მყიდველი“ ვალდებულია, „კომპანიას“ გადაუხადოს „მიწოდებული ენერგიის გადასახადი“ თითოეული „საანგარიშგებო პერიოდისთვის“ „წარმოებული ენერგიის“ პროპრციულად, რომლის გამოთვლა უნდა მოხდეს დანართი 1-ის („გადასახადები“) შესაბამისად.

7.2. გადახდები ყოველგვარი გადასახადებისა და დაქვითვების გარეშე

(a) ამ „ხელშეკრულების“ ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი გადახდა დაანგარიშდება „აშშ დოლარსა“ და ლარში (რაც შესრულდება ლარის ექვივალენტში თანახმად ინვოისის დაანგარიშების დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული კურსისა). თუ ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ, საქართველოს ეროვნულნი ბანკი დაადგენს განსხვავებულ „ყიდვა“ „გაყიდვის“ კურსს, წინამდებარე მუხლში კურსზე გაკეთებული მითითება ჩაითვლება „გაყიდვის“ კურსად.

(b) ამ „ხელშეკრულების“ ფარგლებში „მყიდველის“ მიერ გადასახდელი თანხები გადაიხდება ყოველგვარი დაქვითვისა და საქართველოში დადგენილი გადასახადების დაკავების გარეშე იმდენად, რამდენადაც ასეთი გადასახადის დაკავების/დაკისრების ვალდებულება არ აკისრია „მთავრობას“ ან შესაბამის „სამთავრობო ერთეულს“ კანონმდებლობის საფუძველზე. თუ კანონმდებლობის თანახმად, ნებისმიერი ასეთი საგადასახადო დაქვითვა უნდა განხორციელდეს, „მყიდველი“ გადაიხდის იმ დამატებით თანხას, რაც საჭიროა იმის უზრუნველსაყოფად, რომ „კომპანიამ“ მიიღოს ის თანხა სრულად, რასაც იგი მიიღებდა შესაბამისი გადახდა რომ არ დაქვემდებარებოდა ასეთ გადასახადს.

(c) წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული გადასახადები გათავისუფლებულია დღგ-სგან. თუ დღგ-ს გადახდა სავალდებულო ხდება ერთ-ერთი მხარის („მიმწოდებელი“) მიერ მეორე მხარისთვის („მიმღები“) მიწოდებულ სერვისზე, „მიმღებმა“ „მიმწოდებელს“ უნდა გადაუხადოს თანხმა დღგ-ს შესაბამისად (ასეთ დროს, „მიმწოდებელმა“ დროულად უნდა მიაწოდოს „მიმღებს“ დღგ-ისთვის გათვალისწინებული შესაბამისი ინვოისი).

7.3. ინვოისები

(a) „კომპანიამ“ „მყიდველს“ უნდა მიაწოდოს ინვოისი თითოეული „საანგარიშგებო პერიოდისთვის“, რომლშიც უნდა მიეთითოს „მიწოდებული ენერგიის გადასახადი“ და ის გამოთვლები, რომელსაც ასეთი გადახდები და გამოთვლები ეფუძნება.

(b) „კომპანიამ“, „საანგარიშგებო პერიოდის“ დასრულებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში უნდა წარადგინოს შესაბამისი ინვოისი.

(c) „მყიდველმა“ უნდა გადაიხადოს ინვოისით გათვალისწინებული თანხა სრული ოდენობით „საანგარიშგებო პერიოდის“ გასვლიდან არაუგვიანეს 27 (ოცდაშვიდი) დღისა („ბოლო ვადა“).

(d) თუ „მყიდველი“ (კეთილსინდისიერების ფარგლებში) არ დაეთანხმება „კომპანიის“ მიერ ინვოისში მითითებულ თანხას (მათ შორის, როდესაც ამ თანხის ოდენობის დადგენა შეუძლებელია „კომპანიის“ მიერ „მყიდველისთვის“ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე), იგი უფლებამოსილია მოსთხოვოს „კომპანიას“ ინვოისში მითითებული თანხის დაზუსტება/ახსნა და მიიღოს მისგან ყველა შესაბამისი ინფორმაცია ამ მიზნით. „მყიდველის“ მიერ ინვოისში მითითებული თანხის დაზუსტების, ახსნის ან მასზე დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა „კომპანიამ“ უნდა დააზუსტოს/გასაგები გახადოს იგი და წარუდგინოს მეორე მხარეს ყველა საჭირო ინფორმაცია.

(e) ინვოისის „მყიდველისთვის“ გადაცემიდან ერთი წლის შემდეგ, არც ერთი ხმარე არ არის უფლებამოსილი სადავო გახადოს იგი ან მოითხოვოს გადახდილი ან გადასახდელი თანხის რაიმე ფორმით შეცვლა.

(f) თუ რომელიმე მხარე სადაოდ ხდის ინვოისის საფუძველზე გადახდილ ან გადასახდელ თანხას, ასეთი ინვოისის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში შეტყობინება უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს („ინვოისზე შედავების შეტყობინება“), რომელშიც მითითება უნდა გაკეთდეს სადაოდ გახდილ ინვოისზე, სადაო თანხის ოდენობაზე და შესაბამის საფუძვლებზე.

(g) „მყიდველი“ ვალდებულია, „ბოლო ვადისთვის“ ან „ბოლო ვადის“ დადგომამდე გადაიხადოს ინვოისით გათვალისწინებული თანხა სრული ოდენობით, მიუხედავად იმისა, სადაოდ არის თუ არა გახდილი იგი.

(h) თუ ამ მუხლით დადგენილი ვადამოსული გადახდა არ განხორციელდა „გადახდის თარიღისთვის“, მაშინ მთლიან ვადამოსულ თანხას გადახდის ვადის დადგომის თარიღიდან ფაქტობრივი გადახდის თარიღამდე დაერიცხება წლიური პროცენტი, რაც უტოლდება „დარღვევის საპროცენტო განაკვეთს“.

(i) თუ „მხარეთა“ მიერ ინვოისის გადახდასთან დაკავშირებით არსებული დავა ვერ იქნება მოგვარებული „ინვოისზე შედავების შეტყობინების“ გაგზავნიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში, თითოელი მხარე უფლებამოსილია, დავა გადაწყვიტოს მე-11 მუხლით (დავის გადაწყვეტა დადგენილი წესით) დადგენილი წესით.

8. ფორს-მაჟორი და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების სხვა საფუძვლები

(a) როგორც კი აღნიშნული იქნება გონივრულად განხორციელებადი, „გავლენის ქვეშ მხარემ“ უნდა მიაწოდოს მეორე „მხარეს“ („მხარე ზეგავლენის გარეშე“) შეტყობინება „ფორს მაჟორის შემთხვევის“ შესახებ ასეთის დადგომიდან ხუთი (5) სამუშაო დღის განმავლობაში.

(b) ნებისმიერი სხვა მუხლის მნიშვნელობის შეზღუდვის გარეშე, „მხარე გავლენის ქვეშ“ თავისუფლდება ვალდებულების შესრულებისგან და არ მიიჩნევა „ხელშეკრულების“ დამრღვევად მანამ, სანამ და იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ასეთი შეუსრულებლობა გამომდინარეობს „ფორს მაჟორის შემთხვევიდან“.

(c) ნებისმიერი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც „მხარე“, თანახმად „ხელშეკრულებისა“, ვალდებულია შეასრულოს ნებისმიერი ქმედება ან დავალება, ექვემდებარება გაგრძელებას თანახმად „BOO ხელშეკრულების“ 4.2.5 მუხლისა (*დასრულების დაგეგმილი თარიღისა და სხვა ეტაპების თარიღების გადავადება, გაგრძელების შემთხვევის დადგომის გამო*) იმავე პერიოდით, რომელიც ტოლია იმ დროისა, რომლის განმავლობაშიც ასეთი „მხარე“ მოკლებული იყო შესაძლებლობას განეხორციელებინა ასეთი ქმედება „ფორს მაჟორის შემთხვევის“ გამო და აღმოეფხვრა ასეთი „ფორს მაჟორის შემთხვევის“ შედეგები.

(d) „ფორს მაჟორის შემთხვევა“, რომლიც გავლენას ახდენს:

(i) „მყიდველზე“ არც ერთ შემთხვევაში არ ათავისუფლებს ასეთ „მას“ „წარმოებული ენერგიის“ შესყიდვისგან.

(ii) ნებისმიერ მხარეზე, არც ერთ შემთხვევაში არ ათავისუფლებს მათ ვალდებულებისგან განახორციელოს ნებისმიერი გადახდა, როდესაც ასეთი ხდება ვადამოსული ამ „ხელშეკრულების“ ან „საპროექტო ხელშეკრულების“ საფუძველზე, გარდა მხოლოდ იმ შემთხვევისა, როდესაც „ფორს მაჟორის შემთხვევა“ გავლენას ახდენს საბანკო სისტემაზე და გავლენის ქვეშ მყოფი „მხარე“ მოკლებულია შესაძლებლობას განახორციელოს გადახდა ასეთის შედეგად, რა შემთხვევაშიც „მხარე“ გავლენის ქვეშ რჩება ვალდებული განახორციელოს ასეთი გადახდა ზემოქმედების ქვეშ თანახმად „ხელშეკრულებისა“ ან შესაბამისი „საპროექტო ხელშეკრულებისა“, მაგრამ არ იქნება ვალდებული გადაიხადოს საჯარიმო პროცენტი ნებისმიერ ასეთ ზეგავლენის ქვეშ მყოფ გადახდაზე.

„მყიდველი“ არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს გათავისუფლება „ხელშეკრულების“ ფარგლებში არსებული ვალდებულების შესრულებისგან „პოლიტიკური ფორს მაჟორის შემთხვევის“ გამო, რომელიც გავლენას ახდენს მისი ვალდებულებების შესრულებაზე ამ „ხელშეკრულების“ ან იმ ნებისმიერი „საპროექტო ხელშეკრულების“ ფარგლებში, რომლის მხარესაც ის წარმოადგენს, ან მოითხოვოს ამ „ხელშეკრულების“ ან ნებისმიერი „საპროექტო ხელშეკრულების“ ვალდებულებისგან გათავისუფლება ფორს მაჟორის შედეგად, რომელიც აფერხებს „დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის სამუშაოების“ დასრულებას ან იქწვევს „გადაცემის სისტემასთან დაკავშირებული შემთხვევას“.

(e) მხარეები აცნობიერებენ და აცხადებენ თანხმობას, რომ

(i) „კომპანია“ უფლებამოსილია, „BOO ხელშეკრულების“ 8.2. მუხლის („კომპენსირებადი შემთხვევები“) საფუძველზე, მიიღოს კომპენსაცია მიუღებელი შემოსავლისთვის, რომელიც გამოიწვია „მყიდველის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევამ, არაპოლიტიკურმა ფორს მაჟორის შემთხვევამ ან „კომპენსირებად შემთხვევამ“ და მათ შორის, როდესაც ასეთმა დარღვევამ ან შემთხვევამ შეამცირა „საპროგნოზო წარმოებული ენერგია“, „წარმოებული ენერგია“ ან აფერხებს „კომერციული ოპერირების თარიღის“ დადგომას.

(ii) „კომპანიას“ „BOO ხელშეკრულების“ 3.2.11(ბ) (*დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის სამუშაოები და გადაცემის სისტემა*) მუხლის საფუძველზე უნდა მიეცეს კომპენსაცია მიუღებელი შემოსავლისთვის, რომელიც დადგა „გადაცემის სისტემასთან დაკავშირებული შემთხვევის“ შედეგად.

(iii) „კომპანიას“ არ უნდა მიეცეს კომპენსაცია მიუღებელი შემოსავლისთვის, პოლიტიკური ფორს მაჟორის შემთხვევის გამო, რომელმაც გამოიწვია „სადგურის“ დაზიანება და რის შედეგადაც მოხდა „საპროგნოზო წარმოებული ენერგიის“ და „წარმოებული ენერგიის“ შემცირება, თუმცა ასეთ დროს „კომპანია“ უფლებამოსილია მოითხოვოს „ვადის“ გაზრდა და ნებისმიერ შემთხვევაში გაგრძელებული ვადა არ უნდა იყოს იმაზე ნაკლები, რა ვადითაც „კომპანია“ ყოვნდება, ფერხდება, ან მას ხელი ეშლება ამ „ხელშეკრულებით“ დადგენილი წესით. „საპროგნოზო წარმოებული ენერგიის“ ან/და „წარმოებული ენერგიის“ მიწოდებაზე.

9. „ხელშეკრულების“ შეწყვეტა

9.1. შეწყვეტის უფლება

(a) „კომპანიის“ დიფოლტის შემთხვევა

„BOO ხელშეკრულების“ 9.2. მუხლის („ხელშეკრულების“ შეწყვეტა“) შესაბამისად, „მყიდველი“ უფლებამოსილია, შეწყვიტოს „ხელშეკრულება“ „კომპანიის დიფოლტის“ ისეთი შემთხვევისას, რომლის გამოსწორებაც მას არ შეუძლია.

„მხარეები“ იაზრებენ და თანხმდებიან , რომ „ხელშეკრულების“ ზემოხსენებული გზით შეწყვეტის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს „BOO ხელშეკრულების“ 9.4.1. მუხლს („საქართველოს მთავრობის მიერ შეწყვეტა“).

(b) „მყიდველის“ დეფოლტის შემთხვევა

i. ქვემორე (ii) ქვეპუნქტის გათვალისწინებით, „მყიდველის“ მიერ წინამდებარე „ხელშეკრულების“ ან ნებისმიერი „საპროექტო ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების არსებითი დარღვევა (მიუხედავად იმისა პირდაპირ არის თუ არა განსაზღვრული ასეთად ამ „ხელშეკრულებით“), რომელიც ვერ იქნა გამოსწორებული „მყიდველისთვის“ შეტყობინებიდან ოთხმოცდაათი (90) დღის განმავლობაში;

ii. „მყიდველის“ მიერ „კომპანიისათვის“ ამ „ხელშეკრულებით“ ან ნებისმიერი „საპროექტო ხელშეკრულებით“, რომლის მხარეც არის იგი, გათვალისწინებული გადახდის ვალდებულების დარღვევა თუკი დარღვევა გრძელდება ოცდაათი (30) დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც „კომპანია“ მისცემს „მყიდველს“ წერილობით შეტყობინებას ამგვარი გადახდის ვალდებულების დარღვევის თაობაზე;

iii. „მყიდველის“ მიმართ ნებისმიერი „გადახდისუუნარობის“ შემთხვევაში; და

iv. „კომპანიას“ შეუძლია, შეწყვიტოს ნებისმიერი „საპროექტო ხელშეკრულება“ (გარდა ამ „ხელშეკრულებისა“) „მყიდველის“, „მთავრობის“ ან ნებისმიერი სხვა საჯარო უფლებამოსილი ორგანოს მიერ ნებისმიერი „საპროექტო ხელშეკრულების“ დარღვევის შედეგად.

(c) „კომპანიის“ მიერ ამ „ხელშეკრულების“ შეწყვეტა

„კომპანია“ უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს „ხელშეკრულება“, „მყიდველისთვის“ შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის გზით შემდეგი გარემოებების არსებობისას:

i. „მყიდველის“ დიფოლტის შემთხვევა;

ii. იმ შემთხვევაში, თუ (A) ნებისმიერი „ფორს მაჟორის შემთხვევა“ ან „ცვლილება კანონმდებლობაში“, თანახმად „BOO ხელშეკრულების“ 8.2.1 (d) მუხლისა („კომპენსირებადი შემთხვევები“) ხელს უშლის, აფერხებს ან სხვაგვარად უზღუდავს „მხარეს“ „ხელშეკრულების“ ფარგლებში ვალდებულების შესრულებას ჯამურად ას ოთხმოც (180) დღეზე მეტი ვადით (ან, ნებისმიერი საომარი მოქმედების შედეგად (გამოცხადებული თუ არა) შემოსევის ან შეიარაღებული კონფლიქტის, რომლიც არ არის გამოწვეული „მთავრობის“ მიერ შემთხვევაში - ორას სამოცდაათი (270) დღეზე), ან (B) ასუსტებს ეკონომიკურ საფუძველს „პროექტის“ იმპლემენტაციისა ან ოპერირებისათვის თანახმად „ხელშეკრულებისა“.

iii. ნებისმიერი „საპროექტო ხელშეკრულების“ შეწყვეტა, რომლის მხარეა „მთავრობა“ ან შესაბამისი საჯარო უწყება.

მხარეები იაზრებენ და აცხადებენ თანხმობას, რომ „მყივდელის“ დეფოლტის შემთხვევაში „ხელშეკრულების“ შეწყვეტა უნდა მოხდეს „BOO ხელშეკრულების“ 9.4.2 მუხლის („კომპანიის მიერ შეწყვეტა“) შესაბამისად, არა პოლიტიკური ფორსმაჟორული გარემოების გამო „ხელშეკრულების“ შეწყვეტის შემთხვევაში „BOO ხელშეკრულების“ 9.4.3. მუხლის შესაბამისად („ხანგრძლივი პოლიტიკური ფორს-მაჟორის გამო შეწყვეტა“) და ფიზიკური ფორსმაჟორული გარემოების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, „BOO ხელშეკრულების“ 8.2.1.(დ) („კომპენსირებადი შემთხვევა“) და 9.4.4 მუხლის (ხანგრძლივი არაპოლიტიკური ფორს-მაჟორის გამო შეწყვეტა) შესაბამისად.

(d) შეწყვეტის უფლება

თითოეული „მხარე“ თანხმდება მასზედ, რომ მას არ აქვს უფლება შეწყვიტოს ამ „ხელშეკრულების“ მოქმედება ნებისმიერი საფუძვლით, გარდა ამ „ხელშეკრულებაში“ უშუალოდ განსაზღვრული საფუძვლებისა.

9.2. „ხელშეკრულების“ შეწყვეტისას არსებული ვალდებულებები

(a) ამ „ხელშეკრულების“ შეწყვეტის მიუხედავად, ნებისმიერი უფლება (მათ შორის, გადახდის მოთხოვნის უფლება), რომელიც წარმოეშვა ..მხარეს“ „ხელშეკრულების“ შეწყვეტამდე, რჩება ძალაში.

(b) მე-7 („გადასახადები და სხვა დაქვითვები“), მე-9 („ხელშეკრულების შეწყვეტა“) და მე-11 („დავების გადაწყვეტა“) და მე-12 („იმუნიტეტზე უარის თქმა“) მუხლებიდან გამომდინარე ვალდებულებები ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში რჩება ძალაში.

10. განცხადებები, გარანტიები და ვალდებულებები

10.1. „კომპანიის“ განცხადებები და გარანტიები

„კომპანია“ აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერისა და მოქმედების სრული ვადის განმავლობაში:

(a) ის არის სათანადოდ დაფუძნებული და მოქმედი მისი კანონმდებლობის შესაბამისად, აქვს უფლებამოსილება, რომ განახორციელოს ის სამეწარმეო საქმიანობა, რომელსაც ის ამჟამად ახორციელებს ან აპირებს განახორციელოს, აქვს შესაბამისი ლიცენზია და უფლებამოსილება, ასევე სათანადოდ არის დაფუძნებული შესაბამის იურისდიქციაში, სადაც მის მიერ განხორციელებული საქმიანობის ხასიათი მოითხოვს მსგავსი ლიცენზიის ან უფლებამოსილების არსებობას;

(b) მას აქვს უფლებამოსილება დადოს და განახორციელოს წინამდებარე „ხელშეკრულება“, შეასრულოს „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე ვალდებულებები და მისი მხრიდან ყველა ზემოთხსენებული ქმედება შესაბამისი პროცედურების დაცვით არის განხორციელებული;

(c) წინამდებარე „ხელშეკრულების“ გაფორმება და შესრულება არ ეწინააღმდეგება, არ არღვევს, არ წარმოადგენს დეფოლტს ან არ იწვევს ვადამდე შესრულებას, რაც მოთხოვნილია სადამფუძნებლო თუ ორგანიზაციის დოკუმენტაციით ან იმ შეთანხმებით, ბრძანებით ან განკარგულებით, რომლის მხარესაც ის წარმოადგენს ან რომელიც ვრცელდება მის აქტივებზე;

(d) წინამდებარე „ხელშეკრულება“ სათანადოდ იქნა ხელმოწერილი და წარმოშობს იურიდიულად ნამდვილ და მბოჭავ ვალდებულებებს, რომლებიც აღსრულებადია წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მიხედვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისი აღსრულება შეიძლება შეიზღუდოს გაკოტრების, გადახდისუუნარობის, რეორგანიზაციის ან სხვა მსგავსი პროცესით, რომელიც ზეგავლენას ახდენს ზოგადად კრედიტორებზე, ან სამართლიანობის ზოგადი პრინციპების შესაბამისად.

10.2. „კომპანიის“ ვალდებულებები

„BOO ხელშეკრულების“ 3.2.1. მუხლის („მთავრობის ვალდებულებები“) მნიშვნელობის დარღვევის გარეშე, „კომპანია“ იღებს პასუხისმგებლობას წინამდებარე „ხელშეკრულების“ მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში მოიპოვოს ყველა შესაბამისი თანხმობა/უფლებამოსილება წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესასრულებლად.

10.3. „მყიდველის“ განცხადებები, გარანტიები და ვალდებულებები

„კომპანია“ აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერისა და მოქმედების სრული ვადის განმავლობაში:

(a) მათ წარმომადგენლებს აქვთ სრული უფლებამოსილება მათი სახელით გააფორმონ წინამდებარე „ხელშეკრულება“ და იგი სათანადოდ იქნა ხელმოწერილი შესაბამისი წარმომადგენლების მიერ;

(b) მათ აქვთ სრული უფლებამოსილება განახორციელონ წინამდებარე „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე ვალდებულებები;

(c) არ არსებობს რაიმე ხელშეკრულება ან რომელიმე სხვა შეთანხმება (რომელიც მათზე ვრცელდება ან რომლის მხარეებსაც ისინი წარმოადგენენ), რომელსაც ისინი არღვევენ და რომელთა შეუსრულებლობამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს წინამდებარე „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე ვალდებულებების შესრულებას ან მის ნამდვილობას და აღსრულებას;

(d) არ არსებობს არანაირი მიმდინარე დავა, სასამართლო პროცესი ან საგამოძიებო პროცესი ან, მათ ხელთ არსებული ინფორმაციით, აღნიშნულის პოტენციური საფრთხე, რამაც, უარყოფითად გადაწყვეტის შემთხვევაში შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს „კომპანიას“, „პროექტს“, მათ მიერ წინამდებარე „ხელშეკრულების“ შესრულებას ან მის ნამდვილობას და აღსრულებას;

(e) მათ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აქვთ სრული უფლებამოსილება, რომ „კომპანიასა“ და „პროექტის მონაწილეებს“, შესაბამისად, წინამდებარე „ხელშეკრულების“ საფუძველზე მიანიჭონ შესაბამისი უფლებები და უპირატესობები;

(f) წინამდებარე „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე ვალდებულებები არის ნამდვილი, მბოჭავი და აღსრულებადი მათ წინააღმდეგ, წინამდებარე „ხელშეკრულების“, სხვა „საპროექტო ხელშეკრულებების“ (რომლის მხარეებიც არიან) და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

(g) მათ მიერ წინამდებარე „ხელშეკრულების“, ასევე „ხელშეკრულების“ პირობების შესრულება და „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ტრანზაქციების შესრულება არ ეწინააღმდეგება და არ არღვევს მათ მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების და შეთანხმებების პირობებს, საქართველოს კანონმდებლობას, სხვა გამოსაყენებელ სამართალს, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ნებართვას, ბრძანებას, გადაწყვეტილებას და განჩინებას ან განკარგულებას; და

(h) მათ არ გადაუციათ და არც ვალდებულება აკისრიათ გადასცენ „პირებს“ ისეთი უფლებები და უპირატესობები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის, ზღუდავს ან აფერხებს „კომპანიისთვის“ ან სხვა „პროექტის მონაწილეებისთვის“, წინამდებარე „ხელშეკრულებით“, „საპროექტო ხელშეკრულებებით“ და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების და უპირატესობების განხორციელებას.

10.4. „მყიდველის“ ვალდებულებები

წინამდებარე „ხელშეკრულებით“ „მყიდველი“ იღებს პასუხისმგებლობას:

(a) წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში მოიპოვოს ყველა ნებართვა წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით;

(b) „კომპანიას“ გაუწიოს შესაბამისი დახმარება და თანამშრომლობა „საფინანსო დოკუმენტების“, მათ შორის „პირდაპირი ხელშეკრულების“, პირობებზე შეთანხმების და მათი შემდგომი აღსრულების მიზნით;

(c) „კომპანიის“ მიერ დროულად და სათანადო ფორმით გაკეთებული მოთხოვნის შემთხვევაში, შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადებში გასცეს წერილობითი თანხმობა წინამდებარე „ხელშეკრულების“ დასარეგისტრირებლად „დისპეტჩერთან“; და

(d) „კომპანიის“ მიერ დროულად და სათანადო ფორმით გაკეთებული მოთხოვნის შემთხვევაში, „ბაზრის წესების“ შესაბამისად მიანიჭოს „სადგურს“ „კვალიფიციური საწარმოს“ სტატუსი („გენერირების ლიცენზია“).

11. დავების გადაწყვეტა

11.1. მშვიდობიანი მორიგება

იმ შემთხვევაში თუ ამ „ხელშეკრულებიდან" გამომდინარე წარმოიშვება რაიმე წინააღმდეგობა, დავა ან მოთხოვნა, მათ შორის „ხელშეკრულების" არსებობის, მისი კანონიერების, შესრულების, შეწყვეტის ან მისი ბათილობის შესახებ („დავა"), „დავის" ნებისმიერმა „მხარემ" წერილობით უნდა შეატყობინოს მეორე „მხარეს" აღნიშნული „დავის" შესახებ, რის შემდგომაც „მყიდველი" და „კომპანია" მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მეშვეობით, დაუყოვნებლივ შეხვდებიან და კეთილსინდისიერი განზრახვით ეცდებიან მიაღწიონ მშვიდობიან მორიგებას. ნებისმიერი მორიგება „დავასთან" დაკავშირებით, რომელიც მიღწეულ იქნება „მხარეებს" შორის უნდა შესრულდეს წერილობითი ფორმით და ხელმოწერილ იქნას „მხარეების" მიერ.

„დავის" შესახებ 11.1 მუხლით („მშვიდობიანი მორიგება") გათვალისწინებული წესით შეტყობინების მიღებიდან ოცდაათი (30) დღის ვადაში ამავე მუხლით განსაზღვრული წესით მშვიდობიანი მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში, თითოეული „მხარე" უფლებამოსილია დავის გადასაწყვეტად მიმართოს არბიტრაჟს 11.2. („არბიტრაჟი") მუხლით გათვალისწინებული წესით.

11.2. არბიტრაჟი

(a) ნებისმიერი „დავა", რომელიც არ იქნა გადაწყვეტილი „მხარეთა" შორის მშვიდობიანი მორიგების გზით 11.1 მუხლის („მშვიდობიანი მორიგება") შესაბამისად საბოლოოდ უნდა გადაწყდეს არბიტრაჟის მეშვეობით, „საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო წესების" (ICC Rules) შესაბამისად („საერთაშორისო სავაჭრო პალატის წესები"), რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულებაში ჩართულად ითვლება მითითების „გზით".

(b) საარბიტრაჟო ტრიბუნალი უნდა შედგებოდეს სამი არბიტრისგან. მოსარჩელემ (მოსარჩელეებმა) და მოპასუხემ (მოპასუხეებმა) უნდა აირჩიონ თითო-თითო არბიტრი. მესამე არბიტრი, რომელიც არის საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარე, უნდა არჩეულ უნდა იქნას ორივე (2) მხარის მიერ არჩეული არბიტრების მიერ.

(c) არბიტრაჟის ადგილსამყოფელი უნდა იყოს პარიზი, საფრანგეთი.

(d) არბიტრაჟის ენა უნდა იყოს ინგლისური.

(e) აღნიშნული „ხელშეკრულების" ყოველი „მხარე" ადასტურებს და თანხმდება, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება შესაბამის იურისდიქციაში ძალაში შევა „უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის" შესაბამისად (მასში გათვალისწინებული შეზღუდვების გათვალისწინებით).

(f) „მხარეები" თანხმდებიან, რომ ყველა შესაძლო გზით მაქსიმალურად დაიცავენ კონფიდენციალობას არბიტრაჟთან დაკავშირებულ ყველა საკითხთან მიმართებით, მათ შორის, ინფორმაციას მისი არსებობისა და ყველა დაკავშირებული სასამართლო წარმოების შესახებ.

11.3. დავების გაერთიანება

(a) წინამდებარე მე-11 მუხლში („დავათა გადაწყვეტა") „დაკავშირებული კონტრაქტი" ნიშნავს „საპროექტო ხელშეკრულებებს" გარდა „წინამდებარე ხელშეკრულების" და ნებისმიერი „საფინანსო დოკუმენტისა".

(b) თითოეული „მხარე" თანხმდება, რომ წინამდებარე მე-11 მუხლი („დავების გადაწყვეტა") და თითოეულ „დაკავშირებულ ხელშეკრულებაში" გაკეთებული საარბტრაჟო შეთანხმება, ერთად უნდა იქნეს მიჩნეული, როგორც ერთიანი საარბიტრაჟო შეთანხმება („გაერთიანებული საარბიტრაჟო შეთანხმება"). „გაერთიანებული საარბიტრაჟო შეთანხმების" საფუძველზე წარმოებული არბიტრაჟის მხარეები უფლებამოსილნი არიან დააყენონ მოთხოვნები „დაკავშირებული ხელშეკრულების" საფუძველზე.

(c) „მხარის“ მოთხოვნის შემთხვევაში, „საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო“ უფლებამოსილია გადაწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულებიდან“ და ნებისმიერი „დაკავშირებული ხელშეკრულებიდან“ ან ერთი ან რამდენიმე „დაკავშირებული ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე ორი ან მეტი წამოწყებული საარბიტრაჟო წარმოების ერთ არბიტრაჟად გაერთიანება და წინამდებარე „ხელშეკრულებით“ „მხარეები“ თანხმობას აცხადებენ აღნიშნულ გაერთიანებაზე. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, აღნიშნული შეთანხება არ ზღუდავს „სასამართლოს“ უფლებამოსილებას მიიღოს გადაწყვეტილება გაერთიანებაზე „საერთაშორისო სავაჭრო პალატის წესების“ მე-10 მუხლის შესაბამისად. იმ საარბიტრაჟო წარმოებაში, რომელიც დაიწყო ერთი „დაკავშირებული ხელშეკრულების“ საფუძველზე, „საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო“ ან ტრიბუნალი უფლებამოსილია ნება დართოს „მხარეს“ წამოაყენოს მოთხოვნა ნებისმიერ სხვა „დაკავშირებულ ხელშეკრულებაზე“ დაყრდნობით.

(d) წინამდებარე „ხელშეკრულების“ ყველა „მხარე“ ადასტურებს, რომ მე-11 მუხლის („დავების გადაწყვეტა“) არბიტრაჟის დებულებები ნამდვილია და სავალდებულო ძალის მქონეა მხარეთათვის, და თითოეული „მხარე“ თანხმდება, რომ არ იდავებს საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად.

12. იმუნიტეტზე უარის თქმა

12.1. „მყიდველი“ აცნობიერებს და ეთანხმება, რომ წინამდებარე „ხელშეკრულების“ ფარგლებში განხორციელებული ყველა ტრანზაქცია წარმოადგენს დამოუკიდებელ მოქმედებას.

13. უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემა

13.1. არც ერთი „მხარე“ არ არის უფლებამოსილი გაასხვისოს, ვალდებულებით დატვირთოს, დაუთმოს ან სხვაგვარად გადასცეს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ ან მისგან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები მეორე „მხარის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, იმ პირობით, რომ „მთავრობის“ თანხმობა არ იქნება საჭირო (i) იმისათვის, რათა „კომპანიამ“ გადასცეს ან უზრუნველყოფის სახით გამოიყენოს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მისი უფლებები „დამფინანსებელ მხარეებთან“, ან (ii) „პირდაპირი ხელშეკრულების“ ან ნებისმიერი „დაფინანსების დოკუმენტის“ შესაბამისად დათმობის ან გადაცემის შემთხვევაში.

13.2. წინამდებარე „ხელშეკრულების“ შესაბამისად „მხარის“ მიერ მისი ნებისმიერი უფლების ან ვალდებულების არსებული, დაგეგმილი ან განზრახული ნასყიდობა, ვალდებულებით დატვირთვა, დათმობა ან გადაცემა, რომელიც არ შეესაბამება 13.1 მუხლით („უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემა“) გათვალისწინებულ დებულებებს, არის ბათილი.

14. პირდაპირი ხელშეკრულება

„კომპანიის“ ან/და „დამფინანსებელი მხარის“ მიერ შეთავაზების შემთხვევაში, „მყიდველმა“ უნდა განიხილოს და გააფორმოს ერთი ან მეტი „პირდაპირი ხელშეკრულება“, რომელიც მისაღები იქნება „დამფინანსებელი მხარისთვის“ და „კომპანიისთვის“, რომელიც დაარეგულირებს „დამფინანსებელი მხარეების“ უფლებათა გადანაწილებას და ასახავს „სადგურის“ მსგავსი „პროექტის“ დაფინანსების სხვა საბაზრო პირობებს („პირდაპირი ხელშეკრულებები“).

15. კომპენსაცია

15.1. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, მე-18 მუხლით („არაპირდაპირი ზიანი“) დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით, „მხარეები“ თანხმდებიან, რომ:

(a) წინამდებარე „ხელშეკრულების“ თარიღიდან ნებისმიერ დროს „კომპანია“ ვალდებულია დაიცვას და აუნაზღაუროს ზიანი „მყიდველს“ და მის დირექტორებს, თანამდებობის პირებს და თანამშრომლებს, ყველა და ნებისმიერი „დანაკარგისათვის“, რომელიც მიადგა, განიცადა ან ვალდებული გახდა აეწაზღაურებინა (პირდაპირ ან არაპირდაპირ) ან შეიძლება დაეკისროს „მყიდველს“, მის დირექტორებს, თანამდებობის პირებს და თანამშრომლებს;

(i) წინამდებარე „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე „კომპანიის“ მიერ ადამიანების დაზიანების ან სიკვდილის ან ქონების დაზიანების გამო, რაც გამოწვეული უხეში გაუფრთხილებლობით ან განზრახი ქმედებით ან უმოქმედობით; ან

(ii) „დანაკარგებისათვის“, რომლებიც გამომდინარეობს მესამე პირთა მოთხოვნებიდან რაც გამოწვეულია „კომპანიის“ მიერ „საქართველოს კანონმდებლობის“ მოთხოვნების დაუცველობიდან.

(b) „მყიდველი“ ვალდებულია დაიცვას და აუნაზღაუროს ზიანი „კომპანიას“, მის დირექტორებს, თანამდებობის პირებს და თანამშრომლებს, მათი ნებისმიერი დონის კონტრაქტორებსა და „კომპანიის“ კონსულტანტებს ან მრჩევლებს, „დამფინანსებელ მხარეებს“ და მათ მრჩევლებს და პროექტთან დაკავშირებულ სხვა ტექნიკურ და მენეჯერულ პერსონალს, ასევე არ დააკისროს პასუხისმგელობას „კომპანიას“, მის დირექტორებს, თანამდებობის პირებს და თანამშრომლებს, მათი ნებისმიერი დონის კონტრაქტორებსა და „კომპანიის“ კონსულტანტებს ან მრჩევლებს, „დამფინანსებელ მხარეებს“ და მათ მრჩევლებს და პროექტთან დაკავშირებულ სხვა ტექნიკურ და მენეჯერულ პერსონალს ყველა და ნებისმიერი „დანაკარგისათვის“, რომელიც მიადგა, განიცადა ან ვალდებული გახდა აეწაზღაურებინა (პირდაპირ ან არაპირდაპირ) ან შეიძლება დაეკისროს „კომპანიას“, მის დირექტორებს, თანამდებობის პირებს და თანამშრომლებს, მათი ნებისმიერი დონის კონტრაქტორებსა და „კომპანიის“ კონსულტანტებს ან მრჩევლებს, „დამფინანსებელ მხარეებს“ და მათ მრჩევლებს და პროექტთან დაკავშირებულ სხვა ტექნიკურ და მენეჯერულ პერსონალს:

(i) წინამდებარე „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე „მყიდველის“ მიერ ადამიანების დაზიანების ან სიკვდილის ან ქონების დაზიანების გამო, რაც გამოწვეულია უხეში გაუფრთხილებლობით ან განზრახი ქმედებით ან უმოქმედობით; ანწინამდებარე „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე „მყიდველის“ მიერ ადამიანების დაზიანების ან სიკვდილის ან ქონების დაზიანების გამო, რაც გამოწვეულია უხეში გაუფრთხილებლობით ან განზრახი ქმედებით ან უმოქმედობით; ან

(ii) „დანაკარგებისათვის“, რომლებიც გამომდინარეობს მესამე პირთა მოთხოვნებიდან, რაც გამოწვეულია „მყიდველის“ მიერ „საქართველოს კანონმდებლობის“ მოთხოვნების დაუცველობით.

(c) იმ შემთხვევაში თუ ნებისმიერი დაზიანება გამოწვეულია მხარეთა ერთობლივიან თანმხვედრი განზრახი მოქმედებით ან უმოქმედობით თითოეული მხარე პასუხს აგებს თავისი ბრალის პროპორციულად.

16. გამოსაყენებელი სამართალი

წინამდებარე „ხელშეკრულება“ რეგულირდება და განიმარტება „საქართველოს კანონმდებლობის“ შესაბამისად.

17. შეტყობინებები

17.1. ერთი „მხარის“ მიერ მეორე „მხარესთან“ ნებისმიერი შეტყობინება ან კომუნიკაცია, რომელიც სავალდებულოა ან დაშვებულია წინამდებარე „ხელშეკრულების“ დებულებებით: (i) უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით; (ii) უნდა ჩაბარდეს პირადად (ხელზე ჩაბარება) ან

გაიგზავნოს დაზღვეული ფოსტის ან კურიერის მეშვეობით „მხარის“ ქვემოთ მითითებულ მისამართზე ან სხვა მისამართზე, რომელზეც „მხარე“ მოითხოვს შეტყობინების გაგზავნას ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით „მხარის“ ქვემოთ მითითებულ ელექტრონულ ფოსტის მისამართზე ან სხვა ელექტრონული ფოსტის მისამართზე, რომელზეც „მხარე“ მოითხოვს შეტყობინების მიღებას; და (iii) უნდა გამოიგზავნოს ქვემოთ განსაზღვრული პასუხისმგებელი პირის (პირების) სახელზე ან იმ სხვა პასუხისმგებელი პირის (პირების) სახელზე, რომლისთვისაც გაგზავნას „მხარე“ მოითხოვს.

17.2. ნებისმიერი შეტყობინება ან კომუნიკაცია, რომელიც 17.1 („შეტყობინებები“) მუხლის შესაბამისად ერთი „მხარისგან“ გამოიგზავნა მეორე „მხარესთან“ „მხარის“ ქვემოთ მითითებულ მისამართზე ან „მხარის“ სხვა მისამართზე, რომელზეც მეორე „მხარე“ გაფრთხილებული იყო, ჩაითვლება „მეორე“ მხარის მიერ მიღებულად, ხელზე ჩაბარების შემთხვევაში - ხელზე ჩაბარების დღეს, დაზღვეული ფოსტით ან კურიერით გაგზავნის შემთხვევაში - გზავნილის გაგზავნის მიღების დრეს ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნის შემთხვევაში გამიზნული ადრესატის მიერ წაკითხვად ფორმაში შეტყობინების მიღებისას.

„მყიდველი“
მისამართი: ბარათაშვილის ქუჩა #2, 0114, თბილისი, საქართველო
ელექტრონული ფოსტა: vambokadze@esco.ge; info@esco.ge
Attn: გენერალური დირექტორი

„კომპანია“
ჯიემთი პლაზა, მე-2 სართული
ძველი თბილისის უბანი
თავისუფლების მოედანი #4
თბილისი 0105 საქართველო
ელექტრონული ფოსტა: zeki.kocaoglu@enka.com

Attn: ბ-ნი ზეკი კოცაოღლუ, პროექტის დირექტორი

18. არაპირდაპირი ზიანი

18.1. წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული სხვა დებულებების, „ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების“ და “BOO ხელშეკრულების შეზღუდვის გარეშე, არც ერთი „მხარე“ არ აგებს პასუხს მეორე „მხარისათვის“ მიყენებულ არაპირდაპირ ზიანზე ან „დანაკარგებზე“, რაც მოიცავს მიუღებელ შემოსავალს, დაკარგულ პროდუქტს, მიუღებელ სარგებელს, დაკარგულ ბიზნესს და დაკარგულ ბიზნეს შესაძლებლობებს, გარდა „განზრახი დარღვევის“ შემთხვევებისა.

18.2. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, წინამდებარე მე-18 მუხლი („არაპირდაპირი ზიანი“) არ მიემართება მე-7 მუხლის („გადასახადები და სხვა დაქვითვები“) შესაბამისად გადასახდელი თანხებს.

19. დასკვნითი დებულებები

ითვლება, რომ „BOO ხელშეკრულების“-ის მე-15 („ენა“), მე-20 („წინამდებარე ხელშეკრულების წამდვილობა“) და 23-ე („შემდგომი გარანტიები“) მუხლები შესაბამისი საჭირო ცვლილებებით, გამოიყენება ამ „ხელშეკრულების“ განმარტების მიზნებისთვის, ისე, როგორც გამოყენებული იქნებოდა ამავე „ხელშეკრულებაში“ გათვალისწინებისას.

შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯია“

_____

სახელი:

პოზიცია:

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის
კომერციული ოპერატორი“

_____

სახელი:

პოზიცია:

დანართი #1

გადასახადები

1. „მიწოდებული ენერგიის გადასახადი“

„მიწოდებული ენერგიის გადასახადის“ გამოთვლა უნდა მოხდეს „საანგარიშგებო პერიოდის“ შესაბამისად შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

DEC = (EO x T)

სადაც:

DEC = „საანგარიშგებო პერიოდის“ პროპრციულად არსებულ „მიწოდებული ენერგიის გადასახადს“

EO = წარმოებული ენერგია

T = ტარიფს

დანართი 12

შეთანხმებული აუდიტორები

ნებისმიერი ქვემოთ ჩამოთვლილი კომპანია წარმოადგენს „შეთანხმებულ აუდიტორს“:

(h) PwC;

(i) Deloitte;

(j) KPMG; ან

(k) EY.

დანართი #13

შესყიდვის მოთხოვნის ფორმა

ვის: [•] („მთავრობა")

[*თარიღი*]

ასლი: [„სსე“]/[„ესკო“]

ბატონებო,

შესყიდვის მოთხოვნა

ჩვენ ვუთითებთ [*ჩასვით თარიღი*] დადებულ მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების ხელშეკრულებაზე, რომელიც ეხება წყალტუბოსა და ცაგერის რაიონებში (საქართველო) მდებარე ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის დეტალურ დიზაინს, დაფინანსებას, მშენებლობას, გამოცდას, ექსპლოატაციაში მიღებას, ფლობას, ოპერირებასა და მოვლას („**ხელშეკრულება**“).

„ხელშეკრულებაში“ მოცემული ტერმინთა განმარტებები გამოიყენება წინამდებარე დოკუმენტში.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს „შესყიდვის მოთხოვნას“.

ჩვენ წინამდებარე დოკუმენტით ვადასტურებთ, რომ ინვოისები №[•], რომლებიც თან ერთვის წინამდებარე „შესყიდვის მოთხოვნას“, არის ვადამოსული და გადასახდელია [„ესკო“-ს]/[„სსე“-ს] მიერ.

შესაბამისი ინვოის(ებ)ის მონაცემები

ინვოისის ნომერი	თანხა	ინვოისის თარიღი	გადახდის თარიღი	„მთავრობის“ მიერ ინვოისის შესყიდვის თარიღი
ინვოის(ებ)ის საერთო თანხა:	[*მიუთითეთ თანხა და ვალუტა*]			
ინვოის(ებ)ის შესაბამისი თარიღიდან წინამდებარე „შესყიდვის მოთხოვნის“ თარიღამდე ინვოის(ებ)ის საერთო თანხაზე დარიცხული პროცენტის ოდენობა	[*მიუთითეთ თანხა და ვალუტა*]			
ანგარიში, რომელზეც „მთავრობამ“ უნდა განახორციელოს გადახდა:	[*მიუთითეთ შესაბამისი ანგარიშის რეკვიზიტები*]			

დანართი #14

მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების ფორმა

წინამდებარე „ნასყიდობისა და მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება („ხელშეკრულება") დადებულია [თარიღი]

(1) შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯია"-სა (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული და მოქმედი კომპანია, საიდენტიფიკაციო კოდი: 404507495, რეგისტრირებული მისამართი: GMT პლაზა, მეორე სართული, თავისუფლების მოედანი #4, თბილისი, 0105, საქართველო) („მოთხოვნის დამთმობი") და

(2) საქართველოს მთავრობას (წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ) („მოთხოვნის მიმღები")

შორის

„მოთხოვნის დამთმობი" და „მოთხოვნის მიმღები" ერთობლივად მოიხსენებიან, როგორც „მხარეები".

პრეამბულა

(1) მხარეებს შორის დადებულია „BOO ხელშეკრულება" (ქვემოთ მოცემული განმარტების შესაბამისად).

(2) „BOO ხელშეკრულების" 3.2.10 მუხლის („შესყიდვის მოთხოვნა") შესაბამისად, „მოთხოვნის დამთმობმა" „მოთხოვნის მიმღებს" მიაწოდა „შესყიდვის მოთხოვნა" („BOO ხელშეკრულებაში" მოცემული განმარტების შესაბამისად).

(3) „BOO ხელშეკრულების" 3.2.11 მუხლის („შესაბამისი ინვოისების შესყიდვა და გადაცემა") შესაბამისად „მოთხოვნის მიმღებმა" „მოთხოვნის დამთმობს" გადაუხადა თითოეულ „შესყიდვის მოთხოვნაში" მითითებული თანხის მთლიანი ოდენობა.

„მხარეები" თანხმდებიან შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინები

წინამდებარე ხელშეკრულებაში:

„BOO ხელშეკრულება" ნიშნავს მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების ხელშეკრულებას, რომელიც ეხება წამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის დეტალურ დიზაინს, მშენებლობას,

გამოცდას, ექსპლოატაციაში მიღებას, ფლობას, ოპერირებასა და მოვლას წყალტუბოსა და ცაგერის რეგიონებში, საქართველოში [მიუთითეთ თარიღი].

„მოვალის შეტყობინება“ ნიშნავს „ესკოს“ ან/და „დისპეჩერისთვის“ შეტყობინების გაგზავნას მეორე დანართით გათვალისწინებული ფორმით („მოვალის შეტყობინება“).

„დისპეჩერს“ აქვს „BOO ხელშეკრულებით“ დადგენილი მნიშვნელობა.

„ესკოს“ აქვს „BOO ხელშეკრულებით“ დადგენილი მნიშვნელობა.

„შესყიდვის მოთხოვნები“ გულისხმობს შესყიდვის ნებისმიერ და ყველა მოთხოვნას, რომელიც თანდართულია წინამდებარე ხელშეკრულების პირველ დანართზე („შესყიდვის მოთხოვნები“).

„შესაბამისი ინვოისები“ გულისხმობს „მოთხოვნის დამთმობის“ ყველა უფლებას, კუთვნილებასა და ინტერესს ინვოისებში ჩამოთვლილ „შესყიდვის მოთხოვნაზე“.

2. ნასყიდობა და მოთხოვნის დათმობა

2.1. „BOO ხელშეკრულების“ შესაბამისად, „მოთხოვნის დამთმობი“ „შესაბამის ინვოისებს“ მიჰყიდის და მათზე მოთხოვნას დაუთმობს „მოთხოვნის მიმღებს“.

2.2. „მოთხოვნის დამთმობი“ ვალდებულია წინამდებარე „ხელშეკრულების“ დადების შემდეგ დაუყოვნებლივ მიაწოდოს „ესკოს“ან/და „დისპეჩერს“ „მოვალის შეტყობინება“.

3. რეგრესის უფლება

3.1. „უფლების დამთმობი“ არ აცხადებს და არ იძლევა გარანტიას 2.1 მუხლში მითითებული ნასყიდობისა და მოთხოვნის დათმობასთან და „შესაბამის ინვოისებთან“ დაკავშირებით. 2.1 მუხლში მითითებული ნასყიდობა და მოთხოვნის დათმობა არ მოიცავს „მოთხოვნის დამთმობის“ გარანტიას „ესკოს“ ან/და „დისპეჩერის“ გადახდისუნარიანობასთან დაკავშირებით.

3.2. წინამდებარე „ხელშეკრულება“ არ ავალდებულებს „მოთხოვნის დამთმობს“ უკან მიიღოს ან დაიბრუნოს „მოთხოვნის მიმღებისთვის“ 2.1 მუხლით გადაცემული რომელიმე უფლება და ვალდებულება ან დაეთანხმოს „მოთხოვნის მიმღების“ მიერ პირდაპირ ან ირიბად განცდილ ნებისმიერ დანაკარგს, რომელიც გამოწვეულია ნებისმიერი პირის მიერ „BOO ხელშეკრულების“ ან „ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების“ („BOO ხელშეკრულებით“ დადგენილი განმარტების შესაბამისად) შეუსრულებლობით.

3.3. საქართველოს მთავრობა ვალდებულია დააზღვიოს „მოთხოვნის დამთმობი“ ნებისმიერი გადასახადის გადახდისგან, რომელიც შესაძლოა დაეკისროს ნასყიდობისა და მოთხოვნის დათმობასთან დაკავშირებით 2.1 მუხლის შესაბამისად.

4. არბიტრაჟი

4.1. არბიტრაჟი

4.1.1. ნებისმიერი „დავა“ რომლის გადაწყვეტაც ვერ მოხდება მხარეთა მიერ მოლაპარაკების გზით, საბოლოოდ უნდა გადაწყდეს არბიტრაჟს მეშვეობით, „საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო წესების“ (ICC Rules) შესაბამისად.

4.1.2. ტრიბუნალი უნდა შედგებოდეს 3 (სამი) არბიტრისგან. თითოეულმა მოსარჩელემ/მოსარჩელეებმა და მოპასუხემ/მოპასუხეებმა უნდა დაასახელონ თითო-

თითო არბიტრი. მესამე არბიტრი, რომელიც უნდა იყოს ტრიბუნალის თავმჯდომარე, დასახელდება მხარეთა მიერ არჩეული (2) ორი არბიტრის მიერ.

4.1.3. არბიტრაჟის ადგილსამყოფელი იქნება პარიზი, საფრანგეთი.

4.1.4. არბიტრაჟის ენა იქნება ინგლისური.

4.1.5. წინამდებარე „ხელშეკრულების“ ყოველი „მხარე“ ადასტურებს და თანხმდება, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება შესაბამის იურისდიქციაში ძალაში შევა „უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციით“ დადგენილი შეზღუდვების შესაბამისად.

4.1.6. „მხარეები“ თანხმდებიან რომ ყველა შესაძლო გზით მაქსიმალურად დაიცავენ კონფიდენციალობას არბიტრაჟთან დაკავშირებულ ყველა საკითხთან მიმართებით, მათ შორის, ინფორმაციას მისი არსებობისა და ყველა დაკავშირებული სასამართლო წარმოების შესახებ.

4.1.7. საქართველოს მთავრობა აცხადებს და ადასტურებს, რომ აღნიშნული „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ყველა გარიგება წარმოადგენს მის კერძო სამართლებრივ აქტს და არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს.

4.2. „დავების გაერთიანება“

4.2.1. 4.2 მუხლში („დავების გაერთიანება“) „დაკავშირებული ხელშეკრულება“ ნიშნავს „BOO ხელშეკრულებასა“ და „ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებებს“ („BOO ხელშეკრულებაში“ დადგენილი განმარტების შესაბამისად).

4.2.2. საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო („სასამართლო“) უფლებამოსილია, ნებისმიერი მხარის მოთხოვნის შესაბამისად, გააერთიანოს 1 (ერთი) ან მეტი„დაკავშირებული ხელშეკრულების“ საფუძველზე დაწყებული ნებისმიერი 2 (ორი) ან მეტი საარბიტრაჟო წარმოება. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, „სასამართლო“ უფლებამოსილია „საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო წესების“ შესაბამისად მიიღოს საქმეების გაერთიანების შესახებ გადაწყვეტილება. 1(ერთი) „დაკავშირებული ხელშეკრულების“ შესაბამისად დაწყებულ საარბიტრაჟო წარმოებაში, „სასამართლო“ ან საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია „მხარეს“ ნებისმიერ სხვა „დაკავშირებულ ხელშეკრულებასთან“ მიმართებით არსებული სარჩელის წარდგენის ნებას დართოს.

4.2.3. წინამდებარე „ხელშეკრულების“ თითოეული მხარე აცნობიერებს და თანხმდება რომ 4.1. მუხლის („არბიტრაჟი“) საარბიტრაჟო ნორმები ნამდვილია და მბოჭავი ძალა აქვს „მხარეებისთვის“, ხოლო „მხარეები“ არ არიან უფლებამოსილი ამის საწინააღმდეგო ამტკიცონ.

5. გამოსაყენებელი სამართალი

წინამდებარე „ხელშეკრულება“ დადებულია და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

დანართი 1 („შესყიდვის მოთხოვნა“)

[შესაბამისი „შესყიდვის მოთხოვნების“ განსათავსებლად]

დანართი 2 („მოვალის შეტყობინება“)

[თარიღი]

ვის: [„დისპეჩერს/ „ესკოს“]

ინვოისის [ნომერი/ნომრები] [ ] „შესაბამისი ინვოისები“.

ვეყრდნობით რა, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების ხელშეკრულებას, რომელიც უკავშირდება ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის დეტალურ დიზაინს, მშენებლობას, გამოცდას, ექსპლოატაციაში მიღებას, ფლობას, ოპერირებასა და მოვლას წყალტუბოსა და ცაგერის რეგიონებში, საქართველოში [თარიღი] („BOO ხელშეკრულება“) და „შესყიდვის მოთხოვნას“ [თარიღი].

დოკუმენტში გამოიყენება „BOO ხელშეკრულებით“ დადგენილი განმარტებები.

წინამდებარე წერილით გაცნობებთ, რომ [თარიღიდან] [„კომპანიამ“]„შესაბამის ინვოისებზე“ მოთხოვნის უფლება გადასცა საქართველოს მთავრობას.

შესაბამისად, უფლებამოსილი ხართ და მოგეთხოვებათ, ამ წერილში მითითებული თარიღიდან, საქართველოს მთავრობას, როგორც კანონიერ კრედტორს, სრულად ან ნაწილობრივ გადაუხადოთ „შესაბამისი ინვოისებით“ გათვალისწინებული თანხა.

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ დაუკავშირდეთ „კომპანიის“ [ ].

პატივისცემით,

[„კომპანიის“] სახელით

ასლი: [საქართველოს მთავრობა“]

დანართი #15

პროგნოზირება და დისპეტჩერიზაცია

1. სავარაუდო „საპროგნოზო წარმოებული ენერგია“

„საპროგნოზო წარმოებული ენერგიის“ სავარაუდო გაანგარიშებები წარდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მოცემული პროცედურის შესაბამისად:

(a) „სადგურის“ „კომერციული ოპერირების თარიღამდე“ ორი (2) თვის ვადაში, „კომპანიამ“ „დისპეტჩერს“ უნდა შეატყობინოს კეთილსინდისიერად „ჰიდროლოგიური პირობების“, „სადგურის“ ხელმისაწვდომი სიმძლავრის და დაგეგმილი მოცდენის გათვალისწინებით დაანგარიშებული მისი პროგნოზები „სადგურის“ „საპროგნოზო წარმოებული ენერგიის“ შესახებ თითოეული თვისთვის (ან სიტუაციიდან გამომდინარე, თვის ნაწილისთვის), „კომპანიის“ მიერ ყოველთვიური მოსალოდნელი წარმოების პროფილის საფუძველზე იმ წლის განმავლობაში, რომელშიც დადგება შესაბამისი „კომერციული ოპერირების თარიღი“.

(b) შემდგომ, არა უგვიანეს 6 (ექვსი) თვისა თითოეული წლის დაწყებიდან, „კომპანიამ“ „დისპეტჩერს“ უნდა შეატყობინოს კეთილსინდისიერად „ჰიდროლოგიური პირობების“, „სადგურის“ ხელმისაწვდომი სიმძლავრის და დაგეგმილი მოცდენის გათვალისწინებით დაანგარიშებული მისი პროგნოზები „სადგურის“ „საპროგნოზო წარმოებული ენერგიის“ შესახებ მომავალი წლის თითოეული თვისთვის, „კომპანიის“ მოსალოდნელი ყოველთვიური წარმოების პროფილის საფუძველზე.

(c) შესაბამის „კომერციული ოპერირების თარიღში“ და ამ თარიღის შემდეგ თითოეული თვის დაწყებამდე არა უგვიანეს ოთხი (4) „სამუშაო დღით“ ადრე, „კომპანიამ“ „დისპეტჩერს“ უნდა შეატყობინოს კეთილსინდისიერად „ჰიდროლოგიური პირობების“, „სადგურის“ ხელმისაწვდომი სიმძლავრის და დაგეგმილი მოცდენის გათვალისწინებით დაანგარიშებული მისი პროგნოზები „სადგურის“ „საპროგნოზო წარმოებული ენერგიის“ შესახებ მომავალი თვის თითოეული დღისთვის, „კომპანიის“ მოსალოდნელი ყოველთვიური წარმოების პროფილის საფუძველზე.

(d) „კომპანიის“ მიერ წინამდებარე დანართის 1-ლი ნაწილის შესაბამისად გაცემული ნებისმიერი შეტყობინება არ იქნება საბოლოო და არც ერთი ასეთი შეტყობინება საბოლოოდ ხელს არ შეუშლის „კომპანიას“ დროდადრო შეცვალოს „საპროგნოზო წარმოებული ენერგიის“ სავარაუდო გაანგარიშებები; თუმცა, მას შემდეგ, რაც „კომპანიისთვის“ ცნობილი გახდება „საპროგნოზო წარმოებული ენერგიის“ იმ სავარაუდო გაანგარიშებების არსებითი ცვლილებების შესახებ, „კომპანია“ ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს „დისპეტჩერს“ ასეთი ცვლილების თაობაზე.

2. საბოლოო „საპროგნოზო წარმოებული ენერგია“

(a) შესაბამისი „კომერციული ოპერირების თარიღის“ დადგომის შემდეგ, თითოეული „სამუშაო დღის“ დაწყებამდე არაუგვიანეს 11:00 საათისა („დეკლარაციის დედლაინი“), „კომპანიამ“ „დისპეტჩერს“ უნდა შეატყობინოს (ან გადახედოს/შეცვალოს უკვე მიწოდებული ინფორმაცია) შესაბამისი დღის თითოეული საათის „საპროგნოზო წარმოებული ენერგიის“ შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ „კომპანია“ „დისპეტჩერს“ ვერ მიაწვდის ასეთ შეტყობინებას „დეკლარაციის დედლაინამდე“, „საპროგნოზო წარმოებული ენერგია“ ამ დღის თითოეული საათისთვის ჩაითვლება „კომპანიის“ მიერ წინა დღეს დეკლარირებული საათობრივი „საპროგნოზო წარმოებული ენერგიის“ ტოლად.

(b) შეტყობინებაში რაიმე სახის შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, „დისპეტჩერმა“ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს „კომპანიას“ და მოითხოვოს კორექტირების შეტანა. იმ შემთხვევაში, თუ „კომპანია“ უარს განაცხადებს ცვლილების განხორციელებაზე და/ან დააგვიანებს კორექტირებას, „დისპეტჩერი“ უფლებამოსილია დაგეგმოს „საპროგნოზო წარმოებული ენერგია“ „წყალსაცავის გაიდლაინები“-ს მიხედვით შესაბამისი დღ(ეებ)ისთვის.

(c) „კომპანია“ უფლებამოსილია, „დისპეტჩერისთვის“ ასეთი შესწორების შესახებ შეტყობინების მიწოდების გზით, მოახდინოს თითოეული საათის „საპროგნოზო წარმოებული ენერგიის“ შემცირება და განაგრძოს ასეთი შემცირებების განხორციელება შესაბამისი დღის დაწყებამდე, და ასევე მოახდინოს თითოეული საათის „საპროგნოზო წარმოებული ენერგიის“ გაზრდა და განაგრძოს ასეთი ზრდის განხორციელება შესაბამისი საათის დაწყებამდე 45 (ორმოცდახუთი) წუთით ადრე. ასეთ შემთხვევებში, „დისპეტჩერი“, 4.3.2 მუხლის (*ელექტროენერგიის გაყიდვა და დისპეტჩერიზაცია*) გთვალისწინებით, უფლებამოსილია უარი განაცხადოს ასეთ ცვლილებაზე, თუ იგი არ ექვემდებარება დისპეტჩერიზაციას „გადაცემის სისტემის“ უსაფრთხოებიდან გამომდინარე ან „ქსელის წესებით“ გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

(d) „კომპანიის“ შეტყობინება „საპროგნოზო წარმოებული ენერგიის“ შესახებ უნდა განხორციელდეს შესაბამისი საათის საპროგნოზო „ჰიდროლოგიური პირობების“, „სადგურის“ ხელმისაწვდომი სიმძლავრისა და დაგეგმილი მოცდენის საფუძველზე. „კომპანიამ“ უნდა უზრუნველყოს „დისპეტჩერის“ ინფორმირება ფაქტობრივი „ჰიდროლოგიური პირობებისა“ და პროგნოზირებული „ჰიდროლოგიური პირობების“ შესახებ, „სადგურის“ ხელმისაწვდომი სიმძლავრისა და დაგეგმილი მოცდენის შესახებ ამ „ხელშეკრულების“ ადმინისტრირების მიზნებისათვის, რაც შესაძლოა მოიცავდეს შესაბამისი ინფორმაციის რეალურ დროში გადაცემას.

3. გამოცდა და ექსპლოატაციაში მიღება

(a) „კომპანიამ“ უნდა უზრუნველყოს, რომ „სამშენებლო სამუშაოების“ დასრულების ეტაპზე, „სადგურები“, ყველა მათი დანადგარებისა და ინსტალაციების ჩათვლით, მზად იყოს გამოცდისთვის, და მიმართოს „სსე“-ს გამოცდის პროცესის დაწყებისთვის

მზადყოფნის შესახებ შესაბამისი დოკუმენტების მიწოდებით, რაც საჭიროა „საქართველოს კანონმდებლობით“ გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

(b) გამოცდა და ექსპლოატაციაში მიღება უნდა განხორციელდეს „კომპანიისა“ და მომწოდებლების დადასტურებული გამოცდის მანუალისა და „საქართველოს კანონმდებლობით“ გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

4. „დისპეტჩერიზაციის ინსტრუქციები“ და წარმოებული ნეტო ენერგიის მიწოდება

„მხარეები“ აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ „ხელშეკრულების“ 4.3.2 მუხლის (*ელექტროენერგიის გაყიდვა და დისპეტჩერიზაცია*) მიხედვით, „დისპეტჩერი“ განახორციელებს თითოეული საათობრივი პერიოდის „საპროგნოზო წარმოებული ენერგიის“ დისპეტჩერიზაციას (a) გამოცდისა და ექსპლოატაციაში მიღების პერიოდის განმავლობაში, (b) „PPA პერიოდის“ განმავლობაში, და (c) „ვადის“ ყველა იმ პერიოდის განმავლობაში, რაც არ წარმოადგენს „PPA პერიოდს“. თითოეულ შემთხვევაში, „დისპეტჩერი“ გადაიხდის იმ მთლიანი „საპროგნოზო წარმოებული ენერგიისთვის“, რომლის დისპეტჩერიზაცია არ განხორციელდა თითოეულ ასეთ პერიოდში „ხელშეკრულების“ 4.3.2 მუხლის (*ელექტროენერგიის გაყიდვა და დისპეტჩერიზაცია*) შესაბამისად.

„კომპანია“ ვალდებულია დაემორჩილოს „დისპეტჩერიზაციის ინსტრუქციებს“ „საქართველოს კანონმდებლობით“ გათვალისწინებული წესით.

5. „წყალსაცავის გაიდლაინები“

(a) „საპროგნოზო წარმოებული ენერგია“ და „წარმოებული ენერგია“ დაექვემდებარება შემდგომ შესწორებებს „წყალსაცავის გაიდლაინები“-ს მიხედვით.[3]

(b) იმ შემთხვევაში, თუ მოხდება „სადგურის“ „საპროგნოზო წარმოებული ენერგიის“ დისპეტჩერიზაცია იმაზე უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე შესაბამისი წყალსაცავის შემოდინების დონეა, მაშინ „კომპანია“ მიიღებს თანხას დანაკარგის (head loss) ღირებულების შესაბამისად.

[3] შენიშვნა: „წყალსაცავის გაიდლაინები“ ჯერ კიდევ შეთანხმების ეტაპზეა.

დანართი #16

ენერგიის აღრიცხვა

1. ენერგიის აღრიცხვის მოწყობილობები

(a) „ელექტროგადამცემი ხაზების“ მშენებლობის, ტესტირების და ექსპლოატაციაში გაშვების შემდგომ, მაგრამ შესაბამისი „კომერციული ოპერირების თარიღის“ დადგომამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე:

(i) „კომპანია“ ვალდებულია „მიწოდების პუნქტში“ დაამონტაჟოს „აღრიცხვის მოწყობილობა“; და

(ii) „კომპანია“ ვალდებულია „მიწოდების პუნქტში“ დაამონტაჟოს „საკონტროლო მრიცხველი“.

(b) „აღრიცხვის მოწყობილობისა“ და „საკონტროლო მრიცხველის“ პროექტირება და მონტაჟი განხორციელდება „ქსელის წესებში“ მითითებული სპეციფიკაციების შესაბამისად.

(c) წინამდებარე დანართ #16-ში (*„ენერგიის აღრიცხვა“*):

(i) **„აღრიცხვის მოწყობილობა“** ნიშნავს „კომპანიის“ მიერ დამონტაჟებულ, „კომპანიის“ საკუთრებაში, მართვასა და მოვლა-პატრონობაში არსებულ მრიცხველს და აღრიცხვის მოწყობილობებს, რომლებიც აღრიცხვას „სადგურების“ მიერ „წარმოებულ ენერგიას“;

(ii) **„საკონტროლო მრიცხველი“** ნიშნავს „კომპანიის“ მიერ დამონტაჟებულ და „კომპანიის“ საკუთრებაში არსებულ აღრიცხვის მოწყობილობას, რომელიც განკუთვნილია „წარმოებული ენერგიის“ აღმრიცხველი „აღრიცხვის მოწყობილობის“ სიზუსტის გადამოწმებისთვის; და

(iii) **„წყლის მრიცხველები“** ნიშნავს ქვემოთ პარაგრაფ 6 (a)-ში მითითებულ მოწყობილობას.

2. წარმოებული ნეტო ენერგიის აღრიცხვა

„კომპანია“ უზრუნველყოს, „აღრიცხვის მოწყობილობის“ და „საკონტროლო მრიცხველის“ აღჭურვას შესაბამისი ჩამწერი მოწყობილობით, რომელიც უზრუნველყოფს „წარმოებული ენერგიის“ უწყვეტ აღრიცხვას („აღრიცხვის ჩამწერი მოწყობილობა“). „აღრიცხვის მოწყობილობის“ „აღრიცხვის ჩამწერი მოწყობილობა“ გამოიყენება „წარმოებული ენერგიის“ აღრიცხვისთვის.

3. ენერგიის წარმოების აღრიცხვის სიზუსტის გადამოწმება

(a) „აღრიცხვის მოწყობილობისა“ და „საკონტროლო მრიცხველის“ „აღრიცხვის ჩამწერი მოწყობილობის“ მიერ დაფიქსირებული ინფორმაციის სიზუსტის შემოწმება მოხდება დროის გარკვეულ მონაკვეთში „აღრიცხვის ჩამწერი მოწყობილობის“ მიერ დაფიქსირებული საათობრივი მონაცემების ჯამური ოდენობის „აღრიცხვის მოწყობილობისა“ და „საკონტროლო მრიცხველის“ მიერ დროის იმავე მონაკვეთში დაფიქსირებულ მონაცემებთან შესაბამისობის შემოწმების გზით.

(b) „აღრიცხვის მოწყობილობისა“ და „საკონტროლო მრიცხველის“ პირველი შემოწმება მოხდება შესაბამის „კომერციული ოპერირების თარიღზე“ ან აღნიშნული თარიღის დადგომამდე. ამის შემდგომ, „აღრიცხვის მოწყობილობისა“ და „საკონტროლო მრიცხველის“ შემოწმება მოხდება ყოველი თვის ბოლო დღის 09:00 საათზე.

(c) „კომპანია“ პასუხისმგებელია „აღრიცხვის მოწყობილობისა“ და „საკონტროლო მრიცხველის“ ჩვენების წაკითხვაზე. „მთავრობისა“ და „დისპეტჩერის“ ჯამში 3 (სამი) წარმომადგენელი უფლებამოსილია დაესწროს „აღრიცხვის მოწყობილობისა“ და „საკონტროლო მრიცხველის“ წაკითხვის პროცესს, რა შემთხვევაშიც წაკითხული მონაცემების აღება, ჩაწერა და ხელმოწერით დადასტურება მოხდება ერთობლივად.

(d) „კომპანია“ ვალდებულია“ იქონიოს მის მიერ აღებული ჩვენებების ბაზა და ნებისმიერი ჩვენებების წაკითხვიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს „დისპეტჩერს“ და „მთავრობას“ მის მიერ წაკითხული ჩვენებების ჩანაწერები.

4. ენერგიის წარმოების აღრიცხვის უზუსტობები

იმ შემთხვევაში თუკი, ჩვენების წაკითხვის შედეგად „აღრიცხვის მოწყობილობა“ აღმოჩნდება 0.2%-ზე (ნული მთელ ორ მეათედ პროცენტზე) მეტით არაზუსტი ან „აღრიცხვის მოწყობილობა“ არ ფუნქციონირებს ან გაუმართავად ფუნქციონირებს, „მიწოდების პუნქტში“ არასწორად აღრიცხვის პერიოდში მიწოდებული „წარმოებული ენერგიის“ ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა მოხდება შემდეგნაირად:

(a) უპირველეს ყოვლისა, მოხდება „საკონტროლო მრიცხველზე“ დაფიქსირებული ჩვენებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოყენება „წარმოებული ენერგიის“ სწორი მონაცემის განსაზღვრის მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი „საკონტროლო მრიცხველის“ ტესტირების შედეგად გამოვლინდება, რომ „საკონტროლო მრიცხველის“ მონაცემი არაზუსტია წული მთელ ორ მეათედ პროცენტზე (0.2%) მეტით ან ის გაუმართავად ფუნქციონირებს;

(b) იმ შემთხვევაში თუკი „საკონტროლო მრიცხველის“ ცდომილება აღემატება დასაშვებ ფარგლებს ან ის სხვაგვარად არ ფუნქციონირებს გამართულად, „კომპანია“ და „დისპეტჩერი“ ერთობლივად მოამზადებენ სწორი ჩვენებების საშუალო მაჩვენებელს, ყველა ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მათ შორის, „წარმოებული ენერგიის“ შესახებ დროის იმ მონაკვეთში მიწოდებულ ჩვენებებზე დაყრდნობით, რომლებიც მომზადებული იყო მსგავსი ოპერირების პირობებში, როდესაც „აღრიცხვის მოწყობილობა“ აღრიცხვის პროცესს სწორად აწარმოებდა;

(c) იმ შემთხვევაში თუკი „მხარეები“ ვერ შეთანხმდებიან იმ რეალურ პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც განხორციელდა არაზუსტი აღრიცხვა, პერიოდი, რომლის განმავლობაშიც საჭიროა ჩვენებების გასწორება, იქნება „აღრიცხვის მოწყობილობის“ ბოლო ტესტირების შემდგომი პერიოდის ნახევარი; და

(d) „დისპეტჩერის“ მიერ არაზუსტი აღრიცხვის ან „აღრიცხვის მოწყობილობის“ გაუმართავი ფუნქციონირების პერიოდში „კომპანიისათვის“ გადახდილ თანხებსა და ხელახლა დაანგარიშებულ თანხებს შორის სხვაობა გამოაკლდება ან დაემატება „კომპანიისათვის“ წინამდებარე „ხელშეკრულების“ ფარგლებში გადასახდელ თანხებს.

5. აღრიცხვის მოწყობილობის და საკონტროლო მრიცხველის დალუქვა და შეკეთება

(a) „აღრიცხვის მოწყობილობებსა“ და „საკონტროლო მრიცხველზე“ დადებული ლუქის მოხსნა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ „კომპანიის“ მიერ, „მთავრობის“ ან „დისპეტჩერის“ წარმომადგენლის მონაწილეობით, „აღრიცხვის მოწყობილობის“ ან „საკონტროლო მრიცხველის“ შემოწმების, ტესტირების ან მონაცემების დაზუსტების საჭიროებისას.

(b) იმ შემთხვევაში თუკი „აღრიცხვის მოწყობილობის“ ან „საკონტროლო მრიცხველის“ რომელიმე ნაწილის უზუსტობა აღემატება დასაშვებ ფარგლებს ან აღნიშნული ნაწილი გაუმართავად ფუნქციონირებს, „კომპანია“ ვალდებულია შეაკეთოს, მოახდინოს მისი რეკალიბრაცია ან ჩანაცვლება;

(c) „აღრიცხვის მოწყობილობის“ ან „საკონტროლო მრიცხველის“ ნებისმიერი ნაწილის შემოწმების, სარემონტო სამუშაოების, შეკეთების, რეკალიბრაციის ან ჩანაცვლების დასრულებისთანავე მოხდება შესაბამისი „აღრიცხვის მოწყობილობის“ ერთობლივად დალუქვა.

6. წყლის მრიცხველები

(a) არაუგვიანეს პირველი ექსპლოატაციაში მიღების მიზნით ტესტირების ჩატარების თარიღისა, „კომპანია“ მოახდენს წყლის დონის საზომი მრიცხველების დამონტაჟებას რეზერვუარის ტერიტორიაზე და დინების საზომი მრიცხველების დამონტაჟებას თითოეულ ტურბინაზე (ერთობლივად, „წყლის მრიცხველები“). „წყლის მრიცხველები“ დამონტაჟდება ელექტროსადგურზე, თითოეულ ტურბინებამდე. „წყლის მრიცხველების“ დაპროექტება მოხდება იმგვარად, რომ ინსტალაციის ცდომილების ზღვარი „წყლის მრიცხველებში“ წყლის დინებასთან მიმართებაში იქნება არაუმეტეს 2.5%-ისა (ორი მთელი ხუთი პროცენტი).

(b) „კომპანია“ ვალდებულია „წყლის მრიცხველების“ სისწორის ინსპექტირება განახორციელოს შესაბამისი „კომერციული ოპერირების თარიღის“ დადგომამდე და „მთავრობას“ და „დისპეტჩერს“ არაუგვიანეს 7 (შვიდი) დღით ადრე გაუგზავნოს შეტყობინება „წყლის მრიცხველების“ ნებისმიერი დაგეგმილი ტესტირების შესახებ. „მთავრობის“ და „დისპეტჩერის“ ჯგუფში სამი წარმომადგენელი უფლებამოსილია დაესწროს დაგეგმილ ტესტირებას.

7. წყლის მრიცხველების ტესტირება

(a) „კომპანია“ ვალდებულია „წყლის მრიცხველების“ სისწორეზე შემოწმება და ტესტირება ჩაატაროს შესაბამის „კომერციული ოპერირების თარიღზე“ ან აღნიშნული თარიღის დადგომამდე, ხოლო შემგომ პერიოდში სულ მცირე „წარმოების წლიურ პერიოდში“ ერთხელ.

(b) „კომპანია“ ვალდებულია „მთავრობას“ და „დისპეტჩერს“ არაუგვიანეს შვიდი დღით ადრე გაუგზავნოს შეტყობინება „წყლის მრიცხველების“ ნებისმიერი დაგეგმილი ტესტირების შესახებ. „მთავრობის“ და „დისპეტჩერის“ ჯგუფში სამი წარმომადგენელი უფლებამოსილია დაესწროს დაგეგმილ ტესტირებას.

8. წყლის გამოყენების ანგარიში

„კომპანია“ პირველი ექსპლოატაციაში მიღების მიზნით ტესტირების ჩატარების თვიდან, ყოველი მომდევნო თვის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) დღისა წარუდგენს „დისპეტჩერს“ და „მთავრობას“ „წყლის მრიცხველების“ მიერ დაფიქსირებულ მონაცემებს გასულ თვეში „სადგურების“ მიერ ჯამურად მოხმარებული წყლის შესახებ.

9. წყლის დაღვრის მაჩვენებელი

(a) კომპანიამ ვალდებულია აღრიცხოს წყლის დაღვრის მაჩვენებლები და თითოეული “წყალსაცავიდან“ დაღვრილი წყლის ოდენობა “ნამახვანის წყლის დონეების, სარქველების და გეითების აღრიცხვის შესაბამისად “ქვემო ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურისა” და თითოეული „წყალსაცავისთვის“.

(b) წყალსაგდების და წყალგამშვების ქვედა დონის ფარი და "ქვემო ნამახვანის ჰიდროელექტროსადგური" უნდა იყოს შეთანხმებისამებრ გამოთვლილი და შემოწმებული.

(c) თითოეული „წყალსაცავისთვის" განკუთვნილი კაშხლის წყლის ხარჯი უნდა შემოწმდეს მდინარეული ჩამონადენის საზომი სადგურების მეშვეობით, რომლებიც განლაგებულია თითოეულ კაშხალთან.

დაწართი # 17

"წყალსაცავის გაიდლაინები"

1. ზოგადი დებულებები

(ii) „კომპანიისა" და "დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის" მიერ „ხელშეკრულების" 4.3.4(a) მუხლის შესაბამისად შეთანხმებული წინამდებარე გაიდლაინები ქმნიან „წყალსაცავის გაიდლაინებს" („წყალსაცავის გაიდლაინები").

(iii) წინამდებარე „წყალსაცავის გაიდლაინები" გამოიყენება „ქვედა ნამახვანის წყალსაცავისა" და „ზედა ნამახვანის წყალსაცავისთვის".

2. გაიდლაინები

(a) "ელექტრო ქსელის საპროგნოზო წარმოება"

(i) გარდა იმ შემთხვევისა თუ მოპოვებულია „მხარეთა" წინასწარი თანხმობა (იმის გათვალისწინებით რომ „წყალსაცავში" საკმარისი რაოდენობის წყალია), „ენერგიის საპროგნოზო წარმოება" უნდა დარეგულირდეს იმგვარად, რომ „წყალსაცავის" დონე შენარჩუნდეს „მინ.დონესა" (სიმაღლე ზღვის დონიდან მეტრებში) და „მაქს.დონეს"(სიმაღლე ზღვის დონიდან მეტრებში) შორის წინამდებარე „წყალსაცავის გაიდლაინების" 2(c) მუხლის შესაბამისად. თუკი ეს გონივრულად შეუძლებელია, „კომპანია" "სარგებლიანობის საუკეთესო პრაქტიკის" შესაბამისად მიიღებს შესაბამის ზომებს შემდეგ თვე(ებ)ში გენერირების დასარეგულირებლად, რათა სწრაფად დააბრუნოს „წყალსაცავის" დონე 2(c) მუხლით გათვალისწინებულ „მინ.დონესა"(სიმაღლე ზღვის დონიდან მეტრებში) და „მაქს.დონეს"(სიმაღლე ზღვის დონიდან მეტრებში) შორის.

(ii) "მხარეთა" შორის არსებული ყველა შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით.

(b) „წყალსაცავის" ოპერირების დონეები

(i) „წყალსაცავის" ოპერირება განხორციელდება სეზონური სადისპეტჩერო გრაფიკი დაყრდნობით, რომელიც შემოდგომა-ზამთრის პერიოდის დასაწყისში აღწევს მაქსიმალურ დონეს, ხოლო გაზაფხული-ზაფხულის პერიოდის დასაწყისში - მინიმალურ დონეს. სადისპეჩერო გრაფიკი განკუთვნილია წყლის მოძრაობის დარეგულირებისთვის წყლის ხელმისაწვდომი ბუნებრივი მარაგის მართვისთვის მიზნით.

(ii) "მხარეები" ვალდებულნი არიან შეთანხმდნენ „ქვედა ნამახვანის" „წყალსაცავის" დონეების სადისპეჩერო გრაფიკზე და „ქვედა ნამახვანისა" და „ზედა ნამახვანის" სადგურების პროგნოზის გენერირებაზე, ყოველწლიურად, დაგეგმილი

ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის, ტექნიკური სამუშაოების განხორციელების, წყლის ხარჯის მომატების პროგნოზისა და წინამდებარე „წყალსაცავის გაიდლაინების“ გათვალისწინებით.

(iii) წყლის დონე შესაძლოა შემცირდეს მხარეთა ერთობლივი შეთანხმებით, ტექნიკური სამუშაოების განხორციელების მიზნით ან/და წყლის ხარჯის მომატების პროგნოზამდე.

(iv) ჰესის გენერირება უნდა დაიგეგმოს წყლის დონის სადისტპეჩერო გრაფიკის შესაბამისად. “დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი“ უფლებამოსილია გამოიყენოს „ქვემო ნამახვანის“ ბუნებრივი მარაგი, სისტემის მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და „წყალსაცავში“ წყლის დონის შენარჩუნების მიზნით. ამ დროს, “დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი“ ვალდებულია დაარეგულიროს ენერგიის დისპეტჩერიზაცია, რათა ხელი შეუწყოს წყლის დონის აღდგენას გონივრულ ვადაში, წყლის დონის სადისტპეჩერო გრაფიკის ფარგლებში, თუმცა არაუგვიანეს ერთი თვისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჰიდროლოგიური პირობები ან სისტემა ხელს უშლის წყლის დონის სადისტპეჩერო გრაფიკის ფარგლებში აღდგენას.

(v) წყლის დონის სადისტპეჩერო გრაფიკი შესაძლოა დარეგულირდეს მხარეთა ერთობლივი შეთანხმებით, ყოველთვიურად, ყოველკვირეულად ან/და ყოველდღიურად, როგორც გენერირებისა და შედინების მონაცემების განახლებულ პროგნოზზე, ისე ტექნიკური სამუშაოების შესრულების განრიგზე დაყრდნობით.

(vi) ოპერირება განხორციელდება 2(c) მუხლში მოცემული ინფორმაციისა და მონაცემების შესაბამისად. თუმცა, ამ ეტაპზე, ზოგიერთი ინფორმაცია არ არის განმარტებული და მათი განსაზღვრა მოხდება „კაშხლის“ ექსპლუატაციაში მიღებამდე. შედინების მონაცმეების პროგნოზის მიწოდება მოხდება ოპერირების განმავლობაში, მხარეთა მიერ შეთანხმებული სიხშირით, არაუგვიანეს:

(1) ყოველწლიური ბალანსისთვის მომდევნო კალენდარული წლის დადგომამდე 2 (ორ) თვით ადრე (საშუალო ყოველთვიური მონაცემები);

(2) ყოველთვიური ბალანსისთვის მომდევნო კალენდარული თვის დადგომამდე ერთი კვირით ადრე (საშუალო ყოველკვირეული მონაცემები); და

(3) ყოველდღიური ბალანსისთვის მომდევნო დღის დადგომამდე ერთი დღით ადრე (საშუალო ყოველდღიური მონაცემები).

(vii) “წყალსაცავის გაიდლაინების“ ფარგლებში მოხდება შემდეგი ტექნიკური მონაცემების მიწოდება. აღსანიშნავია, რომ ეფექტურობის, დანაკარგების, წყლის დონესა და რაოდენობას შორის ურთიერთობის, ენერგიის გენერირების, სიმძლავრის შესახებ მონაცემებს აქვს საჩვენებელი ხასიათი და ეყრდნობა სხვადასხვა დაშვებებს. ეს

მონაცემები არ შეიძლება ჩაითვალოს აბსოლიტურად, და ოპერირების დროს აღმოჩენილი მოქმედი მაჩვენებლები შესაძლოა განსხვავდებოდეს (იხ. მუხლი 2(c)).

(c) "წყალსაცავის" გეომეტრიული განმარტება:

(i) „წყალსაცავში" წლის მაქსიმალური დონე:

(1) „ქვედა ნამახვანი"

(A) სრული მიწოდების დონე: ზღვის დონიდან 311.5 მეტრი;

(B) წყლის დაღვრის გარეშე არსებული მაქსიმალური დონე: ზღვის დონიდან 311.5 მეტრი;

(2) „ზედა ნამახვანი"

(A) სრული მიწოდების დონე: ზღვის დონიდან 357 მეტრი;

(B) წყლის დაღვრის გარეშე არსებული მაქსიმალური დონე: ზღვის დონიდან 357 მეტრი;

(ii) „წყალსაცავში" წლის მინიმალური დონე:

(1) „ქვედა ნამახვანი"

(B) წყლის დონის ნორმალური ოპერირების მინიმუმი: ზღვის დონიდან 294.5 მეტრი;

(C) ელექტროენერგიის წარმოების მინიმალური დონე: ზღვის დონიდან 294.5 მეტრი.

(2) „ზედა ნამახვანი"

(D) წყლის დონის ნორმალური ოპერირების მინიმუმი: ზღვის დონიდან 354 მეტრი;

(E) ელექტროენერგიის წარმოების მინიმალური დონე: ზღვის დონიდან 354 მეტრი.

(iii) მოცულობა "წყალსაცავში":

(1) „ქვედა ნამახვანი"

(A) ბუნებრივი „წყალსაცავის" მოცულობა: 71.5 მილიონი მ^3

(B) ხელოვნური "წყალსაცავის" მოცულობა: 91.0 მილიონი მ^3

(2) „ზედა ნამახვანი"

(A) ნორმალური წყლის დონის მოცულობა: 2.6. მილიონი მ^3

(B) მკვდარი წყლის დონის მოცულობა: 8.2 მილიონი მ^3

(iv) „წყალსაცავის" მოქმედების და შევსების დასაშვები სიჩქარის შეზღუდვა ყველა დონეზე, მინიმალური შეფერხებებით. ამ ეტაპზე, შევსების სიჩქარესთან დაკავშირებით შეზღუდვები არ არის დადგენილი. „ქვედა ნამახვანის" „წყალსაცავის" საწყისი შევსება დაიგეგმება კაშხლის მოქმედების მონიტორინგისთვის დროის გამოყოფის მიზნით. „წყალსაცავის" შევსებისთვის არ არის საჭირო ზემოქმედება.

(d) ეკოლოგიური ხარჯი

(i) "ქვედა ნამახვანის" ეკოლოგიური ხარჯი: 16 მ^3/წამში

(ii) "ზედა ნამახვანის" ეკოლოგიური ხარჯი: 7.8 მ^3/წამში

(iii) გაჟონვის შემდეგ არსებული ხარჯი: . მ^3/წამში (ივარაუდება)

(e) დამხმარე სტრუქტურების ტექნიკური მონაცემები:

(i) წყალსაგდები:

(1) წყალსაგდების ხარჯის მაქსიმუმი საანგარიშო მაქსიმალური წყალდიდობის განმავლობაში მაქსიმალური წყლის დონის დროს:

(A) "ქვედა ნამახვანი": 4900 მ^3/წამში

(B) "ზედა ნამახვანი": 4900 მ^3/წამში

(2) თხემის დონე:

(A) "ქვედა ნამახვანი": ზღვის დონიდან 314 მეტრი;

(B) „ზედა ნამახვანი": ზღვის დონიდან 362.5 მეტრი.

(ii) ფსკერული წყალგამშვები

(1) ფსკერული წყალგამშვების მაქსიმალური ხარჯი ფარის ღიობის გათვალისწინებით:

(A) "ქვედა ნამახვანი": 1100 მ³/წამში;

(B) „ზედა ნამახვანი": 1200 მ³/წამში;

(2) „წყალსაცავის" შემავალი სტრუქტურის ქვედა დონე:

(A) "ქვედა ნამახვანი": ზღვის დონიდან 240 მეტრი

(B) "ზედა ნამახვანი": ზღვის დონიდან 323 მეტრი

(3) მიმყვანი გვირაბის წყლით შევსების შეზღუდვა: ზედა ნამახვანის ჰესის შენობის და ქვედა ნამახვანის მიმყვანი გვირაბის წყალმიმღები წყალსაცავის ოპერირების საშუალებას წყლის დაბალი დონის პირობებში იძლევა.

(f) ეფექტურობა:

(i) ტურბინის საშუალო ეფექტურობა:

(1) „ქვედა ნამახვანი" 93%

(2) „ზედა ნამახვანი" 94.5%

(ii) გენერატორის საშუალო ეფექტურობა:

(1) „ქვედა ნამახვანი" 98%

(2) „ზედა ნამახვანი" 98%

(iii) ტრანსფორმატორის საშუალო ეფექტურობა 99.5%

(iv) თვით-მოხმარება 1%

(v) ჰიდრავლიკურ წრეში დანაკარგი

(1) „ქვედა ნამახვანი" 10 მეტრი (სრული ხარჯი - 334 მ³/წამში

(2) „ზედა ნამახვანი" 0.5 მეტრი (სრული ხარჯი - 280 მ³/წამში

(vi) დაწნევის დანაკარგების ვარირება იქნება ჩამონადენის სიჩქარის კვადრატული ფესვის პროპორციული.

(g) ზრდის დამოკიდებულება - „წყალსაცავის" მოცულობა / ფართობი

(i) პირველი გამოსახულება აჩვენებს „ქვედა ნამახვანის" „წყალსადენში" წყლის ზრდას, ზედაპირის ფართობსა და მოცულობას შორის ურთიერთდამოკიდებულებას. „ზედა ნამახვანის" „წყალსაცავის" მოცულობასა და ფართობს შორის ურთიერთდამოკიდებულება ასახულია მეორე გამოსახულებაზე. ურთიერთდამოკიდებულება გამოთვლილია „წყალსაცავში" ნალექით გამოწვეული შედეგების დადგომამდე. ბუნებრივი მარაგის შენარჩუნების მიზნით დროის გარკვეულ შუალედებში „წყალსაცავები" ირეცხება, თუმცა გრძელვადიანი შედეგები განისაზღვრება

ოპერირების დროს „წყალსაცავის“ ფაქტობრივი მოცულობის შესახებ ბათიმეტრიული გამოკვლევის მეშვეობით.

გამოსახულება 1, „ქვედა ნამახვანის“ „წყალსაცავის“ ზრდის-მოცულობის-ფართობის ურთიერთდამოკიდებულება



გამოსახულება 2, „ზედა ნამახვანის“ „წყალსაცავის“ ზრდის-მოცულობის-ფართობის ურთიერთდამოკიდებულება

ცხრილი 1 იძლევა ფართობსა და მოცულობას სხვადასხვა მიზნებისთვის.



ცხრილი 1 რეზერვუარის წყლის დონის ზრდა და ფართობი

ქვემო ნამახვანის რეზერვუარი			ზემო ნამახვანის რეზერვუარი		
წყლის დონე (სიმაღლე ზღვის დონიდან)	ფართობი ($კმ^2$)	მოცულობა ($კმ^3$)	წყლის დონე (სიმაღლე ზღვის დონიდან)	ფართობი ($კმ^2$)	მოცულობა ($კმ^3$)
294.5	3.50	91.0	354	0.77	8.2
295	3.53	93.09	355	0.84	8.94
300	3.93	111.83	357	0.98	10.77
305	4.28	132.41	358	1.04	11.8
310	4.69	154.41			
311.5	4.8	162.5			
312.5	4.9	167.5			

(h) ზრდის დამოკიდებულება - დაგროვებული ენერგია

(i) მე-3 გამოსახულება აჩვენებს საცავში წყლის ზრდასა და დაგროვებულ ენერგიას შორის დამოკიდებულებას ქვედა ნამახვანის „წყალსადენისთვის". ეს დამოკიდებულება დადგენილია თეორიული შემთხვევისთვის (ჭარბი ელექტროენერგია, არანაირი ენერგიის დაკარგვა). დამოკიდებულება ემყარება „წყალსადენის" ზრდის დონეს, ელექტროენერგიის ზრდის ცვლილებასა და წყლის შედინების დონეს. დაგროვებული ენერგიის დაანგარიშება ხდება გენერირებადი ენერგიის სრული მოცულობით ოპერირების მიზნით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ენერგია შესაძლოა იყოს ოდნავ მაღალი შედინების დაბალი მაჩვენებლების ოპერირებისას დანაკარგების შედეგად.

(ii) მე-4 გამოსახულება აჩვენებს შესაბამის დამოკიდებულებას ზედა ნამახვანის „წყალსადენისთვის".

(iii) სრული დამოკიდებულება ნაჩვენებია დანართში.



გამოსახულება 3, „ქვედა ნამახვანის“ „წყალსაცავის“ დაგროვებული ენერგია



გამოსახულება 4, „ზედა ნამახვანის“ „წყალსაცავის“ დაგროვებული ენერგია

ზრდის დამოკიდებულება - მაქსიმალური სიმძლავრე

(i) გამოსახულება 5 აჩვენებს „წყალსაცავში“ წყლის ზრდასა და „ქვედა ნამახვანის“ სადგურის ელექტროენერგიის მაქსიმალური სიმძლავრის შესაბამისობას. დამოკიდებულება აღწერს ტურბინის მიმოქცევის მაჩვენებლის ცვლილებას დანაკარგისა და ტურბინის ეფექტურობასთან მიმართებით. სადგურის ნომინალური

პირობები ნორმალური შეტბორვის დონეს გულისხმობს, რაც ბუნებრივ ჩამონადენზე და ყოველკვირეული რეგულირების ჰესის ოპერირების რეჟიმს შეესაბამება.

(ii) ეს დამოკიდებულება შედგენილია თეორიული შემთხვევისთვის (ჭარბი ელექტროენერგია, არანაირი ენერგიის დაკარგვა). სრული დამოკიდებულების ამსახველი ცხრილი ნაჩვენებია დანართში.



გამოსახულება 5, „ქვედა ნამახვანის“ დამოკიდებულება ელექტროენერგიასა და „წყალსაცავის“ დონეს შორის



გამოსახულება 6, „ზედა ნამახვანის“ დამოკიდებულება ელექტროენერგიასა და „წყალსაცავის“ დონეს შორის

(j) ზრდის დამოკიდებულება - სპეციალური მოხმარება

(i) ქვემოთმოცემული გამოსახულება ასახავს წყლის ზრდასა და შესაბამის სპეციალურ გამოყენებას შორის დამოკიდებულებას. ეს დამოკიდებულება შედგენილია თეორიული შემთხვევისთვის (ჭარბი ენერგია, არანაირი ენერგიის დაკარგვა). სრული დამოკიდებულების ამსახველი ცხრილი მოცემულია დანართში.



გამოსახულება 7, „ქვედა ნამახვანის“ „წყალსადენის“ სპეციალური ხარჯი



გამოსახულება 8, „ზედა ნამახვანის“ „წყალსაცავის“ სპეციალური ხარჯი

(iii) 2.1 მუხლის გამოყენება მეტეოროლოგიურ ან ოპერაციულ შემთხვევებთან მოქნილად გამკლავების შესაძლებლობას იძლევა. აუცილებელია წყლის „წყალსაცავის“ დონესა და “ნეტო ენერგიის მიწოდებას“ შორის ეფექტური დამოკიდებულების არსებობა. აღნიშნული დადგინდება “ზედა ნამახვანის“ და „ქვედა ნამახვანის“ ჰესების დატესტვის დროს, როდესაც ყველა საბოლოო პარამეტრი (წყლის დაკარგვა, ეფექტურობა და ა.შ.) დადგენილი იქნება.

დანართი

ტექნიკური მონაცემები

ცხრილი 2, „ქვედა ნამახვანის“ ტექნიკური მონაცემები

ზრდა	მოცულობა	დინების სიჩქარე	ელექტროენერგია	დაგროვებული ენერგია	სპეციალური ხარჯი
მ	მლ^3	მ^3/წმ	მგვტ	გიგავატი/საათში	მ^3/წმ/მგვტ
294.50	91.24	306.18	217.98	0.00	1.40
295.00	93.01	307.04	219.82	0.35	1.40
295.50	94.80	307.89	221.66	0.71	1.39
296.00	96.61	308.73	223.51	1.07	1.38
296.50	98.45	309.58	225.36	1.44	1.37
297.00	100.30	310.42	227.22	1.82	1.37
297.50	102.18	311.27	229.09	2.20	1.36
298.00	104.08	312.11	230.96	2.59	1.35
298.50	106.00	312.94	232.83	2.98	1.34
299.00	107.94	313.78	234.72	3.39	1.34
299.50	109.89	314.61	236.60	3.79	1.33
300.00	111.87	315.44	238.50	4.21	1.32
300.50	113.86	316.27	240.39	4.63	1.32

301.00	115.87	317.10	242.30	5.05	1.31
301.50	117.90	317.93	244.20	5.48	1.30
302.00	119.94	318.75	246.12	5.92	1.30
302.50	122.00	319.57	248.04	6.36	1.29
303.00	124.08	320.39	249.96	6.81	1.28
303.50	126.16	321.21	251.89	7.27	1.28
304.00	128.26	322.02	253.83	7.72	1.27
304.50	130.38	322.83	255.77	8.19	1.26
305.00	132.50	323.64	257.72	8.66	1.26
305.50	134.64	324.45	259.67	9.13	1.25
306.00	136.79	325.26	261.63	9.61	1.24
306.50	138.94	326.06	263.59	10.09	1.24
307.00	141.11	326.87	265.56	10.58	1.23
307.50	143.29	327.67	267.53	11.07	1.22
308.00	145.48	328.47	269.51	11.57	1.22
308.50	147.67	329.26	271.49	12.07	1.21
309.00	149.87	330.06	273.48	12.58	1.21
309.50	152.08	330.85	275.48	13.09	1.20

310.00	154.29	331.64	277.48	13.60	1.20
310.50	156.51	332.43	279.49	14.12	1.19
311.00	158.74	333.21	281.50	14.64	1.18
311.50	160.97	334.00	283.52	15.16	1.18

დანართი ტექნიკური მონაცემები					
ცხრილი 3, „ზედა ნამახვანის“ ტექნიკური მონაცემები					
ზრდა	მოცულობა	დინების სიჩქარე	ელექტროენერგია	დაგროვებული ენერგია	სპეციალური ხარჯი
მ	მლ^3	მ^3/წმ	მგვტ	გიგავატი/საათში	მ^3/წმ/მგვტ
354.00	8.20	133.79	78.88	0.00	1.70
354.50	8.57	134.84	80.12	0.06	1.68

355.00	8.94	135.89	81.36	0.12	1.67
355.50	9.40	136.93	82.59	0.20	1.66
356.00	9.86	137.96	83.82	0.28	1.65
356.50	10.31	138.98	85.05	0.35	1.63
357.00	10.77	140.00	86.28	0.43	1.62

Execution Version

BUILD, OWN AND OPERATE - AGREEMENT

DETAILED DESIGN STUDY, CONSTRUCTION, TESTING, COMMISSIONING, OWNERSHIP, OPERATION AND MAINTENANCE OF NAMAKHVANI CASCADE HYDRO POWER PROJECT

between

THE GOVERNMENT OF GEORGIA
REPRESENTED BY
THE MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

GEORGIAN ENERGY DEVELOPMENT FUND JSC

NAMAKHVANI JSC

ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC

GEORGIAN STATE ELECTRO SYSTEM JSC

AND

CLEAN ENERGY GROUP GEORGIA LLC

25 APRIL 2019
TBILISI

TABLE OF CONTENTS

ARTICLE		PAGE
1.	DEFINITIONS AND INTERPRETATION	4
2.	REPRESENTATIONS AND WARRANTIES	18
3.	SUBJECT MATTER OF THE AGREEMENT	18
4.	PROJECT PHASES	29
5.	ENVIRONMENTAL AND SOCIAL PROTECTION	42
6.	OWNERSHIP TITLE TO THE PLANT	46
7.	CONTRACT SECURITY	47
8.	FORCE MAJEURE AND COMPENSATION EVENTS	48
9.	EVENTS OF DEFAULT AND TERMINATION OF THE AGREEMENT	53
10.	FINANCING	61
11.	PAYMENTS	61
12.	DISPUTE RESOLUTION	62
13.	ASSIGNMENT	64
14.	INDEMNIFICATION	64
15.	LANGUAGE	65
16.	GOVERNING LAW	65
17.	GOG'S POSITION AS PUBLIC AUTHORITY	65
18.	DISCOVERY OF FOSSILS AND ANTIQUITIES	65
19.	NOTICES	66
20.	VALIDITY OF THIS AGREEMENT	67
21.	CONSEQUENTIAL DAMAGES	67
22.	FURTHER ASSURANCES	67
23.	ENTIRE AGREEMENT	67
ANNEX NO 1 LOCATION		69
ANNEX NO 2 CAPACITY		70
ANNEX NO 3 MILESTONE SCHEDULE		71
ANNEX NO 4 GUARANTEE		72

ANNEX NO 5 LAND RIGHTS (ADDITIONAL PROVISIONS) 73
ANNEX NO 6 REPRESENTATIONS AND WARRANTIES 76
PART 1 (THE GOVERNMENT, GEDF, NAMAKHVANI, ESCO AND GSE) 76
PART 2 (THE COMPANY) 78
ANNEX NO 7 FORM OF TRILATERAL AGREEMENT 79
ANNEX NO 8 FORM OF ACQUISITION AGREEMENT 85
ANNEX NO 9 MODEL LAND TRANSFER AGREEMENT 129
ANNEX NO 10 MODEL RIGHT TO BUILD AGREEMENT 135
ANNEX NO 11 OFF-TAKE AGREEMENT 141
ANNEX NO 12 APPROVED AUDITORS 159
ANNEX NO 13 FORM OF PURCHASE DEMAND 160
ANNEX NO 14 FORM OF ASSIGNMENT AGREEMENT 161
ANNEX NO 15 FORECASTING AND DISPATCH 166
ANNEX NO 16 METERING 168
ANNEX NO 17 RESERVOIR GUIDELINES 171

THIS AGREEMENT, among the Parties hereto, and relating to the conduct of the detailed design study, financing, construction, testing, commissioning, ownership, operation and maintenance of the Namakhvani Cascade in Tskaltubo and Tsageri regions of Georgia, made on 25th of April 2019, among:

(1) **THE GOVERNMENT OF GEORGIA**, represented by the Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia (the "**GOG**" or the "**Government**");

(2) **JSC GEORGIAN ENERGY DEVELOPMENT FUND**, a company organised and existing under the laws of Georgia with registration number 404391975 and having its registered office at #8 Baratashvili str, Tbilisi, Georgia ("**GEDF**");

(3) **JSC NAMAKHVANI**, a company organised and existing under the laws of Georgia with registration number 406062503 and having its registered office at Kakheti Highway 21 Tbilisi, Georgia ("**Namakhvani**");

(4) **JSC ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR**, a company organised and existing under the laws of Georgia with registration number 205170036 and having its registered office at #2, Baratashvili str., Tbilisi, Georgia ("**ESCO**") (which term shall include its successors and assigns);

(5) **JSC GEORGIAN STATE ELECTRO SYSTEM**, a company organised and existing under the laws of Georgia with registration number 204995176 and having its registered office at #2, Baratashvili str., Tbilisi, Georgia ("**GSE**"), (which term shall include its successors and assigns); and

(6) **CLEAN ENERGY GROUP GEORGIA LLC**, a company organised and existing under the laws of Georgia, with registration number 404507495, having its registered office at GMT Plaza 2nd Floor, 4 Freedom Square, Tbilisi 0105, Georgia (the "**Company**").

Each of the GOG, ESCO, GSE and the Company shall be referred to individually as a "**Party**" and collectively as the "**Parties**".

PREAMBLE

WHEREAS: On 24 December 2015, an expression of interest was announced by GEDF (the "**Expression of Interest**"), an entity 100% owned by the State of Georgia and managed by the Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia for the purposes of financing, construction, testing, commissioning, ownership, operation and maintenance of the approximately 433 MW Namakhvani Cascade in Tskaltubo and Tsageri regions of Georgia, on an exclusive basis;

WHEREAS: On 2 February 2016, Clean Energy Group Georgia LLC submitted an "Expression of Interest" to develop the Project and received the tender documents from the Georgian Energy Development Fund JSC on the same day. In total 26 companies obtained the tender documents. The tender documents contained a Basic Design and a Feasibility Study for Road. The bidders were asked to quote a tariff required to implement the Project in accordance with the Basic Design and the Feasibility Study for Road.

WHEREAS: On 7 July, 2016, Clean Energy Group Georgia LLC submitted a binding bid to develop the project (the "**Company Bid**") including the commitment to conduct a detailed design study, as well as financing, constructing, testing, commissioning, ownership, operation and maintenance of the Project. The basis for calculating the tariff the Company requires to develop the Project was the Company Bid requirements and a binding offer received from Enka Insaat ve Sanayi AS for the construction of the Project based on the Basic Design.

WHEREAS: Pursuant to a letter from the GEDF evaluation committee dated 17 January 2017, the Company was announced to be the winning participant of the Expression of Interest for the development of the Project;

WHEREAS: In accordance with article 36 of Law on Georgia on Public Private Partnerships No.2273-IIS dated 4 May 2018 (the "**PPP Law**"), the Government adopted a decision dated on or about the date of this Agreement and determined that all stages of the identification, initiation, development, evaluation and acceptance of the Project and selection of the Company as a private partner have been completed prior to the entry into force of the PPP Law, that the Parties finalised their negotiations and are at the stage of execution of a public private partnership agreement; and

